გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY

სამეცნიერო შრომების კრებული

COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS

№11

2017

UDC (უაკ) 378 (479.22)(066)
გ-716

წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2016 წლის 24 ივნისს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

შენიშვნის სახით დავძენთ, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში.

The Collection consists with the scientific works presented by the academic staff at the Scientific Conference on June 24, 2016 at LEPL-Gori State Teaching University.

Herewith, we note that the works presented at the history section are published in the collection by Gori State Teaching University History and Archaeology Centre.

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი სოსიაშვილი
გიორგი ხორბალაძე
ალექსანდრე მღებრიშვილი
მარიკა შერაზადიშვილი
იოსებ ალიმბარაშვილი
დავით ჩოჩიშვილი
ელდარ მამისთვალიშვილი
ვიანორ ახალაია
ჯემალ ქირია
ნელი ჭამპურიძე
თეა ხორგუაშვილი
ზურაბ ჩხიკვაძე
ივანე ბალახაშვილი
ქეთევან ბარბაქაძე
თამარ გოგოლაძე
ციური დურული
კლარა ელჩიბეგაშვილი
ზურაბ ზერაკიძე
მარიამ კობერიძე
მალხაზ ლომსაძე
ლევან მიდოდაშვილი
გიორგი ყაზიშვილი

Editorial Board:

Giorgi Sosiashvili
Giorgi Khorbaladze
Aleksandre Mghebrishvili
Marika Sherazadishvili
Ioseb Alimbarashvili
David Chochishvili
Eldar Mamistvalishvili
Vianor Akhalaia
Jemal Kiria
Neli Champuridze
Tea Khorguashvili
Zurab Chkhikvadze
Ivane Balakhashvili
Ketevan Barbakadze
Tamar Gogoladze
Tsiuri Duruli
Klara Elchibegashvili
Zurab Zerakidze
Mariam Koberidze
Malkhaz Lomsadze
Levan Midodashvili
Giorgi Kazishvili

ISSN 2233-3193

დაბეჭდილია
გამომცემლობა
სამშობლო
თბილისი, რობაქიძის 7; მობ.: 551 95 31 90

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლ ი ნ გ ვ ი ს ტ ი კ ა

ვიანორ ახალაია - *ტროპის სახეობათა მხატვრული ფუნქციისათვის მიხეილ ჯავახიშვილის პროზაში – 7*
მარიამ კობერიძე, ციური ნოზაძე - *ქართულენოვანი ტექსტების კომპიუტერული მოდელირების საკითხებისათვის – 10*
ნიკოლოზ ოთინაშვილი - *იკორთის წარწერების პალეოგრაფიულ-ენობრივი თავისებურებანი – 12*

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

თამარ გოგოლაძე - *ვაჟური წარმოსახვების ხილვადი გააზრება მწერალ-ბიოგრაფოსის რომანში (რ. ჩხეიძის „დევების სტუმარი“) – 16*
ზურაბ ოქროპირიძე - *ქართული სოფელი 1918-1921 წლებში (ნიკო შიუკაშვილის პიესის „მადლობა“ მიხედვით) – 20*
მარინე ცერცვაძე - *პავლე ინგოროყვას და ელგუჯა ხინთიბიძის ღვაწლის რამდენიმე საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიო აღიარების საქმეში – 26*
ნელი ჭამპურიძე - *იაკობ გოგებაშვილის საბავშვო შემოქმედების ძირითადი მოტივები – 28*
გიორგი ხორბალაძე - *ჰაჯი-უსუბის სავარაუდო პროტოტიპი აკაკი წერეთლის თანამედროვე საზოგადოებაში – 32*

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ციური ბაქრაძე - *დეფექტები ოჯახური აღზრდის პროცესში – 36*
მზია გოგიაშვილი - *აღმზრდელის როლი და მისი პროფესიონალური მიმართულება – 40*
პაატა ქურდაძე - *მოსწავლეთა მოტივაციის პრობლემის კვლევა – 44*

ზ უ ს ტ ი დ ა ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი

ნელი გოგინაშვილი - *კაროტინის (პროვიტამინი A) შემცველობა სამკურნალო მცენარეებში შიდა ქართლის ბიოცენოზებში – 48*
გია ედიშერაშვილი - *სამხრეთ საქართველოს ფრინველთა ფაუნის და მოსახლეობის შესწავლისათვის – 52*
გია ედიშერაშვილი - *ეკოტურიზმის ზოგიერთი პრობლემის შესახებ საქართველოში – 57*
ალექსანდრე იაშვილი - *2016 წლის რიო დე ჟანეიროს XXXI ოლიმპიური თამაშები და დამოუკიდებელი საქართველოს სპორტსმენთა მორიგი გამოცდა – 59*
გიორგი მძინარაშვილი, მარიამ უბირია - *ანალიზატორების დიდი მნიშვნელობა ტექნიკური მოქმედებების სწავლის დროს* (რუსულ ენაზე) *– 63*
ციური ნოზაძე - *გლობალურ ქსელებში ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვის პრობლემების შესახებ – 65*

ბ ი ზ ნ ე ს ი დ ა მ ა რ თ ვ ა

მაია აზმაიფარაშვილი - *ტურიზმის სფეროს პრიორიტეტული მიმართულებები შიდა ქართლში – 68*
თეა ანესაშვილი - *საინვესტიციო აქტივობის მახასიათებლები საქართველოში – 71*
ლია ბიბილაშვილი - *რისკების მართვის სისტემის დანერგვა კომპანიის საქმიანობაში – 75*
დავით ბიძინაშვილი - *ეფექტიანობის აუდიტის ძირითადი მახასიათებლები და როლი საჯარო ფინანსების მართვის თანამედროვე სისტემაში – 78*

მანია გოგიძე - *ENPARD-ევროპული სამეზობლოს პროგრამა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის – 83*
მერაბ ვანიშვილი - *საქართველოს საბანკო სექტორის კონკურენტული გარემოს ანალიზი – 87*
ნინო ლიპარტელიანი - *მსოფლიო ფინანსური კრიზისის კონკრეტული გამოხატულებები ქართულ ეკონომიკაში – 93*
ნანა ნადირაძე - *„გულუბრყვილო მომხმარებლიდან“ მსოფლიო სამომხმარებლო კულტურამდე – 98*
ხალიანა ჩიტაძე - *ფინანსური გაზრები და ინვესტიციების აღრიცხვა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით – 102*
თეა ხორგუაშვილი, ლია ნადირაძე - *საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის თავისებურებები – 105*

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

ნუგზარ აბრამიშვილი - *ჭეშმარიტება, რომელიც გვათავისუფლებს – 110*
ალექსანდრე მღებრიშვილი - *საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითადი ფაქტორები – 112*
მარიკა შერაზადიშვილი - *სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებული მედიაპროდუქტის შექმნა – 119*

C O N T E N T S

L i n g u i s t i c s

Vianor Akhalaia - *THE ARTISTIC FEATURES OF TROPE VARIETY IN THE PROSE OF MIKHEIL JAVAKHISHVILI – 7*
Mariam Koberidze, Tsiuri Nozadze - *FOR COMPUTER MODELING ISSUES OF GEORGIAN TEXT – 10*
Nikoloz Otinashvili - *PALEOGRAPHIC-LANGUAGE PECULIARITIES OF IKORTA INSCRIPTIONS – 12*

L i t e r a t u r e

Tamar Gogoladze - *UNDERSTANDING OF VISIBLE IMAGINATION OF VAZHA'S STYLE IN A NOVEL OF A WRITER-BIOGRAPHER (R. CHKHEIDZE "THE DEVIS" (OGRES) GUEST") – 16*
Zurab Okropiridze - *GEORGIAN VILLAGE IN 1918-1921 (ACCORDING TO NIKO SHIUKASHVILI`S PLAY "THANKS") – 20*
Marine Tsertsvadze - *SOME QUESTIONS OF PAVLE INGOROKVA AND ELGUJA KHINTIBIDZE`S MERIT IN THE WORK OF THE WORLD RECOGNITION THE 'KNIGHT IN THE PANTHER`S SKIN" – 26*
Neli Champuridze - *IAKOB GOGEBASHVILI MAIN MOTIFS OF CHILDREN`S LITERATURE – 28*
Giorgi Khorbaladze - *HAJI-USUB`S ALLEGED PROTOTYPE IN THE MODERN SOCIETY OF AKAKI TSERETELI – 32*

E d u c a t i o n

Tsiuri Bakradze - *MISTAKES, WHICH ARE MADE IN FAMILY EDUCATION – 36*
Mzia Gogiashvili - *TUTOR'S ROLE AND PROFESSIONAL DIRECTION – 40*
Paata Kurdadze - *THE RESEARCH OF THE PROBLEM OF STUDENTS' MOTIVATION – 44*

E x a c t a n d N a t u r a l S c i e n c e s

Neli Goginashvili - *THE CONTENT OF CAROTENE (PROVITAMIN A) IN THE MEDICINAL PLANTS OF SHIDA KARTLI BIOCENOSIS – 48*
Gia Edisherashvili - *FOR THE STUDY OF BIRD FAUNA AND POPULATION OF SOUTH GEORGIA – 52*
Gia Edisherashvili - *ON SOME PROBLEMS OF ECOTOURISM IN GEORGIA – 57*
Aleksandre Iashvili - *2016 YEAR RIO DE JANEIRO XXXI OLYMPIC GAMES AND INDEPENDENT GEORGIAN SPORTMEN'S ANOTHER EXAM – 59*
Giorgi Mdzinarashvili, Mariam Ubiria - *THE GREAT IMPORTANCE OF ANALYZERS DURING THE STUDY OF TECHNICAL ACTIONS* (in Russian) – *63*
Tsiuri Nozadze - *INFORMATION SECURITY PROBLEMS IN GLOBAL NETWORKS – 65*

B u s i n e s s a n d M a n a g e m e n t

Maia Azmaiparashvili – *PRIORITY TRENDS IN TOURISM SPHERE IN SHIDA KARTLI – 68*
Tea Anesashvili - *INVESTMENT ACTIVITY CHARACTERISTICS IN GEORGIA – 71*
Lia Bibilashvili – *INTRODUCTION OF RISK MANAGEMENT SYSTEM IN COMPANY BUSINESS – 75*
Davit Bidzinashvili - *THE MAIN FEATURES OF AUDIT EFFECTIVENESS AND THE ROLE OF THE PUBLIC FINANCE MANAGEMENT SYSTEM – 78*
Mania Gogidze - *ENPARD - EUROPEAN NEIGHBOURHOOD PROGRAMME FOR AGRICULTURE DEVELOPMENT – 83*
Merab Vanishvili - *THE COMPETITIVE ENVIRONMENT ANALYSIS OF THE GEORGIAN BANKING SECTOR – 87*
Nino Liparteliani - *SPECIFIC EXPRESSION OF THE WORLD FINANCIAL CRISIS IN GEORGIAN ECONOMY – 93*
Nana Nadiradze – *FROM "NAIVE CUSTOMER" TO THE WORLD CONSUMER CULTURE – 98*

Khaliana Chitadze – *FINANCIAL MARKETS AND INVESTMENT ACCOUNTING USING INTERNATIONAL ACCOUNTING STANDARDS – 102*
Tea Khorguashvili, Lia Nadiradze – *PECULIARITIES OF ELECTRONIC SYSTEM OF PUBLIC FINANCE MANAGEMENT – 105*

Social Sciences and Law

Nugzar Abramishvili - *TRUTH THAT LIBERATES US – 110*
Aleksandre Mghebrishvili - *MAIN FACTORS OF PUBLIC RELATIONS – 112*
Marika Sherazadishvili - *DEVELOPMENT OF AGRICULTURE-RELATED MEDIA PRODUCTS – 119*

ლინგვისტიკა
Linguistics

ტროპის სახეობათა მხატვრული ფუნქციისათვის მიხეილ ჯავახიშვილის პროზაში

ვიანორ ახალაია, პროფესორი

ზოგიერთი შეხედულება ლიტერატურულ ნაწარმოებს განიხილავს როგორც გარკვეულ ენობრივ-სტრუქტურულ ფენომენს, ან ენობრივი სიმბოლოების სისტემას, რომელიც, ამასთან, მხატვრული ფორმის ერთადერთ კომპონენტადაა მიჩნეული. ზოგიერთი კონცეფცია საკუთრივ მხატვრულ ენას ჩვეულებრივი სალიტერატურო ენიდან არ ასხვავებს, რითაც არსებითად უარყოფს როგორც საერთოდ ლიტერატურის, ისე, კერძოდ მხატვრული ენის თავისებურებას.

მკვლევართა გარკვეული ნაწილი კი ამჟღავნებს ტენდენციას, მხატვრული ენა განიხილოს, როგორც მხოლოდ გარკვეული ნიშნების რაოდენობრივი ჯამი, ან სტრუქტურულ ელემენტთა სისტემა, და ივიწყებს, რომ ენა, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების ,,პირველ-ელემენტი", არის სპეციფიკური შემოქმედებითი მოვლენა, რომელიც არ შეიძლება შემოისაზღვროს ამა თუ იმ მიმართებაში მოცემული სიტყვების არითმეტიკული ჯამითა ან მხოლოდ ფორმისებული ფუნქციით. მხატვრული ენის თავისებურება მთელის სახით გვევლინება და თავისი არსებით თვისობრივი მოვლენაა, განპირობებული ესთეტიკურ-შემეცნებით ფუნქციათა ერთობლიობით. (1, 99)

ყოველი მხატვრული სახე სინამდვილის თავისებური ხედვის, სამყაროს მიმართ შემოქმედის დამოკიდებულების ასახვაა. ამიტომ პოეტიკა, ანუ მხატვრულ სახეთა შესახებ მოძღვრება წმინდა ლიტერატურისმცოდნეობის სფეროს მიეკუთვნება, მაგრამ მხატვრული სახე, თუმცა იგი მწერლის ორიგინალური აზროვნების შედეგია, ენობრივი საშუალებებით რეალიზდება. ამიტომ ენობრივი სტილის ანალიზის დროს პოეტიკის საშუალებები უნდა განვიხილოთ როგორც გარკვეული ენობრივი კონსტრუქციები, ენობრივი მასალა, რომლის გამოყენების თავისებურება მწერლის სტილის თავისებურებაზე მეტყველებს. მიხ. ჯავახიშვილის პროზაში პოეტიკის საშუალებათაგან გვხვდება: მეტაფორა, შედარება, ეპითეტი, იშვიათად - სიმბოლო. ყოველი მათგანი არის როგორც ტრადიციული, ისე ორიგინალური ხასიათისა. მათ შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ძირითადი ხასიათი, მაგრამ განსხვავებულია დანიშნულებისა და ფორმის თვალსაზრისით. მხატვრული შემოქმედება - საერთოდ და უფრო კი - მხატვრული სიტყვა ერთგვარი „ზეშთაგონების" პროდუქტია (2, 219).

მთავარი, რაც ახასიათებს ყველა მხატვრულ სახეს, ესაა მისწრაფება მაქსიმალური რეალიზმისაკენ, მწერლის სათქმელის რეალისტურ მხატვრულ სახეებში გადმოცემისაკენ. ამ გაგებით ყოველი პოეტური საშუალება, რა ეპოქისა და ჟანრის ნაწარმოებშიც არ უნდა იყოს გამოყენებული, რეალისტურია, ნამდვილია. ვ. ვინოგრადოვი მიუთითებს, რომ მწერლის სტილი იცვლება მის სხვადასხვა ნაწარმოებში, რომ სტილს განაპირობებს ნაწარმოების ჟანრი: ერთი და იმავე მწერლის სტილი შეიძლება სხვადასხვა იყოს ჟანრობრივ მიმართებაში. აქ წამოიჭრება ჟანრის სტილზე ზემოქმედების საკითხი. წამოიჭრება აუცილებლობა ინდივიდუალური სტილის განსაზღვრისა, ხოლო მის დახასიათებისას - მკვეთრი გამიჯვნა იმისა, რაც ჟანრითაა განპირობებული და რაც შეიძლება მივიჩნიოთ ავტორის ინდივიდუალობის ჭეშმარიტ გამოვლინებად. (2, 195)

მიხ. ჯავახიშვილის პროზის სტილზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მისი პროზის თავისებურებებს, რადგან მათ, ერთის შეხედვით, ახასიათებს სრული შინაგანი თავისუფლება - ხელოვანი არავითარი ნორმით არაა შეზღუდული, მაგრამ, ამასთანავე, არსებობს მკაცრი მოთხოვნა, რომელიც სინამდვილეში ამ თავისუფლებას მთლიანად იქვემდებარებს. ესაა გარესამყაროს აღქმის საშუალებათა სრული შესაბამისობა მის შინაარსთან, ანუ ის, რომ შინაარსი, რომელიც რეალისტურია,- ე.ი. მართალია და მისი არსებობა ობიექტურ კანონზომიერებებს ემყარება, სწორედ ამგვარსავე ფორმაში იქნეს გამოვლენილი. მხატვრული აზროვნება რთული პრობლემის წინაშე დგას: მხატვრული სახის წარმოშობას ობიექტური მიზეზები უნდა ჰქონდეს, ამასთანავე უნდა იყოს ორიგინალური, მოულოდნელი, მაგრამ არა იმდენად, რომ დაკარგოს მხატვრული სიმართლე. არის მეორე დილემაც: მხატვრულ სახეს მოეთხოვება მაქსიმალური ინფორმაციულობა ასახვის ობიექტის შესახებ, მაგრამ, ამასთანავე, იგი არასდროს არაა ზუსტი, ამომწურავი. ეს არაზუსტობა მკითხველის, მსმენელის ან მაყურებლის მხრივ აქტიური ჩარევით ივსება, ,,იგი ხდება თანაავტორი" (დ. ლიხაჩოვი).

ყველა ეს ნიშანი, რაც აქ აღინიშნა, მხატვრულ სახესთან დაკავშირებით, ახასიათებს მიხ. ჯავახიშვილის პროზაში გამოყენებულ ტროპებს. განვიხილავთ მათ ცალ-ცალკე.

1) ეპითეტი. მიხ. ჯავახიშვილის პროზაში ეპითეტი გვხვდება ტრადიციული ფორმით - იგი განსასაზღვრი საგნის წინ დგას და რაიმე ნიშნის მიხედვით განსაზღვრავს მას. მაგ:

,,როდის და რომელ ქალაქიდან ან სოფლიდან გადმოსახლდა?
(...) ან იქნებ სამხედრო ბეგარაც არ მოუხდია ერთადლიან ჩანჩურას?
ან იქნება ჯერ შარშანდელი ხარჯიც არ გადაუხდია
წონით ფუთ-ნახევრიან გლახას?“

(I, 37)

აქ ეპითეტი, მართალია, ფორმის თვალსაზრისით ახალს არაფერს გვაძლევს, - კომპოზიტია გამოყენებული მსაზღვრელად, მაგრამ ახალია მათი გამოყენება: კონტრასტის გზით ისინი კიდევ უფრო გამოკვეთავენ პერსონაჟის იერ-სახეს: ‘ერთადლიანი’ დაკნინებული კაცის ეპითეტია, მისი დაპირისპირება ‘სამხედრო ბეგარასთან’ კიდევ უფრო უსვამს ხაზს მისადმი სიბრალულს. ასეთივე ხასიათისაა მეორე ნიმუშიც.

სხვა მხატვრული ფუნქცია აქვს ეპითეტს ამ შემთხვევაში:

,,აბა საიდან უნდა გაეგო ეს საიდუმლოება პეტროვს,
როდესაც ამისთანა სიბრძნე მხოლოდ ყოვლად ძლიერსა და
ყოვლისმცოდნე პასპორტს უნდა სცოდნოდა, რომელიც
ჩანჩურას არ აღმოაჩნდა.“ (I, 37)

ამ შემთხვევაში ეპითეტები ‘ყოვლად ძლიერსა და ყოვლის მცოდნე’ ირონიის გამომჟღავნების საშუალებად ქცეულა. ირონიას იწვევს პასპორტის - უბრალო ქაღალდის - აშკარად გაზვიადებული როლი - მას ადამიანის ბედის გადაწყვეტა დააკისრეს. ამას თითქოს ამართლებს ეპითეტები - ‘ყოვლისმცოდნე და ყოვლად ძლიერი’, მაგრამ სწორედ ეს - შეუსაბამობა განსასაზღვრი საგნისა მის განმსაზღვრელ ნორმებთან - კიდევ უფრო ავლენს ამ დოკუმენტის არარაობას. რადგან ეპითეტები აშკარად ირონიული ელფერის მატარებელია.

აღსანიშნავია, რომ ერთი და იგივე ტროპი-ეპითეტი-ტექსტის ამ ერთ მონაკვეთში ორი განსხვავებული ფუნქციით წარმოსდგა. ერთ შემთხვევაში იგი პერსონაჟის დახასიათებისათვის იქნა გამოყენებული, მეორეგან - მწერლის პოზიციის გამოსავლენად. ეს მანერა - ტროპთა განმეორება ფრაზის შიგნით - საერთოდ ახასიათებს მიხ. ჯავახიშვილს.

2) გაპიროვნება. ამ ტროპის ბუნება - სულიერის თვისებების მიწერა უსულოზე - განაპირობებს იმას, რომ მოქმედება მიმდინარეობს ჩვეულებრივზე უფრო დინამიურად. დინამიურობის გამოსახატავად მიხ. ჯავახიშვილი წინადადების სტრუქტურას იყენებს::

,,სკამი გარახუნდა და ფეხები გაფშიკა. საფერფლემ დაიჭახუნა
და ძირი ჭერს მიუშვირა“.

(I, 166).

‘ფეხების გაფშეკა’ მხოლოდ სულიერ არსებას შეუძლია, უსულო საგნების გააქტიურება რომ უფრო თვალნათელი იყოს, მწერალი გადმოსაცემი ამბის შინაგან დინამიურობას შესაფერის მოქნილ ფორმობრივ გამოხატულებას აძლევს: მეტყველების ნაკადი შერწყმული წინადადებისაგან შედგება, რომლებიც თავის მხრივ, მხოლოდ სინტაქსური წყვილებით არიან შედგენილი. ეს თხრობის შინაგან რიტმს ქმნის.

3) შედარება. მიხ. ჯავახიშვილის პროზაში შედარების რამდენიმე სახე გვხვდება: გვაქვს როგორც ტრადიციული, ისე ორიგინალური შედარება. მათი ბუნება კონკრეტულ-გრძნობადია, სახიერი, რაც აღმნიშვნელისა და აღსანიშნის საერთო ნიშნებზე ხაზგასმის ფუნქციითაა განპირობებული. ტომაშევსკი შედარების ფიგურაში სამ წევრს გამოყოფდა: შედარების საგანს, შედარების სახესა და შედარების ნიშანს. შედარების ნიშანია ის საერთო, რაც აკავშირებს შედარების საგანსა და სახეს ერთმანეთთან. ამის გამოა, რომ რამდენადაც მოულოდნელი არ უნდა იყოს შედარება, მის საგანსა და სახეს შორის რაიმე საერთო ნიშანი უნდა იყოს, თორემ უაზრობას მივიღებთ. შეიძლება შედარების საგანი - სინამდვილის ფრაგმენტი - ტრადიციული იყოს, მაგრამ თუ მწერალი მას შედარების სახეს ახალი, ორიგინალური ნიშნის მიხედვით დაუკავშირებს, შედარება ორიგინალური გახდება. ამიტომ აღნიშნავს მ. ოსმანოვი: ,,შედარების ხასიათი დამოკიდებულია არა შედარების საგანზე, არამედ პოეტის მიდგომაზე, იმაზე, თუ რა ნიშნით ხდება შედარება? შედარების ხასიათის მიხედვით მიხ. ჯავახიშვილის პროზა ერთ უცნაურობას ავლენს, ერთ ფრაზაში ერთმანეთის გვერდით არსებობს ტრადიციული და ორიგინალური შედარება. ეს გარკვეულ სტილურ თავისებურებას ქმნის:

,,მარგოს რომ თვალს მოჰკრავდა, თოვლივით დადნებოდა,
თეფშივით გაიბადრებოდა და ფეხქვეშ გაეშლებოდა“.

(I, 218).

ფორმის თვალსაზრისით ახალი აქ არაფერია - ვით თანდებული სახელობითი ბრუნვის ფორმასთან შედარების ფორმით გამოიყენება. მაგრამ მეორე შედარება - 'თეფშივით გაიბადრებოდა' - ორიგინალურია სინტაგმის სემანტიკით - გაბადრული თეფში ცოტა უცნაური აღსაქმელია მკითხველისთვის. სტილის თვალსაზრისით თავისებურებას ქმნის ის, რომ ფორმობრივი შესაბამისობა შინაარსის კონტრასტისთვისაა გამოყენებული.

ამგვარი დისონანსი მოულოდნელობის ეფექტის მქონეა. მოულოდნელობის ეფექტი მით უფრო დიდია, რაც უფრო დაშორებულია შედარების საგანი და სახე ერთმანეთს. მნიშვნელობა აქვს ფორმასაც: რაც უფრო ლაკონური ფორმითაა მოცემული შედარება, მით უფრო დიდია ეფექტი. ამიტომაა, რომ აღწერითი ფორმის შედარება, რაც მიხ. ჯავახიშვილიდან არცთუ ხშირად, მაგრამ მაინც გვხვდება (,,იგი ამ დროს დახოცილი ვაჟკაცებით დაფენილს ბრძოლის ველს ჰგავდა" – I,183), დიდი ექსპრესიული ძალით არ გამოირჩევა.

არის შემთხვევა, როცა შედარება განფენილია ფრაზაში, მაგრამ იგი დიდი ექსპრესიულობის მქონეა. ამას ავტორი წმინდა ენობრივი საშუალებით აღწევს:

,,ქეთომ საჩქაროდ წაიძრო თითიდან ლალის ბეჭედი,
წითელი ბუზივით რომ აჯდა ხელზე". (V, 252)

შედარების საგანია 'ლალის ბეჭედი', შედარების სახე - 'წითელი ბუზივით', შედარების ნიშანი - საერთო ფერი და სიმსუბუქის განცდა. მართალია, შედარების სახე ფრაზაშია განფენილი, მაგრამ ეს მის ექსპრესიულობას ვერ ანელებს. ჯერ ერთი, შედარება სრულიად მოულოდნელია, შედარების სახეც კი ხელოვნურადაა დაძებნილი - წითელი ბუზი არ არსებობს. მაგრამ გათვალისწინებულია ორივე საგნის შინაგანი ბუნება. ბუზი სიფრიფანაა, ჰაეროვანი. ასეთივეა ბეჭედი ქალიშვილის ხელზე. ამიტომ მკითხველისთვის შედარება მისაღებია. შედარების ექსპრესიულ ძალას წინადადების სტრუქტურაც უწყობს ხელს: განსაზღვრებითი დამოკიდებული, ჩვეულებრივ, ,,რომელიც" წევრ-კავშირით იწყება. მაგრამ ამ შემთხვევაში იგი შედარების საგანსა და შედარების სახეს შუა უნდა ჩამჯდარიყო. ეს მათ ერთმანეთისაგან გათიშავდა და ექსპრესია ბუნებრივად დაკარგავდა ძალას.

სიტყვა, როგორც ენობრივი ერთეული, ნიშანი, არ არის სტილისტური ფუნქციის მატარებელი და არც ყველა იმ ემოციის გამომწვევი, გადმომცემი, რითაც იგი საერთოდ ხასიათდება კონტექსტში. ხოლო მხატვრულ ნაწარმოებში, სიტყვის ყველა მნიშვნელობასთან დაკავშირებულია არა მხოლოდ საგნის გამოსახვა, არამედ მწერლის მხატვრულ-იდეური პოზიცია და, მაშასადამე, გარკვეული ემოციური განწყობაც. ორივე მხარეს აქვს ესთეტიკური მნიშვნელობა. მათ ურთიერთმიმართებაში იძენს სიტყვა მხატვრულ-ემოციურ ელფერს. მხატვრულ ნაწარმოებში ადამიანის სულიერი სამყაროს გარკვეული მონაკვეთი, ენის, როგორც შემოქმედებითი მასალის, წყალობით მხატვრულ ფენომენად იქცევა.

ლიტერატურა:

1. გ. ჭოხონელიძე, მეტაფორის პრობლემა მაქს ბენზეს ესთეტიკურ კონცეფციაში, კრებულში: ესთეტიკური იდეალი და მხატვრული გამოსახვის ფორმები, „მეცნიერება", თბ., 1985.
2. გ. კიკნაძე, თხზულებანი, III, თბ., 1999.
3. В. В. Виноградов, Проблема авторства и теория стилей, М., 1961.
4. მ. ჯავახიშვილი, რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, ტ. I, V, თბ., 1977.

რეზიუმე

მიხეილ ჯავახიშვილი ხშირად იყენებს ეპითეტს, შედარებას, მეტაფორას..., რაც აძლიერებს აზრის ემოციურ ძალას, შინაარსის მხატვრულ წარმოსახვას, ექსპრესიულობას. ესენი, სტილისტური ფუნქციით დატვირთულნი, ქმნიან გარკვეულ ემოციურ განწყობას, სიტყვა იძენს მხატვრულ-ემოციურ ელფერს, წარმოაჩენს მწერლის მხატვრულ-ემოციურ პოზიციას.

THE ARTISTIC FEATURES OF TROPE VARIETY IN THE PROSE OF MIKHEIL JAVAKHISHVILI

Vianor Akhalaia, Professor

RESUME

Mikheil Javakhishvili often uses the epithet, comparison, metaphor that enhance the emotional force of thought, the artistic imagination of the content, expressiveness. These with the stylistical function create a certain emotional mood. The word purchases the artistic-emotional shade. It depicts the writer's artistic-ideological position.

ქართულენოვანი ტექსტების კომპიუტერული მოდელირების საკითხებისათვის

მარიამ კობერიძე, *პროფესორი*
ციური ნოზაძე, *ასოცირებული პროფესორი*

მეცნიერებასა და ტექნიკაში მომხდარმა ცვლილებებმა, კვლევის ახალი მიმართულებების წარმოშობამ და ცოდნის ახალი სფეროების გაჩენამ ხელი შეუწყო ენის შესწავლას მოდელების აგების გზით. ,,ეს გულისხმობს ისეთი აბსტრაქტული სისტემების (მოდელების) შექმნას, რომელთა შემდგომი სპეციფიკაციისა და ინტერპრეტაციის შედეგად მივიღებთ განსახილველ ენებს" [3: 45].

ინტელექტუალური საინფორმაციო ტექნოლოგიები მეცნიერული და გამოყენებითი ინფორმატიკის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული და განვითარებული სფეროა. მისი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ტექსტების დამუშავება ბუნებრივ ენებზე, რომლის განხორციელების ძირითადი ამოცანებია ცოდნისა და ცოდნის ბაზების მოდელირება, ცოდნის მართვა, ანუ აზროვნების მოდელირება ცოდნის ბაზის საფუძველზე, წესებისა და ლოგიკური „მსჯელობის“ მოდელირება, ინფორმაციის ანალიზი, დასკვნების შემუშავება ...[5: 92].

მოცემული ბუნებრივი ენისათვის ამ ამოცანების გადაწყვეტისას ძირითადი ყურადღება ეთმობა ინტელექტუალური ავტომატიზებული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის, მათემატიკური მოდელების, მეთოდებისა და ინსტრუმენტული საშუალებების დამუშავებას.

ინტელექტუალური ინფორმაციული ტექნოლოგიების ქვეშ ჩვეულებრივად გულისხმობენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს, რომლებშიც გათვალისწინებულია შემდეგი შესაძლებლობები:

- ცოდნის ბაზის არსებობა, რომელიც ასახავს კონკრეტული ადამიანების, ადამიანთა ჯგუფების, საზოგადოების, მთლიანობაში კაცობრიობის გამოცდილებას საქმიანობის არჩეულ სფეროში ისეთი შემოქმედებითი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც ტრადიციულად ადამიანის ინტელექტის პრეროგატივად ითვლება, მაგალითად, ისეთი ცუდად ფორმალიზებული ამოცანები, როგორიცაა გადაწყვეტილების მიღება, ინფორმაციის ანალიზი, აზრის გამოტანა, განმარტება, სწავლება და სხვა;
- აზროვნების მოდელის არსებობა ცოდნის ბაზის საფუძველზე: წესები და ლოგიკური დასკვნები, არგუმენტაციები და მსჯელობა, სიტუაციების ამოცნობა და კლასიფიკაცია....;
- სრულიად მკაფიო გადაწყვეტილებების ფორმირების უნარი არამკაფიო, არასრული, განუსაზღვრელი მონაცემების საფუძველზე;
- დასკვნებისა და გადაწყვეტილებების ახსნის უნარი, ანუ განმარტებების მექანიზმის არსებობა;
- სწავლების, გადამზადებისა და, შესაბამისად, განვითარების უნარი.

აქედან გამომდინარე, მოცემულ სფეროში ინტელექტუალური საინფორმაციო სისტემის ბირთვი მეთოდურად ორ ძირითად კომპონენტს უნდა შეიცავდეს: **ცოდნის ბაზას და აზროვნების მოდელების ბანკს,** რომელთა ურთიერთქმედებით გამომუშავდება ლოგიკური დასკვნების ვარიანტები [6,96].

ბუნებრივ ენებზე ტექსტების დამუშავების სისტემები სხვადასხვა მიზნებისათვის იქმნება: **შესწორება, მანქანური თარგმანი, ცოდნის ამოკრეფა, კითხვა - პასუხის დიალოგი ....**

ტექსტების დამუშავების ზოგადი სქემა ინვარიანტულია ბუნებრივ ენასთან მიმართებაში. რა ენაზეც არ უნდა იყოს დაწერილი საწყისი ტექსტი, მისი ანალიზი ერთი და იგივე საფეხურებს გადის (ნახაზი 1.).



უცხო არ არის ის ფაქტი, რომ ქართულენოვანი ტექსტის სხვა ენებზე თარგმნისას და, პირიქით, უცხოენოვანი ტექსტების ქართულად თარგმნისას ორიგინალი და ნათარგმნი ერთმანეთთან შესაბამისობაში არ არის. მაგალითისათვის შეიძლება მოვიტანოთ სათარგმნი პროგრამა ,,Google Translate".

ორიგინალი: In our everyday lives, many of us work with computers for our employers, play on computers at home, go to school online, buy goods from merchants on the Internet, take our laptops to the coffee shop and check our e-mail, carry our smartphones on our hips and use them to check our bank balances, track our exercise with sensors in our shoes, and so on, ad infinitum.

თარგმანი: ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ბევრი ჩვენგანი მუშაობა კომპიუტერები ჩვენი დამსაქმებლები, ითამაშეთ კომპიუტერი სახლში, სკოლაში შემოსული, საქონლის შეძენის სავაჭრო ობიექტებში ინტერნეტში, ჩვენი ლაპტოპები ყავის მაღაზია და შეამოწმოთ ჩვენი e-mail, განახორციელოს სმარტფონები ჩვენს hips და მათი გამოყენება, რათა შეამოწმოს ჩვენი ბანკი ნაშთები, თვალყური ჩვენი exercise სენსორები ჩვენს ფეხსაცმელი, და ასე შემდეგ, უსასრულობა.

ინგლისურიდან ნათარგმნ ქართულ ტექსტში არასწორია სიტყვათა შეკავშირება, წევრთა ურთიერთმიმართება და თანამიმდევრობა წინადადებაში, მარტივ და რთულ წინადადებათა მონაცვლეობა, არ არის დაცული ორთოგრაფიის პრინციპები. ორთოგრაფიული პრობლემები უპირატესად ენის მორფოლოგიასა და ფონეტიკას უკავშირდება. ამიტომაც თითოეულის გათვალისწინება აუცილებელია [1: 105].

იგივე პრობლემებს ვხვდებით ქართულიდან სხვა ენებზე ნათარგმნ ტექსტებშიც. საილუსტრაციოდ მოვიტანოთ მაგალითები:

ქართული ტექსტი (ორიგინალი): ,,ხეების ჭრიალსა და ქარის ქროლას ქუხილი აყრუებდა. ცას პირი მოეხსნა და ღვარად მოდიოდა წვიმა. აქოთებული ნიაღვრები თავქვე ეშვებოდნენ და იყალთოს პირქაფიან ხევს უერთდებოდნენ. სულიერი არ ჭაჭანებდა " (4: 5).

თურქული (თარგმანი): ,,Chrialsa ağaçlar ve rüzgar fırtınalar taranmış Pateni. Kişi gökyüzünde kaldırıldı ve yağmur ghvarad geliyordu. Kokmuş torrentler baş aşağı ve Ikalto pirkapian vadiye katıldı. Oxbridge".

პოლონური (თარგმანი): ,,Drzewa Chrialsa i burz wiatr Skating skanowane. Osoba została usunięta z nieba i deszcz nadchodzi ghvarad. Stinky torrenty góry nogami i dołączył Ikalto pirkapian wąwóz. Oxbridge".

ქართული ტექსტების მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური ანალიზი მოგვცემს საშუალებას გადავჭრათ ისეთი დიდი პრობლემა, როგორიც არის მანქანური თარგმანი ქართულიდან სხვა ენაზე და სხვა ენიდან ქართულ ენაზე. ,,ორმხრივი მანქანური თარგმანი რამდენიმე კომპონენტს მოიცავს, რომელთა ეტაპობრივი გავლის გარეშე, ადეკვატური შედეგის მიღება შეუძლებელია; რასაკვირველია, ეს კომპონენტები ურთიერთკავშირშია და ნებისმიერ ეტაპზე წინა ეტაპის მონაცემთა კორექტირება აუცილებელია" [2: 46]. ასეთი ანალიზი მეთოდოლოგიურად ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მიღწევების გათვალისწინებასა და შერწყმას გულისხმობს [3: 490].

განვიხილოთ ქართულენოვანი კომპიუტერული ტექსტების მართლწერისა და გრამატიკის კონტროლის მეთოდების თეორიული ასპექტები. გავარჩიოთ მაგალითისათვის წინადადება და მოვიყვანოთ სიტყვების მართლწერის და გრამატიკის შემოწმების კონცეპტუალური მოდელი.

საილუსტრაციოდ მოვიტანოთ მარტივი თხრობითი წინადადება: ,, სახლში პური არის".

სტრუქტურა და სიტყვათა რიგი: 1. სახლში (გარემოება) + პური (S)+ არის (V) ;

2. პური (S)+ სახლში (გარემოება)+ არის (V);

3. არის (V) +პური (S)+ სახლში (გარემოება);

4. არის V) + სახლში (გარემოება)+ პური (S);

5. პური(S)+ არის (V) +სახლში (გარემოება);

6. სახლში (გარემოება)+ არის (V) პური (S).

განხილულ მარტივ თხრობით წინადადებაში სიტყვათა რიგის ექვსი ვარიანტი გვაქვს.

ქართულ ენის სირთულეს მისთვის გამორჩეული სპეციფიკური ნიშნები გამოარჩევს სხვა ენებისაგან. სწორედ ამგვარ განსხვავება-მსგავსების შესაბამისად უნდა აიგოს მართლწერისა და გრამატიკის შემოწმების კონცეპტუალური მოდელი მანქანური თარგმანის დროს. ქართულენოვანი ტექსტებისათვის ნიშანდობლივია შემდეგი ენობრივი მოვლენების არსებობა:

1. თანდებულის არსებობა (Po), წინდებულის არ არსებობა (Pr);

2. სუბიექტის (S), ზმნის (V) და ობიექტის წყობა (O) თხრობით, კითხვით, ბრძანებით, კითხვით და კითხვა-ძახილით წინადადებაში. ქართულისათვის სიტყვათა წყობის შედარებით თავისუფალი რიგია დამახასიათებელი, თუმცა ამა თუ იმ შემთხვევაში ერთს ეძლევა უპირატესობა, სტილისტიკურად ერთნაირი ღირებულებისა არ იქნება. ისინი სხვადასხვა ნიუანსს გადმოსცემენ.

3. მსაზღვრელი ზედსართავი სახელის პოზიცია არსებითი სახელის წინ;

4. ტექსტის სტილი: პუბლიცისტური, საქმიანი, სამეცნიერო და სხვა.

ზემოთ განხილული მართლწერისა და გრამატიკის შემოწმების კონცეპტუალური მოდელი საშუალებას მოგვცემს ქართულენოვან ტექსტებში მოიძებნოს შეცდომები და შემოგვთავაზოს სწორი ვარიანტები ქართული სალიტერატურო ენის ნორმების გათვალისწინებით. ვფიქრობთ, ქართული და სხვა ენების სიტყვათა რიგის ურთიერთმიმართების გათვალისწინება მოგვცემს შესაბამის ზუსტ მანქანურ თარგმანს.

ლიტერატურა:

1. არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
2. გაბუნია კ., ქართულ-ინგლისური მანქანური თარგმანის ერთი საკვანძო საკითხისათვის (ზმნური სიტყვაფორმების შესატყვისობა ქართულსა და ინგლისურში): საერთაშორისო კონფერენცია ,,ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები" , IV , მასალები, თბ., 2015.
3. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.
4. მრელაშვილი მ., რჩეული თხზულებანი, I , თბ., 1990.
5. *Компьютерная лингвистика*: Автоматическая обработка текстов на естественном языке и компьютерная лингвистика, М., 2011.
6. Системы обработки *текстов на естественном языке: https://www.osp.ru/os/2003/12/.*

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ქართულენოვანი ტექსტების სხვა ენაზე კომპიუტერული მოდელირების პრობლემები. მაგალითისათვის განხილულია ქართულენოვანი ტექსტების ინგლისურ ენაზე მანქანური თარგმნის სიზუსტის საკითხები.

აღნიშნულია, რომ თარგმნის სიზუსტის ხელშეწყობის მიზნით საჭიროა გამოყენებული იქნას სიტყვათა ბაზა სიტყვის ყველა ფორმასა და ბრუნვაში და შემუშავებული იქნას შესაბამისი მოდელი წინადადების ტიპის მიხედვით.

FOR COMPUTER MODELING ISSUES OF GEORGIAN TEXT

Mariam Koberidze, Professor
Tsiuri Nozadze, Associate Professor

RESUME

The paper deals with Georgian texts in another language computer modeling problems. For example, consider the Georgian texts in English translate machine accuracy issues.

It is noted that improved accuracy is required to translate the words used on the basis of all speech and all forms of trade and developed to be a more accurate model of the proposal according to their modeling.

იკორთის წარწერების პალეოგრაფიულ-ენობრივი თავისებურებანი

ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასისტენტ პროფესორი

ნასოფლარი იკორთა და იკორთის ტაძარი ისტორიულ გვერდისძირზე შიდა ქართლში (სოფლების ჯარიაშენიდან - ვანათამდე), სოფელ ზემო არცევის ჩრდილოეთით მდებარეობს. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: ,,ხოლო ორბოძალას მთის სამხრით არს მთის კალთასა შინა იკორთას მონასტერი, დიდი გუნბათიანი, კეთილად ნაშენი, კარგს ადგილს, ზის არქიმანდრიტი"[1].

[1] ბაგრატიონი ვ., საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 72.

ამავე ნაშრომში შრომას დართული სოფლების სიაში სათაურით „გვერდისძირზე“ დასახელებულია ასევე სოფელი იკორთა[1].

მდინარე იკორთულას მარცხენა მხარეს არის იკორთის გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც აგებულია 1172 წელს და აქვე იყო სოფელი ქვემო იკორთა, ზემო იკორთა კი მდინარის ხეობაში - ჩრდილოეთით მდებარეობდა. ამჟამად კი ორივე ნასოფლარია.

იკორთის ტაძარი და მთელი ეს ვრცელი შემოგარენი ქსნის საერისთავოს ტერიტორია იყო საუკუნეების განმავლობაში. მხარეში არის თითქმის ყველა ეპოქის მატერიალური და სულიერი კულტურის უნიკალური ნიმუშები, რომელთა გამოვლენა და სამეცნიერო სფეროში ჩართვა ფრიად საშური საქმეა.

როგორც იკორთის შიგნით ტაძარში, ისე ეზოში რამდენიმე ათეული საფლავია, რომლებიც ძირითადად ქსნის ერისთავებისა და მათი ნათესავების განსასვენებელია. საფლავის წარწერები ძირითადად მეცხრამეტე საუკუნისაა, ნაწილი კი მეოცე საუკუნის დასაწყისისა. ჟამთა ვითარების გამო ბევრი საფლავი უფრო ადრინდელი დაკარგულია მიწის წიაღში, ნაწილი კი, მდინარის ეროზიული მოქმედების გამო მარცხენა მხარეს არის ჩატანილი, რომელთა ფიქსაცია პრაქტიკულად შეუძლებელია, ამას ზედ ერთვის ოკუპაცია და იქ შესვლა გაძნელებულია.

წარწერების ნაწილი არის გამოქვეყნებული, მაგრამ განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ცნობილმა მეცნიერმა ი. მეგრელიძემ, რომელმაც ამ წარწერების ნაწილი გამოაქვეყნა (მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, 1997). ვსარგებლობთ ზემოხსენებული და ჩვენეული წაკითხვით.

აღნიშნული ეპოქის წარწერები, რომლებიც მხედრული გრაფიკით არის შესრულებული მნიშვნელოვან მასალას გვაწვდიან მთელი მეცხრამეტე საუკუნის მხარის სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, ისტორიული პირების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, მათ დამოკიდებულებასა და ურთიერთობას საქართველოსა და იმდროინდელ რუსიფიკატორულ რეჟიმთან.

თუ გადავხედავთ ეპიტაფიებს, დავრწმუნდებით, რომ ძველი ქართული ენის მონაცემების შედარება ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ არაერთ ენობრივ მოვლენას გამოავლენს. ამავე დროს გზას იკაფავს სახალხო ენის სტრუქტურული ელემენტები, რომელთა წარმოჩენას ხელი შეუწყო ეპოქამ და საერო მწერლობის განვითარებამ. მიუხედავად ამისა ეპიტაფიების ენაში, რომელიც უეჭველია იმდროინდელ სალიტერატურო ენასა და ამავე დროს დიალექტურ მონაცემებს აღნუსხავს, დიდი ადგილი აქვს დათმობილი არქაული ენის ელემენტებს, როგორც ორთოგრაფიაში, ისე მორფოლოგიასა და ლექსიკაში.

ეპიტაფიებში გამოყენებული სახელები შემოკლებულია და ამ მიზნით გამოყენებულია სათანადო ტექნიკური ნიშანი (დაკლაკნილი ხაზი), რომელიც ხმოვანთა და თანხმოვანთა დასაქარაგმებლად არის გამოყენებული, მაგალითად:

რ˜მელი ვიყავი, რ˜ცა (რომელი ვიყავი)
ყ˜სა ღ˜სა (ყოველს ღმერთსა)
ჩ˜ნნ (ჩვენნი)
ფ˜სა მ˜სა (ფრიადსა მწუხარებასა)
თ˜დი რევაზ გიორგის ძე ქსნის ერისთავი
აქა მდებარე თ˜დი დავით თარხნიშვილის ასული
შ˜ნა (შინა) ველოდი...

ᲔᲘ (ეი) მერვე ორი ელემენტის ე და Ი შემცველია, რომელიც წარწერებში წარმოდგენილია. აღნიშნული გრაფემა ძირითადად გვხვდება, სიტყვის შუაში:

აქა ქუᲔᲨᲔ არის გუამი...
წამკითხუᲔᲚᲗაგან
აღმოკითხუᲔᲚᲗა
თთუᲔᲡა აქა ქუᲔᲨᲔ

Უ (უბრჯგუ) წარწერებში მოცემულია, როგორც თავზე დასმული სათანადო სამკუთხა გრაფიკული ნიშნით ისე უნიშნოდ. ეს ნიშანი ხმოვან უ-სა და ნახევარხმოვან უ-ს განსასხვავებლად თავის დროზე შემოიღო ანტონ კათალიკოსმა. მაგალითები:

სხᲣათა გარდაცვალებული
განᲣსუენე უფალო
საქართᲣელო

[1] იქვე, გვ. 206.

საყჳარელსა ჩემსა
ქურივად მყოფმან შემრაცხჳმლი
თქჳათ განჳსუენე

ნახევარხმოვანი ჲ (იოტა) გვხვდება რამდენიმე პოზიციაში, ძირითადად ხმოვანფუძიან სახელებთან:

ქუემოჲსა, მამაჲ და დედაჲ თვისა
საღმრთოჲსა
მიწაჲ მიწადვე
იესოსაგან უსაჭკნოჲსა

წარწერებში ჳ (ვინი) და ჳ (უბრჳგუ) ბგერები მონაცვლეობენ, მაგრამ ჳ-ვინი იკითხება, როგორც -ვი:

თჳისისა ქმოისა
თჳისისა შეგეტკბო

ცნობილია, რომ ჴ-ხარი ბგერა გვიანდელ ძეგლებშიც არის შემორჩენილი, მათ შორის ზემოხსენებულ წარწერებშიც:

ჴელ-ახლად
სამჴრო გავაკეთეთ
ჴმა სამღრთოჲსა.

უფრო წარმოდგენილია ხ ბგერა, რომელიც არამარტო აქ არამედ სხვა ძეგლებშიც არის წარმოდგენილი:

- ამა სახსოვარსა ქვეშე არის თავადი...
- აქ მოსახსენებელსა ლოდსა ამასა
- სოფლისა გამხრწნელი
- აწ მოიხსენიე უფალო და სხვა

წარწერებში სავრცობი ა გვხვდება მიცემით და ნათესაობით ბრუნვებში:

- ვესტუმრე დასა
- ცრემლს ნუ შეურთავთ ზღუასა
- განვეშორე საყუარელსა ჩემსა
  ხუთთა ძეთა და ასულსა
- დასდვა ლოდი ესე მტიერსა ჩემსა
- სამთა ძეთა და ერთისა ასულისა
- ჰყოფდეთ წმიდისა ეკლესიისა ლოცვასა ამას
- დამდეს ლოდი გულსა ჩემსა...

წარწერებში გამოყენებულია ძველი და ახალი მოთხრობითი ბრუნვის ფორმები:

- ასულმან მისმან
- განისვენოს ნათესავმან მისმან
- ვალმან სიკვდილისამან მეცა მისტუმრა
- მხევალმან შენმან მეუღლემან თავადისა
- სულმან მისმან კეთილად განისვენოს
- ბრძანებამან მოქმედებისამან
- ნათესავმან მისმან
- მეგობარმან მისმან და სხვა.

წარწერებში წარმოდგენილია ძველი, არქაული მრავლობითობის ფორმები, რომლებიც იმ დროისათვის პირველ მრავლობითად არის აღიარებული. მაგალითები:

- ჩვენნი და ასულნი...
- ორნი ასულნი...
- მწუხარება ესე ჩუენნი
- ცრემლნი ცხელნი
- ძმან და დანნი საუკუნოდ
- აღმომკითხველნო და მხილველნო შენდობა ყავით
- მწარედ მგლოვიარენი და მტირალნი...

ზმნისწინები გვხვდება როგორც ძველი, ისე გამარტივებული სახით. წარმოვადგენთ ძველს:

- გარდვიხადე
- აღმიჭურვეს სახსოვარი

- აღვასრულე ვალი
- კარი განგვეღო
- აღვაშენეთ
- აღვესრულე შობითგან 35 წლისა
- წარმოვგზავნე ქუა ესე...

წარწერებში გვხვდება სხვა ენობრივი ფორმები, როგორც ძველი ისე გამარტივებული ახალი სახით, რაც ძირითადად იმისი დასტურია, რომ ეპოქამ, დრომ მიიტანა, რომ ორთოგრაფიაში ახალი ფორმები მკვიდრდებოდა.

იკორთის წარწერებში გვხვდება რუსიციზმები, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს ერისთავების რუსის ჯარში სამსახური და რუსული ენის გავლენა იმდროინდელ არისტოკრატიაში. გვხვდება ასეთი ერთეულები: კნეინა, კნიაჟნა, კავალერი, კნიაზი გიორგი ერისთავი, ერისთავის ასული, ფლიგელ ადიუტანტი, ვარვარა ივანოვნა ერისთავი და სხვები, რომელთა გამოვლენაც სადღეისოდ საჭიროა.

იკორთის წარწერები ჩვენი კულტურის ნაწილია, რომელთა გამოვლენა და შესწავლა გვეხმარება მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების შიდა ქართლის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების, ასევე მთელი რიგი სხვა საკითხების გარკვევაში.

ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი ვ., საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997.
2. ბაგრატიონი ვ., რუკები, 1745.
3. მეგრელიძე ი. სიძველეები ლიახვის ხეობაში, წიგნი მეორე, თბ., 1997.

რეზიუმე

ნასოფლარი იკორთა და იკორთის ტაძარი მდებარეობს ისტორიულ გვერდისძირზე შიდა ქართლში, სოფელ ზემო არცევის ჩრდილოეთით. იკორთა შედიოდა ქსნის საერისთავოში და ერისთავების საძვალე იყო საუკუნეების განმავლობაში. დღეისათვის როგორც ძეგლის შიგნით, ისე ეზოში რამდენიმე ათეული საფლავია, რომლებიც ძირითადად ქსნის ერისთავების, ოჯახის წევრებისა და მათი ნათესავების განსასვენებელია. საფლავების წარწერები ძირითადად მეცხრამეტე საუკუნისაა, ნაწილი კი მეოცე საუკუნის დასაწყისისა.

წარწერები, რომლებიც მხედრული გრაფიკით არის შესრულებული, მნიშვნელოვან მასალას გვაწვდიან აღნიშნული ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, ისტორიული პირების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. საფლავის წარწერების მონაცემების შედარება ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ არაერთ მოვლენას გამოავლენს, ამავე დროს გზას იკაფავს სახალხო ენის სტრუქტურული ელემენტები, რომელთა წარმოჩენას ხელი შეუწყო ეპოქამ და საერო მწერლობის განვითარებამ. მიუხედავად ამისა ეპიტაფიების ენაში ნათლად ჩანს ძველი არქაული ფორმები, როგორც ორთოგრაფიაში, ისე მორფოლოგიასა და ლექსიკაში.

ეპიტაფიებში სახელის შემოკლების მიზნით გამოყენებულია ქარაგმა (დაკლაკნილი ხაზი) ხმოვანთა და თანხმოვანთა დასაქარაგმებლად.

გვხვდება ძველი გრაფემები ჲ (იოტა), ꙁ (ვინი), ѿ (უბრჯგუ), ѯ(ხარი), რომლებიც ფართოდ გამოიყენებოდა იმდროინდელ ეპოქაში.

წარწერებში გვხვდება ძველი და ახალი ენობრივ-ლექსიკური მონაცემები, რომელთა გამოვლენა და შესწავლა აუცილებელ საქმედ გვესახება.

ქსნის ერისთავის შვილების რამდენიმე წარმომადგენელი მეფის არმიის სამსახურში იყო და ჩანს ესეც არის მიზეზი, რომ ეპიტაფიებში გვხვდება რუსიციზმები, ძირითადად სამხედრო საქმის ტერმინოლოგია.

PALEOGRAPHIC-LANGUAGE PECULIARITIES OF IKORTA INSCRIPTIONS

Nikoloz Otinashvili, Assistant Professor

RESUME

Ikorta Cathedral and its former village is situated in Hida Kartli Region, on the north part of the village Zemo Artsevi. It belonged to the Ksani County and for centuries is was their own cathedral. Today you can see a number of graves inside and outside the monument, where only the members of their family or relatives were buried. The inscriptions mainly belong to the 19th century or the beginning of the 20th century.

The inscriptions give us important material of the epoch's social-political situation, about the life of the historical persons of that period and their activities. The inscriptions on the graves give us good examples of the speech characteristic in that time. There are a lot of structural elements characteristic in public speech but on the other hand we can also see a lot of examples of archtic forms as in orthography as in morphology itself.

There can be found many old letters such as ჲ (iota), ჯ (Vini), უ (უბრჯგუ), ჴ (khari) which were widely used in old times.

As you see there are a lot of examples of new and old language-lexical words and their research and study seems of an important case to us.

Some of the sons from the Ksani Eristavi's family Served in Russian Army in that regiod and I think that is the reason why we can meet some Russian words in the inscriptions, mainly the military terms.

ლიტერატურა
Literature

ვაჟაური წარმოსახვების ხილვადი გააზრება მწერალ-ბიოგრაფოსის რომანში (რ. ჩხეიძის „დევების სტუმარი“)

თამარ გოგოლაძე, პროფესორი

დიდ შემოქმედზე წერა საკმაოდ რთულია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, ცოტაა ვაჟა-ფშაველას მსგავსი მწერალი, რომლის შესახებაც მისი გარდაცვალების შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული, არაერთი მოგონება, ბიოგრაფიული გამოკვლევა თუ, უშუალოდ, რომანი შექმნილა. აღნიშნულ საკითხზე ციკლური სტატიები მწერალ ზაურ წაქაძის „ვაჟაფშაველიანათი“ დავიწყეთ.

წინამდებარე სტატიაში კი ყურადღებას გავამახვილებთ 2014 წელს გამოცემულ როსტომ ჩხეიძის, რიგით მე-16, ბიოგრაფიულ რომანზე, „დევების სტუმარი“, რომელიც მართლაცდა „ღირსეული შენამატია მომავალი ვაჟაოლოგიისათვის“. აღნიშნულ ბიოგრაფიულ რომანს, რომლისთვისაც ქვესათაურად „ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ქრონიკა“ მიუწერია ავტორს, უამრავი ზეპირი გამოხმაურება თუ პრეზენტაცია მოჰყოლია. მაგრამ ჩვენ დავეყრდნობით მხოლოდ მკვლევარისა და ფოლკლორისტის ამირან არაბულის ბოლოსიტყვაობას „რედაქტორისაგან“, რომელშიც მოკლედ, მაგრამ საკმაოდ საფუძვლიანად, სიღრმისეულადაა წარმოდგენილი მახვილი თვალით მონიშნული მიგნებები და სიახლეები როსტომ ჩხეიძის რომანში.

როგორ იწერება ბიოგრაფიული რომანი, თუ შემოქმედის ირგვლივ „ზღვა საარქივო, ლიტერატურათმცოდნეობითი (საბჭოეთის ეპოქის თუ შემდგომი, თანამედროვე), ფოლკლორისტთა და მწერალთა ნააზრევი არსებობს, რითი უნდა გამოირჩეს იგი და, რა მასაზრდოებელ წყაროდ იქცევა სამომავლოდ? აღნიშნულ კითხვებზე პასუხი „დევების სტუმრის“ შიდა ფურცლებშია საძიებელი. ამიტომ ვცადეთ ერთგვარად დაგვეჯგუფებინა სათქმელი ოთხ ძირითად პუნქტად, რომლებიც ახასიათებს როგორც რომანის ობიექტს - ვაჟა-ფშაველას, ისე სუბიექტს - ბიოგრაფიული რომანის ავტორს.

რ. ჩხეიძემ თავის რომანს მეორე სათაურიც მიაწერა: „ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიის ქრონიკა“ და ამით სცადა მწერლის ბიოგრაფიის ისეთ დეტალებზე გაემახვილებინა მკითხველის ყურადღება, რაც მას

სჭირდებოდა მეტ-ნაკლებად სრული სურათის შესაქმნელად. თარიღებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს თითქოს ბიოგრაფოსი. რომანი არც მწერლის დაბადების თარიღის ტრადიციული გახმიანებით იწყება, არც მისი გარდაცვალების „ქვიშის საათით“ სრულდება. ეს ადრეც გამოკვლეულ-შესწავლილა და, მისთვის რაც საჭიროა, რაც რომანის სიუჟეტური ქარგისათვის არის აუცილებელი, იქ იხსენიებს: რომანის მე-18 გვერდზე ხსენებაა 1901 წლის 18 დეკემბერს კავკასიის სამთო სამმართველოსადმი თიანეთის მაზრის მაღაროსკარის საზოგადოების სოფელ ჩარგლის მკვიდრთა სახელითა და ლუკა რაზიკაშვილის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტისა, ასევე „საკრამენტოს“ გასაშიფრად სჭირდება ავტორს და შემდგომადაც, იქნება ეს სადმე შეხვედრა ვიწრო წრეში, პრესაში ნაწარმოების გამოქვეყნების თარიღი თუ სხვა, ექვემდებარება ძირითადს, ასახსნელს, გასახსნელს. ამიტომ რ. ჩხეიძე, თუმც იშვიათად მიმართავს დროს, ქრონიკისათვის, რასაც წარმოაჩენს, ის მხოლოდ რომანის ობიექტისთვის სჭირდება სუბიექტ-ბიოგრაფოსს.

„საკრამენტო!“

აეთრთოლებინა ოქროს მოპოვების ჟინს.

და ამ ჟინს მიეყვანა სამთო სამმართველოს კართან, ოღონდაც

მოწმობა გეგდო ხელთ და მერე მე ვიციო!...“

. . .

სამაგიეროდ

„იმ ქვიშრობებსა და საბადოებში იჭრებოდი თავისუფლების

წყურვილით ანთებული და სულ ფენა-ფენა აბრუნებდი მიწას

და ამოგქონდა დაფარული საუნჯე“ (რ. ჩხეიძე, 2014:20)

„წელი ერთი და ათასი“ ჟამთადენის უსასრულობის ბარდაბარი ხდება და თანდათანობით მთლიანდება მანამდე ქაოტურად დანაწევრებული ქვეყანა, რომლის გულისგულში, თავსა თუ ბოლოში სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის უშიშრად მებრძოლი პოეტი დგას“ - წერს ამირან არაბული, რომელიც, უფრო ზევით, ბიოგრაფოსის მიერ ვაჟას ეპოქაში „გასვლის“ ხაზსაც აკვირდება.

მოჩანს კი ბიოგრაფოსი - ქრონიკიორი რომანის თავის სახელწოდებების შექმნისას არის და არც არის. მაშ რაღაა, თუ არა ქრონიკა „კრიალოსანი ვაჟას წუთისოფლისა“, პოეტური გენეალოგია...

რ. ჩხეიძის რომანში ბიოგრაფოსი ლიტერატურათმცოდნედაც წარმოსდგება და იხსენებს და ახსენებს ვაჟას ბიოგრაფიის, მის შემოქმედებაზე მწერალთ, კრიტიკოსებს, ესეისტებს, რომელთაც საფლავში ჩაიტანეს საკითხის სრულყოფილად შესწავლის სურვილი (ო. ჩხეიძეს, თ. ბიბილურს, თ. ჩხენკელს...)

მოწიწება და ობიექტურობა იკვეთება ბიოგრაფოსისა თამაზ ჩხენკელის მიმართ:

„და გენანება, ამ მხრივ რომ აღარ გაგრძელებულა თამაზ ჩხენკელის ფიქრი, და ფსიქოლოგიური პორტრეტების ოსტატი გაერიდა ბელეტრისტულ ჩანართებს. ბელეტრისტული ფონი და გარსი კი არა, მზამზარეული ბიოგრაფიული რომანის ქარგაა, პარალელიზმზე აგებული თეზისური მონახაზი, მიჰყვები, გაშლი და...“(რ. ჩხეიძე, 2014:6).

საოცარი ლაკონურობითა და მწერლური მახვილგონიერებით ხატავს ბიოგრაფოსი გრიგოლ რობაქიძეს, იპოლიტე ვართაგავას, გერონტი ქიქოძეს, ვახტანგ კოტეტიშვილს... თითოეულში ეძიებს და პოულობს მათ „საკრამენტოს“ ვაჟასთან მიმართებაში. გრიგოლ რობაქიძესთან მას ერთი უცნაური დეტალი აინტერესებს, რომელიც თავის დროზე საკამათოც გამხდარა. საკითხი გრიგოლ რობაქიძის „ლამარასა“ და „ვაჟას ენგადს“ ეხება.

„შეჰყურებდა მინდიას აჩრდილს გრიგოლ რობაქიძე და... თვალწინ ისე შემოიჭრებოდა მისი მომღერლის ლანდიც, თავს ვეღარ შეიკავებდა გრიგოლ რობაქიძე, რომ მგოსანი „ლამარას“ სიუჟეტში მისნის თანამედროვე არ შეეყვანა.

როგორ ისტორიული პიროვნება... ზეისტორიულის, მითიურის თანამედროვედ?

ავტორი... მისვე გმირის გვერდით?

შეუსაბამოდ რომ მოჩანდა, თავიდანვე იცოდა, მაგრამ ისიც მოეხსენიებოდა, რომ:

- ვაჟა მითიურ სივრცეში იყო მოქცეული: მითოსი მისთვის დედიშობილა იყო.

და გაიხარებდა, რომ ალღო არ უღალატებდა და ცდა არ გაუწყალდებოდა - ასე გამოჩნდებოდა პიესის მესამე კამარაში ვაჟა ხევსურთა ღრეობაზე“ (რ. ჩხეიძე, 2014:327).

გრიგოლ რობაქიძე თვითონვე აღწერს „ლამარას“ შთაგონების პროცესს:

„ერთს მწიფე ნაშუადღევს ვაჟაზე ჩამოვუგდე სიტყვა (საუბარია კოტე მარჯანიშვილზე). ვამცნე, თუ რა დიდ მგოსნად მოჩვენებოდა იგი ილიას, ვუამბე აგრეთვე, თუ როგორ გადმოვშალე მე სიდიდე ვაჟასი. გაინაბა გულისხმიერებით. შემდგომ ჩავაწვეთე: რა იქნებოდა, ვაჟას პოემა „გველის - მჭამელი“

გასცენიურდეს-მეთქი! ... პაუზა, „იცი რა გითხრაა?“ (დაახლოვებულთან მიმართვაში ხანდახან „შენ“-ობაზე გადადიოდა). „ეს არ გამოვა! რა იქნება. შენ თვითონ გაშალო ეს მითიური გადმოცემა დრამად, ჰა?!“ თქვა და მომაფრქვია ციალი თვალი. „ვნახოთ“ მივაგებე სპონტანურ, არ დაფიქრებით“. (გრ. რობაქიძე, 1996:190).

აქვე ბიოგრაფოსი იქნებ თვით ვაჟას წერილიდან (Pro domo Sua) ერთ ადგილს გულისხმობს: „ზემოქმედება მწერალზე აუცილებლად საჭიროა, უამისოდ მწერალი ცარიელი, უშინაარსო არსება იქნებოდა, თუ ამასთანავე ცოცხლად გამომსახავი არ იყოს შთაბეჭდილებათა“ (ვაჟა-ფშაველა, ტ. IX, 1964:180). „ცდას სურვილი ასულდგმულებდა, რარიგი სურვილი: გარემოვლით გამოთქვა გრიგოლ რობაქიძემ თავისი გრძნობა ჰომეროსის ნაშიერის - ვაჟა-ფშაველასადმი“ (რ. ჩხეიძე, 2014:328). ასე კარგად გაიგებს „გამგები“ ბიოგრაფოსი გრიგოლ რობაქიძის სურვილსაც და ვაჟას პერსონაჟად შემოყვანის ამბავსაც.

როსტომ ჩხეიძე მწერალია, უპირველესად, ამიტომ ხატავს იგი ვაჟას ჩვეულებრივ ადამიანადაც და „დევის ტოლა“ კაცადაც, თვალჩაშრეტილად და ამავე დროს საოცრად ფიქრიან, მომხიბლავსახიანად არაერთგზის მეორედება კოპალას ქვის ეპიზოდი რომანში და ვაჟას მიერ თავისი პოემების „თანამიმდევრულ შკალას“ წარმოადგენს, მამისეულად (ოთარ ჩხეიძისეულად, ისიც, როგორც მწერალი და მკვლევარი არაერთგზის გაიელვებს რომანში თავისი თვალთახედვით, შეუკამათებლად):

„გოგოთურ და აფშინა“,
„სტუმარ-მასპინძელი“,
„გველის მჭამელი“,
„ალუდა ქეთელაური“,
„ბახტრიონი“.

„ეგაა, თუ ვაჟა „გოგთურ და აფშინას“, სიის ბოლოში მიაქცევდა, ოთარ ჩხეიძე თავში გადაიტანდა, და გადმოიტანდა იმიტომ, რომ მის ლიტერატურულ აღსარებაში ჩართულ „ლოდის პასაჟს“ სიმბოლურსა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებდა და შესაფერისადაც განაზოგადებდა.

ჯეელობაში ერჩოდა გული, გოგოთურის ლოდს ეჭიდებოდა და ვერ დაეძრა, ვერ აეწია, ჯავრად ჩარჩენოდა, თავისი ეპოსი „გოგოთურ და აფშინათი“ დაეწყო და ლოდიც, იმის მოტანილიც, ერთბაშად დაეძრა, მაღლა აეტანა, ეჭირა დაუშვებლადა. და თუ ეს პოემა დაწინაურდებოდა ჩამონათვალში, სხვა ყოველივე დაე ისევე დარჩენილიყო, ვაჟას როგორც დაელაგებინა“ (რ. ჩხეიძე, 2014:306) და აქვე ცდილობს დაასაბუთოს ბიოგრაფოსმა, რატომაა მართალი ოთარ ჩხეიძე: 1. რომ ამ ავტობიოგრაფიულ თხზულებას უნდა გაეხსნა ციკლი, შემოქმედის ბედზე დაწერილს. 2. ყველაზე არქაული სწორედ ეს პოემა უნდა იყოს, რადგან მისი ამბავი უფრო ძველი ჟამიდან მოდის. 3. იკვრება კომპოზიციული რკალიც. აქვე რ. ჩხეიძე იხსენებს „ბახტრიონის“ დასასრულს: „და ბარემ ამ სიმბოლურ სახებას - სიკეთედ გარდაქმნილ მტერს კაცთა მოდგმისა - მოექცია საკუთარ წრეში ვაჟას საგმირო ეპოსის თავი და ბოლო - რაც იწყებდა, იმასვე გაესრულებინა“ (რ. ჩხეიძე, 2014:307).

დასაბუთება ზუსტია და კარგად მისადაგებელი სათქმელს. ამიტომაც შენიშნავს ამირან არაბული: „ესაა წიგნი, რომლის ბელეტრისტულ ღირებულებას დიდწილად განსაზღვრავს და განაპირობებს საუკუნის უწინდელი ამბებისა და მოვლენების ავტორისეული ხედვის ობიექტურობა, ... რაც საერთოდ თანმდევია როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანებისათვის“... (რ. ჩხეიძე, 2014:686-687).

მწერლის სტილი სადაა და ისევე მხოლოდ მისეული, რომელიც ხან იახლოვებს ასასახს, ხან შორს დაიჭერს, ხან გამადიდებელი შუშით დაჰყურებს ჭიანჭველასავით მოფუთფუთე პერსონაჟებს, ხან ამოიყვანს გმირს და ცდილობს თავისებურად ახსნას მისი ფენომენი.

დიახ, გმირი, ბიოგრაფიული რომანის გმირია ვაჟა-ფშაველა, და, ამავდროულად, პიროვნულადაც გოლიათური, ბუმბერაზი, რომელიც და მხოლოდ შეიძლება იწვიონ დევთა. აქ, ვაჟა,როგორც პერსონაჟი, თითქოს გამგრძელებელია შოთა რუსთაველის გმირ რაინდთა, რომელთაც მოირიგეს დევების საჭურველი.

მწერლისათვის ვაჟას გარდაცვალება არაა დასასრული. დასასრული გრძელდება „ეპოლოგში ანუ მამაჩემის ღმერთში, აქ ლევან რაზიკაშვილის ბედისწერაცაა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ხელში მოხვედრილისა. ტრაგედია ქართველი კაცისა, სიცოცხლეში, ჯერ თავისუფლებადაკარგულ საქართველოში, სიკვდილის მერე საბჭოურ ეპოქაში, ტრაგედია გენიოსისა, რომელიც უნდა გაეცნო მსოფლიოს და ვერ გაიცნო, თავის დროზე სხვა (ფრანგულ ენაზე) უთარგმნელობის გამო. რ. ჩხეიძე, ფოლკლორისტი, ხედავს ვაჟას ხალხური ძირებიდან ამოსულს, რომელიც თითქოს ბარბარე ფხიკელაშვილს სიზმრის გმირიცაა ბალღობაში, აქ ავტორი სწორედ ცნობილი თურქი მწერლის ორჰან ფამუქის სიტყვებსაც მოიშველიებს: „უმთავრესი, რაც სამყაროში, ასევე ცხოვრებასა და ლიტერატურაში

ჩემი ადგილის თაობაზე განვიცადე, ის გახლდათ, რომ „ცენტრში“ არ ვიმყოფებოდი“ (რ. ჩხეიძე, 2014:677). ვაჟა თვით იყო „ცენტრი“, მაგრამ ვერშეცნობილი, ამიტომ ათქმევინებს რ. ჩხეიძე მას: „ეტყობა ფიქრობდა, ნეტა მეც თუ გამომიჩნდება ბიოგრაფოსიო“.

ეს ბიოგრაფოსი ნამდვილად გამოუჩნდა ვაჟა-ფშაველას როსტომ ჩხეიძის სახით, არამარტო ბიოგრაფოსი, არამედ ხელახლააღმომჩენი, ხელახლა მისი ხილვებით გამშვენებელი და კოპალასთან მდებარე ლოდის ციმციმ ამწევიც. ამიტომაც წერს რედაქტორი ამირან არაბული: „დევების სტუმარი“ ითვალისწინებს იმ უმდიდრეს კვლევაძიებით ლიტერატურას, რაც ვაჟას შემოქმედების შესახებ დღემდე შექმნილა. ითვალისწინებს და რამდენიმე მათგანზე საგანგებოდაც ამახვილებს ყურადღებას, რათა სიუჟეტის მაგისტრალური ხაზიდან არ გადაუხვიოს და თვალნათლივ გამოკვეთოს კიდევ ერთი ძირითადი საკითხი: ვაჟა-ფშაველას დამოუკიდებლობა წინამორბედ მწერლებთან, მოაზროვნეებთან, ხალხური სიტყვიერების უჩინარ, უსახელო ავტორებთან და მშობლიური გარემოს იმ წიაღთან“ (რ. ჩხეიძე, 2014:687).

ჩვენ კი დავუმატებდით, რომ სწორედ ეს ბიოგრაფიული რომანი აძლევს ვაჟას შესაცნობად კიდევ უფრო მეტს, მწერლის, ბიოგრაფოსის, ესთეტის თვალით დანახულ გენიოსს, რომელიც მის გვერდითაა, მასში ცხოვრობს და მისი პირით ცხადყოფს პოეტის ნაფიქრ-ნააზრევს. მსოფლიოს ცნობილ შემოქმედთა გვერდით, „ცენტრში“, „ცენტრიდან“ და მთელ ლიტერატურულ სამყაროში.

ლიტერატურა;

1. როსტომ ჩხეიძე „დევების სტუმარი“, „ჩვენი მწერლობა“, თბილისი, 2014;
2. გრიგოლ რობაქიძე „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“, შპს „ჯეკ-სერვისი“, თბილისი, 1996;
3. ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებული, ტ. 10, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964.

რეზიუმე

ვაჟა-ფშაველაზე შექმნილ ბიოგრაფიული რომანების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მწერალ როსტომ ჩხეიძის „დევების სტუმარს“. ქართველ შემოქმედთა ბიოგრაფიებზე შექმნილ მეთექვსმეტე წიგნში მწერალი და კრიტიკოსი ცდილა კიდევ ერთხელ ჩაწვდომოდა ვაჟა-ფშაველას ფენომენს, მოეხდინა მხოლოდ მისეული გარდასახვა და წარმოეჩინა ის, რაც XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ფონზე მოჰყოლია მთის შვილის, ლუკა რაზიკაშვილის, გამოჩენას სამწერლო ასპარეზზე. რომანში დასმული კითხვები თვით ვაჟას პიროვნებისა და შემოქმედის გააზრებიდან მომდინარეობს და მკითხველიც რწმუნდება მის ჭეშმარიტებაში.

წინამდებარე სტატია ორგანული გაგრძელებაა ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიული ქრონიკის ციკლის რომანთა კვლევის პროცესისა.

UNDERSTANDING OF VISIBLE IMAGINATION OF VAZHA'S STYLE IN A NOVEL OF A WRITER-BIOGRAPHER (R. CHKHEIDZE "THE DEVIS" (OGRES) GUEST")

Tamar Gogoladze, Professor

RESUME

"quot;Jiants" Guest" by Rostom Chkheidze occupies a special place in the history of biographical novels created on Vazha-Pshavela. In the 16 th book created on the Georgian Writers' biographies the writer and critic tried once again to gain insight into the Vazha's phenomenon, to show his own conversion, and to present that the social and political events of the late XIX century and early XX century was followed by appearance Luka Razikashvili in the literary arena. The questions asked in the novel come from understanding Vazha as a personality and creative work and the reader becomes convinced in the truth.

The presented article is an organic continuation of research work on Vazha's biographical cycle of novels.

ქართული სოფელი 1918-1921 წლებში
(ნიკო შიუკაშვილის პიესის „მადლობა“ მიხედვით)

ზურაბ ოქროპირიძე, უფროსი მასწავლებელი

მეოცე საუკუნის 20–ნი წლებიდან ნიკო შიუკაშვილის შემოქმედება სოციალურ–პოლიტიკური თემებით დაიტვირთა. დრამატურგმა პიესაში ,,მადლობა“ (1926 წ) სოფლად მიმდინარე რთული და წინააღმდეგობრივი პროცესები ასახა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქვეყნის დამოუკიდებლობის წლებში (1918-21). რუსეთში მომხდარმა თებერვლის რევოლუციამ ახალი სინამდვილის წინაშე დააყენა იმპერიაში შემავალი ერები, მათ შორის, საქართველო. ჩვენს ქვეყანას მიეცა შანსი ეროვნული თავისუფლების მოპოვებისა. თებერვლის მოვლენებმა დააჩქარა 1918 წლის 26 მაისის აქტი, რაც ლოგიკური შედეგი იყო ქართველი ხალხის მრავალწლიანი ბრძოლისა.

პიესაში მოქმედება ვითარდება კახეთის ერთ–ერთ სოფელში. ნაწარმოების მთავარი გმირებია ივანე ჯარიაშვილი – ინტელიგენტი, საზოგადო მოღვაწე და ზაქრო – ივანეს მეზვრე. მოკლედ შევეხოთ დრამის შინაარსს:

ცნობილი მეცნიერი ივანე ჯარიაშვილი ქალაქში ცხოვრობს, ხანდახან სოფელშიც ჩამოდის, სადაც მემკვიდრეობით მიღებული მამული აქვს. მას ახალგაზრდა გლეხი ზაქრო უვლის. იგი გაბედულია და მარჯვე, მაგრამ ხასიათით ჯიუტია. გლეხები, განსაკუთრებით კი ზამბულა, უნდობლად უყურებენ მას. ამ უნდობლობას უფრო აძლიერებს ეჭვი, რომ ივანეს მამული ბოლოს ზაქროს დარჩება. ეჭვიანობის ნიადაგზე (ზაქროს ნინიკას ხარების მოპარვა ბრალდება) გლეხები მას აქვავებენ, მაგრამ ბოლო წუთს ივანე და გლეხი იაკობი გადაარჩენენ.

სოფლელებს პატივისცემა აქვთ ივანესადმი, მაგრამ მისი კუთვნილი ვენახის ხელში ჩაგდება სურთ. ზამბულა ძალადობით ვენახის ნაწილს მიისაკუთრებს და ოსების მეშვეობით ივანეს ოჯახის ამოწყვეტას განიზრახავს. ზაქრო ახერხებს ივანეს გაფრთხილებას... აღშფოთებული ზამბულა ზაქროზე იძიებს შურს და კლავს მას.

პიესა არ გამოქვეყნებულა. იგი 1927 წლის 2 იანვარს დადგა თბილისის მუშათა თეატრმა. ჟურნალი ,,თეატრი და ცხოვრება“ (1927 წ. №1) პიესის შესახებ წერდა: ,,პიესა სუსტია, არაა მსხვილი სოციალური მოვლენები. სოფლური ყოფის სურათებია. პიესა იმიტაციაა ,,ჯაყოს ხიზნების“... პიესის სოციალური კონფლიქტი და ურთიერთობათა დინამიკა ვერ არის გამჭრიახობით ასახული. აქ წვრილმანი, ზერელე ფაქტებია“.

პიესის ნეგატიური შეფასება გაზვიადებულია. დრამატურგი პირდაპირ არ მიუთითებს კონფლიქტის წარმომშობ წყაროზე, მოქმედების დროზე. მართლაც, რჩება შთაბეჭდილება, რომ აქ მხოლოდ სოფლური ყოფის სურათებია ასახული, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან. მართლაც, საგრძნობია მიხეილ ჯავახიშვილის ,,ჯაყოს ხიზნების“ გავლენა, რაც სულაც არ შეიძლება ჩაითვალოს ნაკლად, პირიქით, ამით დრამატურგმა კიდევ უფრო გააცხადა ჯაყოს მოდგმის ფლიდი და ვერაგი ბუნება, პიესა მძაფრად ეხმაურება დღევანდელობას.

,,მსხვილ სოციალურ მოვლენებში“ რენცენზენტი აუცილებლად გულისხმობდა პიესაში რევოლუციური ბრძოლის სურათების ჩვენებას. ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობას. ის, რაც ჟურნალის მიმომხილველს სურდა ენახა პიესაში – სოციალურ–კლასობრივი დაპირისპირება – სახეზეა, რაც ქმნის კიდეც მძაფრი კოლიზიის საფუძველს. მაგრამ თავად კომუნისტები არ ჩანან. სიტყვა ,,ბოლშევიკიც“ კი არაა ნახსენები. პროლეტკრიტიკას, ცხადია, არ მოეწონებოდა ასეთი პიესა. ამგვარ ნაწარმოებს ისინი ყოველთვის ,,მდარედ“, ,,სუსტად“ მიიჩნევდნენ.

ნაწარმოები 1926 წელს იწერება. ეს იყო ურთულესი დრო ქართველი ხალხისთვის. თავისთავად ფაქტი, რომ ავტორის ინტერესის სფეროში მოექცა ჩვენი სამწლიანი დამოუკიდებლობის ხანა – კერძოდ კი ქართულ სოფელში მიმდინარე რთული პროცესები, დრამატურგის დიდ გაბედულებაზე მეტყველებს (რაც შემდგომშიც არაერთხელ გამოუჩენია).

ნიკო შიუკაშვილი არაფერს ამბობს 1918 წლის 26 მაისის აქტზე. ასევე არ აცნაურებს დრამატურგი მთავარი გმირის, ცნობილი მოღვაწის, ივანე ჯარიაშვილის, დამოკიდებულებას ეროვნული საკითხისადმი. თუმცა მდიდარი ქვეტექსტების მეშვეობით, თავად იგი მიესალმება ქვეყნის თავისუფლების აქტს და ივანეს მსგავს განათლებულ, პატიოსან ადამიანებს.

ნაწარმოების დასაწყისშივე ავტორი ხაზს უსვამს ქვეყნის ეკონომიკურ სიდუხჭირეს, ფასების სიძვირეს:

ქიტესა: ,,...ე ვანიას ბებია ჰყავს გამოყრუებული, იტყვის: ,,ქა, ალბათ მანეთ–ნახევარი გახდა არშინიო". რო ეტყვიან მილიონ–ნახევარი ღირსო – ,,ე ნილიონი რაღამდენიაო"...[1,2]

ეს ის პერიოდია, როცა საქართველოს დემოკრატიული მთავრობა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შემდეგ აცხადებს ქვეყნის დამოუკიდებლობას და ქმნის საკუთარ ფულად ერთეულს ბონის სახით, რამაც მაღალი ინფლაცია და სიძვირე გამოიწვია პირველადი მოხმარების საგნებზე.

,,ნათელი ხდება, წერს ქართული ბონების ცნობილი მკვლევარი, პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი, რომ დამოუკიდებელ საქართველოში შრომის ანაზღაურების საშუალო დონე არ იყო საკმარისი... მიუხედავად ამისა, - აგრძელებს მეცნიერი, - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მანეთი ყველაზე მტკიცე ვალუტად ითვლებოდა ყოფილი იმპერიის იმხნად დაბეჭდილ ნებისმიერ ფულის ერთეულთან შედარებით"...[4, 96]

XX საუკუნის საბჭოური ისტორიოგრაფია უმართებულოდ გაიძახოდა ,,მენშევიკურ დიქტატურაზე", ,,მენშევიკურ ეკონომიკურ კატასტროფაზე". დღეს ყველასათვის ცხადია ამ სიტყვების აბსურდულობა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა მაშინ, როცა მთელი სამყარო აფორიაქებული იყო. არნახული მასშტაბის ომმა უკიდურესად გააღატაკა მეომარი ქვეყნები – მათ შორის რუსეთი ყველაზე მეტად, რომელზეც საქართველო ეკონომიკურად იყო დამოკიდებული. ამის გამო, მართალია, იყო მძიმე მდგომარეობა, სიძვირე, მაგრამ ყველაფერი ეს ობიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული და უმძიმეს პირობებში მთავრობა ნელ–ნელა ართმევდა თავს ამ სიძნელეებს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საგულისხმოა საქართველოს იმდროინდელი ფინანსთა მინისტრის კ. კანდელაკის ემიგრაციაში დაწერილი წიგნი ,,საქართველოს ეროვნული მეურნეობა". აი, რას წერს ბატონი მინისტრი:

,,დამოუკიდებელი საქართველო ეკონომიკური გასაჭირის ნიადაგზე არ დაღუპულა და ცოტა უფრო დიდხანს რომ გაეძლო მას, ყველასათვის თვალსაჩინო იქნებოდა, თუ რამდენად უსაფუძვლოდ ლაპარაკობდნენ ეკონომიკური კატასტროფის შესახებ ჩვენში!.. საქართველოს არ დასცალდა. იგი დაპყრობილ იქნა სწორედ მაშინ, როცა უკვე ჩასახული იყო მისი ეკონომიკური გამაგრების საშუალებანი"... [2, 55]

ცხადია, დრამატურგისთვისაც ნათელი იყო იგი, მაგრამ კომუნისტური დოქტრინა მოითხოვდა, რომ ეს ყველაფერი დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობას დაბრალებოდა. მწერლის გულწრფელობა და მხარდაჭერა ახლადშექმნილი დემოკრატიული სახელმწიფოსადმი მის პრაქტიკულ მოღვაწეობაში დასტურდება. იგი აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის კულტურულ აღმშენებლობაში. დამოუკიდებლობის წლებში დიდი წარმატებით იდგმება მისი პიესები. 1918–21 წლები ერთ–ერთი ყველაზე ნაყოფიერია მწერლის პედაგოგიურ–საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ნაწარმოებში ძირითადად ორი დაპირისპირებული მხარეა – ინტელიგენტი ივანე ჯარიაშვილი თავის მეზვრე ზაქროთი და გლეხი ზამბულა დაქირავებული ოსებით. პიესის ქვეტექსტები, დაკვირვებული ანალიზი, აგრეთვე საქართველოს იმ წლების ისტორია, კერძოდ, 1917–19 წლების მოვლენები სოფლად, გვაძლევს საშუალებას დავინახოთ, თუ რა გარემოებამ განაპირობა პიესის გმირთა ხასიათები და რა ობიექტურმა მიზეზებმა წარმოშვა ისინი, რა საფუძველი აქვს ნაწარმოების კოლიზიას და როგორია მწერლის დამოკიდებულება თავისი გმირებისადმი.

დამოუკიდებელ საქართველოს, როგორც ითქვა, ეკონომიკურად უმძიმესი მემკვიდრეობა ერგო. მოშლილი იყო სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. ,,მტრულ ძალებს გასაქანი ჰქონდათ გაეღიზიანებინათ გლეხობა. მთავრობისათვის დაებრალებინათ ეკონომიკური კრიზისი და დაეწყოთ ხალხის წაქეზება მის წინააღმდეგ..." [3, 211]

ბოლშევიკების დემაგოგიურ მოწოდებებს უკვალოდ არ ჩაუვლია. გონებადაბინდულ გლეხთა ერთმა ნაწილმა მართლაც მოაწყო ე.წ. აგრარული გამოსვლები. ისინი არბევდნენ თავად–აზნაურთა სახლ–კარს, თვითნებურად ინაწილებდნენ მათ მიწებს. ყველაზე დიდი გამოსვლები ყოფილა სამეგრელოში, ქართლ–კახეთში, დუშეთში და სხვაგან. გლეხობას ისინი თავისი მიზნებისათვის იყენებდნენ, რათა დაემხოთ დემოკრატიული საქართველო.

სწორედ ეს მოვლენებია ასახული პიესაში ,,მადლობა". ნაწარმოების ანალიზიდან გამომდინარე, აქ კომუნისტთა ბინძური საქმიანობის შედეგს ვხედავთ.

იმ წლებში შექმნილი ძალადობა და განუკითხაობა გლეხთა საუბრიდანაც ცნაურდება:

სესია: გაღმა სოფელში კამისართან კი არ დადიან საჩივლელად – გაიყვანენ ხევში და მიაყრიან ღორღს! მამულებს ისე ირგებენ მუქთად! ასე ხდება ყველგან"...[1, 18].

აქ მთელი ასპარეზი ბნელი ძალების ხელშია, ვისაც რა უნდა იმას აკეთებს. არც კანონია, არც სამართალი. კაცის ჩაქვავება დასჯის მთავარ ფორმად ქცეულა. ოსების თავგასულობას საზღვარი არა აქვს. სინამდვილე იყო ეს ყველაფერი, ბოლშევიკები ყველანარად ცდილობდნენ ხალხის აბუნტებას, მუდმივი დაძაბულობის შენარჩუნებას, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ დემოკრატიული საქართველოს მთავრობა რთული პირობების მიუხედავად ებრძოდა ამ მოვლენებს.

დრამატურგმა სოფლად ჩამოსული ივანე გაგვაცნო. ჩვენ არაფერი ვიცით ქალაქში მისი ურთიერთობების, პოლიტიკური შეხედულებების შესახებ. მხოლოდ გლეხებისგან გვესმის, რომ ივანე ნასწავლი კაცია, პროფესორია და სხვა.

ქიტესა: ,,ამბობენ პროფესორიაო, ხალხისათვის სასარგებლო კაციაო...[1, 22]

ჯარიაშვილი ერთგან ამბობს, რომ ,,ის არ არის სოციალისტი", რაზეც გლეხები გაკვირვებას გამოთქვამენ: ,,განა შეიძლება ნასწავლი კაცი სოციალისტი არ იყოს?". ,,სოციალისტობა" მაშინ მოდაში იყო, რაც იმხანად მენშევიკური პარტიის პოპულარობაზე მიუთითებდა.

ეს ფაქტი იმაზეც მეტყველებს, რომ ივანე (და ცხადია ავტორიც) კრიტიკულად აფასებს სოციალ–დემოკრატების მოღვაწეობას. ცნობილია, რომ ეროვნული პრობლემა დიდად არ აწუხებდათ მენშევიკებს. რუსეთთან ერთობას ეს პარტია მაინც ვერ თმობდა. მათთვის ეს იყო მოულოდნელი დამოუკიდებლობა, მაგრამ ეროვნული ძალების პრინციპული პოზიციის გამო ისინი იძულებულნი იყვნენ ანგარიში გაეწიათ ეროვნული საკითხისათვის. ჩანს, ივანე მაღალი რანგის ეროვნული მოღვაწეა, იგი სოციალ–დემოკრატების საწინააღმდეგო პლატფორმაზე დგას. მას უყვარს სოფელი. სიამოვნებით ატარებს დროს გლეხებთან, საუბრობს მათთან, ახლოს ეცნობა სოფლის ყოფა–ცხოვრებას. სურს დაეხმაროს გაჭირვებულ ხალხს. გლეხებიც გრძნობენ ივანეს გულკეთილობას და კიდეც აღნიშნავენ მას. მაგრამ გულში მაინც მისი ვენახის დასაკუთრებაზე ფიქრობენ.

ჯარიაშვილი მემკვიდრეობით მიღებული ვენახის კანონიერი მფლობელია. მისი ჩამორთმევის უფლება არავის აქვს, მაგრამ ორი მიზეზის გამო ფიქრობს, რომ მაინც გადასცეს იგი გლეხებს. პირველი მის ჰუმანურობაში უნდა ვეძებოთ, მეორე კი – რთულ სოციალურ–პოლიტიკურ ვითარებაში. ივანე ხედავს, რომ ბოლშევიკებისგან გაჩაღებული ე.წ. აგრარული მოძრაობა ძალაში შედის. გაღმა სოფლებში გლეხებმა სტიქიურად გაინაწილეს თავად–აზნაურთა სახლ–კარი, მამული. ამავე დროს აქტიურობენ ბნელი ძალებისგან წაქეზებული ოსები. ისინი არად დაგიდევენ ივანეს კეთილშობილებასა და პატიოსნებას. მაგრამ ამ საკითხში იგი დედის და დის წინააღმდეგობას აწყდება.

ივანეს ესმის, რომ იურიდიულად დედა და და მართლები არიან, მაგრამ გრძნობს აშკარა საფრთხეს. ამიტომ, როცა და, სალომე, ეუბნება, ნებას არ მოგცემთო, ივანე პასუხობს:

ივანე: არ მომცემთ? ყური მიგდე: ჩვენ ორგვარად შევრცხვებით, – პირობასაც გავტეხ და მამული მაინც მათ ხელში გადავა!

მარიამ: როგორ?

ივანე: აგერ ზამბულამ ნაწილი უკვე ჩამოგვაჭრა..." [1, 25]

პარალელები შეიძლება დავინახოთ ივანესა და თეიმურაზ ხევისთავს შორის. მართალია, მათ შორის სხვაობაც დიდია, მაგრამ საერთოც აქვთ: ერთიც და მეორეც გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები არიან. ორივეს ბოლშევიზმი დევნის და უხერხულ მდგომარეობაში აყენებს (ამ მხრივ თეიმურაზის მდგომარეობა უფრო მძიმეა). თეიმურაზი გამოფიტა ახალმა სინამდვილემ, ძირს დასცა, უცხოტომელი ჯაყო წამოასვა თავს. ივანე კი იგივე ჯაყოებისგან ანაზდად გადაურჩა ოჯახით ამოწყვეტას. ჯივაშვილები მისი მამულის დაპატრონებასაც ცდილობენ.

საინტერესოდ აღწერს დრამატურგი ზაქროს ჩაქვავების სცენას. ამით ავტორმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ივანეს დიდბუნოვნებას და შესანიშნავად დაგვიხატა ბრბოს ფსიქოლოგია. ბრბო სასტიკია და ულმობელი სასჯელის აღსრულების დროს, ძნელია მასზე ზემოქმედების მოხდენა. მხოლოდ ივანეს ტაქტიანმა და თავაზიანმა მიდგომამ გახადა შესაძლებელი ტრაგედიის თავიდან აცილება. ზაქროს ჩაქვავების სცენა უნებურად გვახსენებს მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობას ,,ეშმაკის ქვა". აქაც ქურდობისათვის ასამართლებენ ორ ახალგაზრდას (ისინი ნამდვილი დამნაშავენი არიან). ხალხი მოითხოვს აღიარონ დანაშაული, მაგრამ ერთ–ერთი დამნაშავე გაჯიუტდება. ბრბოდ ქცეული ხალხი მას აქვავებს. შურისძიების დროს ბრბო არ ფიქრობს, მაგრამ რა წამს განაჩენს აღასრულებს, თითქოს სირცხვილის თუ სიბრალულის გრძნობა უჩნდებათ. ჩვენს პიესაშიც, დაარწმუნა რა ივანემ ზაქროს უდანაშაულობაში გლეხები, ცდილობენ როგორც შესაძლებელია, ქვები შეუმჩნევლად დაყარონ და ჩუმ–ჩუმად გაიპარონ. ორივე შემთხვევაში მოვლენა დანახულია ღრმა ფსიქოლოგიის თვალით.

პიესის ფინალი ტრაგედიით მთავრდება, მაგრამ ერთგვარი იმედის მომცემია. ივანეს გადარჩენა ავტორის ოპტიმიზმსა და კეთილშობილებაზე მეტყველებს. ჯარიაშვილი მიდის ქალაქში, რათა გააანალიზოს მომხდარი და ემზადოს მომავალი ბრძოლებისათვის.

მიმზიდველია პიესაში ივანეს მეზვრე გლეხი ზაქროს შინაგანად მთლიანი პორტრეტი. ,,მგლის ბიჭი“ (მამამისს მგელს ეძახდნენ და თავისივე თანასოფლელებმა სიცოცხლეს გამოასალმეს) წესიერი და პატიოსანი ახალგაზრდაა, თუმც, როგორც ზემოთ მივუთითეთ, სიჯიუტესაც ავლენს. იგი უმიზეზოდ არავის დაჩაგრავს, ხოლო თუ ვინმემ ცილი დასწამა, ან შეურაცხყო, მაშინ კი მზადაა ანგარიშის გასასწორებლად.

ზაქროს კარგად ახასიათებს ჯარიაშვილი: ,,ვიცი, გამიგია, რომ სოფელი ამის უკმაყოფილოა, მართალია, რომ ეს მამაძაღლი ცუდი ენისაა და თავხედი, მაგრამ არ არის გაოხრებული კაცი. შეირიგეთ, დაავიწყეთ მამის სისხლი და ძალიან სასარგებლო კაცი გეყოლებათ ამ თავისუფლების დროს...“ [1, 10]

ზაქრო ერთგული მეზვრე გამოდგა. იგი მოუსყიდავი პიროვნებაა, სრული ანტიპოდია ბატონყმობის დროინდელი მოურავებისა. მას პირადი ინტერესები არ ამოძრავებს. იგი არწივივით დასტრიალებს ივანეს ადგილ–მამულს და არავის აძლევს უფლებას მისი დამცირებისა: ,,მე წინააღმდეგი ვარ, რომ ყველამ თითო–თითოდ ჰგლიჯოს, სადაც მოასწრებს! თუ ვინმემ მოინდომა ივანეს შეურაცყოფა, იმას ჩემთან ექნება საქმე...“ მისი მორალური კოდექსი ღალატს და გაუტანლობას ვერ იტევს. მიუხედავად ერთგვარი დაპირისპირებისა, გლეხებიც აფიქსირებენ მის კეთილ ბუნებას: ,,...ე თავისუფლების დროს მაგისთანა ბიჭი ოქროდა ღირს, წიგნი კარგი იცის, გამბედავია... თუ დაუყვავეთ და ენდეთ თავს დადებს სოფლისათვის“. [1, 11]

მართალია, იგი ივანეს მეზვრეა, მაგრამ ეს გარემოება მას ხელს არ უშლის სიმართლის მხარეს იდგეს. როცა რთვლის ბოლოს სოფლელმა დედაკაცმა კეკემ კალათა ყურძენი სახლში წასაღებად გაამზადა, ივანეს მეუღლემ საყვედური უთხრა:

კეკე: ,,...დილის აქეთ ხელები დავიბეგვე ყურძნის კრეფით, დიდი საქმეა კალათა ყურძენი სახლში წავიღო!

ზაქრო: ჰოდა მართალია!

მარიამი: ჩემი მეზვრე ხარ და მე უნდა დამიჭირო მხარი, შენც მაგათთან გაქვს კუდი გადაბმული.

ზაქრო: ბიჭოს! მე კი ხალხის შვილი არა ვარ? მაშ ვისთან უნდა მქონდეს კუდი გადაბმული?“.[1,15]

ტრადიციულად, მოურავი ყოველთვის პრივილეგირებული იყო სხვებთან შედარებით. იშვიათი გამონაკლისის გარდა, იგი დაპირისპირებული იყო სოფელთან. ,,მადლობის“ გლეხებში ძველი სინდრომი მოქმედებს. აღიარებენ რა ზაქროს პიროვნულ ღირსებებს, შინაგანად მაინც შურს ატარებენ გულში.

ზაქროს უცნაური ხასიათის ჩამოყალიბებაში შესაძლებელია მამის სადისტურმა მკვლელობამაც მოახდინა გავლენა. ამითაც არის განპირობებული, რომ იგი მცირედსაც არ უთმობს იმ ხალხს, თხუთმეტი წლის ბიჭს საკუთარი მამის ჩაქვავება აყურებინა. ასეთი ფიცხი ხასიათის მიუხედავად, ზაქროს არასოდეს დაურღვევია ზნეობრივი ნორმები. იგი შინაგანად ლაღია და უშიშარი. როცა სოფლელები ლაჩრულად იმორჩილებენ და მამამისის მსგავსად აქვევებენ, წარბს არ ხრის, შველას არავის სთხოვს. ხასიათის სიმტკიცე, თავმოყვარეობის გრძნობა, სიმართლის სიყვარული, ადამიანებისადმი თანადგომა და მათთვის თავგანწირვა ზაქროს ხდის მთლიან პიროვნებად, რომელსაც, მართალია, აქვს უარყოფითი თვისებები, მაგრამ იმ დადებითთან შედარებით ფერმკრთალდება. ეს ტიპი გამორჩეულ ადგილს იკავებს დრამატურგის ნაწარმოებთა პერსონაჟებს შორის.

მწერალს კარგად აქვს დანახული გლეხის ბუნება, ფსიქოლოგია, მისი გულუბრყვილობა და მალემრწმენობა, რისი მიზეზიც ბუნებრივ ხასიათთან ერთად გაუნათლებლობაშიც დევს. ,,მადლობის“ გლეხებისათვის საკითხის, მოვლენის ანალიზი, განსჯა უცხოა. ისინი ვიწრო თვალით ზომავენ ყველაფერს. ძირითადად ეჭვის საფუძველზე მოქმედებენ და იმის მიხედვით იღებენ გადაწყვეტილებას, რაზეც ზაქროს ჩაქვავების სცენაც მეტყველებს. ერთის მხრივ, აღიარებენ ივანეს კეთილშობილებას, იმავდროულად მისი ვენახისკენ უჭირავთ თვალი. ამ ხასიათის გამო ივანე მორიდებულად მიმართავს მათ:

,,თქვენ მე პროფესორს მეძახით... ამ საღამოს ბევრი რამ მასწავლეთ, მაგრამ ზოგიერთ საკითხს იოლად სწყვეტთ და აქ მინდა გავერკვე...“. [1, 16]

გლეხთა სახეებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ზამბულა. იგი პიესის კეთილ ძალებთან დაპირისპირებული მხარეა. დრამატურგი საღებავს არ იშურებს იმისათვის, რომ შესატყვისი ფორმით წარმოგვიდგინოს ეს პიროვნება. ზამბულა გულგრილი, კონფლიქტური ადამიანია, მისი ცხოვრება მხოლოდ ვიწრო ,,მე“–თი შემოიფარგლება. სხვისი ჭირ–ვარამი ვერ აღძრავს მასში თანაგრძნობას. ბუნებით ღვარძლიანი, ეგოისტი, შურით უყურებს ყველას, განსაკუთრებით კი ივანესა და

მის მეზვრე ზაქროს. მისთვის უცხოა ზნეობრივი ღირებულებები, არაფრად მიაჩნია მაღალი მორალისთვის მებრძოლი პიროვნება. იგი აგდებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ჯარიაშვილისადმი.

სესია: ,,ამბობენ პროფესორიაო, ხალხისთვის სასარგებლო კაციაო.

ზამბულა: აბა რით არის სასარგებლო, რაღაცასა სწერსო... ეგ ჩემი საქმე არ არის...“ [1, 19]

ამ სიტყვებს ტიპიური ბოლშევიკისთვის დამახასიათებელი ტონი აქვს.

ზამბულამ თავხედურად მიიტაცა ივანეს ვენახი. მაშ რაღა უნდა, ხომ მიიღო ის, რისთვისაც იბრძოდა? რატომღა ესხმის თავს ოსებთან ერთად ჯარიაშვილის ოჯახს? პასუხი ერთია: მას დავალება აქვს მიღებული ლენინელებისგან – თავის ყაჩაღურ ჯგუფთან ერთად უნდა ამოწყვიტოს ჯარიაშვილის ოჯახი, რადგან ბოლშევიზმი მასში საფრთხეს ხედავს.

ნაწარმოების დასაწყისიდანვე ირკვევა, რომ ზამბულას ადრეც მიუღია მონაწილეობა ივანეს ოჯახის აწიოკებაში და მაშინაც ზაქროს გადაურჩენია, ამიტომ იგი კონფლიქტშია ამ უკანასკნელთან. არც სოფლის წინაშეა მართალი ზამბულა: ,,დაჯე, დაჯე! ნუ დაივიწყებ, რომ სოფელმა ბევრი გაპატია...“ – მიუგებს ქიტესა.

ბოლშევიზმმა, რომელიც ბრძოლის მხოლოდ ყაჩაღურ–ტერორისტულ ნორმებს ცნობდა, სწორედ რომ ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა ზამბულასა და მისთანებში. მისი მსგავსნი საკმაოდ მოიპოვებოდნენ იმდროინდელ ქართულ სოფელში. სწორედ მათზე დაყრდნობით შეძლეს ქვეყნის მტრებმა 1918–19 წლებში აეგორებინათ უკმაყოფილების ტალღა საქართველოში და თანდათან მიეყვანათ ქვეყანა 1921 წლის 25 თებერვლამდე. ნიშანდობლივია, რომ სხვა გლეხები, რომელთაც არანაკლები სურვილი ჰქონდათ მიწის დაუფლებისა, არ აჰყვნენ ზამბულას. ამიტომ ივანეს ოჯახის ამოწყვეტის მიზნით მოთარეშე ოსებს შეეკრა. იგი შეუბრალებელ, კაცისმკვლელ არსებად იქცა, რომელსაც წართმეული აქვს შეცოდების, განსჯის უნარი და ხელის აკანკალების გარეშე მზადაა ამოხოცოს უმწეო ქალები და ბავშვები.

ოსების შემოყვანის სცენა, როგორც რეცენზენტიც მიუთითებდა, ,,ჯაყოს ხიზნების“ გავლენით არის შექმნილი და ბუნებრივად და დამაჯერებლადაა ჩამჯდარი პიესის კომპოზიციაში. იმ წლებში ოსთა თარეში რომ მასობრივ ხასიათს ატარებდა, ცნობილი ფაქტია. ,,დემოკრატიული საქართველოს დესტაბილიზაციის მიზნით 1918–19 წლებში საქართველოს სოფლებში გაჩაღებულმა აგრარულმა მოძრაობამ ოსებიც აიყოლია... ხელმძღვანელი ბოლშევიკები აქეზებდნენ ოსებს საქართველოს წინააღმდეგ“. [3, 210]

ოსმა კომუნისტებმა ბოლშევიკური ცენტრიდან წაქეზებით დაიწყეს ოსებით დასახლებული შიდა ქართლის ტერიტორიის საქართველოდან გამოცალკევებისა და მისი რუსეთთან შეერთების პროპაგანდა. 1918–20 წლებში ოსთა შეიარაღებული რაზმები დათარეშობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და ჩვენი მიწა–წყლის ქართველ მესაკუთრეებს ანგარიშს უსწორებდნენ. დრამატურგი მუქი საღებავით ხატავს ოსების ფლიდ და გაიძვერა ბუნებას, მათ აქვთ განვითარებული უნარი, როგორ შეაცოდონ თავი ადამიანს, ხოლო შემდეგ ,,ჯაყოს ხიზნების“ არ იყოს, სასტიკ მბრძანებლად მოგევლინოს შენსავე სახლში:

,,ვენახი ცვენ მოგვცე – ეუბნებიან ოსები მარიამს – ქართველი გლეხები წაგართმევს, ცვენ ახლოც არავის მოუსვებთ. ცვენ ვიცის ვენახის გაკეთება... მაცაბელთან ვიყავი ცხინვალსი. ისე სიგინახამთ, როგორც ბატონს...“. პიესის ფინალიდან ირკვევა, რომ ეს ყაჩაღობა მათთვის პირველი არ არის. ზამბულასთან ნადავლზე კამათის დროს ოსები ცხარდებიან: ,,ამათ არაფერს ხელი არ გახლოს, თორე ცვენ წავალთ. მარა... ხელს გაისვრი!

ზამბულა: გაისვრი, დედი თქვენისამ, პირველია...“. [1, 27]

კომენტარი ზედმეტია. დრამატურგმა ზედმიწევნით ზუსტად აღწერა ბოლშევიკთა მიერ დაგეშილ ოსთა მასობრივი ყაჩაღობები, რომელსაც ე.წ. ,,აგრარული მოძრაობა“ ეწოდა და მიმართული იყო ქართული სახელმწიფოებრიობის დასამარებისათვის.

ნიკო შიუკაშვილი აქტიურად გამოეხმაურა მიხეილ ჯავახიშვილის ,,ჯაყოს ხიზნებს“. სამწუხაროდ, ქართველ მწერალთა მიერ შემოკრულმა განგაშის ზარებმა ვერ იმოქმედეს ჩვენს სმენით და გრძნობით ორგანოებზე. ათეული წლების მანძილზე გაუმართლებელმა ეროვნულმა პოლიტიკამ, მუდმივმა დათმობებმა, გასული საუკუნის 90–იან წლებში დაშვებულმა შეცდომებმა პიესაში აღწერილი მოვლენებიდან თითქმის საუკუნის შემდეგ დევნილად აქცია ლიახვის, ქსნის, ფრონეს ხეობის ქართველობა. ისევ დაიღვარა ქართული სისხლი, გაუდაბურდა თაობების ნაშენი ეზო–მიდამოები...

პიესის მოქმედება სოფელში მიმდინარეობს და მისი სიტყვიერი მასალაც სოფლურ კილოზეა აგებული, რაც მეტ სურნელებას აძლევს ნაწარმოებს, მაგრამ ამ მხრივ ერთგვარ გადაჭარბებასაც აქვს ადგილი, კერძოდ, პიესაში მეტისმეტად ხშირია ვულგარიზმები, ზოგჯერ მთელი დიალოგი მასზეა აგებული:

„ზამბულა: ,,ნუ იცით ხოლმე თქვე ჩემანალებო!...

იასე: შე თითონ ჩემანალავ, შენც აქ არ იყავ ი ყაჩაღებთან! ძაან დაიფიცე, დედიშენისამ პირველი გაგონებაა.

ზამბულა: გაწყვიტე ხმა თორემ დედას გიტირებ!

გლეხები: ფეხებსაც ვერ მოსჭამ!...“ [1, 14]

დრამატურგი აქაც ხმარობს მელოდრამატულ ხერხს, მაგრამ, შალვა დადიანის თქმით, ,,აქ მაინც უფრო ეპოქის სურათია გაშლილი და ეს სცენური მანერა მხოლოდ მის დასახმარებლად არის“.

პიესის ძირითადი ტექნიკური ნაკლი გაჭიანურებული დიალოგებია, განსაკუთრებით I მოქმედებაში. მხატვრული ხერხი, რითაც დრამატურგი ახდენს პიესის იდეურ–ესთეტიკურ გააზრებას, შედარება და კონტრასტია.

მწერალი სოფელს მთლიანობაშიც გვიჩვენებს და ცალკეულ პერსონაჟებსაც მშვენივრად გამოკვეთს. ნიკო შიუკაშვილი ღრმად გვახედებს თავისი გმირების სულიერ სამყაროში. შესანიშნავად გვიხატავს გლეხის მერყევ ბუნებას. მეტად კოლორიტულ ფერებში გვიჩვენებს რთველს ჯარიაშვილის ვენახში. აქ სოფლური ყოფის იშვიათი სურათებია გადმოცემული.

პიესის მრავალფეროვანი ტიპაჟი და ეპიზოდები, რომლებშიც გადმოცემულია სოფლად მომხდარი რთული და წინააღმდეგობრივი სურათები, მეტყველებენ დრამატურგის დიდ ნიჭსა და შესაძლებლობაზე. ავტორი არა მარტო სახეების გამოძერწვის შესანიშნავი ოსტატია, არამედ მასობრივი სცენების ჩინებული მხატვარიც. დრამატურგი კარგად იცნობს სოფლის ცხოვრებას, რაც ჩანს მაშინდელი სოფლის ყოფისათვის დამახასიათებელი ცოცხალი და მეტყველი სურათების ჩვენებაში.

ლიტერატურა:

1. ნიკო შიუკაშვილი, პიესა ,,მადლობა“, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ხ.№25726.
2. კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წ. №1, პარიზი, 1935.
3. ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, 1783–1990, თბ., 1991.
4. ნიკო ჯავახიშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები, თბ., 1998.
5. ,,თეატრი და ცხოვრება“, 1927, №1.
6. დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, მოგონებები, ნაწ. I, (ხელნაწერი, ინახება მემკვიდრეთა ოჯახში).

რეზიუმე

ნიკო შიუკაშვილის პიესაში „მადლობა“ ასახულია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის სამწლიან მონაკვეთში (1918-1921 წწ.) სოფლად მიმდინარე რთული პროცესები. მასში ნაჩვენებია ქვეყნის ეკონომიკური სიდუხჭირე, რომელსაც კიდევ უფრო ამძიმებს ბოლშევიკთა ძირგამომთხრელი საქმიანობა ნორჩი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

GEORGIAN VILLAGE IN 1918-1921
(ACCORDING TO NIKO SHIUKASHVILI`S PLAY “THANKS”)

Zurab Okropiridze, Senior Teacher

RESUME

Niko Shiukashvili`s play the "Thank you" reflects the complex processes of the rural areas during our country's three-year period independence (1918-1921). Here is showed the country's poverty, which is aggravated by the Bolsheviks counterwork of the young Georgian state.

პავლე ინგოროყვას და ელგუჯა ხინთიბიძის ღვაწლის რამდენიმე საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიო აღიარების საქმეში

მარინე ცერცვაძე, პროფესორი

2016 წელი იუნესკომ შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა. ეს არის შოთა რუსთაველის პიროვნების და მისი პოემის აღიარება. სასიხარულოა ამ აღიარების მნიშვნელობა ქართული საზოგადოებისათვის, რადგან „...შენც გცნობენ სახელმწიფოდ და მოვალედ მიიჩნევენ თავს... აღიარონ შენი კულტურული მიღწევანი” [4. გვ. 32].

იუნესკოში აღნიშვნის მოტივად გამოიყენეს ქრონოლოგიური თარიღები, ისევე, როგორც აკაკისა და ვაჟას შემთხვევაში, და, თუ ამ ორ მწერალთან თარიღები „ზედმიწევნით მოგვეხსენება“, შოთა რუსთაველის შემთხვევაში თარიღების დადგენის მთელი სიმძიმე და შრომა პავლე ინგოროყვას სახელთანაა დაკავშირებული. მან შემოიტანა მიმოქცევაში ეს თარიღი სრულ ბურუსსა და იდუმალებაში გადანაცვლებული კაცისა: „ჰიპოთეზებს რომ ვერ გავცილებივართ მისი ზოგადი ბიოგრაფიის წარმოსახვის დროსაც, თორემ თარიღებს-თუნდაც დაბადებისა ან გარდაცვალების“... რომელი დოკუმენტური წყარო მიგვაკვლევინებდა, რომ არა ეს ამაგდარი ადამიანი, რომელსაც არაჩვეულებრივად ჰქონდა გააზრებული, რასაც აკეთებდა. იგი არამხოლოდ ცალკეულ შრომებს ქმნიდა, არამედ მთელი ქართული ცივილიზაციის ისტორიას და ამით უნდა გამოკვეთილიყო მთელი სურათი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა, ჩვენი ქვეყნის კულტურისა არქაული პერიოდიდან უახლოეს დრომდე. ალბათ, სწორედ ამიტომ იკვლევდა ყველა დარგს, უამრავ მასალას უყრიდა თავს, „რის გამოც რაღაც დაუმთავრებელია, რაღაც ფრაგმენტულად შემონახული, მაგრამ ეს ყველაფერი ერთმანეთს ებმის და ერთიანი შენობა წამოიმართება“ [2. გვ. 140].

შესაძლებლობის ფარგლებში შრომაში თვალი გავადევნოთ ორი ქართველი მეცნიერის ბედს და აღიარებას, მათი დამსახურების მიხედვით, სამშობლოში თუ მსოფლიო ასპარეზზე.

პავლე ინგოროყვას შესახებ დაწვრილებით ცნობებს გვაწვდი როსტომ ჩხეიძე ბიოგრაფიულ რომანში „ბედი პავლე ინგოროყვასი“, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ელგუჯა ხინთიბიძის „ბედისგან“. ყოველივე იმის შემდეგ, რაც პავლე ინგოროყვამ იშრომა და იღვაწა ამ საკითხში, წესით, შოთა რუსთაველის დაბადების დღიდან 800 წლისთავი, და ის საყოველთაო დღესასწაული, პავლე ინგოროყვას ხელმძღვანელობით უნდა გამართულიყო. ჰქონია კიდეც შედგენილი გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა ჩატარებულიყო ღონისძიება. ყველაფერი მაქსიმალურად ჰქონია ორგანიზებული და, ალბათ, მოელოდა, რომ იმ დღეებში ყველა მისი სახელის ხსენებით იქნებოდა გატაცებული.

თუმცა, მოხდა ისე, რომ პავლე ინგოროყვას „კეთილისმსურველებმა“ მოსთხოვეს - შოთა რუსთაველის საიუბილეო, დაბადების დღისადმი მიძღვნილ ზეიმზე, მთავარი მოხსენებით გამოსვლა ტრიბუნაზე მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ირაკლი აბაშიძეს, უფრო შეეფერებოდა, ვიდრე თავად აღმოჩენის ავტორს, რაც დამსწრე საზოგადოებას აფიქრებინებდა, რომ ყველაფერი მწერალთა კავშირის, უშუალოდ კი მისი გამგეობის თავმჯდომარის, ორგანიზებითა და შთაგონებით იყო ნასაზრდოები: „ამისათვის კი ხმებსაც ნაადრევად გაავრცელებდნენ“. ის ფაქტი კი მიიჩქმალებოდა, თუ ვინ დაადგინა ეს თარიღი. თუ პასუხს მოითხოვდნენ, ისიც არ დააყოვნებდა და იტყოდნენ _ ქართულმა სამეცნიერო კოლეგიამო. საბოლოოდ, ისე ჩატარდა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლის იუბილე, რომ პავლე ინგოროყვა ამ საზეიმო დღეების მონაწილეც არ ყოფილა. იგი მხოლოდ რუსთაველის ძეგლის გახსნას დაესწრო ახალციხეში, სადღაც ხალხში მიკარგული ადევნებდა თვალს ძეგლის საფარველის ჩამოხსნას...

პავლე ინგოროყვას, არა მხოლოდ მწერალთა ყრილობებზე, არამედ ლიტერატურული პრესის ფურცლებიდანაც, გამუდმებით თავს ესხმოდნენ იმ ბრალდებით, რომ მას შეცდომები მოსდიოდა, რომ ისე მარტივადაც არ იყო ყველაფერი, როგორც ამას მკითხველი აღიქვამდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც თავგამოდებით იცავდა და ექომაგებოდა მის ნაშრომებს. ყველაზე მეტად, მაინც, სიმონ ყაუხჩიშვილი ცდილობდა მის დაცვას: „რუსთველიანამ“ და „რუსთველიანას ეპილოგმა“ – “ახალ მიჯნაზე გაიყვანა ქართული ფილოლოგიური მეცნიერება, დიდად წასწია ის წინ, და მრავალ, მანამდე ბნელით მოცულ საკითხს შუქი მოჰფინა. პავლე ინგოროყვამ თამამად გაკაფა გზა რუსთველის ბიოგრაფიის შესწავლისაკენ, შეგვიყვანა მის ეპოქაში, გვიჩვენა მთელი მისი გარემო და აღადგინა პოეტის ბიოგრაფია“ [2. გვ. 20].

ცხადია, რომ არსებობდა დაპირისპირება მწერალთა კავშირის „კორიფეების“ მხრიდან პავლე ინგოროყვასთან მიმართებაში. მათ ერჩივნათ, საკუთარი თავი განედიდებინათ და ჩაეფარცხათ მისი ნაშრომის, მისი ღვაწლის სიდიადე. ეს ახლაც ასეა და „ძლიერნი ამა სოფლისანი“ კვლავ მოიქცევიან ირაკლი აბაშიძის მსგავსად, ვინაიდან, დროის, ეპოქის ცვალებადობის მიუხედავად, ადამიანის ბუნება არ იცვლება.

ეს ყველაფერი წინა საუკუნეში, თუმცა, დღეს, როცა იუნესკომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, მაინც არ ჩანს და იკარგება, თუ ვინ შემოიტანა მიმოქცევაში „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის დაბადების თარიღი. სამწუხაროდ, დღეს, 2016 წელს, როცა აღარც კომუნისტური პარტია არსებობს და აღარც მწერალთა კავშირია ძველი უფლებებით აღჭურვილი, მეორდება ის, რომ ამ თარიღის აღნიშვნის დროსაც: „კვლავ მიჩქმალული აღმოჩნდება პავლე ინგოროყვას სახელიც და ღვაწლიც, თითქოსდა 850 წელი თავისთავად დადგენილიყოს“ და ჩვენ, შეგნებულად თუ უცოდინრობით, ისევ მივუყრუებთ მის დამსახურებას.

როსტომ ჩხეიძე სურვილს გამოთქვამს - ოფიციალურად მივაწვდინოთ ხმა იუნესკოს და ნათელვყოთ ის გარემოება, თუ ვინ დაადგინა ეს თარიღი, რომ რუსთაველის წლად შერაცხულიყო 2016 წელი, რათა ამ იუბილემაც არ ჩაიაროს ისე, როგორც ჩაიარა 1966 წლის იუბილემ და აღინიშნოს პავლე ინგოროყვას ღვაწლი და სახელი რუსთველოლოგიურ აღმოჩენასთან დაკავშირებით. ნუ მოვიქცევით ისე, „თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის დაბადების მოწმობა ან ანკეტა გვეპყრას ხელთ და მეცნიერული კვლევა-ძიება სულაც არ დასჭირდებოდეს ამის გამორკვევასა და ფარივით აზიდვას მთელი სამყაროს გასაგონად“ [5. გვ. 51].

1966 წელს, მართალია, პავლე ინგოროყვა ჩამოაშორეს რუსთველის დაბადებიდან 800 წლისთავის აღნიშვნას, მაგრამ დღეს, 2016 წელს, როცა ირაკლი აბაშიძის დიქტატორული თავმჯდომარეობა არ აწუხებს მწერალთა კავშირს, როცა დემოკრატიაა, სიტუაციის ცვალებადობა არ იგრძნობა.

ვდგავართ და აღვნიშნავთ იუნესკოს მიერ გამოცხადებულ რუსთაველის წელს ისევ უინგოროყვოდ, ისევ მოჯადოებული წრის გარშემო ვტრიალებთ და არც გვებადება კითხვა, თუ ახლა მაინც რატომ არ ვუსვამთ ხაზს რუსთაველის დაბადების თარიღის დამდგენის, მისი პიროვნების იდენტიფიკატორის სახელს, რატომ არ გამოგვაქვს მსოფლიო მასშტაბით სააშკარაოზე და რატომ არ ვამაყობთ მისი სახელით, მიუხედავად იმისა, რომ უდიდესია ღვაწლი პავლე ინგოროყვასი, მის მხრებზე გადავიდა ის უმძიმესი შრომა, რომ დღეს ეს თარიღი აღნიშნულიყო.

არანაკლებია ელგუჯა ხინთიბიძის ღვაწლი შოთა რუსთაველის და მისი პოემის მსოფლიო აღიარების საქმეში. ელგუჯა ხინთიბიძე დღეს ძველი ქართული ლიტერატურის აღიარებული მკვლევარია. რუსთველოლოგიის გარდა მას საყურადღებო გამოკვლევები აქვს ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების სფეროში. მისი კვლევის შედეგებს „იყენებენ და ეყრდნობიან უცხოელი მკვლევარები. მისი კვლევის მეთოდები და დასკვნები პარალელს პოვებენ ევროპულ მეცნიერთა ახალ შრომებთან“ [4. გვ. 49].

მის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგია 860 გვერდიანი მონოგრაფია „ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო“, რომელშიც ავტორი ამთლიანებს წინა წლებში გამოცემულ კვლევებს ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობით სამყაროზე.

მონოგრაფიაში წარმოდგენილ კვლევათა და მიღებულ შედეგთა გაანალიზების შემდეგ ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ საკითხმა, რომ მიღებული შედეგები განზოგადებულია „დღევანდელი რუსთველოლოგიური მხატვრული მეცნიერების სრული გათვალისწინებით და ჩამოყალიბებულია ახლებური კონცეფცია ვეფხისტყაოსნის სტრუქტურაში გამოვლენილ ავტორისეულ მსოფლმხედველობაზე“ [4. გვ. 35], თუმცა, ავტორი კარგად აცნობიერებს, რომ ვეფხისტყაოსნის იდეურ - მსოფლმხედველობითი სამყაროს კვლევა, რასაც წინამდებარე მონოგრაფია ისახავს მიზნად, მრავალგვარ სირთულეს აწყდება. სირთულეების მიუხედავად, ელგუჯა ხინთიბიძის „მეცნიერული ავტორიტეტი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქართული ფილოლოგიური მეცნიერების საერთაშორისო არენაზე აღიარებას“ [4. გვ., 49]. მეცნიერის 40-მდე შრომა დაბეჭდილია: პარიზში, იენაში, ათენში, მადრიდში, ვაშინგტონში, ჰელსინკში (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ ენებზე). ელგუჯა ხინთიბიძე მონაწილეობს საერთაშორისო სიმპოზიუმებში, სადაც წარმოაჩენს ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებას და რაც ყველაზე მეტად გვაიმედებს, ხელმძღვანელობს ქართველ ფილოლოგთა სკოლას, რომლებიც განიხილავენ ქართულ ლიტერატურას მისი უმთავრესი მახასიათებლის მიხედვით - ტოლერანტული ურთიერთობა სხვადასხვა ცივილიზაციებსა და სხვადასხვა ეპოქების ლიტერატურულ პროცესებთან. ეს კი გვაიმედებს, რომ პავლე ინგოროყვას

ღვაწლისადმი დამოკიდებულების პრეცედენტი საქართველოში აღარ განმეორდება. ქართული ფილოლოგიური მეცნიერება საიმედო ხელშია.

ლიტერატურა:

1. ინგოროყვა პავლე - რუსთველოლოგიური თხზულებანი, -1 რუსთველიანა, თბ., „ჩვენი მწერლობა“, 2016.
2. ჩხეიძე როსტომ - ბედი პავლე ინგოროყვასი, ბიოგრაფიული რომანი, თბ., „ჩვენი მწერლობა“, 2015.
3. ხინთიბიძე ელგუჯა - ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო, თბ., „ქართველოლოგი“, 2009.
4. ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია - ელგუჯა ხინთიბიძის რედაქციით, თბ., 2011.
5. „ორი თარიღი. პიროვნებისაც, წიგნისაც“- პავლე ინგოროყვასა და მისი პირველი წიგნისადმი მიძღვნილი კონფერენცია. „ჩვენი მწერლობა“, თბ., 2015.

რეზიუმე

2016 წელი იუნესკომ შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა. ეს არის შოთა რუსთაველის პიროვნების და მისი პოემის აღიარება. სასიხარულოა ამ აღიარების მნიშვნელობა ქართული საზოგადოებისათვის, რადგან „...შენც გცნობენ სახელმწიფოდ და მოვალედ მიიჩნევენ თავს... აღიარონ შენი კულტურული მიღწევანი”.

შოთა რუსთაველის შემთხვევაში თარიღების დადგენის მთელი სიმძიმე და შრომა პავლე ინგოროყვას სახელთანაა დაკავშირებული. მან შემოიტანა მიმოქცევაში ეს თარიღი სრულ ბურუსსა და იდუმალებაში გადანაცვლებული კაცისა.

ელგუჯა ხინთიბიძე დღეს ძველი ქართული ლიტერატურის აღიარებული მკვლევარია. არანაკლებია მისი ღვაწლი შოთა რუსთაველის და მისი პოემის მსოფლიო აღიარების საქმეში.

SOME QUESTIONS OF PAVLE INGOROKVA AND ELGUJA KHINTIBIDZE`S MERIT IN THE WORK OF THE WORLD RECOGNITION THE ‘KNIGHT IN THE PANTHER`S SKIN”

Marine Tsertvadze, Professor

RESUME

UNESCO declared 2016 the year of a famous writer called Shota Rustaveli. This is the recognition of his personality as well as his poem. Georgian society is happy to know the importance of this fact. We, Georgians are thought to be a state and they are responsible to acknowledge our cultural success.

In the case of Shota Rustaveli, Pavle Ingorokva did a hard job to find out the dates. Despite the fact that everything was mysterious he was able to bring those dates into circulation.

Elguja Khintibidze is a famous researcher of Georgian literature. He had also done a huge work in the recognition of Shota Rustaveli and his poem.

იაკობ გოგებაშვილის საბავშვო შემოქმედების ძირითადი მოტივები

ნელი ჭამპურიძე, პროფესორი

საბავშვო ლიტერატურა ორიგინალური და სპეციფიკური ნაწილია მოზრდილთა ლიტრატურისა. საბავშვო ლიტერატურის შექმნისას საგანგებო ყურადღებაა გამახვილებული დიდაქტიკურ მოთხოვნებზე. აქედან გამომდინარე იგი თავისი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება. საყმაწვილო ლიტერატურას უდიდეს მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებასა და განვითარებაში. ყოველ განვითარებულ ერს აქვს ძლიერი საბავშვო მწერლობა. უამისოდ მისი კულტურა დროებითია და უსაფუძვლო. ეს არის

საუკეთესო საძირკველი, რომელზეც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა. ზოგადად, საბავშვო ლიტერატურას განმარტავენ, როგორც ყმაწვილთა ესთეტიკური აღზრდის საშუალებას. საბავშვო ლიტერატურის ამოცანები საზოგადოებრივი აღზრდის საერთო მიზნებიდან გამომდინარეობს და ხასიათდება სპეციფიკური ნიშნებით. საბავშვო მწერლობა მოითხოვს, როგორც ლიტერატურული ოსტატობის ხერხების გამოყენებას, ისე ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის - განათლების თეორიების და მეთოდოლოგიის ღრმა ცოდნას. საბავშვო მწერალმა უნდა იცოდეს ბავშვის ბუნება, ასაკობრივი ფსიქოლოგიის თანამედროვე და ტრადიციული თეორიები, ასევე ნაწარმოების შერჩევისას მოსწავლეთა მრავალფეროვნებისა და სწავლის პროცესის სირთულეების გათვალისწინება. მწერალი იგივე პედაგოგია, იმ განსხვავებით, რომ მწერლის სარბიელი უფრო დიდია. ხშირად ჭირს ზღვრის გავლება სადიდოსა და საბავშვო ლიტერატურას შორის. გენიალური საბავშვო ნაწარმოები გამორჩეულ ადგილს იკავებს სადიდო ლიტერატურის გვერდით და ის ხდება ესთეტიკურად მისაღები და შინაარსობრივად აქტუალური ყველა ეპოქისა და ასაკის ადამიანებში.

იაკობ გოგებაშვილმა 150-ზე მეტი საბავშვო ნაწარმოები შექმნა. ეს ნაწარმოებები გამოირჩევა მაღალი აღმზრდელობითი პრინციპებით. მისი საბავშვო ნაწარმოებები ათეული წლების მანძილზე დიდ მოწონებასა და აღტაცებას იწვევდნენ როგორც მოზარდებში, ასევე მოზრდილებშიც. სხვადასხვა დროს ცალკე გამოცემის სახით იბეჭდებოდა მოთხრობები: „იავნანამ რა ჰქმნა?!“ (1890), „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „ასპინძის ომი“, „თავდადებული ქართველნი“ და სხვა. აღსანიშნავია, რომ „იავნანამ რა ჰქმნა?!“ ერთ-ერთი თხზულებაა, რომელიც მწერლის სიცოცხლეშივე ითარგმნა ფრანგულად.

იაკობ გოგებაშვილისათვის მხატვრული ლიტერატურა ის უმნიშვნელოვანესი იარაღია, რომელმაც თავისი იდეური ზეგავლენით სწორი მიმართულება უნდა მისცეს საზოგადოების განვითარებას, ,,უჩვენოს სახელმძღვანელო პრინციპები“.

ჩვენ მიერ დიდი იაკობის მხატვრული ლიტერატურა გაანალიზებული იქნა მისივე სახელმძღვანელოს "საგანძურის" მიხედვით, სადაც საბავშვო მოთხრობები ოთხ ძირითად თემატიკურ რკალს შეადგენს და ქმნის მისი შემოქმედების მთავარ მოტივებს.

- საისტორიო მოთხრობები
- სწავლისა და აღზრდის თემატიკა
- ჰუმანიზმი
- საბუნებისმეტყველო მოთხრობები

მოზარდებში პატრიოტული აღზრდის პრინციპების შემოქმედებითი განხორციელება მოგვცა იაკობ გოგებაშვილმა თავის ისტორიულ მოთხრობებში. საბავშვო მოთხრობებში ისტორიული თემატიკის გამოყენების მთავარ პრინციპებზე თეორიული მსჯელობა შეადგენს იაკობ გოგებაშვილის კრიტიკული წერილების ერთ-ერთ ნაწილს. 1897 წელს გაზეთ ივერიაში №61 და №62 გამოქვეყნდა წერილი ,,უძლური ბოროტება“. ეს წერილი პასუხია გაზეთ ,,კვალში“ დაბეჭდილი რეცენზიისა, რომელიც მიეძღვნა ი. გოგებაშვილის მოთხრობას ,,მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“ (,,კვალი“, 1897 წ. №28, გვ. 535-437). აღნიშნულ მოთხრობაში გამოყენებული ისტორიული ფაქტების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია თხზულებებში ისტორიზმის გამოყენების სპეციფიკა და მათი აღმზრდელობითი ფუნქცია. ავტორი აღნიშნავს, რომ მან თავის მიზანს მიაღწია, რამდენადაც შეძლო ამ პატარა მოთხრობით, რადგანაც აღნიშნული მოთხრობის სიუჟეტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ისტორიული ცხოვრების ფაქტებს, ზნე-ჩვეულებებს, ხალხის ფსიქოლოგიასა და ისტორიულ პირთა მოქმედებებს. სწორედ სინამდვილის ამ სახით წარმოდგენით, მწერალმა თავის ისტორიულ მოთხრობებში აღმზრდელობით-პედაგოგიური მიმართულება განავითარა. ,,... მოვახერხე მოთხრობისათვის მიმეცა აღმზრდელობითი მიმართულება, რომელიც ისე ძლიერ უჭირს ხალხს აწინდელ მდგომარეობაში“[1-210]. ისტორიული მოთხრობების დიდი აღმზრდელობითი დანიშნულების გამო მწერალი უღრმავდება ,,ქართლის ცხოვრებას“ და საქართველოს ისტორიის არაერთ ეპიზოდს მხატვრულად წარმოგვიდგენს. ი. გოგებაშვილმა ,,ქართლის ცხოვრების“ საგმირო ეპიზოდები, ერთგვარად ,,სულის ქურაში“ გატარებით გადაამუშავა და ჩვენი ბავშვობის ცხოვრების ნაწილად აქცია ცოტნე დადიანისა და თევდორე მღვდლის, იოთამ ზედგენიძისა და სამასი თავდადებული ქართველის გმირობა. მწერლის ისტორიული მოთხრობების წყაროს წარმოადგენს ქართული საისტორიო მწერლობა: ,,მეფეთა ცხოვრება“, ,,ჟამთა აღმწერელის ისტორია“ და ,,ქართლის ცხოვრება“, რომელთა ნათელმა ფურცლებმა შემოინახა სული საქართველოს გმირული წარსულისა. „ლიტერატურულს წერილს ვამჯობინე ბელეტრისტული ფორმა, რადგან ეს უკანასკნელი ბევრად უფრო ეადვილება ხალხს, ბევრად უფრო ცოცხლად და ძლიერად მოქმედებს მასზედ და დიდს ხანს რჩება მისს გონებასა და სახსოვარში“, [2-210]- წერს ი. გოგებაშვილი. დიდი მხატვრული ოსტატობით ხატავს იაკობი სამშობლო ქვეყნისათვის თავდადებული გმირების

უკვდავ სახეებს. ჩვენს ისტორიულ წარსულში ბავშვთა გაცნობიერებას მწერალი დასაბამიდან იწყებს. ავტორი გვაწვდის პირველ ცნობებს ქართველთა ჭკუითა და მამაცობით გამორჩეულ მეფეებზე. თანმიმდევრობითაა განლაგებული მოთხრობები "პირველი მეფე საქართველოსი ფარნნაოზი", "ვახტანგ გორგასლანი" და ა. შ. იაკობს სურდა თავისი წვლილი შეეტანა მომავალი ქართველი პატრიოტის აღზრდაში, რომელიც თავის ენერგიას არ დაიშურებდა სამშობლოს ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. სამშობლოს ბედნიერებისათვის მებრძოლი მწერალი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნულ საკითხს. ეროვნულობისა და ხალხურობის უპირველეს ნიშნად იაკობს მიაჩნია მშობლიური ენა, ეროვნული ლიტერატურა მშობლიური ქვეყნის ტერიტორიასა და ისტორიასთან ერთად. მწერალს ეროვნულობის დაკარგვა ერის გადაგვარებად მიაჩნდა. ასევე, აუცილებლად მიაჩნდა მშობელი ქვეყნისა და ხალხის წარსულის ცოდნა. მას კარგად ესმოდა, რომ წარსულის ცოდნის გარეშე ადამიანი ვერც აწმყოში გაერკვევა და ვერც მომავლის განვითარების პერსპექტივებს წარმოიდგენს. ამავე დროს უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა მსოფლიოს კულტურული ცივილიზაციის გაცნობას, ყველა საგნის პროგრამა ისე უნდა იყოს აგებული, - აღნიშნავდა დიდი პედაგოგი, - რომ კავშირი ჰქონდეს ცხოვრებასთან, ამასთან, უნდა ისწავლებოდეს მოწინავე ერების კულტურული ცხოვრება, ეთნოგრაფია, სოციალური წყობა და სხვა. სასკოლო პროგრამები ფართო, ყოველმხრივი განათლების საშუალებას უნდა იძლეოდეს. ეროვნულმა სკოლამ უნდა გააცნოს ხალხს მოწინავე პროგრესული იდეები. იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ ახალმა საქართველომ ევროპისაკენ უნდა აიღოს გეზი და არა აზიისაკენ. „წინ ევროპისაკენ ...ამის გამო წარსულიდან უნდა გამოვიტანოთ ეროვნული ნიადაგი და ევროპის ნაწერებში ავარჩიოთ სათესად წმინდა პური...“ [3:237] იაკობ გოგებაშვილი ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანად თვლიდა მაღალზნეობრივი თვისებებით აღჭურვილ პიროვნებას. იაკობის ყველა სახელმძღვანელო თუ საკითხავი წიგნი, მის მიერ დაწერილი მოთხრობა თუ სტატია გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის ერთ პროცესად შეერთების, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განხორციელების მიზანს ემსახურება. ახალგაზრდობაში შრომისმოყვარეობის აღზრდის პრინციპებიდან გამომდინარე იაკობ გოგებაშვილი თავის სახელმძღვანელოებში ("დედა ენა", "ბუნების კარი", "რუსკოე სლოვო") ათავსებდა საგანგებოდ შერჩეულ მხატვრულ მასალას. მწერალი თავის პატარ-პატარა ორიგინალურ მოთხრობებში გადმოგვცემს სწავლისა და შრომის სიყვარულის თემებს. სწავლა-განათლების სიყვარულს ქადაგებს მწერალი მოთრობებში: "სწავლაზე ზარმაცი, ლეკურზე მამაცი", "ზარმაცი და ბეჯითი" , "უსუნო ყვავილი", რომელიც თავისი მორალურ-აღმზრდელობითი ხასიათით გამოირჩევა.

იაკობ გოგებაშვილმა 1868 წელს გამოსცა „ბუნების კარი“. წიგნი მოიცავდა ინფორმაციას ბუნებასა და საზოგადოებაზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. აღნიშნულმა წიგნმა უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ხალხის განათლებისა და სულიერი ცხოვრების ამაღლებაში. “ბუნების კარი” არის სახელმძღვანელო, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდობის ეკოლოგიურ განათლებას. „ბუნების კარს“ წინ უძღოდა ავტორისეული წინასიტყვაობა, რომელიც ღრმად აანალიზებდა სახელმძღვანელოს აგების პრინციპებს, სწავლების იდეურ მიზანდასახულობასა და აღმზრდელობით ფუნქციას. 1896 წელს იაკობ გოგებაშვილმა ამ მიზნით შეადგინა და გამოსცა სპეციალური საბუნებისმეტყველო ნარკვევი: „მოსავლის მცველნი ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები“. ჯერ კიდევ 1865 წელს დიდი პედაგოგი თავისი პირველი სახელმძღვანელოს - „ქართული ანბანის“ - წინასიტყვაობაში შენიშნავდა, რომ ყმაწვილი ბუნების შესწავლის პროცესში ცხადად იგრძნობს ბუნებასთან კავშირს და მას ბუნების შესწავლის პროცესში გაუადვილებს ცოდნის შეძენას. “ბუნების კარში” მოთავსებული მხატვრული მასალა დიდ პედაგოგს უმთავრესად ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან აქვს ამოღებული. საბუნებისმეტყველო მოთხრობებს მხატვრულ ღირებულებებთან ერთად დიდი აღმზრდელობითი ფუნქციაც აკისრია - აყვარებს ბავშვს ბუნებას და ემსახურება მის შესწავლას. იაკობს ჯერ კიდევ „დედა ენაში“ აქვს მოთავსებული განყოფილება „საქართველო“, სადაც მოცემულია საქართველოს გეოგრაფია, მისი დედაბუნება. აღნიშნული მასალა შემდგომში ეხმარება ბავშვს „ბუნების კარში“ მოცემული მასალის უკეთ გარკვევაში. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბუნების გამოყენების გაშუქებას, ბუნების შესწავლასა და დაკვირვებას ექსპერიმენტის მეთოდით, რითაც ბავშვებისათვის ადვილად მისაწვდომი ხდება გარე სამყაროზე დაკვირვება.

"ბუნების კარის" 1912 წლის გამოცემაში საბუნებისმეტყველო მოთხრობები დაყოფილია შემდეგი კლასიფიკაციით: მცენარეები, მოსავლის მცველნი, ოთხფეხნი, მწერები, წელიწადის დრონი, ბუნების მოვლენები. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა არა მცენარეებისა და ცხოველების დაწვრილებით კლასიფიკაციას, არამედ იმას, თუ როგორ ცხოვრობენ ცხოველები და ფრინველები, როგორ იბრძვიან არსებობისათვის, რა ადგილი უკავიათ ბუნებაში და რა დამოკიდებულებაში არიან ცხოველებსა და ადამიანებთან. საბუნებისმეტყველო

მოთხრობებს შემეცნებითი დანიშნულების გარდა ჰუმანიზმის აღზრდის მისიაც აკისრიათ. სიმართლის სიყვარულის, კაცთმოყვარეობის აღზრდა ყოველთვის იყო ლიტერატურის ძირითადი დანიშნულება. სიკეთის გამარჯვების აპოლოგია მოგვცა იაკობ გოგებაშვილმა მოთხრობაში "იავნანამ რა ჰქმნა?" სიკეთის წილ სიკეთე, ბოროტი საქციელისთვის კვლავ სიკეთით პასუხი. ეს ქრისტიანული მორალია გატარებული მოთხრობებში: "თავის გაწირვა მტრისათვის", "სიკეთე ბოროტებისათვის", "გულკეთილი ქვრივი" და სხვა.

იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები ძირითადად მორალურ-დიდაქტიკური ხასიათის მასალაზეა აგებული. მარტივი და ადვილად გასაგებია მისი ნაწარმოებების სტრუქტურა, ლიტერატურული კომპოზიცია, ნათელი, მკაფიო და ცხოველმყოფელია მათი იდეური სამყარო. ენა იაკობ გოგებაშვილის ყველა ნაწარმოების არის ლაკონიური, მისაწვდომი, მიმზიდველი და ხალისიანი, რაც საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ რომ დიდი იაკობის საბავშვო ნაწარმოებებში გარღვეული ზღვარი სადიდოსა და საბავშვო ლიტერატურას შორის.

საბავშვო ლიტერატურის დიდაქტიკურ-შემეცნებითი მხარე საფუძველია მომავალი თაობის წიგნიერების სწორხაზოვანი განვითარებისა. მხატვრული ლიტერატურა პიროვნული ფასეულობების, ესთეტიკური გემოვნებისა და თვითშემეცნების ჩამოყალიბების წყაროა. ერის წიგნიერება საფუძველია სიცოცხლისუნარიანი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისა, მომავალი ძლიერი, ერთიანი და დემოკრატიული ქვეყნის ასაშენებლად.

ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი იაკობ, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I. თბ., 1989.
2. გოგებაშვილი იაკობ, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. II. თბ., 1990.
3. გოგებაშვილი იაკობ, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. III. თბ., 1990.
4. გოგებაშვილი იაკობ, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. IV. თბ., 1990.
5. გოგებაშვილი იაკობ, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. V. თბ., 1990.
6. იაკობ გოგებაშვილი, საგანძური, თბ., 1986.

რეზიუმე

იაკობ გოგებაშვილმა 150-ზე მეტი საბავშვო ნაწარმოები შექმნა. ეს ნაწარმოებები გამოირჩევა მაღალი აღმზრდელობითი პრინციპებით. მისი საბავშვო ნაწარმოებები ათეული წლების მანძილზე დიდ მოწონებასა და აღტაცებას იწვევდნენ როგორც მოზარდებში, ასევე მოზრდილებშიც. სხვადასხვა დროს ცალკე გამოცემის სახით იბეჭდებოდა მოთხრობები: „იავნანამ რა ჰქმნა?!“ (1890), „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „ასპინძის ომი“, „თავდადებული ქართველნი“ და სხვა. აღსანიშნავია, რომ „იავნანამ რა ჰქმნა?!“ ერთ-ერთი თხზულებაა, რომელიც მწერლის სიცოცხლეშივე ითარგმნა ფრანგულად.

საბავშვო ლიტერატურის დიდაქტიკურ-შემეცნებითი მხარე საფუძველია მომავალი თაობის წიგნიერების სწორხაზოვანი განვითარებისა. ი. გოგებაშვილისათვის მხატვრული ლიტერატურა, კერძოდ, საბავშვო მხატვრული ლიტერატურა, ის უმნიშვნელოვანესი იარაღია, რომელმაც თავისი იდეური ზეგავლენით სწორი მიმართულება უნდა მისცეს საზოგადოების განვითარებას.

IAKOB GOGEBASHVILI MAIN MOTIFS OF CHILDREN`S LITERATURE

Neli Champuridze, Professor

RESUME

Iakob Gogebashvili made more than 150 children's stories. These works are distinguished with high educative principles. His stories for children has been liked and admired by teenagers as well as adults for decades. The stories like "What has the Lullaby done?!" , "King Erekle and Ingiloy Girl", "War of Aspindza", "Devoted Georgians " and others have been printed for different times as separate editions. It should be noted that "What has the Lullaby done?!" is one of the works that was translated into French in the author's lifetime.

Didactic-cognitive side of children's literature is the fundament of the right literate Development of the future Generation. I. Gogebashvili's fiction, namely, Children's fiction, is the most important tool, which gives the right direction to the development of society with its ideological influence.

ჰაჯი უსუბის სავარაუდო პროტოტიპი აკაკი წერეთლის თანამედროვე საზოგადოებაში

გიორგი ხორბალაძე, ასოცირებული პროფესორი

ლიტერატურის საკითხებით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველი თუ მკვლევარი ყოველთვის ცნობისმოყვარეობით ეკიდება პერსონაჟის სრულყოფილი ამოცნობისა და მისი შინაგანი სამყაროს გახსნის საკითხს, და თუ ლიტერატურული გმირის სახეს ის ალბათობაც ახლავს, რომ რეალურ სამყაროში პერსონაჟის პროტოტიპიც მოიაზრებოდეს, ეს კიდევ უფრო განსაკუთრებულ ინტერესს სძენს ძიების პროცესს; მით უფრო, თუ, აშკარად არ არის იგი გაცხადებული ნაწარმოებში და მკვლევარის ალღოზეა საკითხის გახსნისა თუ საფუძვლიანი ვარაუდის წამოყენება დამოკიდებული. ჩვენი ინტერესის საგანი წანამდებარე ნაშრომში აკაკი წერეთლის პოემის ,,გამზრდელი" პერსონაჟთა პროტოტიპების რეალურ სამყაროში დაძებნაა, კონკრეტულად კი აქცენტი გაკეთებული გვაქვს ჰაჯი უსუბის პერსონაჟზე, იმდენად, რამდენადაც სოსო სიგუას მიერ საფარ ბეგის შესახებ გამოთქმულმა ვარაუდმა ჩვენი კვლევისათვის ერთგვარი ძაფი მოგვცა ხელში. ასევე არსებობს საინტერესო დეტექტიური ცდა როსტომ ჩხეიძისა ,,26 ივნისის საიდუმლო", რომელშიც ავტორი ზეპირ ინფორმაციასთან ერთად, ეყრდნობა მოკვლეულ მასალებს და ანალიზის საფუძველზე მეტად მნიშვნელოვან ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას. დასახელებულ ნაწარმოებს, მასში განვითარებულ სიუჟეტს, ავტორის მხატვრული სტილიდან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლება შევხედოთ როგორც მკვლევარ როსტომ ჩხეიძის მიერ დამუშავებულ საკითხს და მისივე არგუმენტირებულ ვარაუდებს, რადგან როსტომ ჩხეიძის შემოქმედება ყოველთვის გამორჩეულია იმ მეტად ორიგინალური ხაზით, რასაც მხატვრული გამონაგონისა და მკვლევარის მიერ საფუძვლიანად შესწავლილი რეალური ამბის ურთიერთმიმართება ჰქმნის. ავტორი მხატვრულ გამონაგონს ყოველთვის მხოლოდ იმდენად იყენებს, რამდენადაც საკუთარ მოკვლეულ რეალურ სურათს არ დაარღვევს. ეს როსტომ ჩხეიძის სტილია, რაც, ვფიქრობთ, საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ მისი მხატვრული შემოქმედება, როგორც კვლევის წარმოჩენის ორიგინალური მეთოდი. თუმცა, არსებობს ნინო ვახანიას სტატიაც: ,,შექსპირული ტრაგედიის გმირი (ზუგდიდიდან ხაშურამდე)". ჟურნალში ,,ჩვენი მწერლობა" (№8(242) 2015წ). ჩვენი კვლევის მორიგ ძაფად აღნიშნულ სტატიას გამოვიყენებთ, სადაც როსტომ ჩხეიძე, როგორც მკვლევარი, მხატვრული ფორმების გარეშე აფიქსირებს დასახელებული ნაწარმოების - ,,26 ივნისის საიდუმლო" შინაარსთან დაკავშირებულ მოსაზრებას. სტატია აღნიშნული წიგნის პრეზენტაციას შეეხება, მიმოხილულია მოსაზრებები ივანე მაჩაბლის საოცარი გაუჩინარების საიდუმლოსთან დაკავშირებით. მასშიც, ისევე როგორც დეტექტიურ ცდაში, როსტომ ჩხეიძეს საინტერესოდ აქვს მიმოხილული ილიასა და ივანე მაჩაბლის ურთიერთობა, იმჟამინდელი პოლიტიკური ფონი, მათი უთანხმოების მიზეზები და გარემოებები, და ბოლოს, მეტად საინტერესოდ არის აღდგენილი ივანე მაჩაბლის გაუჩინარების ,,26 ივნისის საიდუმლო"-მდე უცნობი ვერსიები თუ დეტალები.

წინამდებარე კვლევის განსავითარებლად ჩვენთვის უმთავრესი ბიძგის მომცემი აღმოჩნდა როსტომ ჩხეიძის მიერ გაზიარებული სოსო სიგუას ზემოთ დასახელებული მოსაზრება აკაკი წერეთლის პოემის ,,გამზრდელი" შექმნის გარკვეული რეალური და ფსიქოლოგიური ფაქტორების ურთიერთმიმართების თაობაზე. როსტომ ჩხეიძე წერს: ,,მე დავწერე მხატვრულ-დოკუმენტური პიესა, ,,26 ივნისის საიდუმლო'', სადაც ილია ჭავჭავაძე გამოვიყვანე გამომძიებლად, დეტექტივად და კიდეც გავახსნევინე საქმე.

ცნობილია, აკაკი ეტრფოდა ტასო ბაგრატიონ-მაჩაბელს. უძღვნიდა ლექსებს, უგზავნიდა წერილებს. ეს იყო პლატონური სიყვარული და არაფერი მეტი. სოსო სიგუამ ფსიქოანალიზის მეთოდი მოიმარჯვა და ისე წაიკითხა აკაკის „გამზრდელი'', რომელიც პოეტმა მაჩაბლის დაკარგვის შემდეგ მალევე დაწერა. 60 წლის მწერალმა დიდი გზნებით შექმნა ეს ნაწარმოები. დარწმუნებული ვარ, აკაკიმ საკუთარი თავი იგულისხმა საფარ-ბეგში. უკიდურესი სიმძაფრით ამოაფრქვია თავისი განცდები, მე ვარ დამნაშავე, თუნდაც ფიქრშიო.

შეუძლებელია, ილიას გამოუკვლეველი დარჩენოდა ეს ამბები. აკაკიმ ქალის ღირსების გადასარჩენად სიმართლის დამალვა არჩია. ილია არ ეთანხმებოდა, მაგრამ როცა აკაკიმ უთხრა, ტასო თავს მოიკლავს და არც მე ვიცოცხლებო, ილიაც იძულებული გახდა, პირში წყალი ჩაეგუბებინა" [4, 64].

სწორედ როსტომ ჩხეიძისა და სოსო სიგუას მოსაზრებათა კვალდაკვალ, ასევე ჩვენი წინა კვლევის (,,პერსონაჟის ფსიქოლოგიური პორტრეტი - აკაკი წერეთლის პოემის - ,,გამზრდელი" მაგალითზე") გათვალისწინებით, მოგვეცა შესაძლებლობა გაგვეკეთებინა ახალი დასკვნები, რაც ერთგვარი ლოგიკური გაგრძელება გამოვიდა სწორედ ჩვენი ზემოთ დასახელებული კვლევისა. მით უმეტეს, რომ ჩვენს წინა

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებანიც ბუნებრივად დაუკავშირდა პროტაგონისტ-პროტოტიპთა სავარაუდო ჯაჭვს.

ხსენებულ ნაშრომში ჩვენ მიერ მიმოხილულია გამზრდელთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ფსიქოლოგიური ასპექტი, კერძოდ, რას უნდა ნიშნავდეს ბათუს დავალება საფარ-ბეგისადმი: ,,წადი, ნახე ის მოძღვარი, ვინც შვილივით გამოგზარდა, და უამბე შენი პირით, რაც სირცხვილი დაგემართა! ... და მაგ შენი საქციელის პასუხს მისგან მოველიო!“. ფსიქოანალიზის მეთოდის მოშველიებით გაცემულია პასუხი ამ და სხვა რამდენიმე საკითხზე.

რას ელის ბათუ, როგორი უნდა იყოს ჰაჯი-უსუბის პასუხი? აიღებს თუ არა იგი თავის თავზე პასუხისმგებლობას და თუ ვთანხმდებით, რომ სწორედ ესაა გარდაუვალი, ხოლო სხვა შემთხვევაში სულაც აზრი ეკარგება ბათუს დავალებას, მაშინ პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება რა ფორმით შეიძლება განახორციელოს ჰაჯი-უსუბმა? რთული წარმოსადგენი არც ეს უნდა იყოს. იქნებ, ბათუ იმედოვნებდა, რომ საკუთარ თავს სასამართლოში უჩივლებდა ჰაჯი-უსუბი, ან თავს დილეგში გამოიმწყვდევდა? ვსვამთ ამ სარკასტულ შეკითხვებს დასახელებულ კვლევაში და იქვე განვაგრძობთ: ,,მაშ, სხვა რა ქმედებას განახორციელებდა ისეთს, რითაც ღირსეულად უპასუხებდა გამოწვევას? ერთადერთი სრულყოფილი, უალტერნატივო და ადეკვატური პასუხი ბათუსთვის სწორედ რომ პასუხისმგებლობის თვითმკვლელობით გამოხატვაა და, რაც ყველაზე საინტერესოა, ეს თავად ბათუმაც ზუსტად იცის. ამ ერთადერთი სწორი პასუხის გარდა ნებისმიერი ქმედება დაამარცხებდა და ჩირქს მოსცხებდა ჰაჯი-უსუბის გამორჩეულ ავტორიტეტს. ჰაჯი-უსუბი უკვე ჭარმაგია და ცხოვრების განმავლობაში ღირსებაზე მაღლა რომ არაფერი დაუყენებია, სწორედ იმიტომ აქვს ეს ავტორიტეტი. ბუნებრივია, ამას არც ამჯერად დაუშვებდა, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად.

მოსაზრებანი იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება იყოს ბათუს მხრიდან ამგვარი საქციელის მიზეზი, ვფიქრობთ, მეტად საინტერესოა. როგორც აღვნიშნეთ, აშკარაა, რომ ჰაჯი-უსუბი პრაქტიკულად ყველაზე ავტორიტეტული ადამიანია მთელს იმ მხარეში, სადაც მოვლენები ვითარდება, იგი ყველა ,,გვარიშვილის” აღმზრდელია, ის არის იდეალი უამრავი ადამიანისთვის და ყველას სურს, რომ სწორედ მან მისცეს ცხოვრებისეული ცოდნა-გამოცდილება მის შვილს” [6, 5].

ასევე ფსიქოანალიზის დახმარებით გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ ბათუს ჰაჯი-უსუბი უნდა მოვლენოდა, როგორც ერთგვარი კონკურენტი და უმაღლესი თამასა, რომელიც სურს, რომ როგორმე დაძლიოს. ბათუ, როგორც ჩანს, წარმატებით იბრძოდა ამ მიზნის მისაღწევად, თუმცა ,,ზედა ზღვარის” გადალახვა შეუძლებელი აღმოჩნდა, ვინაიდან ჰაჯი-უსუბიც ღირსეულად და უშეცდომოდ აგრძელებდა ცხოვრებას. ამიტომ, რადგან ეს შინაგანი ბრძოლაა პირველობისთვის, ორ ღირსეულ პიროვნებას შორის და არა ხელჩართული ომი, ბათუს, გამარჯვებისთვის, სწორედ ჰაჯი-უსუბის მარცხი სჭირდება. ვფიქრობთ, მას სულაც არ გაახარებდა, რომ ამ მარცხმა მისი ოჯახის შეურაცხყოფაზე გადაიარა, თუმცა, ბათუ ძლიერი, შეუპოვარი და გამჭრიახი პიროვნებაა, რომელმაც კარგად უწყის, რომ ეს სწორედ ის მომენტია, როცა კონკურენტზე წინ უნდა აღმოჩნდეს. მას პიროვნული გამოცდა აქვს ჩასაბარებელი და რადგან შეძლო შურისგებაზე მაღლა დამდგარიყო, ბარემ ჰაჯი-უსუბის პირისპირაც უნდა დადგეს. აი რატომ უგზავნის გამოწვევას საფარ ბეგის გამზრდელს და არა საფარ ბეგს.

ბათუს განწყობა ჰაჯი-უსუბთან მიმართებაში, შესაძლოა, ისევე განვიხილოთ, როგორც ოიდიპოსის კომპლექსის ერთგვარი მონათესავე კომპლექსი, რაც სრულიად მისაღებ ვერსიად მიგვაჩნია იმ ფონზე, რომ ფროიდი დანაშაულის გრძნობას კაცობრიობაში, მთლიანად ოიდიპოსის კომპლექსის ნაშიერად მიიჩნევს და თვლის, რომ დანაშაულის გრძნობა მამის მოკვლის დროს შეიძინეს მის წინააღმდეგ გაერთიანებულმა შვილებმა. ამ შემთხვევაში აგრესია კი არ დაითრგუნა, არამედ განხორციელდა და ეს იგივე აგრესიაა, რომლის დათრგუნვაც ბავშვში დანაშაულის გრძნობას წარმოშობს. როგორც ჩანს, შინაგანი კონფლიქტი ჰაჯი უსუბთან, ბათუსთვის ძუძუმტის მიერ ჩადენილი უზნეობით არ დაწყებულა. სხვა შემთხვევაში გაურკვეველი რჩება, რატომ აკისრებს ის აღსაზრდელზე მეტ პასუხისმგებლობას აღმზრდელს. მაშინ, როცა ამ პოზიციას პოემის ავტორიც კი არ ეთანხმება ერთმნიშვნელოვნად: ,, მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?”, წერს აკაკი.

პოემის გარკვეული ასპექტების განხილვისას აკაკი ბაქრაძე წერს, რომ ,,საფარ-ბეგი, როგორც კი გონს მოეგო, მაშინვე მიხვდა დანაშაულის მთელ სისაძაგლეს. როცა დილით მძინარე საფარ-ბეგი ბათუმ გააღვიძა, პირველი, რამაც ბოროტმოქმედს გაუელვა თავში, იყო:

„არ უთქვამს ქალს, რაც შევცოდე,
ჩანს ნამუსი შეუნახავს.
ჩემს საქციელს, სამარცხვინოს,
ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს?“

აქ ერთმანეთის პირისპირ ორი თანაბარი მშვინვიერი ღირსების კაცი დგას, თუმცა ერთს დანაშაული აქვს ჩადენილი და მეორეს კი- არა", ჩვენ გვიჭირს ამ მოსაზრების გაზიარება, თუმცა ასევე გვიჭირს დავიჯეროთ, რომ აკაკი ბაქრაძე საკმარისად მიიჩნევს დამოწმებულ სტრიქონს იმისათვის, რომ ,,ორი თანაბარი მშვინვიერი ღირსების კაცი" უწოდებს საფარ-ბეგსა და ბათუს აღწერილ ვითარებაში, მაგრამ, თუ დავაკვირდებით საფარ-ბეგისადმი ერთგვარი შემწყნარებლობითი და თანაგრძნობითი დამოკიდებულება ავტორის მიერ, იმთავითვე გატარებულია პოემაში და მკვლევარიც ფაქტიურად ავტორის ხაზის გაგრძელების შედეგად აკეთებს ასეთ შეფასებას, რაშიც განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი არაფერია, თუმცა ასევე არ შეიძლება უყურადღებოდ დაგვრჩეს ერთგვარი ფსიქოლოგიური ხაზი დამოწმებული სტრიქონისა, საფარ-ბეგი ჩვეულებრივი ადამიანია და მას ადამიანური სისუსტეები აიძულებენ, ჩადენილ დანაშაულზე უფრო მეტად მისი გამხელის ეშინოდეს. აქაც ფროიდს დავესესხებით: ,,ადამიანები მუდმივად აძლევენ თავს უფლებას, დაუშვან მათთვის სასურველი ბოროტება, თუ ამის შესახებ ავტორიტეტი ვერაფერს შეიტყობს, ან არ დაისჯებიან ამისათვის - და ამ შემთხვევაში, მათი შიში მხოლოდ მხილების შიშია" [2,24]. ნათლად ჩანს, რომ საფარ-ბეგს მის თავს დატრიალებულ საშინელ ფაქტზე ნაკლებ არ ანაღვლებს, ამ ფაქტის სხვისთვის საცნაურად გახდომა-არ გახდომის ამბავი, ისევე როგორც ამ უკანასკნელის მნიშვნელობას ხაზს უსვამს თავად ავტორიც, ხოლო ე.წ. ,,ნამუსის შენახვის" საკითხი ასევე უმთავრესია ივანე მაჩაბლის გაუჩინარების ისტორიის როსტომ ჩხეიძისეულ ვერსიაში. აქედან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც სოსო სიგუას მიაჩნია: საფარ-ბეგის სახით შესაძლოა ავტორი საკუთარ თავს ექცეოდეს სასტიკად და ახდენდეს შინაგანი თვითკრიტიკული განცდების უტრირებას, მაშინ გამოდის, რომ ბათუს სახით მოაზრებულია ივანე მაჩაბელი, ხოლო თუ მსგავს ჯაჭვს გავყვებით და დავუშვებთ ამ ლოგიკას, მაშინ არ არის საფუძველს მოკლებული, ვივარაუდოთ, რომ ჰაჯი-უსუბის პერსონაჟსაც უნდა ჰყავდეს რეალური პროტოტიპი. აკაკისა და ივანე მაჩაბლის თანამედროვე საზოგადოებაში ვინ გვეგულება ადამიანად, რომელიც ბევრის მასწავლებელია, საზოგადოებისთვის გამორჩეული ავტორიტეტია, რომლის სიტყვასაც უსმენენ და რომელსაც მტყუან მართლის განსჯისას ენდობიან. ვფიქრობთ, რთული მისახვედრი არ უნდა გახლდეთ. ამდენად, თუ (როგორც სოსო სიგუა ვარაუდობს) საფარ-ბეგი თავად ავტორის სახიდანაა გამოძერწილი, ბუნებრივად, ბათუ ივანე მაჩაბლის თავისებური, მხატვრული ტრანსფორმაციის შედეგად ჩამოყალიბებული პერსონაჟი გამოდის.

განხილული ვარაუდები უდიდეს საფუძველს გვაძლევს ჰაჯი-უსუბი ილია ჭავჭავაძის პროტოტიპად მოვიაზროთ. ილია იდეოლოგიური წინამძღოლი და ავტორიტეტი იყო ივანე მაჩაბლისთვისაც და აკაკისთვისაც, ხოლო ბათუსა და ჰაჯი-უსუბს შორის არსებული იდუმალი კონფლიქტის ფსიქოლოგიური ფაქტორებით, რომელიც წინა კვლევაში დაწვრილებით გვაქვს მიმოხილული, არ არის გამორიცხული, აკაკი წერეთელს ილიასა და ივანე მაჩაბლის კონფლიქტი (რა თქმა უნდა მხატვრული ინტერპრეტაციით) აესახა პოემაში. აქ შესაძლოა მკითხველს კითხვა დაებადოს, ილიას თავი არ მოუკლავს და არც არასდროს უფიქრია თავის მოკვლაზე, ეს შეუსაბამობა ხომ არ აცლის საფუძველს ჩვენს ვარაუდს? როსტომ ჩხეიძე დარწმუნებულია, რომ ილიამ იცოდა (შეიტყო) ივანე მაჩაბლის გაუჩინარების და ამ ფაქტში აკაკის როლის შესახებ, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატები ამ თემით ,,ხელმარჯვედ" სპეკულირებდნენ და ილიას სახელს გულმოდგინედ სვრიდნენ ტალახში, მან სიკვდილამდე ხმა არ ამოიღო ამ ამბის შესახებ, ,,ნამუსი შეუნახა" აკაკისაც და ივანე მაჩაბელსაც. რა თქმა უნდა, დაინტერესებული მკითხველი, უთუოდ დასვამს შეკითხვას: კი, მაგრამ, სად ჩანს ამ არგუმენტში თვითმკვლელობის ელემენტი? რაზედაც ჩვენი პასუხი ასეთია: მსგავსი მორალური ტვირთის საკუთარ თავზე აღება, მართალია პირდაპირი მნიშვნელობით თვითმკვლელობის აქტს არ წარმოადგენს, თუმცა, თავგანწირვა უდაოდ გახლავთ, ხოლო თავგანწირვასა და თვითმკვლელობას შორის გარკვეული ერთგვაროვნების ნიშნები ამ კონკრეტულ ვითარებაში ძალზედ მჭიდროდ იკვეთება. ამიტომ, გვგონია, რომ ჰაჯი-უსუბი სწორედ ილიას პროტოტიპია, რომელმაც თავი გასწირა და, პრაქტიკულად, საკუთარ თავზე აიღო 26 ივნისის საიდუმლოს სიმძიმის უდიდესი წილი.

შესაბამისად, წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ჰაჯი-უსუბის პერსონაჟის პროტოტიპის გამოკვეთა, რა თქმა უნდა, არ ვფლობთ უტყუარ საბუთს დაბეჯითებით ვამტკიცოთ ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრების ჭეშმარიტება, თუმცა ფაქტია, რომ ჩვენი ვარაუდი ლოგიკური გაგრძელებაა იმ წინარე მოსაზრებებისა, რომლებიც თავისთავად (მიუხედავად მათი ავტორებისადმი ღრმა პატივისცემის და იმისა, რომ ჩვენც მეტწილად ვიზიარებთ მათ დამოკიდებულებას ამ საკითხებისადმი), ასევე ვერ გასცდებიან ვარაუდის ფარგლებს, კონკრეტული დოკუმენტური საბუთის არ არსებობის გამო. მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია და თვალშისაცემი საკითხის სხვადასხვა რაკურსი, პერსონაჟთა ჯაჭვი, განვითარებული ისტორიული რეალობა და პოემის სიუჟეტური ქარგა, რომელიც

მკვლევრებს გვაძლევს შესაძლებლობას ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩამოვყალიბდეთ საერთო მოსაზრებებზე, ასევე დამოუკიდებლად განვავითაროთ და სრულვყოთ საკითხის სხვადასხვა დეტალები. ბუნებრივია, ერთი საკითხის გახსნა, როდესაც ის ქმნის მეორე საკითხის გახსნის გასაღებს, ძალიან მნიშვნელოვანი არგუმენტია, რათა გამოთქმული ვარაუდები სარწმუნოდ იქნას მიჩნეული. მით უფრო, რომ წინამდებარე კვლევისა და მასში დასახელებული სხვა კვლევების მიხედვით, ყოველი არსებული კითხვა პასუხთან დაწყვილებული ხოლო ყველა გასაღები საკითხებზე ლოგიკურად მორგებული წარმოჩინდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც სოსო სიგუას, როსტომ ჩხეიძისა და ჩვენი მოსაზრებების თანხვედრა განაპირობებს საკითხის ერთიან ჭრილში აღქმას და საკმაოდ მკვეთრი ფერებით ხატავს პერსონაჟთა გალერეის დასრულებულ სურათს, წინამდებარე ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებანი თუ ვარაუდები, ვფიქრობთ, იძლევა შესაძლებლობას განსხვავებული რაკურსით ჩავუღრმავდეთ, როგორც თავად პოემას, ასევე მისი პერსონაჟების პროტოტიპებთან დაკავშირებულ არაერთ საკითხს. ასეთი კვლევები ხელს უწყობს ტექსტის აღქმასა და არსებული გარემოს უფრო შთამბეჭდავ წარმოჩენას.

ლიტერატურა:

1. წერეთელი აკაკი, ლექსები, პოემები., თბილისი, 1992, გვ. 240
2. ფროიდი ზიგმუნდ, ფსიქოანალიზი (თარგმანი გერმანულიდან. მთარგმნელი და რედაქტორი ვიტალი კაკაბაძე. საგამომცემლო ფირმა ,,სიახლე''), თბილისი, 2005, გვ. 272
3. ბაქრაძე აკაკი, ,,სკოლას", გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2013, გვ. 460
4. ჟურნალი ,,ჩვენი მწერლობა" №8 (242) 2015, გვ. 62-66
5. კაშია ჯანრი, თხზულებანი, ტ. 1, ,,გველის მჭამელი", თბილისი, 2013, გვ. 344
6. ხორბალაძე გიორგი, *დადებითი გმირის შესაძლო უარყოფითი რაკურსი აკაკის პოემის „გამზრდელი" მაგალითზე* (გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ოთარ ჩხეიძის სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი, აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 20 ივნისი, 2015 წ.)

რეზიუმე

ლიტერატურის საკითხებით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველი თუ მკვლევარი ყოველთვის ცნობისმოყვარეობით ეკიდება პერსონაჟის სრულყოფილი ამოცნობისა და მისი შინაგანი სამყაროს გახსნის საკითხს, და თუ ლიტერატურული გმირის სახეს ის ალბათობაც ახლავს, რომ რეალურ სამყაროში პერსონაჟის პროტოტიპიც მოიაზრებოდეს, ეს კიდევ უფრო განსაკუთრებულ ინტერესს სძენს ძიების პროცესს; მით უფრო, თუ, აშკარად არ არის იგი გაცხადებული ნაწარმოებში და მკვლევარის ალღოზეა საკითხის გახსნა თუ საფუძვლიანი ვარაუდის წამოყენება დამოკიდებული. ჩვენი ინტერესის საგანი წანამდებარე ნაშრომში აკაკი წერეთლის პოემის ,,გამზრდელი" პერსონაჟთა პროტოტიპების რეალურ სამყაროში დაძებნაა, კონკრეტულად კი აქცენტი გაკეთებული გვაქვს ჰაჯი უსუბის პერსონაჟზე,

ჩვენი მოსაზრებების თანხვედრა კი, პარალელურ საკითხებთან მიმართებაში სხვა მკვლევართა მიერ გამოთქმულ ვარაუდებთან, განაპირობებს საკითხის ერთიან ჭრილში აღქმას და საკმაოდ მკვეთრი ფერებით ხატავს პერსონაჟთა გალერეის დასრულებულ სურათს, წინამდებარე ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებანი თუ ვარაუდები, ვფიქრობთ, იძლევა შესაძლებლობას განსხვავებული რაკურსით ჩავუღრმავდეთ როგორც თავად პოემას, ასევე მისი პერსონაჟების პროტოტიპებთან დაკავშირებულ არაერთ საკითხს. ასეთი კვლევები ხელს უწყობს ტექსტის აღქმასა და არსებული გარემოს უფრო შთამბეჭდავ წარმოჩენას.

HAJI-USUB`S ALLEGED PROTOTYPE IN THE MODERN SOCIETY OF AKAKI TSERETELI

Giorgi Khorbaladze, Associate Professor

RESUME

Any reader or researcher who is interested in literary issues is always curious to reveal the true character of a hero, his/ her inner personality, and in case the literary hero supposedly has a prototype in real life, it makes the revealing process even more interesting, moreover, if the hero is not completely revealed in the work, and it depends on the researcher`s skill to disclose the issue or present a grounded speculation. The subject of our interest in the current paper is to find prototypes of the characters of Akaki Tsereteli`s poem "Gamzrdeli" (Upbringer), particularly, we focus on the character of Haji-Usub.

Our opinions coincided with the suppositions of other researchers about the similar issues. It leads to the perception of the issue in one perspective and paints the final picture of the gallery of characters using rather bright colors. The opinions and suppositions expressed in the current paper give the opportunity to plunge not only into the poem from another angle, but to discuss the issues relating to the prototypes of the characters. Such kind of research helps better perceive the text and show the existing world more impressive.

განათლება
Education

დეფექტები ოჯახური აღზრდის პროცესში

ციური ბაქრაძე, ასოცირებული პროფესორი

აღზრდა, ეს არის ყოველი ეპოქისათვის აქტუალური თემა. ბავშვი ჩნდება და განვითარებას იწყებს ოჯახში, რომელიც მისი პირველი საარსებო გარემოა. ამ გარემოს ძვირფასი ადამიანები – დედა, მამა, და–ძმა და სხვა ადამიანები ქმნიან, რომელთა ურთიერთობის ხასიათი, კულტურის დონე, იდეალები და მისწრაფებები დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ფორმირებაზე.

საოჯახო აღზრდას, სამწუხაროდ მხოლოდ პოზიტიური მხარე როდი გააჩნია, მის შედარებით გავრცელებულ სახეს ნეგატიური ფორმა წარმოადგენს. ბავშვმა, რომელმაც სრულად ვერ მიიღო მშობლიური სიყვარული, ხშირად იზრდება უხეში, ბოროტი, გულგრილი სხვათა განცდების მიმართ, არ არის კომუნიკაბელური, ან კიდევ ჩაკეტილი, უკარება და ზედმეტად მორცხვი ხდება. გ. თავზიშვილი აღნიშნავდა, რომ „ არის შემთხვევები, როცა დიდის სიყვარულის გარემოში გაზრდილ, ნალოლიავებ და ნაპატიებ „პატარა ადამიანში" ადრე ვითარდება ეგოიზმისა და ეგოცენტრიზმის, უდარდელობის, ნებიერობის, პატივმოყვარეობისა და პირმოთნეობის მონაცემები." (3, 218)

თუ ოჯახში არ არის ჰარმონია, თუ ბავშვი განიცდის არაზნეობრივი გარემოცვის გავლენას, აგრესიას, მის მიმართ უარყოფით ემოციურ დამოკიდებულებას, ასეთ ოჯახში ხშირია გართულებები ბავშვის განვითარებაში.

<u>ერთიან მოთხოვნათა უქონლობა</u>

ბავშვის აღზრდაზე ცუდად მოქმედებს უფროსების მხრივ არაერთიანი მოთხოვნა. ერთი ბავშვს რაღაცას უკრძალავს, მერე ნებას რთავს, ერთი – უწყრება, მეორე – ეფერება, ამიტომ, ერთი მშობლით განაწყენებული შვილი მეორეს აფარებს თავს. ზოგჯერ გარკვეულ პრობლემას ქმნის ბებიების, პაპების და ოჯახის სხვა წევრების მონაწილეობა ბავშვის აღზრდაში. მათზე ძალიან დიდი შრომა მოდის, ხოლო იქ, სადაც დედ-მამა მუშაობს, მათი როლი კიდევ უფრო იზრდება. მადლობის მეტი რა ეთქმით, მაგრამ არის ერთი გარემოება, ზოგჯერ ისინი თავის დროზე საკმაოდ მკაცრნი იყვნენ საკუთარი შვილებისადმი, უაღრესად დამთმობნი კი ხდებიან შვილიშვილების მიმართ. მათ ჰგონიათ, რომ მხოლოდ ამ გზით შეუძლიათ მოიპოვონ მათი სიყვარული, ამიტომ სათანადო ტაქტით, ზომიერების დაცვით ვთხოვთ მათ, რომ არ დაუშვან შვილიშვილების მიმართ ჩვენი მოთხოვნების ზემოქმედების გაუფასურება.

<u>მოუცლელობა</u>

სამწუხაროდ, ბევრ ბავშვს აკლია მშობლის მზრუნველობა, მისი სისტემური ზემოქმედება, როგორც იტყვიან „მისი ხელი“ გამოწვეული მშობლების მოუცლელობით. ცხადია, მშობლის არ ყოფნაში ბავშვზე ვიღაც ზრუნავს, მეტწილად ბებიები, პაპები ან ძიძა. როგორი ორგანიზებულიც არ უნდა იყოს ბავშვის მოვლა, რომელშიც ცოტას მონაწილეობენ მშობლები, ა. ზახაროვი აღნიშნავდა, რომ „მას არ შეუძლია აღმზრდელობითი მოქმედების კომპენსირება, ვერ ცვლის დედის და მამის განსაკუთრებულ როლს შვილის აღზრდაში.“ (2, 208) ოჯახის წევრები და ახლობლები მხოლოდ უნდა ეხმარებოდნენ მშობლებს შვილების აღზრდაში. მთელი ამ ფუნქციის მათზე დაკისრება შეცდომაა, საქმე შვილის გაზრდა კი არა, არამედ მისი აღზრდაა და ამ საქმეში მშობელი შეუცვლელია.

სამწუხარო ისაა, რომ საკმაოდ დიდი ნაწილი ახალგაზრდა მშობლებისა დამოუკიდებლად იმისა, არსებობს ამის საჭიროება თუ არა, შვილის აღზრდის მთელ საქმეს ოჯახის უფროს წევრებს გადააბარებენ. თვითონ კი სტუმარივით დროდადრო თუ მოეფერებიან საკუთარ შვილებს.

მოუცლელობა ორგვარია: ნამდვილი მოუცლელობაა, როცა ორივე მშობელი მუშაობს და იძულებულნი არიან მათ არ ყოფნისას შვილი სხვებს ჩააბარონ. მშობლიური სითბო, ალერსი და სიყვარული ასეთ ბავშვსაც აკლია, მაგრამ ის მაინც ერთგვარი იძულებითაა გამოწვეული. სამაგიეროდ, ზოგჯერ მოუცლელის როლში გამოდის მშობელი, რომელსაც მშვენივრად შეუძლია დღის უდიდესი ნაწილი შვილთან გაატაროს და მის აღზრდაზე იზრუნოს. ბავშვი მომვლელთან ჰყავს, მაგრამ ჰყავს კი მას ისეთი აღმზრდელი, როგორიც მშობელი უნდა იყოს? ერთი რამ ცხადია, მშობლის როლს შვილის აღზრდაში ვერავინ შეცვლის და მოდად ქცეული ბავშვის აღზრდის საქმის ძიძისთვის გადაბარება ხშირად ბავშვის მომავალს პრობლემებს უქმნის.

<u>მშობლების გაყრის შედეგი</u>

კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ მშობლების გაყრის შემთხვევაში ბავშვები ხშირად ნევროზულები ხდებიან. განსაკუთრებით ბიჭები განიცდიან უმამოდ დარჩენას. შ. ნადირაშვილი მიუთითებდა, რომ „შვილის აღზრდა მშობელთა სისტემური, უწყვეტი კონტაქტის გარეშე უფრო სერიოზული პრობლემაა, ვიდრე ამის შესახებ ბევრი მშობელი ფიქრობს. თანაც, რაც უფრო ადრეულ ასაკში ხდება ეს, მით უფრო უარესია.“ (4, 27)

როგორც მკვლევარები მიუთითებენ, თუ შვილი გარემოსილია სისტემატური მზრუნველობითა და სიყვარულით, მაშინ მშობლიური სიყვარულის ასეთი გამოვლენა ბავშვში იწვევს საკუთარი მეს ღირებულების განცდას. როცა ბავშვები ამაყობენ იმით, რომ ცხოვრობენ დედასთან და მამასთან ერთად, ისინი ბევრ რამეში ბაძავენ მათ, ღებულობენ მათგან მაგალითს. ასეთ ოჯახებში ბავშვები გაუცნობიერებლად ემსგავსებიან საყვარელ მშობლებს და შედეგად თავად ხდებიან მოსიყვარულენი.

ბავშვში სიყვარული ვითარდება იმ სიყვარულის წილ, რაც მათ მშობლებისგან მიიღეს. ვერაფერი შეცვლის მშობლის უშუალო კონტაქტს შვილთან, მის პირად მაგალითს. მშობლის გონივრული ნათქვამი, კარგი დარიგებები, დიდად არაფერს ნიშნავს, თუ შვილი მასთან ახლოს არ არის, არ სურს შეიძინოს ის, რასაც ურჩევენ.

<u>ნეიტრალიზმი აღზრდაში</u>

არის მშობელთა ერთი ნაწილი, რომელიც ყველანაირ მატერიალურ პირობებს უქმნის შვილს ნორმალური ზრდა–განვითარებისათვის: კარგი კვება, ჩაცმა, კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება, მაგრამ გულგრილად ეკიდება ბავშვის აღზრდის საკითხს, მასში ხასიათის დადებითი თვისებების ჩამოყალიბებას, ყურადღებას არ აქცევს მის აკადემიურ მოსწრებას, დისციპლინას და როცა სკოლაში იბარებენ გაკვირვებული საყვედურობს პედაგოგებს – ბავშვის სწავლება და აღზრდა თქვენი სკოლის საქმეა, ამიტომ კეთილი ინებეთ და მოუარეთ მას. ო. რულიე აღნიშნავდა, რომ „ბავშვის აღზრდის საქმეში სრული უპასუხისმგებლობა ერთ–ერთი მიზეზია ოჯახის მარცხისა“. (5, 203) თუ დედ–მამა გულგრილნი არიან შვილის სწავლისა და საზოგადოებრივი საქმიანობის, მათი სულიერად აღზრდის მიმართ, ეს აუცილებლად გამოიწვევს ბავშვის მისწრაფებას წარმოშობილი „სულიერი ვაკუუმი“ შეავსოს ოჯახის გარეთ, შემთხვევითი, საეჭვო ნაცნობების საშუალებით. ბავშვის სწავლებისა და აღზრდის საქმეში სკოლასა და ოჯახს შორის მტკიცე კავშირის უნდა ასრსებობდეს, რაც იმას გულისმობს, რომ ისინი აქტიურად უნდა ზრუნდავდნენ ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის.

<u>აპოლოგია აღზრდაში</u>

ძალიან ცუდია, როცა ბავშვის სიყვარულით „დაბრმავებული“ მშობლები აზვიადებენ ბავშვის ნიჭსა და უნარს. ისეთ თვისებებს მიაწერენ მას, რაც მას არ გააჩნია, თანაც ყველაფერი ეს ხდება შვილის თანდასწრებით, თანდათანობით კი ბავშვს მართლაც უყალიბდება გადაჭარბებული შეხედულება საკუთარ თავზე, ხდება პრეტენზიული და როცა სინამდვილეში ეს არ მართლდება, მოსდის კონფლიქტი,

უჭირს შეეგუოს იმ სოციალურ გარემოს, სადაც მის უნარ–ჩვევებს სწორად აფასებენ. ო. რულიე ამბობდა, რომ: ბავშვი, რომელსაც დასაწყისში ყოველივე ამისა სჯერა, თანდათანობით იქცევა თავმომწონე, თავდაჯერებულ პრანჭიად ან უსირცხვილო, გონებაშეზღუდულ მკვეხარად, რომელიც იმდენად სასაცილოა თავის თავზე შეხედულებაში, რამდენადაც უსიამოვნო საკუთარ თავდაჯერებულობასა და ბაქიაობაში (5, 215)

მშობლები ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ სტუმარს, რომელმაც უნდა მოისმინოს მათი შვილის სიმღერები, ლექსების დეკლამირება, თანაც უნდა გამოიჩინოს აღტაცება ყოველივე ამის გამო, მაგრამ ხშირად გასაოცარი და აღტაცებაში მოსაყვანი არაფერია. წარმოვიდგინოთ, რომ მართლაც საუცხოო სმენა აქვს, მუსიკალური ნიჭის კარგ მონაცემებს ამჟღავნებს ან კარგი მეხსიერება აქვს და ბევრ ლექსებს იმახსოვრებს, ეს ძალიან კარგია, მაგრამ მშობელი გარეშე პირთა თანდასწრებით არ უნდა ახდენდეს შვილის ნიჭის აფიშირებას, ერთია ზრუნვა ბავშვის ნიჭის განვითარებაზე, მეორეა მისი გაზვიადება, აპოლოგია, ბავშვისათვის თავის თავზე დიდი წარმოდგენის შექმნა. პირველი კარგია, მეორე – ცუდი, და ამ ცუდს უნდა ერიდოს ყველა, ვისაც სურს, რომ მისი შვილისგან კარგი პიროვნება დადგეს.

ზოგჯერ მშობელი შეუგნებლად უვითარებს ბავშვს მიუღებელ ჩვევას, რომელიც შემდეგ ხასიათის თვისებად იქცევა. გ. ვეიმერი ამბობდა, რომ „მახსენდება დედა, რომელსაც უხაროდა, როცა მისი პირმშო პაწია ხელებით სცემდა ლოყაზე მასაც და გარეშეებსაც. ის ამაში ხედავდა ბავშვის ცნობიერებაში თავისი ძალის შეგნების გაღვიძების ნიშანს და სიამაყით ფიქრობდა, რომ მისი ბიჭი თავს არავის დააჩაგვრინებდა და მართლაც, ის არავის აჩაგვრინებდა თავს, ექვსი წლისა ის სცემდა და ეჯიკავებოდა დედას, როცა სურვილს არ უსრულებდა“ (1, 344)

ბავშვის აღზრდაში ბევრი ისეთი „წვრილმანია“, რომლის მნიშვნელობა ზოგჯერ არ გვესმის, ცხოვრებაში კი ხშირად ვიყენებთ. ასე მაგალითად, ბავშვი მაგიდას დაეჯახა ან სკამი გაუცურდა და იატაკზე დაეცა, ის, რომ დაამშვიდონ მუშტით სცემენ მაგიდას, სკამს, „დაზარალებული“ მშვიდდება კიდეც, მაგრამ ცუდი საქმე გავაკეთეთ – ბავშვს ამით უვითარებთ შურისძიების მოთხოვნილებას, სჯობდა მისთვის გვეთქვა: – ფრთხილად იყავი, ნახე როგორ წაიქეცი, ეცადე, მომავალში არ მოგიხდეს ასეთი რამ, თუ იტირებს მალე დამშვიდდება, სამაგიეროდ გაფრთხილდება და შურისძიების გრძნობა არ განუვითარდება.

<u>შვილის გამორჩევა</u>

უაღრესად ცუდია, როცა მშობლებს შვილებიდან ერთ–ერთი გამორჩეული ჰყავთ და განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენენ მის მიმართ, კიდევ მეტი, მშობლები ზოგჯერ სხვა შვილების თანდასწრებით ამბობენ, რომ გამორჩეული შვილი განსაკუთრებით უყვართ და ასე შემდეგ. შვილებისადმი ასეთ დამოკიდებულებას ორი სახის ცუდი შედეგი მოსდევს. ჯერ ერთი, „გამორჩეული“ შვილი იზრდება განებივრებული, ეგოისტი, რომელიც მხოლოდ საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებაზე ზრუნავს, ხოლო და–ძმების და გარეშეთა სურვილებსა და მოთხოვნებს არაფრად აგდებს. მეორე მხივ, უნდობლობა, შუღლი და ზოგჯერ სიძულვილიც კი ღვივდება შვილებს შორის. და–ძმა რომ ერთმანეთს გადაჰკიდონ ამაზე ცუდი რა უნდა გაუკეთონ მშობლებმა შვილებს? მშობელს არა აქვს გაცნობიერებული მათი ქცევის მოსალოდნელი ცუდი შედეგი, შინაგანად უკუაგდოს აზრი იმის შესახებ, რომ ერთ–ერთი შვილი უფრო უყვარს, თანდათანობით შვილებისადმი მათი დამოკიდებულებაც წონასწორდება, თანაბრად გაუნაწილებს მათ სიხარულსა და სიტკბოს, ჭეშმარიტად მშობელსაც შეუძლია აღიზარდოს შვილების აღზრდის პროცესში.

<u>ბავშვის განებივრება</u>

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბავშვი უდიდესი სიხარულის მომტანია მშობლებისათვის და სრულიად გასაგებია ამ უკანასკნელთა განსაკუთრებული ალერსი, მზრუნველობა და ყურადღება შვილებისადმი, მაგრამ ყველაფერს თავისი ზღვარი აქვს. გადაჭარბებული მზრუნველობა, ბავშვის ყველა მოთხოვნისა და სურვილის შესრულება არ არის მიზანშეწონილი. ბავშვზე მზრუნველობა, მისი ასაკის შესაბამისად უნდა მნ იცვლებოდეს. არ შეიძლება ერთნაირად მიუდგეთ სამი, შვიდი და თორმეტი წლის ბავშვსა და მოზარდს, მათი პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭიროა ვაზიაროთ სულიერ, ფიზიკურ და სოციალურ აღზრდას. ხშირია შემთხვევა, როცა დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გასულ ახალგაზრდას სახლში არაფრისთვის მოუკიდია ხელი. მშობლებმა ის ისე გაზარდეს, „ნიავიც კი არ მიუკარებიათ“, შედეგიც სახეზეა, უსუსური, ცხოვრებისათვის მოუმზადებელი მუქთახორა შეეძინა საზოგადოებას. ასეთი ახალგაზრდა ისევ მშობლების „სათრევია“ სანამ ცოცხლობენ. საკმარისია რაიმე საქმეში ვერ აღმოუჩინონ დახმარება, რომ მთელი მათი ნაამაგარი წყალშია ჩაყრილი, შეიძლება სიბერის ჟამს არც მიხედონ თავიანთ მშობლებს. სამწუხაროდ ასეთი მაგალითები ცოტა როდია. ზოგჯერ მშობელს, ვინც ანებივრებს თავის შვილს, სმენია ბავშვის ასეთი აღზრდის მავნებლობის შესახებ, მაგრამ როცა საქმე

საქმეზე მიდგება, თავს ვერ იკავებენ და ცუდად ზრდიან შვილებს. უფრო ხშირად განებივრებულები დედისერთა შვილები გამოდიან. გ. შუკინი აღნიშნავდა, რომ „ მარტოხელა შვილის აღზრდა გაცილებით უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე რამდენიმე ბავშვისა“. (6, 208) ამბობენ, მარტოხელა ბავშვები ხშირად ეგოისტები იზრდებიანო, ეს სწორია, მაგრამ თვითონ „მარტოხელობა“ არ არის ამისი მიზეზი, ეგოიზმის ჩამოყალიბება არასწორი აღზრდის შედეგია, მარტოხელობა ქმნის იმის პირობას, რომ მშობლებმა დაკარგონ ზომიერების გრძნობა და გაანებივრონ შვილი, შედეგი კი ზოგჯერ სავალალოა. კარგი მატერიალური პირობები და ფული ცხოვრების საშუალება უნდა იყოს და არა ამპარტავნული ყოყოჩობისა. ასეთი ოჯახებიც მოუწესრიგებელ ოჯახთა კატეგორიას ეკუთვნიან, რომლებიც ძნელად აღსაზრდელ ბავშვებს უხსნიან გზას ცხოვრებაში.

როცა მშობელი ხვდება თავის შეცდომას, უკვე გვიანია და უსულგულო, უმადური, არც ისე იშვიათად უსაქმური შვილის სწორ გზაზე დაყენება თუ შეუძლებელი არა, ძნელია, ბევრი მშობელი ჩივის შვილის აღზრდაში დაშვებულ შეცდომებზე.

ხშირია, როცა მშობელი ყოველგვარ საოჯახო საქმეს თვითონ აკეთებს, რადგან შვილები ეცოდება, არ დაიღალონ, სიბერის დროს კი ეს შვილები ეგოისტურად ექცევიან, მოსამსახურედ ჰყავთ მშობლები და უმნიშვნელო პროტესტზე შეურაცხყოფასაც კი აყენებენ, ისინი თვლიან, რომ ასე უნდა მოექცნენ ავადმყოფ და უძლურ მშობლებს, რადგან მოხუცი მშობლები „სიცოცხლეს უმწარებენ“ შვილებს. აი, ასეთი მწარე სიბერე ერგება მას, ვინც შვილებს სათანადოდ ვერ აღზრდის, ვერ ასწავლის ავისა და კარგის გარჩევას, არ აღზრდის რელიგიურად. აღზრდაში დაშვებულ შეცდომებს კი ყოველთვის ასეთი შედეგი მოყვება. როგორც ვხედავთ გადაჭარბებული ზრუნვა და განებივრება ფსიქიკურად ამახინჯებს ბავშვს. ავუხსნათ, რატომ და რისთვის ვუკრძალავთ რაღაცას, რატომ არ ვასრულებთ ყველა მის მოთხოვნას, ვიყოთ ობიექტურები შვილის ამხანაგთან კონფლიქტის განსჯისას. ხელი შევუწყოთ მათ ემფატიკურ ადამიანებად ჩამოყალიბებას.

ამდენად, ოჯახურ აღზრდაში დაშვებულ შეცდომებს სხვადასხვა კონტექსტში ზოგადად შევეხეთ, ეს, რა თქმა უნდა, მიზეზთა სრული ჩამონათვალი არ არის. აღზრდა ყველაზე რთული პროცესია, შეცდომის დაშვება კი ყოველთვის ნეგატიური შედეგით მთავრდება. მართალია, ვისაც შვილი ჰყავს ყველა მშობელია, მაგრამ ყველა მშობელი აღმზრდელი როდია. აღზრდა ყველაზე უფრო მრავალმხრივი, რთული, საპასუხისმგებლოა, ვიდრე ადამიანის მიერ ნებისმიერი სხვა საქმიანობა.

ლიტერატურა:

1. ვეიმერი გ., ოჯახური აღზრდა, მოსკოვი, 1968.
2. ზახაროვი ა., ოჯახური აღზრდის დეფექტები, ლენინგრადი, 1974.
3. თავზიშვილი გ., რჩეული ნაწერები, ტ. 3, თბილისი. 1979.
4. ნადირაშვილი შ., სკოლაში სააღმზრდელო მუშაობის აქტუალური პრობლემები, გამომცემლობა „პირველი სტამბა“, თბილისი, 2000.
5. რულიე ო., ბავშვის აღზრდა, მოსკოვი, 1999.
6. შუკინი გ., პედაგოგიკა სკოლაში, მოსკოვი, 1977.

რეზიუმე

აღზრდა არის ყოველი ეპოქისათვის აქტუალური თემა. ბავშვი ჩნდება და განვითარებას იწყებს ოჯახში, რომელიც მისი პირველი საარსებო გარემოა. ამ გარემოს ძვირფასი ადამიანები დედ–მამა, და–ძმა და სხვა ადამიანები ქმნიან, რომელთა ურთიერთობის ხასიათი, კულტურის დონე, იდეალები და მისწრაფებები დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ფორმირებაზე.

ბავშვის აღზრდაზე ცუდად მოქმედებს უფროსების მხრივ ერთიან მოთხოვნათა უქონლობა. ბევრ ბავშვს აკლია მშობლის მზრუნველობა, მისი სისტემური ზემოქმედება გამოწვეული სხვადასხვა მიზეზებით. სხვის მიერ, როგორი ორგანიზებულიც არ უნდა იყოს ბავშვის მოვლა, ვერ ცვლის დედის და მამის როლს შვილის აღზრდაში. ნეიტრალიზაცია, როცა მშობელი გულგრილად ეკიდება ბავშვის სწავლების და აღზრდის საქმეს, ის მხოლოდ შვილს კარგად კვებავს და აცმევს, ამაში ხედავს მშობლის მოვალეობას.

ზოგჯერ მშობელი აპოლოგიურად განეწყობა და აზვიადებს შვილის უნარსა და ნიჭს, ბავშვს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ ის განსაკუთრებულია და უფიქსირებს გადაჭარბებულ შეხედულებას საკუთარ

თავზე. ბავშვის ფსიქიკაზე უარყოფითად აისახება მშობლების გაყრის შემთხვევებიც. მათში ხდება საკუთარი მეს ღირებულების განცდა. ბავშვი სიყვარულით ვითარდება, იმ სიყვარულის ნაწილს კი, რასაც ისინი მშობლებისგან იღებენ, ვერაფერი შეცვლის.

აღზრდაში ცუდ შედეგს იძლევა ბავშვის განებივრება. ის ცხოვრების გზაზე უსაქმურად, მუქთახორად ყალიბდება და შემდეგ მოხუცი მშობლებისაგან კვლავ მოითხოვს მათ კმაყოფაზე ყოფნას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მშობლები სახლიდანაც გაყაროს.

შვილის გამორჩევა უდიდესი შეცდომაა მშობლისა, რადგან ეს ხელს უწყობს და–ძმებს შორის შუღლის გაღვივებას, ერთმანეთის მიმართ უპატივისმცემლობას.

ნაშრომში, „ოჯახურ აღზრდაში დაშვებულ შეცდომებს“ სხვადასხვა კონტექსტში ზოგადად შევეხეთ. ეს არ იქნება სრული ჩამონათვალი.

აღზრდა ყველაზე რთული პროცესია, შეცდომის დაშვება კი ყოველთვის სავალალო შედეგით მთავრდება. ბავშვის აღზრდაში მარტო სკოლა ვერაფერს გახდება თუ მშობლების მხარდაჭერას არ ექნება ადგილი. მხოლოდ ერთობლივი ღონისძიებით შეიძლება სასურველი შედეგის მიღწევა.

MISTAKES, WHICH ARE MADE IN FAMILY EDUCATION

Tsiuri Bakradze, Associate Professor

RESUME

The education is an actual issue in any age of human being. The child is born and began to develop in his/her family, which is his first living environment. This environment is made from his dearest people such as mother, father, sister and brother and other close relatives. The levels of the culture, behavior, ideals and characters of these people have a great affect in forming of the teenager.

The different demands by the side of parents during the education of their child have a very bad effect. A lot of children are suffering from the lack of their parents care, which are caused from different reasons. The role of the parents in education of their children is unique. But there is a neutralism by the side of parents when they just do they best on dressing and feeding they children and pay less attention on their education.

Sometimes the parents exaggerate the skills and abilities of their children. The children are made a particular thought and false imagine on themselves. The divorcing of their parents also has a suffering affects on the child's psychical mental. For developing a healthy human being with strong personal character, it is necessary loving care of their parents during bringing up the children. The part of the love and care when the children get from their parents is unchangeable.

The parents should not grow bolder their children, which cause regrettable results for the children's future life. Such a child is forming as idler, lazy-bones and afterwards he/she again request special care and are fully depend on their parents, otherwise maybe they turn out the parents.

Education is the most difficult process and any mistake ends up with poor result. In education of children the only role of school is not enough if it has not got a support of parents. For desirable results school and family must join together.

აღმზრდელის როლი და მისი პროფესიონალური მიმართულება

მზია გოგიაშვილი, დოქტორი

აღმზრდელის როლი მოზარდი თაობის აღზრდაში განსაკუთრებით დიდია. მას მინდობილი აქვს ყველაზე ძნელი და საპასუხისმგებლო საქმე - ჩამოაყალიბოს კაცთმოყვარე, კულტურული და პატრიოტი პიროვნება. ფრანგი განმანათლებლის ჟან-ჟაკ რუსოს აზრით, აღმზრდელი არის ადამიანობის სახელოსნოს ოსტატი და ეს ხელობა ყველაზე რთული და ხანგრძლივია. აღმზრდელი ბავშვის ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს.(1.) აღმზრდელის წარმატება დამოკიდებულია სკოლამდელი დაწესებულებების, ოჯახისა და საზოგადოების შეთანხმებულ მუშაობაზე.

სკოლამდელი ასაკი არის პერიოდი, როდესაც ბავშვი ფიზიკურად, ინტელექტუალურად და პიროვნებად ვითარდება. სკოლამდელ ასაკში უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ ის, თუ რისი სწავლა შეუძლია ბავშვს, არამედ ისიც თუ რა ფსიქიკური და ფიზიკური ენერგიის ხარჯზე მოხდება სწავლა. ამ ასაკის ბავშვებისათვის მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ სწავლების ფორმა, ხოლო მათი სწავლება სასურველია თამაშის სახით მიმდინარეობდეს.

სწავლების პროცესში მთავარ როლს ბავშვი ასრულებს. აღმზრდელი უზრუნველყოფს გარემოს, სადაც ბავშვს შეეძლება დანახვა, მოსმენა, შეგრძნება.

აღმზრდელის მთავარი ამოცანაა დახმარება გაუწიოს ბავშვებს, რათა მათ ხარისხიანად და დროულად შეასრულონ დავალება. დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლამდელთა საქმიანობის განაწილებას, დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებას, მუშაობის დაწყებას და თავის დროზე დამთავრებას. ასევე სკოლამდელი დაწესებულების მიზანია ბავშვის ფსიქიკური პროცესების აღქმის, მეხსიერების, აზროვნების, მეტყველებისა და პიროვნული თავისებურებების განვითარების ხელშეწყობა.

ჯგუფური აქტივობების სახით მიმდინარეობს აღზრდა-სწავლება სკოლამდელ დაწესებულებებში. აღმზრდელი ითვალისწინებს სკოლამდელების ინდივიდუალურ თავისებურებებს, ცოდნის დონეს უყვება ახალ შინაარსებს და უვითარებს ახალ ჩვევებს. აღმზრდელია ბავშვის საქმიანობის მონაწილე, აღმზრდელი ეხმარება სირთულეების დაძლევაში, უსწორებს შეცდომებს და აძლევს რჩევებს. რადგან ბავშვის ძირითადი საქმიანობა თამაშია, ფართოვდება თამაშის თემატიკა. სათამაშო საქმიანობის სტრუქტურა რთულდება, უმჯობესდება კონტაქტების განვითარებისა და თამაშში ურთიერთდამოკიდებულების ხელმძღვანელობა.

აღმზრდელი სტიმულს აძლევს ბავშვებს საზროვნო უნარების განვითარებაში. ისინი სწავლობენ სხვადასხვა საგნის დასახელებას (ქვედა დონის საზროვნო უნარი), ამოიცნობენ და ერთმანეთს უდარებენ საგნებს, მათ ნიშან-თვისებებს (მაღალი დონის საზროვნო უნარი).

სკოლამდელ ასაკში მნიშვნელოვანია ის, თუ სწავლების რა მეთოდებს იყენებს აღმზრდელი ბავშვის ფიზიკური, შემეცნებითი, სამეტყველო თუ სოციალური სფეროების განვითარებისათვის. როდესაც არ არის გათვალისწინებული ასაკობრივი ჯგუფის თავისებურებები, ბავშვებში იწვევს უარყოფით დამოკიდებულებას სწავლისადმი, ეს კი პრობლემას შეუქმნის ბავშვს სკოლაში, რაც გააღრმავებს მისი არასრულფასოვნების განცდას და შემდგომ იმოქმედებს ბავშვის ფიზიკურ ჯანმრთელობაზე.

სკოლამდელი ასაკის ბოლოსათვის ბავშვებს საგრძნობლად აქვთ განვითარებული ინტელექტუალური ძალები და სწავლისათვის საჭირო აქტივობის მოთხოვნილება, რისი დაკმაყოფილების ადგილსაც სკოლა წარმოადგენს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკოლამდელ დაწესებულებაში აღზრდა-სწავლება თამაშის ფორმით მიმდინარეობს. ამ დროს აღმზრდელი სიტყვიერ მინიშნებებს აძლევს ბავშვებს, ყურადღებას ამახვილებს სათამაშოს ძირითად თავისებურებებზე და უჩვენებს მოქმედებებს. წარმართავს და ასრულებს ბავშვის მიერ დაწყებულ თამაშს, შეაქვს ახალი შინაარსი და ახსენებს ნაცნობ შინაარსს. აღმზრდელის მინიშნებით ბავშვებისათვის მნიშვნელოვანი ხდება როლი, ის როლი, რომელსაც ბავშვი თამაშის დროს ასრულებს..

აღმზრდელის ურთიერთობა ბავშვებთან არ გამოიხატება მარტო ორგანიზაციის ფორმებით, ხდება ქცევის შეფასება, ეხმარება სიძნელეების დაძლევაში. ურთიერთობა ბავშვსა და აღმზრდელს შორის ასევე მიმდინარეობს სხვადასხვა საქმიანობის პროცესში. აღმზრდელი მოითხოვს ბავშვებმა გამოავლინონ ერთმანეთის მიმართ მზრუნველობა, ამ დროს ღრმავდება ურთიერთობა და იქმნება კეთილგანწყობილი ატმოსფერო. აღმზრდელი ატარებს ინდივიდუალურ მუშაობას მეცადინეობას, სადაც ბავშვის განვითარების პირობებია გათვალისწინებული.

აღმზრდელმა ხელი უნდა შეუწყოს ასევე ბავშვებში მაღალი დონის საზროვნო უნარების განვითარებას, დაუსვას მათ საზროვნო კითხვები და წარმართოს დისკუსია. კითხვებს მოყვება კამათი, აღმზრდელი კი დაეხმარება ბავშვებს პასუხების გაცემაში. სწავლება გრძელდება მეცადინეობის გარეშეც, თამაშში, შრომასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ვიცით, რომ აღზრდა განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია. აღზრდის პროცესში ხორციელდება ბავშვის მიერ ცოდნის შეთვისება, უნარების, ჩვევების, ზნეობრივი ნორმების, ქცევის წესებისა და ათვისების შეფასება. აღზრდის შინაარსის შერჩევა ხორციელდება მისი მიზნების შესაბამისად. (2)

საბავშვო ბაღში მეცადინეობის დროს აღმზრდელი ითვალისწინებს ბავშვის განვითარების კონკრეტულ პირობებს, ხარისხს, ტემპს, ანუ აღმზრდელს მხედველობაში აქვს შეთვისების ეტაპები, რომელიც ხორციელდება მეცადინეობის დროს.

აღმზრდელმა უნდა იცოდეს, რა სათამაშო უყვართ ბავშვებს, ვინ ვისთან თამაშობს. არიან თუ არა ბავშვები დამოუკიდებლები. თამაშის დროს როგორ ვითარდება ბავშვის თამაში ასაკიდან ასაკამდე, როგორ იცვლება და მდიდრდება თამაშის შინაარსი, როგორ რთულდება თამაში და როგორ იცვლის ბავშვი საქციელს თამაშის დროს.

რადგან თამაში წამყვანი ფორმაა ბავშვის ცხოვრებაში, აღმზრდელი აწყობს თამაშებს და ვარჯიშებს, რათა ბავშვებს მეტი ურთიერთობა ჰქონდეთ როგორც თანატოლებთან, ისე უფროსებთან. ე.ი თამაშის დროს ისინი სწავლობენ და ვითარდებიან. სწორედ თამაშის დროს უვითარდებათ ბავშვებს წვრილი და მსხვილი მოტორიკა. ხდება მათი კოგნიტური განვითარება. ასევე თამაშის დროს უვითარდება ბავშვს მეტყველებისა და კომუნიკაციის უნარები.

აღმზრდელი ხელს უწყობს ბავშვთა შორის თანამშრომლობას და ამ უნარის განსაზღვრის მიზნით იყენებს სხვადასხვა აქტივობას. ასეთი აქტივობა საშუალებას აძლევს აღმზრდელს დაინახოს ისეთი სტრატეგიები, რომლებსაც ბავშვები იყენებენ თანამშრომლობისათვის. ასევე აღმზრდელი ხელს უწყობს ბავშვთა შორის კეთილგანწყობილ ურთიერთობებს, რომ ისაუბრონ ბავშვებმა ერთმანეთთან, მოუსმინონ ერთმანეთს, დაუსვან კითხვები და მოუსმინონ პასუხებს. აღმზრდელმა ისე საინტერესოდ უნდა წაიყვანოს მათი საუბრები, რომ ბავშვებმა ისწავლონ რიგითობის დაცვა, სხვისი მოსმენა, ერთმანეთთან კითხვების დასმა და შეეძლოთ ურთიერთგაგებისა და ერთმანეთის დაფასების უნარების გამომუშავება. აღმზრდელი ასწავლის ბავშვებს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას, დაასახელონ პრობლემის მოგვარების საკუთარი ვერსიები და შესთავაზოს პრობლემის მოგვარების გზა, ფორმა და შეარიგოს ბავშვები. აღმზრდელმა ასევე უნდა გამოიყენოს ჯგუფის პოზიტიური მართვისა და ქცევის პოზიტიური გაძღოლის სტრატეგიები.

ყველა აღმზრდელს აქვს ჯგუფის მართვის საკუთარი სტილი, ისინი ისე მართავენ ჯგუფს, რომ იყოს მეგობრული და უსაფრთხო გარემო ბავშვებისათვის. აღმზრდელი ბავშვებთან ერთად შეიმუშავებს ჯგუფში ქცევის წესებს, მეგობრული ატმოსფეროს შექმნას.

აღმზრდელი პატივს სცემენ ბავშვებს, ზრუნავს მათზე, ასწავლის რომ ბავშვები პატივისცემით მოეპყრონ ერთმანეთს, მოუფრთხილდნენ გარემოსა და ნივთებს. ასეთ გარემოში ბავშვი გრძნობს, რომ მას აფასებენ, ამყარებენ ერთმანეთთან პოზიტიურ დამოკიდებულებას და ეხმარებიან ერთმანეთს. ბავშვი გრძნობს პატივისცემას, როდესაც აღმზრდელი მას მიმართავს სახელით. არ აყენებს შეურაცხყოფას, არ ამცირებს, არ უგულებელყოფს. ესაუბრება თავაზიანად, ეხმარება ბავშვებს მოუსმინონ ერთმანეთს, აღმზრდელი პატივს სცემს ბავშვების სურვილს, დამოუკიდებლად განახორციელონ ესა თუ ის აქტივობა.

აღმზრდელი ხელს უწყობს ბავშვებს, გამოხატონ პატივისცემა სხვების მიმართ, იყვნენ თავაზიანი და გულისხმიერნი. გამოხატონ თანაგრძნობა, თანადგომა. ამიტომ აღმზრდელი მთელი დღის განმავლობაში იყენებს მრავალ შესაძლებლობებს ბავშვების წახალისებისათვის. აღმზრდელი ასეთი ქმედებით ბავშვებს უვითარებს ემოციურ თანაგრძნობას, კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას. ასევე აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს საკუთარი ბრაზის მართვაში. აძლევს საშუალებას გამოხატოს ბრაზი, მაგრამ აგრესიული ქცევისა და კონფლიქტის გარეშე. კარგია, როდესაც ჯგუფთან მუშაობის დროს აღმზრდელი იყენებს იუმორს - პოზიტივისათვის.

რთული ქცევის ბავშვების დახმარებისათვის აღმზრდელი მიმართავს მშვიდ ურთიერთობებს, სთავაზობს ალტერნატიულ გზებს. ბავშვებთან ერთად ერთვება როლურ თამაშებში, რათა ბავშვები დაარწმუნოს, რომ პრობლემის მოგვარების გზები არსებობს. იმ ბავშვებთან, რომლებსაც ახასიათებთ ხშირი აგრესიულობა და ბრაზი, აღმზრდელი ვალდებულია ითანამშრომლოს მშობლებთან და დახმარება გაუწიონ ბავშვებს. აღმზრდელი მშობლებს აცნობს ბავშვების ცოდნის იმ მოცულობას, რომელიც უნდა ჰქონდეს სკოლამდელს სკოლაში შესვლის დროს. ვიცით, რომ ერთი და იგივე ასაკის ბავშვები შესაძლებლობების მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამიტომ აღმზრდელმა თავი უნდა შეიკავოს ბავშვების გადაჭარბებული და არასაკმარისად შეფასებისაგან, რადგან ბავშვების უმრავლესობა არ არის მიჩვეული ისეთ კითხვებს, რომლებიც მოითხოვენ მაღალი სააზროვნო უნარების გამოყენებას. ამიტომ აღმზრდელს მოუწევს განუვითაროს ბავშვებს ეს უნარები და დაეხმაროს მათ შემოქმედებით, ანალიტიკურ და პრაქტიკული სააზროვნო უნარების განვითარებაში. ასევე აღმზრდელი აცნობს მშობლებს იმ მოთხოვნებს, რომელსაც სკოლა უყენებს ბავშვს, რას მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება, რის შესახებ ესაუბრონ, რა წაუკითხონ და როგორ გამოიყენონ აღზრდის მიზნით ესა თუ ის ნაწარმოები. (3)

აღმზრდელს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია ბავშვთა აღზრდის საკითხებში. ის უნდა იყოს თავისი საქმის პროფესიონალი. საფუძვლიანად იცოდეს აღსაზრდელთა ინდივიდუალური თვისებები და მისი პირადი მაგალითით და ქცევით მისაბაძი იყოს.

განსაკუთრებით უყვარდეს ბავშვები, იყოს მომთხოვნი და სამართლიანი შემფასებელი მათ ქცევებში. იყოს თავმდაბალი, გამოიჩინოს სულგრძელობა და მოთმინება ბავშვების მიმართ.. აღმზრდელს უნდა ჰქონდეს პედაგოგიური ნიჭი, ოსტატობა, ტექნიკა. აღმზრდელის მთავარი ამოცანაა დაეხმაროს ბავშვებს რომ მათ ხარისხიანად და დროულად შეასრულონ

მიცემული დავალება, აჩვევს დავალებების დამოუკიდებელ შესრულებას, საქმისადმი შეგნებულ მიდგომას და მათი მოქმედების კონტროლს.

პედაგოგიკის მეცნიერებათა ფუძემდებელი ი. ა. კომენსკი სწავლებისა და აღზრდის ცენტრალურ ფიგურად თვლის აღმზრდელს, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს ყველა იმ თვისებით, რომელთა შემუშავებასაც იგი ცდილობს თავის აღსაზრდელში...“ ისინი დაყენებულნი არიან მაღალ საპატიო ადგილზე, რომ მათ ჩაბარებული აქვთ საუცხოო თანამდებობა, რომლის უკეთესიც მზის ქვეშ არაფერი შეიძლება იყოს“. აღმზრდელის თვისებათა შორის კომენსკი პირველ რიგში აყენებს საქმის ერთგულებას, ენციკლოპედიურ განათლებას, ზნეობრივ სიწმინდეს, ღვთისმოსაობასა და ბავშვის სიყვარულს.

მაშასადამე, აღმზრდელის ინტერესებზე, საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე მორგებული გარემო უნდა შეიქმნას, რათა მოხდეს ბავშვების პოტენციალის სრულად გამოვლენა და დაინერგოს ისეთი სასწავლო პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს ოჯახურ, კულტურულ და ინდივიდუალურ თავისებურებებს. აღმზრდელი მხოლოდ მაშინ შეძლებს ბავშვის სწავლისა და განვითარების, მოტივაციის, ჩართულობის ხელშეწყობას, თუ გაითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ განსხვავებებს.

ლიტერატურა:

1. ვ. გაგუა, პედაგოგიკა, თბ., 1996.
2. ბაგა-ბაღის აღმზრტდელ-პედაგოგი, პროფესიული სტანდარტი, თბ., 2015.
3. სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში სწავლისა და განვითარებისათვის, აღმზრდელის სახელმძღვანელო, საპილოტე ვერსია, თბ., 2015.

რეზიუმე

აღმზრდელს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია ბავშვთა აღზრდის საკითხებში. ის უნდა იყოს თავისი საქმის პროფესიონალი, საფუძვლიანად იცოდეს აღსაზრდელთა ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებები. განსაკუთრებით უყვარდეს ბავშვები, იყოს მომთხოვნი და სამართლიანი შემფასებელი მათ ქცევებში. იყოს თავმდაბალი, გამოიჩინოს სულგრძელობა და მოთმინება ბავშვების მიმართ. აღმზრდელს უნდა ჰქონდეს პედაგოგიური ნიჭი, ოსტატობა, ტექნიკა. აღმზრდელის მთავარი ამოცანაა დაეხმაროს ბავშვებს რომ მათ ხარისხიანად და დროულად შეასრულონ მიცემული დავალება, აღზრდის პროცესში ხორციელდება ბავშვის მიერ ცოდნის შეთვისება, უნარების, ჩვევების, ზნეობრივი ნორმების, ქცევის წესებისა და ათვისების შეფასება. აღმზრდელმა ხელი უნდა შეუწყობს ბავშვებში მაღალი დონის საზროვნო უნარების განვითარებას.

TUTOR’S ROLE AND PROFESSIONAL DIRECTION

Mzia Gogiashvili, Doctor of Pedagogical Sciences

RESUME

A tutor has a great responsibility in upbringing questions of children. She/he should be professional, have thorough knowledge of children’s individual and age-related characteristics. She/he should love children, be objective in evaluating their behavior. She/he should be modest, tolerant and patient towards them. A tutor should have pedagogical talent, mastership, and technique. The main aim of a tutor is to support children in doing their tasks.

The process of upbringing children is accompanied with evaluation of their knowledge, skills, ethical norms, behavior and skill of studying. A tutor should support them gain skills for developing high level thinking.

მოსწავლეთა მოტივაციის პრობლემის კვლევა

პაატა ქურდაძე, პროფესორი

როგორც ცნობილია, ტერმინი მოტივაცია წარმოდგება ფრან. motif, ლათ. move - ვმოძრაობ. არსებობს მოტივაციის რამოდენიმე განმარტება: მოტივაცია არის ადამიანის ფსიქიკაში რაიმე ქმედების განზრახვა, სურვილი; მოტივაცია ეს არის ადამიანის უნარი დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები რაიმე ქმედების მეშვეობით; მოტივაცია არის დინამიკური ფსიქოლოგიური პროცესი, რომლითაც იმართება ადამიანის ქმედება, განისაზღვრება მისი ორგანიზების მიმართულება, აქტივობა და მდგომარეობა, გარკვეული მიზნის მისაღწევად. მაგალითად, შიმშილი არის მოთხოვნილება, ჭამის სურვილი არის მოტივი, ხოლო საჭმელი, რომელსაც ადამიანი მოიპოვებს, არის მიზანი.

ფსიქოლოგები გამოყოფენ მოტივაციის რამდენიმე სახეს. ჩვენი კვლევისათვის საინტერესოდ მივიჩნიეთ შემდეგი; შემეცნებითი მოტივაცია, ინდეტიფიკიციკალური (ვინმეს დახმარება) მოტივაცია, სოციალური და თვითგანვითარების მოტივაცია. ფსიქოლოგიაში არსებობს მოტივაციის რამოდენიმე თეორია. ეს თეორიები ძირითადად ორი სახისაა:

ა. მოტივაციის შინაარსობრივი თეორიები;

ბ. მოტივაციის პროცესუალური თეორიები.

შინაარსობრივი თეორიები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტორების ანალიზზე, რომელიც საფუძვლად უდევს მოტივაციას, ანუ მათი მიზანია ადამიანთა ქმედების განმსაზღვრელ მოთხოვნილებათა გამოვლინება. ამ სახის თეორიებიდან გამოჰყოფენ: ა. მასლოუს, ფ. ჰერცბერგის და დ. მაკლენდის თეორიებს. მაგალითად, მასლოუს მიხედვით ადამიანის მოთხოვნები, რომელნიც გავლენას ახდენენ მოტივაციაზე, მეტად რთულია. მან ეს მოთხოვნები ხუთ კატეგორიად დაჰყო:

1. ფიზიოლოგიური მოთხოვნები;
2. მომავლის რწმენისა და უსაფრთხოების;
3. სოციალური მოთხოვნილებები;
4. პატივისცემის მოთხოვნილებები;
5. თვით გამოხატვის მოთხოვნილებები.

შინაარსობრივი თეორიების ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის მომენტი, რომ რეალურ ცხოვრებაში მოთხოვნილებების გაჩენა ადამიანში არ მიმდინარეობს მკაცრად განსაზღვრული იერარქიული სქემის მიხედვით, მათი წარმოშობა დამოკიდებულია მრავალ სიტუაციაზე. მიუხედავად ამისა, ამ თეორიების საფუძველზე კარგად იყო განსაზღვრული მოთხოვნილების რაობა, როგორც პიროვნების მოტივაციის ფაქტორი.

მოტივაციის პროცესუალურ თეორიებში განხილულია პრობლემა სხვა კუთხით. ამ თეორიის ავტორები არ უარყოფენ მოთხოვნილებების როლს მოტივაციაში, მაგრამ ძირითად ფოკუსირებას ახდენენ იმაზე, თუ რა აიძულებს ადამიანს, მთელი თავისი ძალისხმევა და ქმედება მიმართოს დასახული მიზნის მიღწევისაკენ. ასეთი თეორიების რიცხვს განეკუთვნება: ბ. ვრუმის მოლოდინის თეორია, ჰ. ლოუპერის სამართლიანობის თეორია და დ. მაკრეგორის მოტივაციის თეორია. ეს რაც შეეხება მოტივაციის ზოგად მიმოხილვას.

მოტივაცია ადამიანის ქმედებისა და მოღვაწეობის ყველა სფეროს მოიცავს, რომელთა შორის ყველაზე რთული ჩვენი აზრით სწავლისა და შემეცნების ქმედების მოტივირებაა, განსაკუთრებით მზარდობის ასაკში, რადგან ადამიანის განვითარების ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ისეთი სათანადო ფსიქიკურ-შემეცნებითი უნარები და ჩვევები, რომელიც აუცილებელია სწავლის მოტივაციის, სურვილის წარმოშობისათვის, საჭირო მიზნის განსაზღვრისა და დასახვისათვის. მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივაციის კვლევის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი სამი მნიშვნელოვანი მომენტი:

1. მოტივაცია არ არის თანდაყოლილი ფენომენი, არამედ ის შეძენილია;
2. მოსწავლეებს უნდა შთავაგონოთ, რომ ის, რასაც მათ ასწავლიან, შესაძლებელია ისწავლონ;
3. პედაგოგებს კარგად უნდა გვქონდეს გათვითცნობიერებული, რომ მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივირება ჩვენი პროფესიული საქმიანობის ქვაკუთხედი და ძირითადი ასპექტია.

ამიტომ, ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ და ვიცნობდეთ იმ ფაქტორებს, რომელნიც განაპირობებენ მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივირებას და აქტივობებს. ეს ფაქტორები ძირითადად შეიძლება ექვს ნაწილად დავყოთ:

1) **დაფიქრებულობის დონე.** ეს ის ფაქტორია, რომელიც არკვევს, თუ რამდენად აღელვებს მოზარდს ის, რაც არ იცის, ვერ ისწავლა და ამიტომ აქვს გარკვეული დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, ან ისწავლა და აქვს კმაყოფილების გრძნობა. ეს მოსწავლეში იწვევს შეშფოთებას. ადრეულ (საბჭოთა) პედაგოგიკაში შეშფოთება და აღელვება განიხილებოდა, როგორც უარყოფითი, ნეგატიური ფაქტორი სწავლის პროცესში. დღეისათვის მიღებულია, რომ მოსწავლის დოზირებულ შეშფოთებას და ღელვას მის განწყობაში, ისწავლოს უფრო მეტი და უფრო კარგად, დადებითი როლი ენიჭება. ეს შეშფოთება და აღელვება იმის შესახებ, რომ რაღაცა არ იცის და საჭიროა, რომ იცოდეს, გარკვეულწილად მობილიზაციას უკეთებს სწავლისადმი ინტერესს, რის გამოც, ეს უკანასკნელი მოსწავლეთა მოტივირებაში და მის ამაღლებაში მნიშვნელოვანი ფაქტორია. რადგან ამ მომენტისათვის მოსწავლეს უკვე უჩნდება გრძნობა, რომ ცოდნა აუცილებელია მისთვის, მისი შემდგომი ცხოვრებისათვის. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი, ძირითადი და გამწყვეტი მნიშვნელობისაა მოსწავლეთა სწავლისადმი დაინტერესებისთვის. რაც ასევე, ძირითადი მომენტია მოსწავლეთა ნებისყოფის გამომუშავებაში;

2) **შემეცნებითი გრძნობადი თვისებების წინ წამოწევა.** მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაციისათვის, მისი გრძნობადი სამყაროს მაქსიმალური ჩართვისათვის სასწავლო შემეცნებით პროცესში, დიდად არის დამოკიდებული შესწავლის მასალის მოცულობა და ხარისხი. მოსწავლის გრძნობები სწავლის პროცესში გაწმენდილი უნდა იყოს გარემოს ნეგატიური პროცესებისაგან. ამისათვის საჭიროა მოსწავლეებს შევუქმნათ დადებითი ემოციური ფონი და სასურველი გარემო;

3) **წარმატება.** მოსწავლეთა მოტივაციის მესამე ფაქტორია წარმატების შეგრძნების განცდა. ისმის კითხვა, თუ როდის აღიქვამს წარმატებას ადამიანი მაქსიმალური კმაყოფილებით? ადამიანი წარმატებისაგან მით უფრო მეტ სიხარულს იღებს მაშინ, როდესაც ამ წარმატებას აღწევს დიდი შრომით, ხოლო, თუ ის აღწევს წარმატებას ნაკლები ძალისხმევით, იოლად, ასეთ შემთხვევაში, მიღებული წარმატება გაუბრალოებულია. მოსწავლეთა წარმატება, გარდა პიროვნული თანდაყოლილი თვისებისა და ძალისხმევისა, დამოკიდებულია ასევე ორ სხვა ფაქტორზე. პირველი ეს არის შესასწავლი მასალის სირთულის ხარისხი და მეორე – მოსწავლეთა შეფასება. შესასწავლი მასალის სირთულის ხარისხი ისეთნაირად უნდა იყოს შერჩეული, რომ ის იყოს მოსწავლისათვის, მისი ფსიქოლოგიურ ფიზიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე კომენსკის მისაწვდომობის პრინციპის ფარგლებში ეტეოდეს, ანუ ის არ უნდა იყოს ისე მარტივი, რომ მოსწავლეს ინტერესი დაუქვეითდეს მისადმი და არც ისე რთული, რასაც მისი გონება ვერ დასძლევს. თუ მასალა ასეთნაირად არის შერჩეული, მაშინ მოსწავლე მზად არის „ინტელექტუალური“ ნახტომისათვის. რაც შეეხება შეფასებას, ის უნდა იყოს ობიექტური, გარკვეულწილად მკაცრი, მაგრამ უნდა შეიცავდეს წახალისების შინაარსსაც.

4) **ინტერესი**. ჩვენი აზრით, ეს არის საბაზისო ფაქტორი, რომელიც ჩნდება დაფიქრების შედეგად და მასზე უნდა იყოს დაშენებული ყველა სხვა დანარჩენი, ანუ სწავლის მოტივირებაში ის არის წარმმართველი. უნდა გვახსოვდეს, რომ ინტერესი არ იბადება, ის შეძენილია ცხოვრებაზე დაკვირვებისა და აღზრდის შედეგად. მოსწავლის სწავლისადმი დაინტერესება შეძლება იყოს ობიექტური, ე. ი. თვითონ იყოს მოსწავლე დაინტერესებული. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მიზანია ამ ინტერესის გაძლიერება. მეორე, შეიძლება მოსწავლე არ იყოს სწავლისადმი დაინტერესებული, მასთან ჩვენ მოგვიწევს უფრო მეტი ძალისხმევა მისი დაინტერესებისათვის, რაც, არც თუ ისე მარტივია დღევანდელ რეალობაში (ამ საკითხს ქვემოთ უფრო ვრცლად შევეხებით), ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა მოსწავლეს ისე მივაწოდოთ ახალი მასალა, რომ მასში გამოიწვიოს განცვიფრება, დააფიქროს, რაც შემდგომში გამოიწვევს მის დაინტერესებას.

5) **მოტივაციის შინაგანი და გარეგანი ფაქტორები.** მოტივაციის შინაგანი და გარეგანი ფაქტორები ეს არის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფენომენი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სწავლასა და მიზანს. შინაგანი ფაქტორებით განპირობებული მოტივაცია მაშინ ვლინდება, როდესაც მოსწავლის მთავარ მიზანს წარმოადგენს მიიღოს კმაყოფილება სწავლის პროცესისაგან. აქ გვინდა მასწავლებლებს მივცეთ რეკომენდაცია. მათ თავის მუშაობაში უნდა გაითვალისწინონ ადამიანის შინაგანი ბუნების ზოგადი თანდაყოლილი თვისება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ყოველგვარ საქმიანობაში მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე გაურბის ტკივილს და მიისწრაფის სიამოვნებისაკენ. აქედან გამომდინარე, მასწავლებელმა სასწავლო პროცესი ისე უნდა წარმართოს, რომ ის მოსწავლისათვის იყოს სასიამოვნო, ეს უკანასკნელი გააქტიურებს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ფაქტორს. ამისგან განსხვავებით, თუ მოსწავლე სწავლობს მხოლოდ იმიტომ, რომ მიიღოს კარგი, მაღალი შეფასება, მაშინ აქ საქმე გვაქვს მოტივაციის გარეგან ფაქტორთან. ამიტომ, ზოგიერთი ავტორის მიხედვით, შინაგანი მოტივაცია არის „წმინდა“ თვითნაბადი განძი, ხოლო მისგან განსხვავებით, გარეგანი მოტივაცია გარკვეული გაგებით „ცოდვითი“ ხასიათის მატარებელი. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებისა, მოსწავლეთა

მოტივაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს მიწოდებული ინფორმაციის მოცულობასა და შინაარსს. მოსწავლეთა მოტივირებაზე მოქმედი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ინფორმაციის მიწოდება და შეთვისება. ჩვენი აზრით, მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის დღევანდელი დაბალი დონე ძირითად არის განპირობებული იმით, რომ მოსწავლე სკოლის გარეთ უფრო მეტ ინფორმაციას იღებს, ვიდრე სკოლაში, თანაც ეს გარეთ მიღებული ინფორმაცია, მათ მიეწოდებათ სტიქიურად ყოველგვარი კონტროლის გარეშე. ეს უკანასკნელი, ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა დღევანდელი სკოლისა და განათლების სისტემისა. ამ მხრივ, ბოლო წლებში ჩატარებულმა განათლების რეფორმამ ვერ გაამართლა, რაზეც მიუთითებს ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეების საგანგაშო რაოდენობამ ვერ ჩააბარეს საატესტატო გამოცდები. გარდა ამისა, მოსწავლეთა დიდი პროცენტი საჭირო განათლების მიღებას ამჯობინებს სკოლის გარეთ რეპეტიტორებთან, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლა ვერ ახერხებს მოსწავლეთა სათანადო დაინტერესებას და სწავლისადმი მოტივირებას. არადა, პარადოქსული ხასიათის მატარებელია ყოველივე ეს იმიტომ, რომ რეპეტიტორები, ეს იგივე სკოლის პედაგოგებია, რომელნიც ერთ სიტუაციურ გარემოში, სკოლაში ვერ აღწევენ წარმატებას თავის პროფესიონალურ საქმიანობაში, რასაც კარგად ახერხებენ განსხვავებულ სიტუაციურ გარემოში - სახლში. ასეთ შემთხვევაში იკვეთება აზრი იმის შესახებ, რომ წარუმატებლობის მიზეზი მარტო პედაგოგის კვალიფიკაცია კი არა, არამედ, სასწავლო პროცესის არასათანადო დონითა და მეთოდიკით წარმართვაა, რაც, როგორც ვხედავთ, ვერ უძლებს ცხოვრებისეულ გამოცდას. ე.ი. მიზეზი კომპლექსური ხასიათისაა და ის მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან სწრაფ რეაგირებას.

მოსწავლეთა დაინტერესება, გარდა ზემოთ ხსენებული ფაქტორებისა, დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიტუაციაზე. ამ მხრივ, ჩვენ, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ვიმყოფებით მეტად რთულ ვითარებაში. ამ სიტუაციამ საბოლოოდ გამოიწვია ის პრობლემები, რაც გვაქვს ეროვნულ სკოლაში მოსწავლეთ სწავლისადმი დაბალ მოტივირებაში. სამწუხაროდ, როგორც ჩვენმა კვლევებმა გვიჩვენა. მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალ კლასებში მესამე საფეხურზე, კითხვაზე თუ რატომ აღარა სურს ბეჯითი სწავლა, გვპასუხობს: „რა აზრი აქვს სწავლას, მას ცხოვრებაში ნაკლებად გამოვიყენებ, რომ ვისწავლო, სამუშაოს მაინც ვერ ვიშოვი“. მოსწავლეების ასეთი პესიმისტური განწყობილება არ არის მარტო ერთი რომელიმე ფაქტორით გამოწვეული, ის კომპლექსური ხასიათისაა. მოსწავლების ასეთი ცნობიერების ჩამოყალიბებაში ბრალი გვიდევს საზოგადოების ყველა ინსტიტუტს, დაწყებული ოჯახიდან და სკოლიდან, დამთავრებული სახელმწიფო პოლიტიკურ-ეკონომიკური ინსტანციებამდე. ამის დასტურია თუნდაც ის ფატი, რომ ჩვენს ქვეყანაში ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში უმაღლეს სკოლას (გამონაკლისი მხოლოდ დაწყებითი განათლების პედაგოგია), მასწავლებლის პროფესიით კადრი არ მოუმზადებია. ამ ხარვეზის გამოსწორება უკვე დავიწყეთ, 2017 -2018 სასწავლო წლიდან. ჩვენი უნივერსიტეტები იწყებენ პედაგოგთა მომზადებას, მაგრამ ამ უკანასკნელის საფუძველზე მოსწავლეთა სწავლების გაუმჯობესებას, მოგეხსენებათ, საკმაო დრო სჭირდება. ძალაუნებურად, დგება საკითხი, რა უნდა ვიღონოთ მანამდე მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ასამაღლებლად? ჩვენ წინა პუბლიკაციებში არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ განათლების რეფორმის ერთ-ერთი საზრუნავია მასწავლებელთა არა მარტო მომზადების, არამედ გადამზადების და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, რაც პედაგოგის პროფესიისათვის მუდმივ ცვალებადი და განვითარებადი აუცილებელი ატრიბუტია. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისათვის, ისეთისათვის, რომელსაც ჩვენ დღეისათვის წარმოვადგენთ. გადავხედოთ ჩვენს სკოლებში არსებული რეალობით. ის პედაგოგები, რომელთაც აქვთ სრული პედაგოგიური განათლება, შუახანს გადაცილებული, ან მოხუცები არიან, ხოლო რაც შეეხება დანარჩენს, ისინი არ ფლობენ მასწავლებლის კვალიფიკაციას, სკოლაში მოსულები არიან ეგრეთწოდებული სერტიფიცირებით და რა თქმა უნდა, მათ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ექნებათ ხარვეზები და ეს ბუნებრივიცაა. ასეთი პედაგოგებისათვის მიმდინარე წელს მთავრობის, კერძოდ განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნა მასწავლებლის 60 კრედიტიანი პროგრამა, ეს მისასალმებელია, მაგრამ არ არის საკმარისი პრობლემის გადასაჭრელად.

მოსწავლეთა სასწავლო მოტივაციის პრობლემის გადასაჭრელად, ჩვენი აზრით, აუცილებელია შინაარსობრივად და მეთოდურად შეიცვალოს სააღმზრდელო პროცესი. აღსაზრდელებს სწავლის საჭიროების აუცილებლობა მათ შემდგომი ცხოვრებისათვის უნდა ჩავუნერგოთ ადრეული განვითარების საფეხურზე, სკოლამდელი აღზრდის პროცესში, ბაგა-ბაღებში და ოჯახში. რაც შემდგომ უნდა გაძლიერდეს და დაიხვეწოს სკოლის სამივე საფეხურზე. ამისათვის საჭიროა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რადიკალურად შეიცვალოს დღევანდელი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. მეტი ყურადრება უნდა მიექცეს აღზრდას. თანამედროვე მოთხოვნილების დონეზე აღიჭურვოს სასკოლო

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განსაკუთრებით ეს ეხება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიებს და კაბინეტებს. ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემაში გაზიარებული იქნას მსოფლიოს მოწინავე განათლების მქონე ქვეყნების (ფინეთის, სინგაპურის, კორეიის) წარმატებული გამოცდილება. მიევლინოს ამ გამოცდილების შესასწავლად სათანადო კადრები. გაიხსნას, როგორც ქვეყნის ცენტრში, ასევე რეგიონებში მასწავლებელთა გადამზადების ინსტიტუტები, თუნდაც, უნივერსიტეტების შემადგენლობაში. შეიცვალოს მასწავლებელთა ანაზღაურებისადმი და მასწავლებლის პროფესიისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება, რასაც შემდგომში მოჰყვება მასწავლებლის ავტორიტეტის ზრდა მოსწავლეებსა და საზოგადოების თვალთხედვაში. ყოველივე ეს დიდად დაგვეხმარება მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში.

ლიტერატურა:

1. KANSANEN, P.(ed) (1995) Diskussion on Some Educational Issues, VI, University of Helsinki.
2. დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიური ინსტიტუტი. პედაგოგიური ფსიქოლოგია. შ. ჩხარტიშვილის რედაქციით. გამომცემლობა. „განათლება“ თბილისი, 1975.
3. Вилюнас В.К. Психологические механизмы мотивации человека, Из. МГУ 1999.
4. Ильин Е.П. Мотивация и мотивы, Из « ПИТЕР“ , 2000.
5. Выготский Л. С. Педагогическая психология,Из МГУ, 1997.

რეზიუმე

სტატიაში მოკლედ არის განხილული მოტივაციის განსაზღვრება და ცნობილი ავტორების თეორიები. ავტორი საუბრობს მოსწავლეთა მოტივაციის დღევანდელ რეალობაზე, რაც შეფასებულია არადამაკმაყოფილებლად. სტატიაში ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებებს და ფაქტორებს, რომელნიც გადამწყვეტია მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივირებაში. სტატიაში მოცემულია რეკომენდაციები მასწავლებლებისათვის მოსწავლეთა მოტივაციის პრობლემატიკის შესახებ. ასევე სტატიაში მოცემულია ის გზები და მეთოდები, რაც აუცილებელია ჩვენი ახალგაზრდა თაობის სწავლის მოტივაციის ასამაღლებლად.

THE RESEARCH OF THE PROBLEM OF STUDENTS' MOTIVATION

Paata Kurdadze, Professor

RESUME

The definition of motivation and theories of the well-known authors are briefly discussed in the article. The author talks about the reality of students' motivation today, which is assessed as non-satisfactory. The author in the article highlights those circumstances which are essential while talking about students' motivation in terms of studying. There are also some recommendations for teachers about the problematic of students' motivation. In addition, the ways and methods necessary for raising our young generation's motivation are given in the article.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
Exact and Natural Sciences

კაროტინის (პროვიტამინი A) შემცველობა სამკურნალო მცენარეებში შიდა ქართლის ბიოცენოზებში

ნელი გოგინაშვილი, პროფესორი

ვიტამინები სხვადასხვა ქიმიური ბუნების ორგანული ნაერთებია, რომლებიც აუცილებელია ორგანიზმის სასიცოცხლო მნიშვნელობის ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური პროცესების განხორციელებისათვის. ვიტამინები არიან ნივთიერებათა ცვლის რეგულატორები, შედიან ფერმენტული სისტემის შემადგენლობაში, რის საფუძველზე ისინი ახდენენ ბიოლოგიური როლის რეალიზაციას და უზრუნველყოფენ უჯრედული მემბრანების ნორმალურ ფუნქციონირებას. ვიტამინები ამაღლებენ ორგანიზმის დაავადებისადმი გამძლეობის უნარს, ხელს უწყობენ ორგანიზმის დეტოქსიკაციას, მონაწილეობენ მხედველობის მექანიზმში, უზარმაზარ როლს თამაშობენ ნერვული, გულ-სისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელი, ენდოკრინული სისტემებისა და სისხლწარმომქმნელი ორგანოების ნორმალური ფიზიოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებაში.

ვიტამინები ხელს უწყობენ ქსოვილების რეგენერაციას, ისინი აუცილებელია სისხლძარღვთა კედლების მთლიანობისათვის, რაც მთავარია, უზრუნველყოფენ ორგანიზმის ჰემატოლოგიურ და იმუნოლოგიურ სტატუსს, ასევე გამძლეობას სტრესისა და ინფარქტისადმი.

ვიტამინები ორგანიზმში ასრულებენ ქიმიური გარდაქმნების, კატალიზატორის ფუნქციას და საკვებთან ერთად უმნიშვნელო რაოდენობით მოიხმარებიან. ადამიანს ვიტამინები ესაჭიროება წლის ყველა დროს, ყოველდღიურად, დღის განმავლობაში ვიტამინების სახეობების მიხედვით რამდენიმე მკგ-დან რამდენიმე მგ-მდე. მაგალითად, ვიტამინ C-ს დღე-ღამური ნორმა შეადგენს 48-100 მგ, D – 2,5 – 10 მგ, E – 3 მგ, B_1 – 2-3 მგ, B_5 – 7-12 მგ, B_{12} – 3-10 მგ, H – 150-200 მკგ და სხვ.

ვიტამინების სინთეზი ხორციელდება უმაღლეს და ზოგიერთ დაბალ საფეხურზე მყოფ მცენარეთა მწვანე ნაწილებში და ნაყოფებში, რაც მიუთითებს მათ კავშირზე ქლოროფილთან. ვიტამინებს განიხილავენ ცოცხალი ორგანიზმის უჯრედული მეტაბოლიზმის უნივერსალურ კომპონენტებთან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ წარმოადგენენ ენერგიის წყაროს ან მასალას ბიოსინთეზისათვის, როგორც აღვნიშნეთ, მონაწილეობენ ყველა ბიოქიმიურ პროცესში.

ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში ვიტამინები არ სინთეზირდება ან არასაკმარისად სინთეზირდება. ადამიანი მას ჩვეულებრივად საკვებთან ერთად იღებს. ვიტამინების უკმარისობა იწვევს მრავალ დაავადებას, რადგან ისინი აუცილებლად საჭიროა ორგანიზმის ზრდისა და განვითარებისათვის, ნივთიერებათა ნორმალური ცვლისათვის. მედიცინაში ვიტამინებს უნიშნავენ ავიტამინოზისა და ჰიპოვიტამინოზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის. ამჟამად სამკურნალო საშუალებათა ასორტიმენტში ჩართულია ბუნებრივი ნედლეულის ვიტამინები და მიკროელემენტები: იქმნება კომბინირებული პრეპარატები, რომლებიც იძლევიან ფართო ფარმაკოლოგიური მოქმედების სპექტრს, ვიტამინებით ხელოვნურად ამდიდრებენ კვების ზოგიერთ პროდუქტს.

ნებისმიერ საკვებ თუ სამკურნალო მცენარეში მოიპოვება ვიტამინი ან პროვიტამინი, ზოგჯერ მათი მთელი ნაკრები, მათგან, უმეტესად, შეისწავლება მედიცინისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ვიტამინებით მდიდარი მცენარეები. ესენია C, K, კაროტინოიდების და P ვიტამინების შემცველი მცენარეები. ნაშრომში ჩვენ შევეხებით კაროტინის (პროვიტამინ A-ს) შემცველ მცენარეებს.

კაროტინოიდები აერთიანებენ 70-ზე მეტ შენაერთს. ისინი წარმოადგენენ ტეტრატერპენებს - $C_{40}H_{64}$ და არიან ჟანგბადის აქტიური გადამტანები. მათში შედის α, β და γ კაროტინები. აქედან ყველაზე აქტიურია β ფორმა, რომელიც ამავე დროს კაროტინოიდების დიდი ხვედრითი წილითაა (85%-მდე) წარმოდგენილი. კაროტინი ლოკალიზებულია ქსანტოფილთან ერთად ნაყოფების ქრომოპლასტებში და ფოთლების ქლოროპლასტებში. კაროტინი ანიჭებს ყვითელ ან ნარინჯისფერ შეფერვას ყვავილებს და ნაყოფებს. კაროტინი მონაწილეობს ფოტოსინთეზის პროცესში (ისევე როგორც ვიტამინი C). ამასთანაა დაკავშირებული კაროტინის მაღალი შემცველობა აქტიური ფოტოსინთეზისას (რაც ვეგეტაციის ბოლოს

მცენარის მწვანე ნაწილებში მკვეთრად მცირდება). მნიშვნელოვანია აგრეთვე მათი როლი მცენარის განაყოფიერებაში, ზრდასა და დაფესვიანებაში.

ვიტამინი A ($C_{20}H_{29}OH$) განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში (თევზის ქონი, ღვიძლი, რძის პროდუქტები და სხვ.), საიდანაც ადამიანი ითვისებს მზა სახით, ან თვით წარმოქმნის მცენარის კაროტინოიდებიდან. კაროტინი (პროვიტამინი A) ადამიანის ორგანიზმში ფერმენტ კაროტინაზას გავლენით A ვიტამინად გარდაიქმნება, მაგრამ კაროტინი 3-ჯერ სუსტია ამ უკანასკნელზე. აქედან გამომდინარე, მისი გამოყენების ნორმა უნდა გავზარდოთ 3-ჯერ.

რამდენადაც კაროტინი და A ვიტამინი დეპონირდება ადამიანის ორგანიზმში და მათი ჭარბი რაოდენობა შეიძლება წელიწადზე მეტ ხანს შეინახოს, მიზანშეწონილია ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში ამ ვიტამინის შემცველი ბევრი პროდუქტების გამოყენება.

საკვებში ვიტამინ A-ს ნაკლებობას მივყავართ ნივთიერებათა ცვლის პროცესების დარღვევისაკენ და ამის შედეგია სიმაღლეში ზრდის შენარჩუნება, გამოფიტვა, ნერვული სისტემის ფუნქციის დარღვევა, კანის გარქოვანება, ინფექციებთან წინააღმდეგობების დაქვეითება. A ვიტამინის ნაკლებობის ერთ-ერთი სერიოზული გამოვლინებაა ჰემეროლოპია („ქათმის სიბრმავე“), რომელიც გამოიხატება მხედველობის დაქვეითებით, განსაკუთრებით ბინდსა და სიბნელეში. ამიტომ ადამიანები, რომელთა სამსახურიც მჭიდროდაა დაკავშირებული მხედველობის დაძაბვასთან, საჭიროებენ A ვიტამინის ჭარბ რაოდენობას. როგორც სამკურნალო საშუალებას A ვიტამინს იყენებენ კანის, თვალის, ღვიძლის ინფექციური დაავადებების, ჩიყვის, ათეროსკლეროზის და ჰიერტონული დაავადებების დროს. ამასთან, ვიტამინი A და მისი წინამორბედი კაროტინები მოქმედებენ იმუნურ სისტემაზე, ავლენენ ოქსიდანტურ და სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა კაროტინის შემცველობის დადგენა შიდა ქართლში ფართოდ გავრცელებულ ზოგიერთ სამკურნალო მცენარეში მედიცინაში გამოსაყენებელი ორგანოების მიხედვით.

კვლევის ობიექტია ქვემოთ მოტანილი სხვადასხვა სახეობის სამკურნალო მცენარეები, რომლებიც სხვა მცენარეებთან ერთად, ნებადართულია ფარმაკოლოგიაში გამოსაყენებლად:

გოგრა - Cucurbita maxima Duch., სტაფილო - Daucus sativus (Hoffm) Rochl., გულყვითელა - Calendula Officinalis L., ორკბილა - Badens tripartita L., ჭინჭარი - Urtica dioica L., მარწყვი - Fragaria vesca L., შავი მოცხარი - Ribes nigrem L., ქაცვი - HIppophae rhamnoides L., ცირცელი - Surbus aucuparia L., ასკილი - Rosa canina L., კაკალი (ნიგვზის ხე) – Iuglans regia L.

საკვლევ მცენარეთა სინჯები (ნედლეული) შეგროვილი იქნა შიდა ქართლის რეგიონში მედიცინაში გამოსაყენებელი ორგანოების და დადგენილი კალენდარული ვადების მიხედვით. განისაზღვრა კაროტინის (პროვიტამინ A-ს) შემცველობა საყოველთაოდ მიღებული მეთოდების მიხედვით.

ვიდრე განვიხილავდეთ ექსპერიმენტების შედეგებს, მოკლედ გავეცნოთ საკვლევ მცენარეთა სამკურნალო თვისებებს:

გოგრა - ნაყოფი. ნაყოფის რბილობის ზეთოვანი ხსნარი (ძირითადად კაროტინების ჯამს შეიცავს) ეფექტურია კანის ქრონიკული დაზიანებისას - წყლული, ეგზემა, დამწვრობა, ჩირქოვანი იარები და სხვ. გოგრა საუკეთესო დიეტური საკვებია, ხმარობენ შარდმდენად, სხვადასხვა ხასიათის შეშუპების, ღვიძლისა და თირკმელების დაავადებისას. მისი თესლიდან გამოყოფილი კუკურბიტინი საუკეთესო ანტიჰელმინტური მოქმედებისაა.

სტაფილო - ფესვი (ძირხვენა). კაროტინისა და მისი პრეპარატების წარმოების გარდა სტაფილოს ძირხვენა გამოიყენება ორგანიზმის დაძაბუნების, ჰიპო- და ავიტამინოზის დროს. მისგან მიღებული პრეპარატი - დაუკარინი - ხასიათდება კორონარული უკმარისობის, სტენოკარდიული შეტევებისა და ათეროსკლეროზის საწინააღმდეგო თვისებებით. ველურად მოზარდი სახეობის, ფერისცვალას, გამონაწვლილი შედის პრეპარატ უროლესანის შემადგენლობაში, რომელიც სპაზმოლიტური და ქვების დამშლელია. ნაჩვნებია ქოლეცისტიტის, პიელონეფრიტის და სანაღვლე გზების (დისკენიზაციის) დაავადებების დროს.

გულყვითელა - ყვავილი. ანტისეპტიკური და ანთების საწინააღმდეგო ოფიცინალური საშუალებაა. აჩქარებს ქსოვილების რეგენერაციას. შინაგანი მიღებისას აღინიშნება სპაზმოლიტური მოქმედება, ზრდის ღვიძლის, კუჭისა და ნაწლავების სეკრეციულ აქტივობას, აუმჯობესებს ნაღვლის წარმოქმნასა და გამოყოფას, ასევე კუჭის წვენის სეკრეციას. გამოიყენება გინეკოლოგიაში, ჰომეოპათიასა და ხალხურ მედიცინაში ჭრილობების, დამწვრობის, დაჟეჟილობის, მოყინვის, ფურუნკულებისა და სხვა ხასიათის ჩირქოვანი დაავადებებისას.

ორკბილა - ბალახი. ოფიცინალური ანთების საწინააღმდეგო გარეგანი საშუალებაა. გამონაცემს ძირითადად იყენებენ ბავშვთა პრაქტიკაში დიათეზის დროს აბაზანების სახით. ზოგჯერ აღნიშნავენ შიგნით მისაღებად, როგორც შარდმდენს და ოფლმდენს. მისგან მიღებული პრეპარატი ნაღვლმდენ თვისებას ამჟღავნებს, ხოლო სპირტიანი გამონაწვლილი ფსორიაზის საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

ჭინჭარი - ფოთოლი. ფოთლების ექსპტრაქტი გამოიყენება სისხლის დენის შემაჩერებელ საშუალებად - საშვილოსნოდან, თირკმელებიდან, ნაწლავებიდან, ფილტვებიდან. ჭინჭრის პრეპარატები ხელს უწყობენ სისხლის შედედებას და ჰემოგლობინის რაოდენობის მომატებას. ფოთლები შედის ჰეპატიტის და ქოლეცისტიტის საწინააღმდეგო პრეპარატის - ალოხოლის შემადგენლობაში და რამდენიმე ნაკრებში. ჭინჭარს დიდი გამოყენება აქვს კოსმეტოლოგიაში და დერმატოლოგიაში. საუკეთესოა თმის ძირების გამაგრებისათვის.

მარწყვი - ფოთლები, ნაყოფი. ფოთლების და ნაყოფის ნაყენს უნიშნავენ ავიტამონიზის დროს. ასევე შარდმდენ, თირკმელებსა და შარდის ბუშტში ქვების დამშლელ საშუალებად, ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებისას. ფოთლები სპაზმოლიტური, მომამაგრებელი და ტკვილგამაყუჩებელია. ხალხურ მედიცინაში ხმარობენ დიაბეტის დროს, როგორც ჰიპოგლიკემიურს. ასევე ათეროსკლეროზის, ანემიის, რაქიტის საწინააღმდეგოდ. გამოიყენება ჰომეოპათიაში.

შავი მოცხარი - ნაყოფი. მოცხარის ნაყოფების ნახარში, ჩაი, პოლივიტამინური საშუალებაა. ამზადებენ აგრეთვე სიროფს, კონტცენტრატებს, რომლებიც რეკომენდებულია ათეროსკლეროზის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, ღვიძლის დაავადებების და სხვადასხვა ინფექციების დროს. ნაყოფები და ფოთლები შედის ვიტამინურ ნაკრებებში, რომლებიც გამოიყენებიან ოფლმდენ, შარდმდენ, ანთებისა და ფაღარათის საწინააღმდეგოდ. გარეგან საშუალებად საუკეთესოა დიათეზის დროს.

ქაცვი - ნაყოფი. ოფიცინალური პრეპარატია - Oleum hippophaes, რომელიც მიიღება წვენგაცლილი გარენაყოფის ექსპტრაქციით მზესუმზირას ზეთით. ესაა ზეთოვანი ნარინჯისფერ-წითელი სითხე თავისებური სუნითა და გემოთი. გამოიყენება ძირითადად გარეგან საშუალებად, სხივური თერაპიის შედეგად კანის და ლორწოვანი გარსის დაზიანებისა და საშვილოსნოს ყელის ეროზიის დროს. შინაგანი გამოყენებისას უნიშნავენ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების საწინააღმდეგოდ, ინჰალაციის სახით ზემო სასუნთქი გზების ანთების შემთხვევაში. ქაცვის ზეთი ხასიათდება ტკივილგამაყუჩებელი თვისებებით, ხელს უწყობს ქსოვილების რეგენერაციას. ქაცვის წვენი, ექსტრაქტი პოლივიტამინური საშუალებებია ჰიპოვიტამინოზის, ნაადრევი დაბერების, ათეროსკლეროზის და ლიპიდური ცვლის დარღვევის თავიდან ასაცილებლად. ქაცვის ნაყოფი ძვირფასი დიეტური პროდუქტია, ხმარობენ ნედლს დაშაქრული სახით და დაკონსერვებულს.

ცირცელი - ნაყოფი. ოფიცინალური პოლივიტამინური ნედლეულია. შედის რამდენიმე ნაკრებში, ამზადებენ მის ნაყენსა და ზეთს. ეს უკანასკნელი ხასიათდება კუჭ-ნაწლავის დაავადებების საწინააღმდეგო მაღალი აქტივობით. აჩქარებს წყლულების შეხორცებას და ქსოვილების რეგენერაციას. არის აგრეთვე დიურეტული და საფაღარათო საშუალება.

ასკილი - ნაყოფი. მისგან ამზადებენ ექსტრაქტს, შედის ვიტამინურ და პოლივიტამინურ მრავალ ნაკრებებში. პრეპარატი გამოიყენება ჰიპო- და ავიტამინოზისას. ასევე ისეთი დაავადებებისას, რომლებსაც თან ახლავს ვიტამინებისადმი ორგანიზმის მაღალი მოთხოვნილება. ნაყოფებიდან იღებენ ასკილის ზეთს, რომელიც მდიდარია ვიტამინი C, E და კაროტინოიდებით. ამზადებენ აგრეთვე პრეპარატ კაროტოლინს, რომელიც გამოიყენება დამწვრობისას და ჭრილობების შემახორცებელ საშუალებად.

კაკალი (ნიგვზის ხე) – ფოთოლი. ოფიცინალური სამკურნალო საშუალებაა. გამოიყენება ჩირქოვანი და მიკრობული დაზიანების დროს, როგორც ანტისეპტიკური საშუალება. ნაჩვენებია ეგზემის, ბუასილის, ლიმფატური დიათეზის და რაქიტის საწინააღმდეგოდ. კაკლის ფოთლები და უმწიფარი ნაყოფი ეფექტურია C ვიტამინის ნაკლებობისას. ორივე ნედლეული შემკვრელი და ანთების საწინააღმდეგოა. ლეგენდის მიხედვით კაკალი შედიოდა მსოფლიოში სახელგანთქმულ შხამსაწინააღმდეგო რეცეპტში, რომლითაც პონტოს უძლეველი მეფე მითრიდატე სარგებლობდა.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა შიდა ქართლის რეგიონში გავრცელებულ ზოგიერთ სამკურნალო მცენარეში (სამკურნალოდ რეკომენდებულ ნედლეულში) კაროტინის შემცველობის დადგენა. შედეგები წარმოდგენილია ცხრილ 1-ში, საიდანაც ჩანს, რომ კაროტინის შემცველობა მცენარეთა სახეობების მიხედვით მკვეთრად ცვალებადობს და შეადგენს 12-94 მგ%, ანუ დინამიურობა 8-ის ჯერადია. ასეთი დიდი განსხვავება, ჩვენი აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს მცენარის ევოლუციის მანძილზე ჩამოყალიბებულ ბიოლოგიურ თავისებურებასთან.

ცხრილი 1

კაროტინის შემცველობა სამკურნალო მცენარეებში
შიდა ქართლის პირობებში

№	მცენარე	გამოსაყენებელი ორგანო	კაროტინი, მგ%
1	გოგრა - Cucurbita maxima Duch.	ნაყოფი	35
2	სტაფილო - Daucus sativus (Hoffm) Rochl.	ძირხვენა	19
3	გულყვითელა - Calendula Officinalis L.	ყვავილი	25
4	ორკბილა - Badens tripartita L.	ბალახი	65
5	ჭინჭარი - Urtica dioica L.	ფოთოლი	12
6	მარწყვი - Fragaria vesca L.	ფოთოლი	15
7	შავი მოცხარი - Ribes nigrem L.	ნაყოფი	42
8	ქაცვი - HIppophae rhamnoides L.	ნაყოფი	94
9	ცირცელი - Surbus aucuparia L.	ნაყოფი	15
10	ასკილი - Rosa canina L.	ნაყოფი	21
11	კაკალი (ნიგვზის ხე) – Iuglans regia L.	ფოთოლი უმწიფარი ნაყოფი	13 22

კაროტინის მაქსიმალური შემცველობა აღინიშნება ქაცვის ნაყოფში - 94 მგ%, შემდეგ - ორკბილას ბალახში - 65 მგ%. კაროტინის შედარებით მაღალი შემცველობაა შავი მოცხარის ნაყოფში - 42 მგ%, გოგრის ნაყოფში - 35 მგ%. მინიმალური შემცველობა კი აღინიშნა ჭინჭრის ფოთოლში - 12 მგ%.

კაროტინის კონცენტრირების მიხედვით საკვლევი მცენარეები შეიძლება დავალაგოთ შემდეგი კლებადი რიგით:

ქაცვი > ორკბილა > შავი მოცხარი > გოგრა > გულყვითელა > კაკალი (უმწიფარი) > ასკილი > სტაფილო > ცირცელი, მარწყვი > კაკალი (ფოთოლი) > ჭინჭარი

მაშასადამე, ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე, საკვლევი მცენარეებიდან ჩვენს მიერ გამოვლენილი იქნა კაროტინის (პროვიტამინ A-ს) კონცენტრატორი მცენარეები, სახელდობრ: ქაცვი, ორკბილა, შავი მოცხარი, გოგრა, გულყვითელა, რაც დიდ დახმარებას გაუწევს მოსახლეობას კაროტინის (პროვიტამინი A) დისბალანსის კორექტირებაში, და შესაბამისად ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში.

ლიტერატურა:

1. ლ. ერისთავი, ფარმაკოგნოზია (სამკურნალო მცენარეები), საქართველოს მაცნე, თბილისი, 2005.
2. ლ. სკლიარევსკი, ილ. გუბანოვი, სამკურნალო მცენარეები ოჯახურ პირობებში, თბილისი, დილა, 1993.
3. ნ. ალექსიძე, ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები, თბილისი, თსუ, 2005.
4. ნ. გოგინაშვილი, კაროტინის დაგროვება ზოგიერთ ბოსტნეულ მცენარეში. სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, №6. 2009.
5. ო. ონიანი, გ. მარგველაშვილი, მცენარის ქიმიური ანალიზი, თბილისი, განათლება, 1985.
6. ფიტოთერაპია, შემდგენელი პროფ. შ. ხიდაშელი, თბილისი, შემოქმედი, 1996.
7. М. Я. Ловкова, А.М. Рабинович, С. М. Пономарева, Г. Н. Бузук, С. М. Соколова. Почему растения лечат, М., Наука, 1989.

რეზიუმე

ჩვენს მიერ ჩატარდა კვლევა შიდა ქართლში გავრცელებულ სხვადასხვა სახეობის სამკურნალო მცენარეში: გოგრა - Cucurbita maxima Duch., სტაფილო - Daucus sativus (Hoffm) Rochl., გულყვითელა - Calendula Officinalis L., ორკბილა - Badens tripartita L., ჭინჭარი - Urtica dioica L., მარწყვი - Fragaria vesca L., შავი მოცხარი - Ribes nigrem L., ქაცვი - HIppophae rhamnoides L., ცირცელი - Surbus aucuparia L., ასკილი - Rosa canina L., კაკალი (ნიგვზის ხე) – Iuglans regia L. კაროტინის (პროვიტამინი A) შემცველობის დასადგენად.

საკვლევი მცენარეებიდან გამოვლენილი იქნა კაროტინის კონცენტრატორი მცენარეები ქაცვი, ორკბილა, შავი მოცხარი, გოგრა, გულყვითელა, რაც დიდ დახმარებას გაუწევს მოსახლეობას კაროტინის (პროვიტამინი A-ს) დისბალანსის კორექტირებაში და, შესაბამისად, ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში.

THE CONTENT OF CAROTENE (PROVITAMIN A) IN THE MEDICINAL PLANTS OF SHIDA KARTLI BIOCENOSIS

Neli Goginashvili, Professor

RESUME

We did research to find out the content of carotene (Provitamin A) in the different kinds of medicinal plants common in Shida Kartli Region: Cucurbita maxima Duch., Daucus sativus (Hoffm) Rochl., Calendula Officinalis L., Badens tripartita L., Urtica dioica L., Fragaria vesca L., Ribes nigrem L., Hippophae rhamnoides L., Surbus aucuparia L., Rosa canina L., Iuglans regia L.

The following carotene concentrator plants were revealed from the studied plants: Hippophae rhamnoides L., Badens tripartita L., Ribes nigrem L., Cucurbita maxima Duch., Calendula Officinalis L., It will immensely help the population to correct the imbalance of carotene (Provitamin A), and accordingly, to improve their health.

სამხრეთ საქართველოს ფრინველთა ფაუნის და მოსახლეობის შესწავლისათვის

გია ედიშერაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ადამიანის ინტენსიურ სამეურნეო ზემოქმედების ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე ბუნებრივი ლანდშაფტების ყველა კომპონენტი, მათ შორის ფაუნა სწრაფ და ძირეულ ცვლილებებს განიცდის. ფაუნის ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ხარისხისა და მიმართულების შესწავლისათვის, ცალკეული სახეობების და მთლიანად ზოოკომპლექსების დასაცავად ღონისძიებათა სისტემის შემუშავებისთვის აუცილებელია მყარი ფაუნისტური ბაზის შექმნა, რის საფუძველზეც წარიმართება შემდგომი კვლევები. ამ კუთხით სამხრეთ საქართველოს (მესხეთ-ჯავახეთის) ავიფაუნის დინამიკის, მისი თვისობრივი და რაოდენობრივი ცვლილებების შესწავლა განსაკუთრებით ყურადღებას მოითხოვს, ვინაიდან მიმდინარეობს აქაური ბუნებრივი ლანდშაფტების სწრაფი ათვისება. ამასთან ერთად გარკვეული მიზეზების გამო აღნიშნული რეგიონის ორნითოფაუნა არასაკმარისად არის შესწავლილი. არსებული პუბლიკაციების სიმცირესთან ერთად მათი უმეტესობის გამოქვეყნების შემდეგ დროის დიდი პერიოდია გასული (Радде, 1884; Эриксон,1903; Сатунин, 1911; Чхиквишвили, 1938; Жорданиа, 1962), რომლის განმავლობაშიც რეგიონის ორნითოფაუნის არსებითი რაოდენობრივი და თვისობრვი ცვლილებები მოხდა. ნაშრომების ნაწილი (ჩინჩალაძე, 1958; აბულაძე, 1987; Abuladze, 1993a; Abuladze, 1993b; Beruchashvili, 2011;) ცალკეული სახეობების ეკოლოგიის და დაცვის საკითხებს ეხება. ამიტომ აუცილებელია ზოგადად ორნითოფაუნის თანამედროვე მდგომარეობის ცოდნა შემდგომში მოსალოდნელი ცვლილებების განსაზღვრის და დაცვის ღონისძიებების შემუშავებისთვის. კვლევები ჩატარდა 2012-1016 წლებში და პრაქტიკულად მოიცვა რეგიონში არსებული ფრინველთა ადგილსამყოფლების ყველა ტიპი.

ქვემოთ მოგვყავს რეგისტრირებული მობუდარი ფრინველების სია მათი ბიოტოპური განაწილების და შეფარდებითი რაოდენობის მითითებით. სულ გამოყოფილია ფრინველთა ადგილსამყოფლების 8 ტიპი, რომლებშიც გაერთიანებულია უფრო დაბალი დონის ერთეულები 1. დასახლებული პუნქტები მათ გარშემო არსებული დამუშავებული ფართობებით; 2. წყალსატევები და მათი სანაპირო ზოლი; 3. ტენიანი მდელოები პლატოებზე; 4. სუბალპური ბუჩქნარები და მდელოები; 5. ალპური მდელოები და ნაშალები; 6. მდინარეთა ხეობები კლდოვანი მონაკვეთების და ქსეროფიტული მცენარეულობის მონაცვლეობით; 7. მთის სტეპები; 8. ტყე-ბუჩქნარიანი ადგილსამყოფელები;

რაც შეეხება ფრინველთა შეფარდებით რაოდენობას, მიღებულია შემდეგი გრადაცია:

სახეობა მრავალრიცხოვანია - ++++
სახეობა ჩვეულებრივია - +++
სახეობა იშვიათია - ++
ერთეული შეხვედრები - +
ბუდობა სავარაუდოა - ()

№№	სახეობა	ფრინველთა ადგილსამყოფლები							
		1	2	3	4	5	6	7	8
1.	*Anser anser*	-	+	-	-	-	-	-	-
2.	*Tadorna tadorna*	-	+	-	-	-	-	-	-
3.	*Tadorna ferruginea*	-	++	++	-	-	-	-	-
4.	*Anas platyrhynchos*	-	+++	-	-	-	-	-	-
5.	*Anas strepera*	-	++	-	-	-	-	-	-
6.	*Anas creca*	-	++	-	-	-	-	-	-
7.	*Anac querquedula*	-	++	-	-	-	-	-	-
8.	*Aythya ferina*	-	+	-	-	-	-	-	-
9.	*Netta rufina*	-	++	-	-	-	-	-	-
10.	*Aythya nyroca*	-	+++	-	-	-	-	-	-
11.	*Aythya fuligula*	-	+++	-	-	-	-	-	-
12.	*Melanitta fusca*	-	++	-	-	-	-	-	-
13.	*Lyrurus mlokosiewiczi*	-	-	-	++	++	-	-	+
14.	*Tetraogallus caspius*	-	-	-	+	++	-	-	-
15.	*Alectoris chukar*	-	-	-	-	-	++	++	-
16.	*Perdix perdix*	-	-	++	++	-	+	++	-
17.	*Coturnix coturnix*	+++	++	++	++	-	-	-	-
18.	*Tachybaptus ruficollis*	-	++	-	-	-	-	-	-
19.	*Podiceps nigricollis*	-	+	-	-	-	-	-	-
20.	*Podiceps cristatus*	-	++	-	-	-	-	-	-
21.	*Pelecanus onocrotalus*	-	++	-	-	-	-	-	-
22.	*Pelecanus crispus*	-	++	-	-	-	-	-	-
23.	*Phalacrocorax carbo*	-	++	-	-	-	-	-	-
24.	*Ixobrychus minutes*	-	++	-	-	-	-	-	-
25.	*Nycticorax nycticorax*	-	++	-	-	-	-	-	-
26.	*Egretta garzetta*	-	++	-	-	-	-	-	-
27.	*Ardeola ralloides*	-	++	-	-	-	-	-	-
28.	*Ardea cinerea*	-	++	-	-	-	-	-	-
29.	*Ardea purpurea*	-	+	-	-	-	-	-	-
30.	*Ciconia ciconia*	++	++	++	-	-	-	-	-
31.	*Ciconia nigra*	-	++	+	-	-	-	-	-
32.	*Gypaetus barbatus*	-	-	-	+	+	-	-	-
33.	*Gyps fulvus*	-	-	-	++	++	++	-	-
34.	*Neophron percnopterus*	-	-	-	++	++	++	-	-
35.	*Aquila chrysaetus*	-	-	-	++	++	+	-	+
36.	*Aquila heliaca*	-	-	-	-	-	+	-	-
37.	*Aquila pomarina*	-	++	++	+	-	+	-	++
38.	*Aquila pennata*	-	-	+	++	-	++	-	+
39.	*Aqula fasciata*	-	-	-	-	-	(+)	-	-
40.	*Milvus migrans*	-	++	++	-	-	-	-	++
41.	*Circus aeruginosus*	-	+++	+++	-	-	-	-	-
42.	*Circus cyaneus*	-	++	++	++	-	-	-	-
43.	*Circus pigargus*	-	++	++	++	-	-	-	-
44.	*Buteo rufinus*	++	-	++	++	-	++	+	+
45.	*Buteo buteo*	-	++	++	++	++	++	+	+++
46.	*Pernis apivorus*	-	-	-	-	-	-	+	++
47.	*Accipiter nisus*	-	-	-	++	+	+	+	++
48.	*Accipiter gentilis*	-	-	-	-	-	-	+	++
49.	*Falco tinnunculus*	-	-	-	++	+	++	+	+
50.	*Falco subbuteo*	-	-	++	++	++	++	-	++
51.	*Falco peregrines*	-	-	+	+	+	+	+	-
52.	*Rallus aquaticus*	-	+++	+	-	-	-	-	-
53.	*Porzana porzana*	-	+++	+	-	-	-	-	-
54.	*Gallinula chloropus*	-	++	-	-	-	-	-	-
55.	*Fulica atra*	-	+++	-	-	-	-	-	-
56.	*Crex crex*	-	+++	+++	++	-	-	-	-
57.	*Grus grus*	-	+	-	-	-	-	-	-
58 .	*Glareola pratincola*	-	++	++	-	-	-	-	-
59.	*Charadrius dubius*	-	++	-	-	-	-	-	-
60.	*Vanellus vanellus*	-	++	++	-	-	-	-	-
61.	*Tringa glareola*	-	++	-	-	-	-	-	-
62.	*Tringa ochropus*	-	+++	-	-	-	-	-	-
63.	*Actitis hypoleucos*	-	+++	-	-	-	-	-	-
64.	*Tringa totanus*	-	++	-	-	-	-	-	-
65.	*Scolopax rusticola*	-	-	-	-	-	-	-	-

66.	*Galinago galinago*	-	++	++	-	-	-	-	-
67.	*Larus ridibundus*	-	++	-	-	-	-	-	-
68.	*Larus canus*	-	+++	-	-	-	-	-	-
69.	*Larus armenicus*	-	+++	-	-	-	-	-	-
70.	*Sterna albifrons*	-	++	-	-	-	-	-	-
71.	*Chlidonias leucopteros*	-	++	-	-	-	-	-	-
72.	*Columba livia*	++++	-	-	-	-	++	-	-
73.	*Columba oenas*	-	-	-	-	-	-	-	++
74.	*Columba palumbus*	++	-	-	-	-	++	-	+++
75.	*Streptopelia decaocto*	+++	-	-	-	-	-	-	+
76.	*Streptopelia turtur*	++	-	-	-	-	++	-	+++
77.	*Cuculus canorus*	++	-	+++	+++	++	+++	+++	+++
78	*Bubo bubo*	-	-	-	-	-	++	-	+
79.	*Asio otus*	++	-	-	-	-	++	-	+++
80.	*Asio flammeus*	-	++	+	-	-	-	-	-
81.	*Strix aluco*	-	-	-	-	-	-	-	++
82.	*Athene noctua*	++	-	-	-	-	+++	+++	++
83.	*Otus scops*	+++	-	-	-	-	++	-	+++
84.	*Caprimulgus europaeus*	++	-	-	-	-	++	-	-
85.	*Apus apus*	++++	-	-	-	-	+++	-	-
86.	*Apus melba*	-	-	-	-	++	+++	-	-
87.	*Upupa epops*	+++	-	-	-	-	-	++	++
88.	*Alcedo atthis*	-	++	-	-	-	++	-	-
89.	*Merops apiaster*	-	-	-	-	-	++	-	-
90.	*Coracias garrulous*	-	-	-	-	-	++	-	++
91.	*Dryocopus martius*	-	-	-	-	-	-	-	++
92.	*Picus viridis*	-	-	-	-	-	-	-	++
93.	*Dendrocopos major*	-	-	-	-	-	-	-	+++
94.	*Dendrocopos medius*	-	-	-	-	-	-	-	+
95.	*Dendrocopos minor*	++	-	-	-	-	-	-	++
96.	*Jynx torquilla*	-	-	-	-	-	++	-	+++
97.	*Galerida cristata*	++	-	-	-	-	-	++	-
98.	*Lullula arborea*	-	-	++	+++	-	++	-	+++
99.	*Alauda arvensis*	+++	-	++	+++	++	++	+++	-
100.	*Eremophila alpestris*	-	-	-	++	+++	-	-	-
101.	*Riparia riparia*	-	++++	-	-	-	+++	-	-
102.	*Ptyonoprogne rupestris*	-	-	-	-	-	+++	-	-
103.	*Hirundo rustica*	++++	-	-	-	-	-	-	-
104.	*Delichon urbica*	++++	-	-	-	-	-	-	-
105.	*Anthus trivialis*	+++	-	+++	+++	+	++	-	+++
106.	*Anthus pratensis*	++	-	+++	++	-	++	++	-
107.	*Anthus spinoletta*	++	-	++++	++++	++++	-	++	-
108.	*Motacilla flava*	++	+++	+++	++	-	-	-	-
109.	*Motacilla citreola*	++	++	++	-	-	-	-	-
110.	*Motacilla cinerea*	++	+++	-	-	-	-	-	-
111.	*Motacilla alba*	+++	+++	++	+++	-	++	-	-
112.	*Cinclus cinclus*	-	++	-	-	-	-	-	-
113.	*Troglodytes troglodytes*	+++	-	-	+++	-	++	-	++++
114.	*Prunella modularis*	++	-	-	++	-	-	-	+++
115.	*Prunella collaris*	-	-	-	++	++	-	-	-
116.	*Prunella ocularis*	-	-	-	-	-	++	+	-
117.	*Erithacus rubecula*	-	-	-	++	-	-	-	+++
118.	*Luscinia megarhynchos*	+++	-	-	-	-	++	-	+++
119.	*Luscinia svecica*	-	-	-	+	++	-	-	-
120.	*Phoenicurus ochruros*	+++	-	-	+++	+++	++	-	-
121.	*Phoenicurus phoenicurus*	+++	-	-	++	+	+++	-	+++
121.	*Saxicola rubetra*	+++	+++	++++	+++	-	-	++	-
122.	*Saxicola rubicola*	+++	-	++	++	-	++	+++	++
123.	*Oenanthe isabellina*	++	-	-	++	-	++	++	-
124.	*Oenanthe oenanthe*	+++	-	-	+++	++	+++	+++	-
125.	*Oenanthe hispanica*	-	-	-	++	-	++	++	-
126.	*Monticola solitaries*	-	-	-	-	-	++	++	-
127.	*Monticola saxatilis*	-	-	-	++	+++	-	-	-
128.	*Turdus torquatus*	-	-	-	+++	++	-	-	-
129.	*Turdus merula*	+++	-	-	+	-	+++	-	++++
130.	*Turdus philomelos*	++	-	-	+	-	++	-	+++
131.	*Turdus viscivorus*	-	-	-	++	-	++	-	+++
132.	*Locustella naevia*	+	++	++	-	-	-	-	-

133.	*Acrocephalus melanopogon*	+	+++	+++	-	-	-	-	-
134.	*Acrocephalus palustris*	+	+++	+++	+++	-	-	++	-
135.	*Acrocephalus arundinaceus*	-	+++	++	-	-	-	-	-
136.	*Hippolais pallida*	++	++	++	-	-	++	-	-
137.	*Sylvia nisoria*	++	+	-	-	-	++	-	++
138.	*Sylvia curruca*	++	+	++	++	-	++	-	+++
139.	*Sylvia communis*	+++	+	+++	++	-	+++	+++	++
140.	*Sylvia atricapilla*	+++	-	-	++	-	+++	-	++++
141.	*Phylloscopus nitidus*	+++	+++	-	++	-	++	-	++++
142.	*Phylloscopus collybita*	++	++	++	+++	-	++	-	+++
143.	*Phylloscopus lorenzii*	-	-	+	+++	++	-	-	-
144.	*Regulus regulus*	-	-	-	-	-	-	-	+++
145.	*Muscicapa striata*	++	-	-	-	-	++	-	+++
146.	*Ficedula parva*	++	-	-	-	-	++	-	+++
147.	*Aegithalos caudatus*	++	-	-	-	-	+++	-	+++
148.	*Periparus ater*	++	-	-	-	-	+++	-	++++
149.	*Cyanistes caeruleus*	++	-	-	-	-	++	-	+++
150.	*Parus major*	+++	-	-	-	-	+++	-	++++
151.	*Sitta krueperi*	-	-	-	-	-	-	-	++
152.	*Sitta europaea*	++	-	-	-	-	++	-	+++
153.	*Sitta neumayer*	-	-	-	-	-	+++	-	-
154.	*Tichodroma muraria*	-	-	-	-	++	++	-	-
155.	*Certhia familiaris*	-	-	-	-	-	-	-	+++
156.	*Remiz pendulinus*	-	++	-	-	-	++	-	-
157.	*Oriolus oriolus*	++	++	-	-	-	++	-	++
158.	*Lanius collurio*	+++	++	+++	++	-	+++	++	+++
159.	*Lanius minor*	++	+	++	-	-	++	-	++
169.	*Garrulus glandarius*	+++	-	-	-	-	++	-	++++
170.	*Pica pica*	+++	++	-	-	-	++	++	++
171.	*Pyrrhocorax graculus*	-	-	-	++	-	-	-	-
172.	*Pyrrhocorax pyrrhocorax*	-	-	-	++	-	-	-	-
173.	*Corvus monedula*	+++	-	-	-	-	-	-	-
174.	*Corvus cornix*	+++	+++	-	-	-	++	-	+++
175.	*Corvus corax*	++	-	-	++	+	++	-	++
176.	*Sturnus vulgaris*	+++	-	-	-	-	-	++	-
177.	*Passer domesticus*	++++	-	-	-	-	-	-	-
178.	*Passer montanus*	++	-	-	-	-	++	++	-
179.	*Petronia petronia*	-	-	-	-	-	+++	-	-
180.	*Montifringilla nivalis*	-	-	-	++	+++	-	-	-
181.	*Fringilla coelebs*	++	-	-	++	-	++	-	++++
182.	*Serinus pusillus*	-	-	-	++	-	-	-	-
183.	*Chloris chloris*	+++	-	-	+	-	-	-	+++
184.	*Carduelis carduelis*	+++	-	-	++	-	-	-	+++
185.	*Carduelis spinus*	-	-	-	-	-	-	-	+++
186.	*Carduelis cannabina*	-	-	++	++	-	++	++	+
187.	*Carduelis flavirostris*	+	-	++	+++	++	-	++	+
188.	*Loxia curvirostra*	-	-	-	-	-	-	-	+++
189.	*Carpodacus erythrinus*	+++	++	++++	+++	-	-	-	+++
190.	*Pyrrhula pyrrhula*	-	-	-	++	-	-	-	+++
191.	*Coccothraustes coccothraustes*	+	-	-	-	-	++	-	+++
192.	*Emberiza citrinella*	-	-	++	++	-	-	-	-
193.	*Emberiza cia*	-	-	-	+++	++	+++	++	-
194.	*Emberiza hortulana*	-	-	-	-	-	+++	+++	-
195.	*Emberiza melanocephala*	++	-	++	++	-	+++	++	-
196.	*Emberiza calandra*	+++	++	+++	+++	+	+++	++	++

სულ აღირიცხა მობუდარ ფრინველთა 195 და სავარაუდოდ მობუდარი 1 სახეობა. რიგების მიხედვით სახეობათა რაოდენობის განაწილება შემდეგნაირია:

1. Anseriformes – 12
2. Galliformes – 5
3. Podicipediformes – 3
4. Pelecanifomes – 3
5. Ciciniiformes – 8
6. Falconiformes – 19 (1)
7. Gruiformes – 6
8. Charadriiformes – 14
9. Columbiformes - 5
10. Cuculiformes - 1
11. Strigiformes – 6
12. Caprimulgiformes – 1
13. Apodiformes – 2
14. Coraciiformes – 4
15. Piciformes – 6
16. Passeriformes -100

ლიტერატურა:

1. აბულაძე ა. 1987. ლაკლაკი საქართველოში, საქართველოს ბუნება, №5, გვ. 21.
2. ჩინჩალაძე ლ. 1958. ვარდისფერი ვარხვი, საქართველოს მონადირეთა კავშირის მოამბე, №2 (6), გვ. 44-45.
3. Abuladze A. 1993. The Black Stork in West and Central Transcaucasus. 1st International Black Stork Conservation and Ecology Symposium. (Latvia, Jrmala, 19 – 24 April 1993). Abstracts: p. 22.
4. Abuladze A. 1993. The Black Stork in East Georgia in the 20 st Century. 1st International Black Stork Conservation and Ecology Symposium. (Latvia, Jrmala, 19 – 24 April 1993). Abstracts: p. 23.
5. Beruchashvili G. 2011. Dietribution and habitat selection of some species of birds of prey and owls in Javakheti. Materials of the International Conf. “ Birds of Prey and Owls in Caucasus”. Tbilisi, Abastumani – Georgia; 26 – 29 October 2011, pp. 13-14.
6. Жорданиа Р.Г. 1962. Орнитофауна Малого Кавказа (в границах Грузинской ССР). Тбилиси. 289 стр.
7. Радде Г.И. 1884. Орнитологическая фауна Кавказа (Ornis Caucasica).Тифлис. 592 стр.
8. Сатунин К.А. 1911. Исследование южного Закавказья в орнитологическом отношении; журнал Наша охота, № 18, стр. 95-106.
9. Чхиквишвили И.Д. 1938. Материалы по орнитофауне Джавахетии. Тифлис. Стр. 305-328.
10. Эриксон Е. 1903. Заметка о зимних птицах Абастумана.Естествознание и география, №4. стр. 58-65.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია სამხრეთ საქართველოს ორნითოფაუნის თანამედროვე მდგომარეობა. მოცემულია მობუდარი ფრინველების განაწილება ჰაბიტატების მიხედვით და მათი შეფარდებითი რაოდენობა.

FOR THE STUDY OF BIRD FAUNA AND POPULATION OF SOUTH GEORGIA

Gia Edisherashvili, Associate Professor

RESUME

The modern situation of Avifauna is discussed in the current paper. The distribution of nesting birds according to their habitats is given and their relative quantity.

ეკოტურიზმის ზოგიერთი პრობლემის შესახებ საქართველოში

გია ედიშერაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ეკოტურიზმი საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია, რაც განპირობებულია ჩვენი ქვეყნის მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებით. დროთა განმავლობაში ტურიზმის ამ მიმართულების პოპულარობა სულ უფრო მეტად იზრდება როგორც უცხოელ, ასევე შიდა ვიზიტორებს შორის, შესაბამისად იზრდება ტურიზმიდან შემოსული თანხები და ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი. ეს ყველაფერი რა თქმა უნდა მისასალმებელი და კარგია. მაგრამ არსებობს რიგი პრობლემებისა, რომელთა არსებობა ეწინააღმდეგება ზოგადად ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციას და ეკოტურიზმის მთავარ პრინციპს „არ ავნო ბუნებას.“ ამ პრობლემების გადალახვა და გადაჭრა აუცილებელია დარგის სწორი და ეფექტური განვითარებისთვის. ეკოტურიზმი ტურიზმის მიმართულებაა, რომელიც დაკავშირებულია ბუნებაში მოგზაურობასთან, მასთან ურთიერთობასთან და შესაბამისად გულისხმობს ადამიანების (ტურისტების) მხრიდან სათუთ დამოკიდებულებას ბუნების და მისი ცალკეული კომპონენტების მიმართ.

ეკოტურიზმთან დაკავშირებული პრობლემები ორი მიმართულებით შეიძლება განვიხილოთ. პირველი - როდესაც ეკოტურისტული მარშრუტი ან ცალკეული ობიექტი შეიძლება ნაკლებად მიმზიდველი ან საერთოდ მიუღებელი აღმოჩნდეს ტურისტისთვის. ამის მიზეზი შეიძლება გახდეს ინფრასტრუქტურის სუსტი განვითარება, უსაფრთხოების გარანტიების არ არსებობა, ტურისტებისთვის მიმზიდველი ობიექტების მოსპობა ან დეგრადირება, გარემოს დაბინძურება და მრავალი სხვა. ასეთი უარყოფითი მოვლენები როგორც წესი ვითარდება არასწორი და უპასუხისმგებლო სამეურნეო ქმედებების და ბრაკონიერობის შედეგად, სამწუხაროდ, ხშირად დაცულ ტერიტორიებზეც. ამის მაგალითად ქცია - ტაბაწყურის აღკვეთილი და მიმდებარე ტერიტორიები შეიძლება მოვიყვანოთ. პრაქტიკულად მთლიანად თრიალეთის, აბულ-სამსარის ქედები და ნარიანი ველი ერთიან, უზარმაზარ საძოვრად არის გადაქცეული. ანალოგიური სიტუაციაა ყაზბეგის, დავით - გარეჯის გეგმარებით დაცულ ტერიტორიებზე და ბევრ სხვა ადგილას. ო. აბდალაძის (2003) გამოკვლევის მიხედვით ჭაჭუნის აღკვეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ადგილი აქვს საძოვრების ექსტენსიურ ექსპლუატაციას, ცხვრის რაოდენობა საშუალოდ 23-ჯერ აღემატება რაციონალურ ნორმას. შესაბამისად, ეს იწვევს მცენარეული საფარის დეგრადაციას: მცენარეულობის პროექტიული დაფარულობის შემცირებას, ბალახეული მცენარეულობის სიმაღლის დადაბლებას, მცენარეულობის ვერტიკალური სტრუქტურის დარღვევას, მიწისზედა საერთო ფიტომასის შემცირებას და ეროზიული პროცესების ფართოდ გავრცელებას. მაღალმთის ჭარბტენიან ტერიტორიებზე საქონლის ჭარბი რაოდენობა დამატებით კიდევ იწვევს წყალსატევების ევტროფიკაციას. თავის მხრივ, აღნიშნული მოვლენები უარყოფითად მოქმედებს ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნებაზე. მიწაზე და ბალახეულობაში მობინადრე სახეობებს ექმნებათ სამალავების და საკვების დეფიციტი, იზრდება შეშფოთების ფაქტორი. ამას ემატება მომძლავრებული ბრაკონიერობა - შედეგად ვიღებთ ფაუნისტურადაც ფრიად გაღარიბებულ, მიმზიდველობას მოკლებულ ლანდშაფტს. სარეკლამო ბუკლეტებში ლამაზად დაბეჭდილი საერთო ხედებით მოხიბლული ტურისტები ადგილზე ხშირად სულ სხვა სურათს ხედავენ. კიდევ ერთი პრობლემა, ხშირად ტურისტებს რეალურ საფრთხეს უქმნიან ძაღლები, რომლებიც თან ახლავთ ცხვრის ფარებს. მათ გამო მარშრუტებზე ზოგჯერ მანქანიდან გადმოსვლაც კი შეუძლებელია. გასაგებია, რა საშიშროებას წარმოადგენენ ასეთი ძაღლები ფეხით მოსიარულე ან ველოტურისტებისთვის. სამწუხაროდ, მეცხვარეობის მენეჯმენტი თუ არ იქნა ოპტიმიზირებული, ეს შეუქცევად ეკოლოგიური პრობლემების გაძლიერებას გამოიწვევს, რამაც შესაძლოა მეცხვარეობაც შეიწიროს და დიდ ფართობებს ტურისტული მიმზიდველობაც დააკარგვინოს.

პრობლემების მეორე მიმართულება - როდესაც თვითონ ტურისტები ნებით თუ უნებლიედ ხდებიან ბუნებრივ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მონაწილენი. ასეთი ზემოქმედების მიზეზი შეიძლება გახდეს არასწორად დაგეგმილი მარშრუტი. მაგალითად, როდესაც ტურისტულ ობიექტზე დასაშვებ ნორმებზე მეტი ადამიანი ხვდება, რის შედეგადაც გარკვეულ უარყოფით ზეგავლენას შეიძლება ჰქონდეს ადგილი, კერძოდ: მცენარეულობაზე, ნიადაგზე და ა.შ. სიტუაცია უფრო მწვავდება, როდესაც უკან დაბრუნებაც იმავე გზით ხდება, ანუ ერთი და იგივე ჯგუფი ორჯერ გაივლის ერთ მონაკვეთს, რაც ხელს უწყობს ობიექტების ცვეთას. ასეთი სიტუაცია აღინიშნება, მაგალითად, უფლისციხეში (ქობულაშვილი, ედიშერაშვილი, 2015). კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნას ეკოტურიზმში ხელს უწყობს ისიც, რომ დასახვეწია საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დაარეგულირებდა ამ დარგს. მაგალითად

ბერდვოჩინგთან დაკავშირებით არ გვაქვს რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავენ ბერდვოჩერების ქცევას ბუნებაში. ორგანიზებულ ჯგუფებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილობრივი კვალიფიცირებული გამყოლები ახლავთ, როგორც წესი არ იქმნება რაიმე პრობლემა. მათ კარგად იციან, სად და როდის შეიძლება ჯგუფის წაყვანა. მაგრამ არსებობენ ინდივიდუალური უცხოელი ტურისტები, რომლებსაც სურთ მაინცდამაინც იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების უშუალოდ ბუდეზე, მათი კვერცხების და ბარტყების გადაღება, რაც ყოვლად დაუშვებელია. როგორც წესი შეწუხების გამო ფრინველები ტოვებენ ბუდეს კვერცხებით და ის იღუპება. რომც არ მიატოვოს ფრინველმა ბუდე, დემასკირებულ ბუდეს ტურისტების მიერ გათელილ ბალახში ადვილად პოულობენ კვერნა, მელა და სხვა მტაცებლები და იგივე შედეგი დგება. ფოტომონადირეების ასეთი ქმედებები ბევრ ქვეყანაში საკმაოდ მკაცრად ისჯება. ჩვენთან ეს პრობლემა დღის წესრიგში რატომღაც არ დგას. არა და გარკვეულ ადგილებში რიგი სახეობების გადაშენების ერთ-ერთი მიზეზი სამწუხაროდ შეიძლება თვითნებურა ტურისტების ქცევა გახდეს. ამ მხრივ ძალზედ მოწყვლადია კასპიური შურთხის (*Tetraogallus caspius*) მესხეთის ქედზე არსებული მიკროპოპულაცია, რომელიც სახეობის არეალის უკიდურეს ჩრდილო - დასავლეთ ნაწილში ბინადრობს. პოპულაციაში მაღალია სიკვდილიანობა განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, ვინაიდან არეალის სხვა ნაწილებთან შედარებით სახეობა აქ უკიდურესად მკაცრ პირობებში ცხოვრობს, ამ რეგიონს დიდთოვლობა ახასიათებს, გაზაფხულზე და ზაფხულში ბუდობის დროს ხშირია ცუდი ამინდი, წვიმა, სეტყვა და სხვა. შესაბამისად გაზრდილი შეწუხების ფაქტორის გამო, რასაც არაკეთილსინდისიერი ბერდვოჩერები იწვევენ, აქ არსებული პოპულაცია შეიძლება სწრაფად მოისპოს. განსაკუთრებით კრიტიკულია სიტუაცია დიდმაღალის კლდოვან მასივზე, რომელიც აქ გამავალი აბასთუმანი-საირმის გზის წყალობით იოლად ხელმისაწვდომია. ამ ადგილებში გადის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ერთ-ერთი ტურისტული მარშრუტი „ზეკარის უღელტეხილის ბილიკი“ და ტურისტებიც მრავლადაა. მარშრუტი იწყება დაცვის საგუშაგო პოსტთან აბასთუმანში, სადაც განთავსებულია ბანერები მარშრუტის და ღირსშესანიშნაობების აღწერით, მაგრამ არ არის მითითებული სენსიტიური ადგილები და ქცევის წესები ასეთ ადგილებში. სულ ცოტა, ის მაინც არის საჭირო, რომ მარშრუტზე გასვლის წინ საგუშაგოსთან ჩატარდეს ტურისტების ინსტრუქტაჟი, აეკრძალოთ მათ ბუდობის პერიოდში გზიდან იმ მიმართულებით გასვლა, სადაც შურთხი ბუდობს.

ზოგადად, აუცილებელია გაანალიზდეს ველურ ბუნებაზე, კერძოდ იშვიათ და გადაშენების პირას მყოფ სახეობებზე სხვადახვა ტიპის ანთროპოგენური პრესის ზემოქმედება (მათ შორის ტურისტების მხრიდან) და ამის საფუძველზე შემუშავდეს ზომები, რომლებიც მთლიანად თუ არ აღმოფხვრის, შეარბილებს მაინც და მინიმუმამდე დაიყვანს ნეგატიურ შედეგებს, განსაკუთრებით გამრავლების პერიოდში.

ლიტერატურა:

1. აბდალაძე ო. 2003. ზამთრის საძოვრების თანამედროვე ეკოლოგიური მდგომარეობა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში. სამეც. კრებ. „არიდული და სემიარიდული ეკოსისტემების კონსერვაცია ამიერკავკასიაში“ NACRES, თბილისი. გვ.4 -11. (რუს. ენაზე).
2. ქობულაშვილი თ., ედიშერაშვილი გ. 2015. უფლისციხის ქვაში ნაკვეთი ქალაქის ტურისტული მარშრუტების ოპტიმიზაციისათვის. - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „განათლება XXI საუკუნეში“, 13-14 ნოემბერი, 2015, გორი, საქართველო.

რეზიუმე

განხილულია საქართველოში ეკოტურიზმთან დაკავშირებული არსებული პრობლემები, რომელთა გადაჭრა აუცილებელია როგორც ეკოტურიზმის განვითარებისთვის, ასევე იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების შენარჩუნებისთვის.

ON SOME PROBLEMS OF ECOTOURISM IN GEORGIA

Gia Edisherashvili, Associate Professor

RESUME

The problems connected with the ecotourism in Georgia are discussed in the current paper. Their solution is of vital importance both for the development of ecotourism and for the preserving of rare and endangered species.

2016 წლის რიო დე ჟანეიროს XXXI ოლიმპიური თამაშები და დამოუკიდებელი საქართველოს სპორტსმენთა მორიგი გამოცდა

ალექსანდრე იაშვილი, პროფესორი

1989 წლის 6 ოქტომბერს შექმნილი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, 1993 წლის 23 სექტემბერს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მონაკოში გამართულ 99-ე სესიაზე თავის სრულუფლებიან წევრად მიიღო.

საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში, საქართველომ პირველმა გაჭრა სარკმელი დამოუკიდებლად შესაჯიბრებლად მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში.

1996 წელს ქართული ოლიმპიური სპორტის ისტორიაში, ჩვენმა ქვეყანამ პირველად მიიღო მონაწილეობა დამოუკიდებელი გუნდით ატლანტის XXXI ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე.

საჭიროდ მივიჩნიეთ ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში ანალიზი გაგვეკეთებინა 1952 წლიდან 2012 წლამდე ჩატარებულ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველი სპორტსმენების მიღწევებზე, რამაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე მსოფლიო სპორტულ მოძრაობაში საქართველოს მოწინავე სპორტულ ქვეყნად აღიარების საქმეს.

ცნობილია, რომ 1952 წლიდან 1992 წლამდე ჩატარებულ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის სპორტულ შეჯიბრებებზე ქართველი სპორტსმენები მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის გუნდის შემადგენლობაში.

ქართველი სპორტსმენების მიღწევების ანალიზისათვის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე განვიხილავთ მათ შედეგებს წლების მიხედვით.

1952 წლის ჰელსინკის XV ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობდა 14 სპორტსმენი სპორტის 9 სახეობაში: ნინო დუმბაძე, ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი, ელენე გოკიელი, ლევან სანაძე, ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ავთანდილ ღოღობერიძე, ავთანდილ ჭკუასელი, დავით ციმაკურიძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, მზია ჯუღელი, აკაკი მეიფარიანი, ვლადიმერ ლავრინენკო და ოთარ დადუნაშვილი.

საქართველოს წარგზავნილებიდან პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: დავით ციმაკურიძე, მზია ჯუღელი და რაფაელ ჩიმიშკიანი. ვერცხლის მედლები მოიპოვეს მძლეოსნებმა ლევან სანაძემ, კალათბურთელებმა: ოთარ ქორქიამ და ნოდარ ჯორჯიკიამ. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს მძლეოსნებმა ნინო დუმბაძემ და ნადეჟდა ხნიკინა-დვლიაშვილმა.

მელბურნის 1956 წლის XVI ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოდან მონაწილეობდა 10 სპორტსმენი: მირიან ცალქალამანიძე, ვახტანგ ბალავაძე, გიორგი სხირტლაძე, გივი კარტოზია, რომან ძნელაძე, ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი, ბორის ნიკიტინი, ნოდარგვახარია, რევაზ ცირეკიძე და იური ოსიპოვი.

ოქროს მედლები მოიპოვეს მოჭიდავეებმა მირიან ცალქალამანიძემ და გივი კარტოზიამ. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს მოჭიდავეებმა: ვახტანგ ბალავაძემ, გიორგი სხირტლაძემ და რომან ძნელაძემ. მძლეოსანმა ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილმა, წყალბურთელმა ნოდარ გვახარიამ და მოცურავე ბორის ნიკიტინმა.

რომის 1960 წლის XVII ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოდან მონაწილეობდა 16 სპორტსმენი: რობერტ შავლაყაძე, ალექსანდრე შერბინა, რევაზ ქოჩაკიძე, იური დიაჩკოვი, ავთანდილ ქორიძე, გივი კარტოზია, გიორგი სხირტლაძე, ვლადიმერ რუბაშვილი, ვახტანგ ბალავაძე, გივი ჩიქვანაია, ლერი გოგოლაძე, ვლადიმერ უგრეხელიძე, გურამ მინაშვილი, გურამ კოსტავა, ნუგზარ ასათიანი და ბორის ნიკიტინი. ოქროს მედლები მოიპოვეს: მძლეოსანმა რობერტ შავლაყაძემ და მოჭიდავე ავთანდილ ქორიძემ.

ვერცხლის მედლები მოიპოვეს: გიორგი სხირტლაძემ, გივი ჩიქვანაიამ, ლერი გოგოლაძემ, გურამ მინაშვილმა და ვლადიმერ უგრეხელიძემ.

ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ: გივი კარტოზია, ვლადიმერ რუბაშვილი და გურამ კოსტავა.

ტოკიოს 1964 წლის XVIII ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ქვეყნიდან მონაწილეობდა 18 სპორტსმენი: გურამ საღარაძე, ნოდარ ხოხაშვილი, შოთა ლომიძე, ზარიბეგ ბერიაშვილი, დავით გვანცელაძე, როსტომ აბაშიძე, რომან რურუა, ანზორ კიკნაძე, ფარნაოზ ჩიკვილაძე, ნუგზარ ასათიანი, გურამ კოსტავა, ვაჟა კაჭარავა, შოთა ქველიაშვილი, ალექსანდრე ტუტაკაევი, ბორის პოლულიახი, ომარ ფხაკაძე, ლევან მოსეშვილი და რობერტ შავლაყაძე.

ოქროს მედალი მოიპოვეს: მოფარიკავე ნუგზარ ასათიანმა და ფრენბურთელმა ვაჟა კაჭარავამ.

ვერცხლის მედალოსნები გახდნენ: მოჭიდავეები: გურამ საღარაძე და რომან რურუა, ტყვიით მსროლელი შოთა ქველიაშვილი და კალათბურთელი ლევან მოსეშვილი. ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ: მოფარიკავე გურამ კოსტავა, მოჭიდავე ნოდარ ხოხაშვილი, ძუდოისტები: ანზორ კიკნაძე და ფარნაოზ ჩიკვილაძე, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე დავით გვანცელაძე.

მეხიკოს 1968 წლის XIX ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოდან მონაწილეობდა 14 სპორტსმენი: რომან რურუა, ვიქტორ სანეევი, ლუდმილა იევლევა, გურამ გუდაშვილი, იგორ დელაროსა, შოთა ლომიძე, ზარიბეგ ბერიაშვილი, ზურაბ საკანდელიძე, სერგო კოვალენკო, დიტო შანიძე, შოთა ქველიაშვილი, ომარ ფხაკაძე, თინათინ ლეკვეიშვილი და ბორის პოლულიახი.

ოქროს მედლები მოიპოვეს: რომან რურუამ და ვიქტორ სანეევმა, ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ: ძალოსანი დიტო შანიძე და თავისუფალი სტილის მოჭიდავე შოთა ლომიძე. ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ: კალათბურთელები: ზურაბ საკანდელიძე და სერგო კოვალენკო.

მიუნხენის 1972 წლის XX ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა 16 სპორტსმენი: ლევან თედიაშვილი, ჯემალ მეგრელიშვილი, შოთა ჩოჩიშვილი, გივი ონაშვილი, გურამ გოგოლაური, ვიქტორ სანეევი, ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია, ვიქტორ კრატასიუკი, დიტო შანიძე, ომარ ფხაკაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ქეთევან ლოსაბერიძე, თინათინ ლეკვეიშვილი და გიორგი ნასყიდაშვილი.

ოქროს მედლები მოიპოვეს: შოთა ჩოჩიშვილმა, ლევან თედიაშვილმა, ვიქტორ სანეევმა, ზურაბ საკანდელიძემ, მიხეილ ქორქიამ და ვიქტორ კრატასიუკმა. ვერცხლის მედალს დაეუფლა ძალოსანი დიტო შანიძე. ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ ველოსიპედისტი ომარ ფხაკაძე, ფეხბურთელები: მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი და ძიუდოისტი გივი ონაშვილი.

მონრეალის 1976 წლის ზაფხულის XXI ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობდა 11 ქართველი სპორტსმენი: ლევან თედიაშვილი, ვიქტორ სანეევი, შოთა ჩოჩიშვილი, რამაზ ხარჩილაძე, ოლეგ ზურაბიანი, იგორ ომელჩენკო, იგორ კუშპელიოვი, ალექსანდრე ანპილოგოვი, მიხეილ ქორქია, ვლადიმერ ისელიძე და მარლენ პაპავა. მეორედ მოიპოვა ოქროს მედალი ლევან თედიაშვილმა, ხოლო ვიქტორ სანეევი მესამედ დაეუფლა ოქროს მედალს, ოქროს მედალი მოიპოვა ალექსანდრე ანპილოგოვმა. ვერცხლის მედალოსანი გახდა რამაზ ხარშილაძე. ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ შოთა ჩოჩიშვილი და მიხეილ ქორქია.

მოსკოვის 1980 წლის XXII ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოდან 16 სპორტსმენი მონაწილეობდა. უნდა აღინიშნოს, რომ პირველმა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სპორტის ისტორიაში ქეთევან ლოსაბერიძემ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის წოდება მშვილდოსნობაში. ოქროს მედლები მოიპოვეს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავემ ვახტანგ ბლაგიძემ და ძიუდოისტმა შოთა ხაბარელმა. ვერცხლის მედლები მოიპოვეს ვიქტორ სანეევმა, თემურ ხუბულურმა, ალექსანდრე ანპილოგოვმა და საიდა გუნბამ. ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ: ლიანა ცოტაძე, ნიკოლოზ დერიუგინი, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე და რევაზ ჩელებაძე.

სეულის 1988 წლის XXIV ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოდან 16 სპორტსმენი მონაწილეობდა.

საქართველოს სპორტსმენებიდან ნინო სალუქვაძემ სპორტული პისტოლეტით სროლაში ოქროს მედალი მოიპოვა, გარდა ამისა ნინომ ვერცხლის მედალი მოიპოვა პნევმატური პისტოლეტით სროლაში. ოქროს მედლები მოიპოვეს დავით გობეჯიშვილმა, ვლადიმერ აფციაურმა, ვლადიმერ გოგოლაძემ და გელა კეტაშვილმა.

ვერცხლის მედალი მოიპოვა ლერი ხაბელოვმა. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს: ამირან ტოტიკაშვილმა, გიორგი თენაძემ, ვახტანგ იაგორაშვილმა, მიხეილ გიორგაძემ და მაია აზარაშვილმა.

ბარსელონას 1992 წლის XXV ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოდან მონაწილეობდა 12 სპორტსმენი, მათგან ოქროს მედლები მოიპოვეს: კახი კახიაშვილმა, ლერი ხაბელოვმა და დავით ხახალეიშვილმა.

ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ლეილა მესხმა, რამაზ ფალიანმა, ხათუნა ქვრივიშვილმა, გიორგი კოღუაშვილმა და დავით გობეჯიშვილმა.

ატლანტას 1996 წლის XXVI ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე პირველად ქართული ოლიმპიური სპორტის ისტორიაში საქართველომ დამოუკიდებელი გუნდით მიიღო მონაწილეობა. ჩვენი ქვეყნის დელეგაცია რაოდენობრივად სარეკორდო იყო ყველა დანარჩენი ოლიმპიური თამაშებისაგან განსხვავებით, მონაწილეობდა 36 სპორტსმენი.

ატლანტის ოლიმპიადა იყო ერთადერთი, სადაც ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა ოქროსა და ვერცხლის მედალი ვერ მოიპოვეს.

მხოლოდ და მხოლოდ ორმა სპორტსმენმა ელდარ კურტანიძემ და სოსო ლიპარტელიანმა მოიპოვეს ბრინჯაოს მედლები.

სიდნეის 2000 წლის XXVII ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სპორტული დელეგაცია წარმოდგენილი იყო 36 სპორტსმენით. ჩვენი სპორტსმენებიდან ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს: გიორგი ვაზაგაშვილმა, გიორგი ასანიძემ, აკაკი ჩაჩუამ, ვლადიმერ ჭანტურიამ, მუხრან ვახტანგაძემ და ელდარ კურტანიძემ.

ათენის 2004 წლის XXVIII ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოდან მონაწილეობდა 33 სპორტსმენი.

ჩვენმა წარგზავნილებმა გიორგი ასანიძემ და ზურაბ ზვიადაურმა პირველად, დამოუკიდებლობის პერიოდში მოიპოვეს ოქროს მედლები. ვერცხლის მედალოსნები გახდნენ: ნესტორ ხერგიანი და რამაზ ნოზაძე.

პეკინის 2008 წლის XXIX ოლიმპიადაზე საქართველოდან მონაწილეობდა 35 სპორტსმენი. ჩვენი სპორტსმენებიდან ოქროს მედლები მოიპოვეს: მანუჩარ კვირკველიამ, ირაკლი ცირეკიძემ და რევაზ მინდორაშვილმა.

ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს: ნინო სალუქვაძემ, ოთარ თუშიშვილმა და გიორგი გოგშელიძემ.

ლონდონის 2012 წლის XXX ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოდან მონაწილეობდა 35 სპორტსმენი. ჩვენი წარგზავნილებიდან ოქროს მედალი მოიპოვა გორის რაიონის მკვიდრმა ლაშა შავდათუაშვილმა. ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ: გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, დავით მომმანაშვილი და რევაზ ლაშხი. ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ: დავით მარსაგიშვილი, გიორგი გოგშელიძე და მანუჩარ ცხადაია.

15 თანამედროვე ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე ქართველმა სპორტსმენმა მოპოვებული წარმატებებით დაამტკიცეს რომ ქართული ჯიში და გენი დაუმარცხებელია და ჩემპიონების სამჭედლო კვლავაც მსოფლიო სპორტის ავანგარდში დგას. ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ 1952 ელიდან 2012 წლამდე ჩატარებულ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველ სპორტსმენებს მოპოვებული აქვთ 37 ოქროს, 28 ვერცხლისა და 53 ბრინჯაოს მედალი.

ასეთი წარმატებები გვაძლევს იმედს, რომ შესანიშნავ ტრადიციებს გააგრძელებენ.

რიო დე ჟანეიროს 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მონაწილე 40 სპორტსმენი, რომლებმაც მძაფრი კონკურენციის ფარგლებში მოიპოვეს 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ლიცენზიები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველ სპორტსმენებს ღირსეული გამოსვლისათვის ყველა პირობა შეუქმნა საქართველოს მთავრობამ, ქვეყნის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, სპორტის ეროვნულმა ფედერაციებმა.

წარმოგიდგენთ 2016 წლის რიო დე ჟანეიროს XXXI ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ქართველს სპორტსმენებს:

შმაგი ბოლქვაძე - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
რევაზ ნადარეიშვილი - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
ზურაბ დათუნაშვილი - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
იაკობ ქაჯაია - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
რობერტ კობლიაშვილი - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
ზურაბ იაკობაშვილი - თავისუფალი ჭიდაობა
ელიზბარ ოდიკაძე - თავისუფალი ჭიდაობა
იაკობ მაქარაშვილი - თავისუფალი ჭიდაობა
სანდრო ამინაშვილი - თავისუფალი ჭიდაობა
ვლადიმერ ხინჩეგაშვილი - თავისუფალი ჭიდაობა
გენო პეტრიაშვილი - თავისუფალი ჭიდაობა
დავით ხარაზიშვილი - მძლეოსნობა
ბაჩანა ხორავა - მძლეოსნობა
ბენიკ აბრამიანი - მძლეოსნობა
ვალენტინა ლიაშენკო - მძლეოსნობა
ლაშა თორღვაძე - მძლეოსნობა
ხათუნა ნარიმანიძე - მშვილდოსნობა
ქრისტინე ესებუა - მშვილდოსნობა
იულია ლობჟანიძე - მშვილდოსნობა

ზაზა ნადირაძე - ნიჩბოსნობა
ნიკოლოზ ბასილაშვილი - ჩოგბურთი
ირაკლი ბოლქვაძე - ცურვა
თეონა ბოსტაშვილი - ცურვა
ლუბა გოლოვინა - ბატუტზე ხტომა
სალომე ფაჟავა - მხატვრული ტანვარჯიში
ესტერ სტამი - ძიუდო
ამირან პაპინაშვილი - ძიუდო
ლაშა შავდათუაშვილი - ძიუდო
ვაჟა მარგველაშვილი - ძიუდო
ვალერი ლიპარტელიანი - ძიუდო
ადამ ოქრუაშვილი - ძიუდო
ავთანდილ ჭრიკიშვილი - ძიუდო
ბექა ღვინიაშვილი - ძიუდო
ნინო სალუქვაძე - ტყვიის სროლა
ცოტნე მაჭავარიანი - ტყვიის სროლა
რაულ ცირეკიძე - ძალოსნობა
ლაშა ტალახაძე - ძალოსნობა
ირაკლი თურმანიძე - ძალოსნობა

XXXI ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისათვის მოსამზადებელ 4-წლიან პერიოდში ყველაფერი გაკეთდა, რომ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზონ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველმა სპორტსმენებმა 40 ლიცენზია აიღეს, რაც რეკორდული მაჩვენებელია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ პირველად ქართული სპორტის ისტორიაში შიდა ქართლიდან ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებს ექვსი სპორტსმენი: ამირან პაპინაშვილი, ვაჟა მარგველაშვილი, ბექა ღვინიაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი და გენო ტლაშაძე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველ სპორტსმენთა მიერ ოლიმპიადის წინა პერიოდში ნაჩვენები მაღალი შედეგები და მათი რეალური პოტენციალი საწინდარი იქნება XXXI ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე შესანიშნავი წარმატებების მისაღწევად.

ლიტერატურა:

1. გურამ ძაგანია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია, თბილისი, 2004.
2. ელგუჯა ბერიშვილი, სპორტის ენციკლოპედია, თბილისი, 2006.
3. ელგუჯა ბერიშვილი, ქართული სპორტის ოქროს წიგნი, თბილისი, 2013.
4. www.msy.gov.ge

საქართველოს დელეგაცია ფიცის მიღების შემდეგ, რიო დე ჟანეიროში გამგზავრების დღეს

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ქართველ სპორტსმენთა მონაწილეობის შედეგები 1952 წლიდან 2012 წლამდე ჩატარებულ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე.

განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს მათ მიერ მოპოვებული 37 ოქროს, 28 ვერცხლის და 53 ბრინჯაოს მედალი. სწორედ მათი დამსახურებაა ის ფაქტი, რომ თანამედროვე მსოფლიო სპორტულ მოძრაობაში საპატიო ადგილი აქვს მიკუთვნებული საქართველოს.

2016 YEAR RIO DE JANEIRO XXXI OLYMPIC GAMES AND INDEPENDENT GEORGIAN SPORTMEN'S ANOTHER EXAM

Aleksandze Iashvili, Professor

RESUME

In the article are discussed the result of the Summer Olimpic games from 1952 to 2012 years. The main topic of interest is the won 37 gold medals, 28 silver and 53 bronze ones. Due to this fact Georgia has a reputable place in modern sport movement.

ВАЖНОЕ ЗНАЧЕНИЕ АНАЛИЗАТОРОВ В ПРОЦЕССЕ ИЗУЧЕНИЯ ТЕХНИЧЕСКИХ ДЕЙСТВИЙ

Георгий Мдзинарашвили, *ассоциированный профессор*
Мариам Убирия*, приглашенный специалист, доктор медицины*

Современный спорт – спорт высокых результатов и больших достижений всё больше и больше требует от специалистов, как теоретиков, так и практиков выяснения рациональных путей изучения и совершенствования технико-тактических действий и этот процесс направлен к раскрытию тех механизмов которые обеспечивает качественное и эффективное их обучение и выполнение. Вопрос о том, через какие каналы воспринимает спортсмен информацию о движении занимает в этой проблеме одно из центральных мест.

По определению И.П. Павлова анализаторы (органы чувств) – это нервные приборы, которые специализированы для преобразования внешней энергии в нервный импульс.

Различают анализаторы: зрительный, слуховой, кожный, обонятельный, двигательный и другие.

Каждый из них состоит из трех нервных образований: рецепторов, трансформирующих определенный вид внешней энергии в нервный процесс (например, глаз трансформирует световую энергию, ухо-звуковую энергию в нервный импульс и т.д.), проводниковой части, передающей воспринимаемую информацию от периферии к различным уровням центральной нервной системы, и коркового отдела, т.е. самого высшего отдела, расположенного в больших полушариях, где происходит высший анализ и синтез поступающей информации.

От глаза, уха, мышц, суставов и пр. тянутся нервные пути, которые проводят импульсы, возникающие в периферической части органов чувств, в кору головного мозга. Если наблюдаются повреждения в нервных путях или нарушается деятельность самих мозговых клеток, то функции органов чувств претерпевают существенные изменения. Анализатор на глаз или ухо и т.д., а весь сложный аппарат, начинающийся от периферических образований и кончающийся в мозге. Только с помощью этого аппарата человек может ощущать и воспринимать предметы и их свойства. Отражая и действуя, человек познает все богатство и разнообразие окружаюшего мира и его свойства.

Термин «анализаторы» к органам чувств впервые применил И.М. Сеченов. Называя их так, он хотел подчеркнуть наиболее существенную особенность деятельности этих органов – функцию анализа, или дробления. Любой предмет, любое действие даны нам в целостном виде. Для того чтобы объект или какое-либо движение отражались в сознании более точно со всеми свойствами и особенностями, необходимо эти свойства прежде всего выделить. Это осуществляется процессом дробления. Однако таким дроблением не

исчерпывается функции анализатора. Ждя того чтобы в мозге создалась четкая копия всех свойств предмета и их внешних связей, органы чувств должны выполнять еще и функцию объединения частей, их синтез. Ощущения, возникающие в результате воздействия различных предметов и явлений внешнего мира на органы чувств, осознаются человеком (в мозге происходит превращение энергии внешнего раздражителя в факт сознания), в связи с чем он отвечает на внешние воздействия нужным действием.

Особенно важно учитывать функцию и значение анализаторов в процессе освоения и совершенствования технических действий.

После освоения технического действия до уровня умения, его совершенствование и переход в навык осуществляется во многом за счет повышения мышечных ощущений. На этом этапе формирования двигательного навыка необходимо применять такие средства, которые бы способствовали развитию тактильного анализатора.

Как известно, в работе анализаторов существует взаимосвязь, осуществляемая и контролируемая центральной нервной системой. С потерей, например, зрения или слуха обостряется чувствительность других анализаторов, компенсируя в какой-то мере функцию утраченного чувства. Так, глухонемые и слепые борцы при определенном своеобразии применяемых средств и методов на первых этапах овладения даже сложными техническими действиями не уступают здоровым спортсменам.

Если в период изучения нужно идти по пути расширения информации о приёме, то на этапе совершенствования следует идти по пути ее сужения, целенаправленно адресуя раздражатели и акцентируя внимание на мышечной рецепции. Таким образом, с отключением зрения обостряется мышечная чувствительность в борьбе. Особенно ярко это проявляется на глухонемых борцах. Как известно, у них нарушены функции вестибулярного аппарата и координации движения. С завязанными глазами такие борцы плохо ориентируются в пространстве, у них нарушается походка и т.д. Но в схватке, в непосредственном контакте с противником, он с поразительной точностью может дозировать усилия, уровень захватов, и эти показатели намного выше, чем те, которые получены при открытых глазах.

На положительный эффект работы с отключением зрения указывает известный ученый, тренер Р. Петров. Он пишет: «Изучение и совершенствование приёмов при наличии зрительного контроля и при его отсутствии, с несколькими повторениями значительно можно улучшить процесс освоения по сравнению с традиционной системой обучения».

Хорошие результаты получены с использованием метода отключения зрения при исправлении укоренившихся ошибок. В неправильной форме (с ошибками) на высшем уровне автоматизированное движение трудно поддается исправлению до выполнения его на таком же высоком уровне, но с правильной структурой. С отключением зрения разрешение такого проблематичного вопроса становится более существенным, разрушается привычная реакция (рефлекс) на обстановку, что позволяет спортсмену более тонко дифференцировать мышечные ощущения и в большей степени осознавать движения собственного тела. В результате появляется возможность выполнения движения без ошибок.

Для рационального построения системы обучения и совершенствования технических действий в вольной борьбе, основанной на широком потоке поступающей информации к центральной нервной системе об изучаемом и совершенствуемом движении, нами, наряду с другими средствами развития чувствительных анализаторов, а частности тактильного, был применен метод борьбы с отключением зрительного анализатора.

Этот метод применялся на этапе формирования движения до уровня двигательного умения. По мере повышения подготовленности занимающихся увеличивался объём и интенсивность таких заданий.

Задания с проведением схватки с отключением зрительного анализатора проводились с разными соперниками.

Время заданий борьбы с отключением зрительного анализатора увеличивалось по мере увеличения стажа занятий борцов. Длительность первого задания составляла 1-1,5 минуты. Далее объём времени увеличивался и достигал 3-4-х минут. На тренировке борцы выполняли две схватки с разными соперниками.

Использование такого метода значительно повысило эффективность проведения технических действий в учебно-тренировочных и тренировочных схватках, а также на соревнованиях.

ЛИТЕРАТУРА:

1. Керимов Ф.А. Психифизиологические особенности формирования технико-тактических действий борцов. В ежегодн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1984.
2. Настенко В.Т., Силин Г.В. Взаимосвязь уровня тактико-технического мастерства борцов с показателями мышечно-суставной чувствительности. В ежегодн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1982.
3. Пилоян Р.А., Силин Г.В. Контроль за мышечно-суставной чувствительностю. В ежегодн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1979.
4. Юшков О.П., Оленник В.Г. Методы обучения технике борьбы. В ежегодн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1971.
5. Новиков А.А., Юшков О.П. Техническое мастерство борца и органы чувств. В кн. «На борцовском ковре». М., ФиС, 1969.

ანალიზატორების დიდი მნიშვნელობა ტექნიკური მოქმედებების სწავლის დროს

გიორგი მძინარაშვილი, ასოცირებული პროფესორი
მარიამი უბირია, მოწვეული სპეციალისტი, მედიცინის დოქტორი

რეზიუმე

თანამედროვე სპორტი და, შესაბამისად, საწვრთნო პროცესი მოითხოვს როგორც მწვრთნელებისაგან, ასევე სპორტსმენებისაგან იმ რაციონალური მეთოდების გამოყენებას, რომელიც მოუტანს მათ ეფექტურ შედეგს. ამ პროცესში უდიდესი როლი ენიჭება ადამიანის და, კერძოდ, სპორტსმენის ანალიზატორების განვითარებასა და სრულყოფას. სხვა ანალიზატორებთან ერთად მნიშვნელოვანია ტაქტიკური ანალიზატორის როლი. ჩვენმა მეთოდებმა ტაქტიკური ანალიზატორების გააქტიურების პრინციპით დადებითი შედეგი მოგვიტანა.

THE GREAT IMPORTANCE OF ANALYZERS DURING THE STUDY OF TECHNICAL ACTIONS

Giorgi Mdzinarashvili, Associate Professor
Mariam Ubiria, Specialist by contract, Doctor

RESUME

The modern sport and therefore – training process requires both from coaches and athletes the rational methods, which will bring them to effective results. In this process, the role of person is great, in particular the development and improvement of the athletes analyzers. With o ther analyzers is important of tactical role analyzer. Our method which is based on the principle of intensifying tactical analyzers brought positive results.

გლობალურ ქსელებში ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვის პრობლემების შესახებ

ციური ნოზაძე, ასოცირებული პროფესორი

დღეისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში ერთერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა ინფორმაციის დაცვაა ინტერნეტში. მართლაც, ძალიან მცირეა ისეთი ორგანიზაციების თუ ადამიანების რიცხვი, რომლებიც არ იყენებენ გლობალური ქსელის მომსახურებას: ახორციელებენ ფინანსურ ოპერაციებს, საქონლის შეკვეთას, გადასახადების გადახდას, მიმოწერას და სხვა, რომლებიც მოითხოვენ კონფიდენციალობის დაცვას.

ინფორმაციული უსაფრთხოებაში იგულისხმება თვით ინფორმაციის მდგომარეობა, რაც ნიშნავს, რომ სისტემა ნორმალურად ფუნქციონირებს, მონაცემები დაცულია და უზრუნველყოფილია მათი მთლიანობის, კონფიდენციალობის და ხელმისაწვდომობის უსაფრთხოება.

არსებობს ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემებისა და რისკების წყაროების რამდენიმე სახე, საიდანაც შეიძლება მომდინარეობდეს საფრთხეები ან არასანქცირებული დაშვების რისკები. პირველი, ეს არის ანთროპოგენული ხასიათის წყაროები. მათ მიეკუთვნება სხვადასხვა სუბიექტების მოქმედება, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც შემთხვევითი, ისე განზრახული. ისინი იყოფიან გარე და შიდა საფრთხეებად. პირველი ნიშნავს უცხო პირის შემოჭრას საერთო დანიშნულების გარე ქსელიდან, მეორე კი გულისხმობს ჩავარდნებს შიგნით, ანუ კომპანიის თანამშრომლების მხრიდან, კერძოდ, როგორც პროგრამული უზრუნველყოფის და აპარატორული საშუალებების ხარვეზებით, ისე მათი არასწორი ექსპლოატაციით.

ვინაიდან ინტერნეტი თავისი არქიტექტურით ღია სისტემაა, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ ნებისმიერ პიროვნებას მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევს და ბოროტმზრახველები (ჰაკერი) იოლად აღწევენ ქსელში სახლის კომპიუტერიდან მოდემის ან სატელეფონო ხაზის საშუალებით. შესაბამისად, ინფორმაციის დაცვა ინტერნეტში ნებისმიერი მსხვილი კომპანიის ან ორგანიზაციის ერთ-

ერთი მთავარი პრობლემაა. ის ვინც წინდახედულია დაცვის ღონისძიებებს წინასწარ გეგმავს, ხოლო ზოგიერთები ინფორმაციის დაცვაზე პირველი უსიამოვნების შემდეგ ფიქრობენ.

უცხო არ არის ის ფაქტი, რომ კომპიუტერული ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, ერთი მავნე პროგრამის საშუალებით ჩაერიონ სხვის პირად ცხოვრებაში, მართონ სხვისი მანქანები, მოიპარონ ინფორმაცია ან თუნდაც ფული და ა.შ., ამიტომ ბუნებრივად ჩნდება კითხვა – როგორ დავიცვათ თავი არასანქცირებული დაშვების, მავნე პროგრამების შემოტევისა, თუ თუ სხვა საფრთხეებისგან?

შედეგები, რომლებიც შეიძლება მოყვეს არაშესაბამისი და არაადეკვატური უსაფრთხოების ზომების მიღებას შეიძლება ძალიან სერიოზული იყოს რეპუტაციის, ჯარიმის, პასუხისმგებლობის თვალსაზრისით ან ბიზნესის ჩავარდნის კუთხით თუკი მონაცემები დაიკარგება. აქედან გამომდინარე ინფორმაციული უსაფრთხოება წარმოადგენს თანამედროვე საქმიანი მსოფლიოს ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს.

შესაბამისად, კარგად ორგანიზებული კომპანია თუ ორგანიზაცია წინასწარ გეგმავს უსაფრთხოების პოლიტიკას და მის მართვას. ამისათვის მიზანშეწონილია გააჩნდეთ სამსახური, რომელიც შეიმუშავებს უსაფრთხოების სტრატეგიას და პასუხისმგებელი იქნება უსაფრთხოების რისკების თვალთვალსა და დროული ღონისძიებების გატარებაზე. ეს დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან თუმცა საჭიროა ხარჯებისა და ზიანის შედეგების შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

ზოგადად უსაფრთხოების სტრატეგია მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს: ორგანიზაციულ მიზნებს, გაუთვალისწინებელი გარემოებების მართვას და უსაფრთხოების პოლიტიკას (ნახ. 1).



ნახ 1. უსაფრთხოების სტრატეგია

ვინაიდან საფრთხეების უმეტესობა ქსელიდან მომდინარეობს, მნიშვნელოვანია დაცული იყოს კომპიუტერები და სერვერები, რომლებიც დაკავშირებული არიან ქსელთან, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ქსელში მოსეირნე ტრაფიკის მართვა და კონტროლი. ამიტომ ინფორმაციის დაცვის საშუალებებსა და მეთოდებს თითოეული ორგანიზაცია ინდივიდუალურად უნდა წყვეტდეს.

დღეისათვის Firewall არის ყველა ეფექტური დაცვის საშუალება, რომელიც იცავს შიდა ქსელის მომხმარებლებს გარე შემოტევებისაგან. მისი რეალიზაცია შეიძლება იყოს როგორც პროგრამული, ისე აპარატული. აპარატული Firewall ყენდება ინტერნეტ მარშრუტიზატორებზე (ნახ. 2). ის მართავს და აკონტროლებს ტრაფიკს ქსელსა და კომპიუტერებს შორის და აღმოფხვრის არასანქციონირებულ წვდომას ქსელთან.



ნახ. 2 firewall-ის გამოყენება

Firewall იყენებს სხვადასხვა მეთოდებს: კერძოდ, firewall-ის მოთავსებით შიდა ქსელებსა და ინტერნეტს შორის, როგორც სასაზღვრო მოწყობილობა, მოწმდება და ამასთანავე იმართება ინტერნეტიდან მომავალი და მასშივე გამავალი ყველა ტრაფიკი. ეს ქმნის სუფთა დაცვის ხაზს შიდა და გარე ქსელებს შორის. თუმცა არიან გარე მომხმარებლები, რომლებიც მოითხოვენ წვდომას შიდა რესურსებთან. ამისათვის კონფიგურირდება დემილიტარიზაციის ზონა. რომელიც ნიშნავს არეს შიდა და გარე ქსელს შორის, რომელიც მოწყობილობებისათვის გამოიყენება

პროგრამული ფეიერვოლი - Microsoft Windows ფაიერვოლი Windows ოპერაციული სისტემის ჩართული ფაიერვოლია, რომელიც ავტომატურად ბლოკავს ინტერნეტ საშიშროებებს. გარდა ამისა, ინფორმაციასთან დაშვების სამართავად გამოიყენება მომხმარებლის იდენტიფიკაციისა და ავტორიზაციის საშუალებები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თითოეულმა ორგანიზაციამ ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტოს მიზნებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე უსაფრთხოების რა რა პოლიტიკა უნდა გაატაროს. ზოგადად კი კარგად ორგანიზებული უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

- რისკების მენეჯმენტი. რისკების შეფასება, ქსელში მყოფი ფასეულობების იდენტიფიკაცია და პრობლემების შესაძლო წყაროები.
- პასუხისმგებლობა. უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ამა თუ იმ ზომების მიმღები პასუხისმგებელი პირები.
- ქსელის რესურსების გამოყენების წესები. მომხმარებლების უფლებები და ვალდებულებები.
- იურიდიული ასპექტები.
- დაცვის სისტემის აღდგენის პროცედურები.

ლიტერატურა:

1. Michael E Whitman, Herbert J. Mattod, Principles of information security, 2012.
2. www.Navigator.biometrics.ge
3. http://www.dveri-29.ru/wp-includes/upgrade/problemi-zashiti-informatsii-v-internete.html
4. ლელა მირცხულავა, ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები, თბილისი, 2014.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვის პრობლემები. აღნიშნულია, რომ უსაფრთხოების დარღვევის რისკების უმეტესობა გლობალური ქსელის არასწორი გამოყენებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ხარვეზების შედეგია. განხილულია ქსელში უსაფრთხოების დაცვის ზოგიერთი საშუალება.

აღნიშნულია კომპანიებისა და ორგანიზაციებისათვის უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა, მოტანილია უსაფრთხოების სტრატეგიის სტრუქტურა და უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი ელემენტები.

დასკვნის სახით ნათქვამია, რომ თითოეულმა ორგანიზაციამ თუ კომპანიამ უნდა შეაფასოს ქსელში მყოფი ინფორმაციული რესურსების ღირებულება, საფრთხეების რისკები და შეიმუშაოს შესაბამისი უსაფრთხოების პოლიტიკა.

INFORMATION SECURITY PROBLEMS IN GLOBAL NETWORKS

Tsiuri Nozadze, Associate Professor

RESUME

The article discussed the problem of information security protection. It should be noted that most of the risks of security breaches caused by software flaws and not faithful use of network resources.

Discussed some tools of network security. It noted the need to develop a security strategy for large companies and organizations. Consider the structure of basic elements of the safety and security policy strategy.

In view of the conclusion we can say that more or less every large organization has to assess the value of their own information resources on the network, to assess risks and threats, and to develop an individual security policy.

ბიზნესი და მართვა
Business and Management

ტურიზმის სფეროს პრიორიტეტული მიმართულებები შიდა ქართლში

***მაია აზმაიფარაშვილი**, ასოცირებული პროფესორი*

მსოფლიოში იშვიათია ისეთი ქვეყანა, რომელიც ბუნებრივ-კლიმატური და რეკრეაციულ-ბალნეოლოგიური რესურსებით, ასე უხვად იყოს ღვთისაგან „დაჯილდოებული". ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ტურიზმი და კურორტები ერთმანეთისაგან განუყოფელია. არ არსებობს ტურისტული მარშრუტი, რომელიც გვერდს უვლიდეს კურორტსა და საკურორტო ადგილს, ისევე, როგორც წარმოუდგენელია, კურორტებზე დასვენება, მკურნალობა და გაჯანსაღება, რომელსაც არ ავსებდეს კულტურულ-შემეცნებითი, ბუნების გაცნობითი და სხვა სახის ტურისტული მიმართულებები.

შიდა ქართლი ყოველთვის იზიდავდა ჩამოსულ სტუმარს მხარის ისტორიის, ყოფის, კულტურის, ბუნების და სხვა ღირსშესანიშნაობათა მრავალფეროვნებით. ტურიზმის ცნობილი სპეციალისტი ვალენ ლ. სმიტი, ტურისტული მოტივაციების გათვალისწინებით, განსაზღვრავს ტურიზმის ექვს კატეგორიას: ეთნო, კულტურული, ისტორიული, ეკოლოგიური, რეკრეაციული და ბიზნესტურიზმი. შიდა ქართლში შესაძლებელია განვითარდეს ტურიზმის თითქმის ყველა კატეგორია. ნაშრომი შეეხება შიდა ქართლის მხარეში თავმოყრილი ტურისტულ-რეკრეაციულ პოტენციალს და მისი განვითარების შესაძლებლობებს.

შიდა ქართლი არის ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლის ერთი ნაწილი. მისი ადრინდელი სახელია „ზენა სოფელი". შიდა ქართლი ისტორიულად მოიცავდა ტერიტორიას, რომელიც შემოფარგლული იყო: აღმოსავლეთით - არაგვით, ჩრდილოეთით - კავკასიონით, დასავლეთით - ლიხის ქედით, სამხრეთით - თრიალეთის ქედით. სახელწოდება მომდინარეობს იმ მთისაგან, სადაც ლეონტი მროველის ცნობით დაემკვიდრა ქართველთა ლეგენდარული ეთნარქი - ქართლოსი. მთა "ქართლი" იქცა ქალაქ "ქართლად" (მოიცავდა მცხეთას და წიწამურს), შემდეგ შეიქმნა "დიდი ქართლი", აქედან კი სახელწოდება მთელ მხარეზე გავრცელდა. შიდა ქართლს მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილს გაღმამხარს უწოდებდნენ. მასზე გამავალი მდინარეები - ძამა, ტანა, თეძამი და კავთურა ქვედა წელში მცირე დაბლობებს ქმნიან, ხოლო მტკვრის ჩრდილოეთით დოღლაურის, ტირიფონის და მუხრანის ვრცელი ველებია, რომლებსაც სერავს მდინარეები: აღმოსავლეთის ფრონე, ლიახვი, ლეხურა, ქსანი და არაგვი. შიდა ქართლს, ცენტრალური ადგილმდებარეობის გამო, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიაში. შიდა ქართლის ტერიტორიაზე ხდებოდა ჯერ აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ხოლო შუა საუკუნეებში მის ირგვლივ მიმდინარეობდა საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი.

შიდა ქართლის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი გორი, რომელშიც დიდი ტურისტული პოტენციალია თავმოყრილი. აქ კლიმატი სუბ-კონტინენტური და ზომიერად თბილია. გორი ყოველთვის წარმოადგენდა შიდა ქართლის თავდაცვის საშუალებას. ამ რეგიონის ისტორიულ-კულტურული ღირებულებებიდან გამომდინარე, იგი გადაიქცა შიდა ქართლის მნიშვნელოვან ტურისტულ ცენტრად (გორი და გორის რაიონი, 2010).

ქართლის გულში, საქართველოს მთავარ არტერიაზე ძველთაგანვე თავს იყრიდა გზები, არა მარტო დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, არამედ ჩრდილოეთიდან დიდ და პატარა ლიახვზე, მდინარე მეჯუდაზე გამავალი გზები და სამხრეთიდან, ტანას ხეობით. გორის მიდამოები მცირედაა გაშლილი, მაგრამ თვით ციხესა და ქალაქს საფუძველი სწორედ იმ კლდოვან გორაკზე ჩაეყარა, რომელიც ტაფობის შუაზეა აღმართული. აქედან კარგად ჩანდა შორიდან მომავალი გზები და მტერი ძნელად თუ მოეპარებოდა მას. გორის ციხის ნანგრევებზე სხვადასხვა დროის მრავალი ფენა გაირჩევა, მაგრამ თვით ძველი ქალაქის კვალი თითქმის მთლად წაშლილა ახალი განაშენიანებით. გორის ადრეული ხანის ისტორიაზე მატიანეები არაფერს ამბობენ. მაგრამ 1946 წელს ჩრდილოეთის ფერდობის ჩამოზვავებამ ისტორიის ერთი მეტად საყურადღებო ფურცელი გადაგვიშალა: გამოჩნდა ანტიკური ხანის კედლის მეტად კარგი წყობა, რომელიც ანალოგიას პოულობს აღმოსავლეთ საქართველოს ისეთ ციხე-ქალაქებში, როგორიცაა ბაგინეთი, წიწამური და სხვა. მათთან ერთად, ისიც შეიძლება ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით დათარიღდეს. ციხის კედლები გორაკის რელიეფს

მიჰყვება, რის გამოც მას უსწორო ფორმა აქვს. გეგმა დაგრძელებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე. მდინარე ლიახვი, რომელიც ახლა კარგა მოშორებით მიედინება, წინათ გორაკს აღმოსავლეთის მხარეს ჩაუდიოდა, სწორედ ეს ბუნებრივად ხელსაყრელი მომენტი მარჯვედ გამოუყენებიათ მშენებლებს და სიმაგრის კედლები მდინარემდე ჩამოუყვანიათ. უკანასკნელმა მიწისძვრამ განსაკუთრებით დააზიანა გორაკის თხემზე მდებარე კედლები; ზედა ნაწილი არსად არაა შერჩენილი. გადარჩენილი სქელი კედლების ნაწილები ყრუა. ეტყობა, საბრძოლო ელემენტები ზედა ნაწილებში ყოფილა განლაგებული. უკეთაა შენახული დასავლეთის ფერდობზე მდებარე ნაწილი, რომელსაც ადგილობრივ ,,ცხრაკარას“ ეძახიან ისიც დაზიანებულია, მაგრამ ხერხდება ზოგი რამის აღდგენა XIX საუკუნის დასაწყისში შედგენილი გეგმის მიხედვით (ნ. პავლიაშვილი, კ. ხარაბაძე, 2009).

შიდა ქართლის ტერიტორიაზე მდებარეობს არქიტექტურისა და კულტურის მრავალი ძეგლი, ყინწვისისა და სამთავისის ეკლესია, რკონის სამონასტრო კომპლექსი, ქვათახევის მონასტერი, ატენის სიონი, იკორთის ტაძარი და მრავალი სხვა. გამორჩეული ადგილია თავისი ისტორიული მნიშვნელობით და ბუნების სილამაზით რკონი. რკონი მდებარეობს მდინარე თეძამის მარცხენა ნაპირზე, XII-XIII სს. რკონზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო და სამხედრო სტრატეგიული გზა, რომელიც აკავშირებდა შიდა ქართლს ჯავახეთთან, თრიალეთთან და სომხეთის გავლით ახლო აღმოსავლეთთან. ამან ხელი შეუწყო რკონში და მის მიდამოებში დიდ სამონასტრო მშენებლობას.

შიდა ქართლში უამრავი ისტორიული ძეგლია შემორჩენილი. ქარელის რაიონში სოფ. ყინწვისიდან დაახლოებით 10 კმ-ზე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი - სამონასტრო ანსამბლი, რომლის ნაგებობათაგან დღემდე თითქმის თავდაპირველი სახით შემორჩა XIII საუკუნის დასაწყისის წმ. ნიკოლოზის ჯვაროვან-გუმბათოვანი, გეგმით მართკუთხა ტაძარი. შენობა შიგნით თავიდანვე შეულესავთ და მოუხატავთ, ფრესკების დიდი ნაწილი დაზიანებულია, მაგრამ, რაც დარჩა, მხატვრული ღირსებით შუა საუკუნის ქართული მონუმენტური ფერწერის ერთ-ერთ საუკეთესო და მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. ჩრდილოეთ კედელზე გამოსახეულნი არიან გიორგი III, თამარ მეფე და გიორგი ლაშა.

შიდა ქართლის ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია უფლისციხე - ისტორიულ-არქიტექტორული მუზეუმ-ნაკრძალი, ქალაქი, რომელიც მთლიანად კლდეში არის გამოკვეთილი. უფლისციხე კავკასიის ტერიტორიაზე ერთ-ერთი უძველესი დასახლება იყო. მასზე გადიოდა სავაჭრო გზა. ქალაქს მტრის შემოსევისაგან იცავდა კლდეკარი, რომლის სიმაღლეც 10 მ, სიგრძე კი 150 მეტრია. უფლისციხის შესახებ ცნობები წერილობით წყაროებში პირველად VII საუკუნეებში გვხვდება. უფლისციხისა და მისი გარეუბნების მეურნეობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი აგრარული კულტეის სალოცავი, კლდეში ნაკვეთი საწნახლები, ვაზის სასხლავი დანები, რკინის სახნისი, რიტუალური დანიშნულების ნივთები, ოქროს, ვერცხლის, რკინის, ძვლის, ქვის, თიხის სამკაულები და სხვა ხელოსნური ნაწარმის სიმრავლე. ამ უძველეს ქალაქში ტურისტს შეუძლია ნახოს სხვადასხვა დანიშნულების დარბაზი და თეატრის შენობაც კი, სადაც დღემდე არის შემორჩენილი სცენა და მაყურებლისათვის განკუთვნილი ადგილი. გორის, ატენის, უფლისციხის მარშრუტები ამ რეგიონში იძლევა ტურიზმის განვითარების კარგ შესაძლებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ტურისტების დიდ ინტერესს იწვევს უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალი.

გორში ჩასულ ქართველ და უცხოელ ტურისტთა დიდ ინტერესს იწვევს იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმიც, რომელიც შედგება სტალინის მემორიალური სახლის, პირადი ვაგონისა და მისი ცხოვრების ამსახველი 7 დარბაზისაგან. მუზეუმის ფონდში ამჟამად 47045 ნივთიერი ექსპონატი, დოკუმენტი, მხატვრული ტილო და 12756 დამხმარე და სამუზეუმო მასალაა დაცული. კულტურულ ტურიზმის მიმართულებით ასევე მნიშვნელოვანი ობიექტია ქ. გორში სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც 1935 წელს დაარსდა ს. მაკალათიას თაოსნობით.

შიდა ქართლში კავკასიონის ქედზე გადაშლილია ყელის ვულკანური წარმოშობის ზეგანი, რომელზეც ბევრი ტბაა. მათ შორის ყველაზე დიდია ყელის ტბა, საიდანაც სათავეს იღებს მდ. ქსანი. მდებარეობს ზღვის დონიდან 2194 მ სიმაღლეზე. ტბის წყალი მტკნარია. მასში არცერთი სახეობის თევზი არ ბინადრობს. ტბა 7-8 თვის განმავლობაში ყინულითაა დაფარული.

მეტად საინტერესო და ტურისტული პოტენციალით მდიდარი მიკროზონაა გორის მუნიციპალიტეტში სოფელი ატენი და ბოშურის ხეობა. აქ უნიკალური რესურსი და პირობაა განვითარდეს ტურიზმის ისეთი სახეობები, როგორიცაა ეკოტურიზმი, სათავგადასავლო, კულტურული, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და აგროტურიზმი.

პროექტში „საქართველოს ღვინის გზა“ ითვალისწინებს საქართველოს ყველა რეგიონში არსებული ღვინის კომპანიების, მცირე და ოჯახური მარნების მოძიებას, აღრიცხვას და ტურისტებისთვის

განკუთვნილ საინფორმაციო კატალოგებში განთავსებას. ჯერჯერობით 26 საოჯახო მარანი და 18 ღვინის კომპანია შეირჩა, რომლებიც მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რაც ტურისტების მისაღებად და გასამასპინძლებლად არის აუცილებელი, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილწარმოშობის "ატენური ღვინო", რომელსაც, როგორც წესი, ქართლის ორი ჯიშის - გორული მწვანისა და ჩინურის - შერევით ამზადებდნენ აღნიშნულ კატალოგში განთავსდება (http://georgianwine.gov.ge/).

შიდა ქართლის რეგიონში სხვადასხვა სახის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსია. გენეზისის მიხედვით გვხვდება როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური წარმოშობის რესურსები. მიუხედავად ზემოთ წარმოდგენილი რესურსებისა ნაკლებად ცნობილია რეგიონის პოტენციური შესაძლებლობები, საკურორტო რეკრეაციული სპეციალიზაცია. შესწავლილი და შეფასებული არ არის ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი რეგიონის კურორტები და საკურორტო ადგილები. რეგიონს არ გააჩნია ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების მონაცემთა ერთიანი ბაზა. აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა შეიძლება შესთავაზოს შიდა ქართლმა უცხოელ ტურისტებს. შესამუშავებელია მარკეტინგული სტრატეგიები და ტურისტული პროდუქტის წინ წასაწევად. მიზნის მისაღწევად საჭიროა გაფართოვდეს ტურისტულ საქმიანობა რეგიონში.

ტურიზმს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს შიდა ქართლში ეკონომიკური სიტუაციის გამოსწორებასა და ცხოვრების დონის ამაღლებაში, საამისოდ საჭიროა კარგად დაგეგმილი და გააზრებული გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, საჭიროა თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა და კვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც უპასუხებენ საერთაშორისო ტურისტების მაღალ მოთხოვნებს.

ამრიგად, საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი რეგიონული ტურისტული პოტენციალი, რომლის სწორად დაგეგმარებისა და რეალიზაციის შემთხვევაში ჩვენს ქვეყანას შეუძლია სერიოზული პრეტენზია განაცხადოს, ევრაზიის რეგიონში ტურიზმის განვითარების მიხედვით, ლიდერობის პოზიციაზე.

ლიტერატურა:

1. პავლიაშვილი ნ. ხარაბაძე კ., საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 2009.
2. ბირჟაკოვი მ., ტურიზმის თეორია, თბილისი, 2008.
3. ხომერიკი გ., ტურიზმი, თბილისი, 2008.
4. ტურიზმის ეკონომიკა, გამომცემლობა ‘‘უნივერსალი’’, თბილისი, 2010.
5. გორი და გორის რაიონი, გამომცემლობა ‘‘უნივერსალი’’, თბილისი, 2010.
6. ტურიზმი ძველი დროიდან დღემდე, გამომცემლობა ”საარი”, თბილისი, 2009.

www.saunje.ge
www.daisvenet.ge
www.ntour.ge
www.freshtravel.ge
www.travelclub.ge
www.caucasustravel.com
http://georgianwine.gov.ge/

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია შიდა ქართლში ტურიზმის სფეროს პრიორიტეტული მიმართულებები. რეგიონს გააჩნია მნიშვნელოვანი ტურისტული პოტენციალი. გენეზისის მიხედვით გვხვდება, როგორც ბუნებრივი ისე ანთროპოგენური წარმოშობის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები. თუმცა შესწავლილი და შეფასებული არ არის ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი რეგიონის კურორტები და საკურორტო ადგილები. რეგიონს არ გააჩნია ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების მონაცემთა ერთიანი ბაზა. აუცილებელია განისაზღვროს თუ რა შეიძლება შესთავაზოს შიდა ქართლმა უცხოელ ტურისტებს. საჭიროა თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა. შესამუშავებელია მარკეტინგული სტრატეგიები და ტაქტიკა ტურისტული პროდუქტის წინ წასაწევად.

PRIORITY TRENDS IN TOURISM SPHERE IN SHIDA KARTLI

Maia Azmaiparashvili, Associate Professor

RESUME

The article deals with the priorities of the tourism sector in the Shida Kartli region. Regoins has a considerable tourist potential. According to the genesis of a different kind can be found in tourist and recreational resources. The resorts of the region have not been studied. The region does not have a tourist and recreational resources in a unified database. It is necessary to define the Shida Kartli can offer foreign tourists. Needed to create a modern tourist infrastructure. Developed marketing strategies and tactics to advance the tourism product.

საინვესტიციო აქტივობის მახასიათებლები საქართველოში

თეა ანესაშვილი, *მოწვეული სპეციალისტი*

ეკონომიკურ მეცნიერებაში აღიარებულია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირებისათვის:

- საინვესტიციო აქტივობის უზრუნველმყოფი ინსტიტუციური გარემოს უზრუნველყოფას;
- სახელმწიფო მასტიმულირებელ ფულად–საკრედიტო და ფისკალურ პოლიტიკას;
- მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას.

საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებისა და განვითარების დროს **სამი ძირითადი ეტაპის** გამოყოფაა შესაძლებელი, რომლებიც საინვესტიციო აქტივობისათვის შექმნილი ფონით, საინვესტიციო აქტივობის მიღწეული დონით, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას განსაზღვრავენ. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი არსებულმა **სისტემურმა კრიზისმა** მნიშვნელოვნად დააქვეითა. ისეთი პროექტების განხორციელება, როგორიცაა ბაქო – თბილისი – ჯეიჰანი და შაჰდენიზის გაზსადენის მშენებლობა, ამ პერიოდის პოზიტიური მოვლენაა და მიუთითებს საინვესტიციო აქტივობის განვითარებაზე, რაც არსებით ზეგავლენას ახდენს საინვესტიციო აქტივობაზე. **საინვესტიციო გარემოს** დახასიათებისათვის, ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში მიღებულია ისეთი მაჩვენებლების გამოყენება, როგორიცაა:

- მთლიან შიდა პროდუქტში დაგროვების წილი;
- ინვესტიციების მთლიანი მოცულობა;
- ინვესტიციების სტრუქტურა დაფინანსების წყაროების მიხედვით;
- ინვესტიციების სტრუქტურული მაჩვენებლები (დარგობრივი და ეკონომიკური);
- ინვესტიციების სფეროში ინფლაციის ინდექსის მრეწველობაში საბითუმო ფასების ინდექსთან შედარების კოეფიციენტი;
- ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლები;

მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) დაგროვების წილის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მთლიანი დაგროვების სტრუქტურაში არსებული ცვლილებების, განვითარების ტენდენციებისა და მოსალოდნელი პერსპექტივების განსაზღვრა. ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებაში სამეწარმეო სექტორის ინვესტიციებმა ძირითად საშუალებებში 2010 წელს შეადგინა 2597,4 მლნ. ლარი (ანუ 60.4 %). ბოლო წლებში შეიმჩნევა მთლიანი დაგროვების მაჩვენებლის ზრდა წინა წლებთან შედარებით, მაგრამ მცირდება მისი ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში.

ინვესტიციების დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ყველაზე აქტიური (საინვესტიციო თვალსაზრისით) დარგი, სექტორი, და დავადგინოთ მისი განმაპირობებელი ფაქტორები. საქართველოს ეკონომიკის ისეთ დარგებში, როგორიცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ჯანდაცვა, განათლება და ა.შ., დაბალია საინვესტიციო აქტივობა, რაზეც მიუთითებს საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები. ინვესტიციების უმეტესი ნაწილი ძირითად კაპიტალში აკუმულირებულია სახელმწიფო მმართველობისა და საერთო სარგებლობის აქტივების სფეროში, ასევე ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში. კაპიტალის შემოდინებისათვის არახელსაყრელ ეკონომიკურ და ინსტიტუციურ პირობებზე მიუთითებს ის, რომ

ძირითად კაპიტალში დაბანდებების დაბალი წილით გამოირჩევიან ისეთი სფეროები, როგორიცაა ჯანდაცვის, განათლების და საფინანსო სამსახურები. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მხრივ 2010 წლის მონაცემებით ყველაზე აქტიური იყო შემდეგი ქვეყნები:

- ჩეხეთი – 222.2 მლნ. აშშ დოლარი (81%)
- ნიდერლანდები – 218 მლნ. აშშ დოლარი (13%)
- ვირჯინიის კუნძულები – 173.8 მლნ. აშშ დოლარი (10.3%)
- კვიპროსი – 136.0 მლნ. აშშ დოლარი (8.1 %)
- თურქეთი – 133.7 მლნ. აშშ დოლარი (6%)
- ყაზახეთი – 108 მლნ. აშშ დოლარი (6.4%)
- ბრიტანეთი – 104 მლნ. აშშ დოლარი (6.2%)
- აშშ – 93.5 მლნ. აშშ დოლარი (5,6%)
- რუსეთი – 71.9 მლნ. აშშ დოლარი(4,3%)

ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირებაში და საინვესტიციო აქტივობის ამაღლებაში ერთ–ერთი მნიშვნელოვანი როლი გააჩნია ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ გარემოს.

საინვესტიციო გარემოზე **ნეგატიურად** მოქმედ ფაქტორებს (მსოფლიო ბანკის კვლევებზე დაყრდნობით) განეკუთვნებიან:

- პოლიტიკური განუსაზღვრელობა – 28 %;
- მაკროეკონომიკური არასტაბილურობა – 23%;
- გადასახადები – 19%;
- სამართლებრივი რეგულირება – 10%;
- კორუფცია – 10%.

საერთაშორისო სტანდარტების საკანონმდებლო ბაზის გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში საინვესტიციო აქტივობის უზრუნველყოფისა და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება. საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაში ყველაზე მნიშვნელოვანი კანონებია:

- **„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“** – მიღებული პარლამენტის მიერ 1996 წელს;
- **„საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“** – მიღებული პარლამენტის მიერ 2002 წელს;
- **„ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“** – მიღებული პარლამენტის მიერ 2006 წელს.

„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ კანონის მიხედვით, ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით, მიიჩნევა ინვესტიციად, კერძოდ:

- უძრავი და მოძრავი ქონება (შენობა – ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობები.
- ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;
- მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსით სარგებლობის უფლება, რომელიც კანონითაა აღიარებული.
- ასევე სხვა ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც კანონითაა აღიარებული.

აღნიშნული კანონის თანახმად უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისათვის დაწესებულია თანაბარი რეჟიმი, ანუ მოქმედების თანაბარი პირობები და უფლებები. ამავე კანონში განსაზღვრულია ის სფეროები, რომლებშიც საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია ინვესტირება, კერძოდ:

- ბირთვული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური იარაღის შექმნაში, წარმოებასა და გავრცელებაში;
- უცხო ქვეყნიდან ბირთვული და ტოქსიკური ნარჩენების ჩამარხვა გაუვნებლობის მიზნით შემოტანაში;
- ადამიანის კლონირებასთან დაკავშირებული სამეცნიერო – კვლევითი სამუშაოების ჩატარებაში;
- ნარკოტიკული საშუალებების წარმოებაში;
- ფულადი ნიშნების, მონეტების, საფოსტო მარკების წარმოებაში და სხვა.
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აკრძალულ საქმიანობაში.

კანონი **„საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“** განსაზღვრავს ამ სააგენტოს როლსა და უფლებებს, უცხოური ადგილობრივი საწარმოებისათვის ხელშეწყობის მიზნით პროგრამის განხორციელებას. ამ კანონის მიმართ ექსპერტებს გააჩნიათ შენიშვნები, რაც არ არის საფუძველს მოკლებული და მდგომარეობს იმაში, რომ პროგრამების განხორციელება დიდი ხანია დასრულდა და

სააგენტოსთვის კანონით მინიჭებული ფუნქციები, აღარ შეესაბამება მის ამჟამინდელ სტატუსს და შესაძლებლობებს. მაგალითად, არავის შეუსრულებია სააგენტოში სავალდებულო რეგისტრირებისა და საინვესტიციო გეგმების შესახებ ყოველწლიური ანგარიშების წარდგენის მოთხოვნა 100000 აშშ დოლარზე მეტი კაპიტალდაბანდებისას.

ინვესტიციების განხორციელებისათვის ხელშეწყობის მიზნით 2006 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი **„ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“**, რომელშიც გათვალისწინებულია სპეციალური ნორმები და დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებები განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების წახალისებისათვის.

საქართველოში ხელსაყრელი კლიმატის ფორმირება წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვისა და ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარების ერთ–ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. ქვეყნის ინვესტიციური მიმზიდველობის შეფასება ნებისმიერ საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის შედარებითი შეფასების ისტორია 30 წელზე მეტს ითვლის. ამ სფეროში ერთ–ერთი პირველი გამოკვლევა ჩაატარეს ჰარვარდის ბიზნეს სკოლის თანამშრომლებმა. შედარებას საფუძვლად დაედო ექსპერტული შკალა, რომელშიც ჩართული იყო თითოეული ქვეყნის შემდეგი მახასიათებლები:

- საინვესტიციო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა;
- ეროვნული ვალუტის სიმყარე;
- ინფლაციის დონე;
- პოლიტიკური სიტუაცია
- ეროვნული კაპიტალის გამოყენების შესაძლებლობები;
- კაპიტალის გატანის შესაძლებლობა.

საქართველოს ეკონომიკის საინვესტიციო სფეროში სახელმწიფოს როლის გაძლიერების მიზანი უნდა იყოს სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლება საბაზრო თავისუფლებათა შენარჩუნება კერძო ინვესტიციების სტიმულირების პირობებში. დამუშავებული მასალიდან გამომდინარე მივდივართ შემდეგ დასკვნებამდე:

- საქართველოში ხელსაყრელი კლიმატის ფორმირება წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვისა და ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარების ერთ–ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს;
- აუცილებელია საინვესტიციო აქტივობის უზრუნველმყოფი ინსტიტუციური გარემოს უზრუნველყოფა;
- აუცილებელია სახელმწიფო მასტიმულირებელი ფულად–საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკა;
- აუცილებელია მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა;
- სტაბილური და პროგნოზირებადი საკანონმდებლო პროცესი საინვესტიციო გარემოსთვის მნიშვნელოვანია, შესაბამისად, ყველა რეფორმის შესახებ, რასაც ხელისუფლება დაგეგმავს ინფორმირებული და ჩართული უნდა იყოს ყველა ის მხარე, ვისაც ცვლილებები შეეხება;
- სასურველია, ბიზნეს გარემოსთვის მნიშვნელოვანი კონკრეტული საკითხების რეფორმირების პროცესი ძალიან ხანგრძლივი არ იყოს, რათა სამიზნე ჯგუფებმა ადვილად დაძლიონ გარდამავალი პერიოდი და დროულად მოახდინონ ახალ რეალობასთან ადაპტაცია;
- ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი ისეთი კანონების მიღებისგან, რომლებიც ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს გაუმართლებელ შეზღუდვებს უწესებს და მათ განვითარებას აფერხებს;
- ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს ისეთი რეგულაციების მიღებისგან, რომლებიც კონკრეტულ ბაზრებზე ზღუდავს კონკურენციას და უპირატეს მდგომარეობაში აყენებს ცალკეულ კომპანიებს.
- სექტორების მიხედვით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაზე მოდის;

ინვესტიციების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სფეროში ახალი მიდგომებია: საინვესტიციო პროექტების სერტიფიკაცია, სახელმწიფოებრივი გარანტიების მიცემა, განვითარების ბიუჯეტის ჩამოყალიბება. ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა ხელს უწყობს კერძო ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირებას. ამავე დროს აუცილებელია საინვესტიციო - სამეურნეო კეთილსასურველი რეჟიმის შექმნა.

ლიტერატურა:
1. ა. ცერცვაძე, „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც ფინანსური კაპიტალის შემოდინების უმნიშვნელოვანესი წყარო საქართველოში“, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, თბ., 2015, გვ. 44-46.
2. ლ. მიქავა, „მუნიციპალური საინვესტიციო პოლიტიკა“, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, თბ., 2014, №3 გვ. 202-206.
3. მ. ჭიპაშვილი, „საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის“, სეუ, 2014, №1, გვ. 130-138.
4. თ. კასრაძე, „საინვესტიციო გარემო საქართველოში და ქვეყნის შიდა საინვესტიციო პოტენციალი“, ჟურნალი „ეკონომისტი“, თბ., 2014, №5, გვ. 33-42.
5. თ. იობაშვილი, „2014 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა“, ჟურნალი „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“, თბ., 2015, №4, გვ. 33-37.
6. თ. აბსანძე, „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: მოცულობის ცვლილება და საბოლოო შედეგი“, Forbes Georgia, თბ., 2014, N29, გვ. 116-118.
7. მ. გელაშვილი, “პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში“. ჟურნალი „პროფესიონალის ხმა“, ქუთაისი, 2014, №1, გვ. 27-31.
8. მ. ხაჩიძე, „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე“, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, თბ., 2014, №1, გვ. 154-157.
9. თ. ბაქანიძე, „ინვესტიციები და საინვესტიციო მიმზიდველობა“. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, თბ., 2014, №2 გვ. 150-152.

რეზიუმე

ჩვენი ნაშრომი „საინვესტიციო აქტივობების მახასიათებლები საქართველოში“ მოიცავს არსებულ საინვესტიციო გარემოს და ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მასზე. ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა სახელმწიფო, მუნიციპალური და რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში, ამიტომაც მივანიჭეთ ამ თემას მნიშვნელობა. კვლევის მიზანია ვაჩვენოთ, რომ საქართველოს აქვს საკმაოდ დიდი რესურსი გახდეს ძალიან მიმზიდველი ადგილი ინვესტიციებისთვის მსოფლიო რუკაზე. კვლევა მოიცავს ყველა საერთაშორისო კვლევას და გამოცდილებას, რომელიც არსებობს პოსტ საბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის იმ ქვეყნებშიც, რომლებიც დღეს ევროკავშირის ნაწილია. კვლევის მთავარი მიზნებია: საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები და დაწესებულებები და ინფორმაცია, რომელიც საქართველოს ხელისუფლების ვებ გვერდზეა. მიგვაჩნია, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონალურ და მუნიციპალურ განვითარებას საინვესტიციო სფეროში. სიახლე ჩვენ კვლევაში არის ის, რომ მოქმედი საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში საფუძველს უმზადებს ეკონომიკის მიტოვებული სფეროების აყვავებას.

INVESTMENT ACTIVITY CHARACTERISTICS IN GEORGIA

Tea Anesashvili, Specialist by contract

RESUME

Our thesis „Investment activity characteristics in Georgia“ includes current investment environment and the factors which affect it. Our goal was to study state, municipal and regional investment politics in Georgia, because of this I find this topic important. Goal of research is to show that Georgia has a quite big resource to become a very attractive place for investment into the world map. Research includes all the international researches and experience which exists into the post soviet countries, even the countries who are the part of European Union.

Main object of the research are international financial organizations and institutions , and the information which is on the website of Georgian authority. As an outcome from my thesis I am saying that more attention should be payed to regional and municipal development in the field of investment. The novelty of my research is to show that the acting investing policy in Georgia makes grounds for thriving the abandoned fields of national economy.

რისკების მართვის სისტემის დანერგვა კომპანიის საქმიანობაში

ლია ბიბილაშვილი, ასოცირებული პროფესორი

რისკების მართვის სისტემა მოითხოვს დიდ დანახარჯებს და ამიტომაც, ძირითადად, მსხვილი კორპორაციებისათვის არის ხელმისაწვდომი, მაგრამ მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით ყველა კომპანიას, მათი სიდიდის მიუხედავად, შეუძლია დანერგოს ამ სისტემის ცალკეული ელემენტები. კერძოდ გამოყოს ძირითადი რისკები და გაატაროს ღონისძიებები მათ შესამცირებლად. დღეს, ნებისმიერი კომპანია ასე თუ ისე მართავს რისკებს. მხოლოდ ერთნი აფასებენ რისკებს მათი დადგომის შემდეგ, რომლებმაც უკვე გამოიწვია მნიშვნელოვანი დანაკარგები, ხოლო მეორენი ამ საქმიანობას ეწევიან გამუდმებით და გეგმაზომიერად.

ყოველი კომპანიის რისკები, რომლებიც გარკვეულ ქმედებებსა და გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვს, უნიკალურია. ეს განპირობებულია კომპანიის საქმიანობის სპეციფიკით და მისი მმართველობითი სტრუქტურით. მაგრამ ყოველი ბიზნესის უნიკალურობის მიუხედავად, საზღვარგარეთის წამყვანი კომპანიების გამოცდილებაზე დაყრდნობით, შესაძლებელია საქართველოს კომპანიებშიც შემუშავდეს რისკების მართვის სისტემის საერთო სტრუქტურა.

იმისათვის, რომ რისკების მართვის სისტემა იყოს ქმედითი, აუცილებელია კომპანიის მენეჯმენტი გაერკვეს რისკ-მენეჯმენტის ტექნოლოგიაში, განახორციელოს რისკების დიაგნოსტიკა, შეაფასოს მათი წარმოშობის ალბათობა და შესაძლო დანაკარგები, ორგანიზება გაუკეთოს რისკების მართვას.

,,რისკის" ცნება კომპანიის მენეჯერების მიერ შესაძლოა სხვადასხვანაირად იქნეს ინტერპრეტირებული. ტერმინოლოგიური გაურკვევლობა ართულებს პრობლემის აღქმას კომპანიის ქვეგანყოფილებების მიერ და ხელს უშლის მათი გადაწყვეტისათვის კოორდინირებულ მუშაობას. ამიტომ რისკ-მენეჯმენტის სფეროში ერთიანი კორპორაციული ტერმინოლოგიის არსებობა მეტად მნიშვნელოვანია. იგი მისცემს მათ რისკების გაანალიზებისა და გაკონტროლების საშუალებას, დაეხმარება, კომპანიის ქვეგანყოფილებებისათვის მოამზადონ რეკომენდაციები სტანდარტული ფორმით.

პირველ რიგში კომპანიამ უნდა განსაზღვროს, თუ რა ჩაითვლება რისკად, როგორია მისი სახეები და განმსაზღვრელი ფაქტორები, რას ნიშნავს ,,რისკების მართვა" და როგორია მისი მართვის სისტემის შემადგენლები.

შემდგომ ეტაპზე კომპანია ახდენს რისკების ძირითადი სახეების იდენტიფიცირებას, რომლებიც დამახასიათებელია მისი ბიზნესისათვის. არსებობს რისკების გამოვლენისადმი ორი მიდგომა - კონსერვატიული და პროგრესული. კონსერვატიული მიდგომის დროს, რომელსაც იყენებს მრავალი კომპანია, რისკების იდენტიფიცირება (დიაგნოსტიკა) ხორციელდება ან ყოველწლიურად, ან საჭიროების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, რისკების განსაზღვრა ან შეფასება ხდება მოვლენის დადგომის შემდეგ, რომელმაც გამოიწვია მენეჯმენტში, შესაძლებელია აღმოჩნდეს უშედეგო, ვინაიდან რისკ-მენეჯმენტი არ წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესის განუყოფელ ნაწილს.

მაგალითად, მრავალი საბითუმო ვაჭრობის კომპანია ახდენს პროდუქციის რეალიზაციას გადახდის გადავადებით ისე, რომ არ აფასებენ დებიტორული დავალიანების ზრდის საშიშროებას. ბევრი ასეთი კომპანია, რომლებმაც აირჩიეს გაყიდვების ზრდის ანალოგური მეთოდი, გაკოტრდნენ. თუკი ამ კომპანიების ხელმძღვანელები გაითვალისწინებდნენ ასეთი სახის ანგარიშებზე გადაუხდელობის რისკს, შეიმუშავებდნენ დებიტორებთან მუშაობის სტრატეგიას აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა პრობლემების თავიდან აცილება.

პროგრესული მიდგომა, რომელსაც იყენებენ წამყვანი კომპანიები, მაგალითად, კომპანია Hoffmann – La Roche Ltd, გულისხმობს რისკების გამოვლენის განუწყვეტელ პროცესს, რომელშიც მონაწილეობს კომპანიის ყველა თანამშრომელი, ხოლო გენერალური და ფინანსური დირექტორები ახორციელებენ საერთო კოორდინაციას.

რისკ-მენეჯმენტის სისტემის აგების მომენტში პრობლემები ხშირად წარმოშობა იმის გამო, რომ კომპანიის ხელმძღვანელებს არ ესმით, თუ ეს სისტემა როგორ იმუშავებს და რა გავლენას მოახდენს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაზე. ამიტომ რისკების მართვის სისტემის დანერგვა უნდა დაიწყოს კომპანიის საქმიანობის იმ სეგმენტებიდან, რომლებშიც რისკი უფრო თვალსაჩინოა. მაგალითად, შესაძლებელია დარეგულირდეს საწარმოო ან სავალუტო რისკების მართვა, შედარდეს კომპანიის საქმიანობის შედეგები სხვადასხვა პირობებში, ამ რისკების მართვის დაწყებამდე და მის

შემდეგ, ხოლო მიღებული შედეგები მიეწოდოს კომპანიის ტოპმენეჯერებს. ამის შემდგომ შესაძლებელია რისკების მართვის სისტემის გავრცელება კომპანიის საქმიანობის სხვა სფეროებზეც.

რისკების დიაგნოსტიკის მრავალი მეთოდი არსებობს, მათ შორის ყველაზე ხშირად გამოიყენება: ანკეტირება, ინტერვიუირება, საექსპორტო შეფასება და რისკების აუდიტი.

რისკების გამოვლენის დიაგნოსტიკის შემდეგ უნდა მოხდეს რისკების რანჟირება დადგომის ალბათობისა და მოსალოდნელი ზარალის მოცულობის მიხედვით. სასურველია, გამოვლენილი რისკების შეფასება როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად. უდავოა, რომ რისკების ხარისხობრივი შეფასება უფრო მარტივია, მაგრამ ნაკლებად ზუსტი და არასაიმედოა. ამიტომ, შეძლებისდაგვარად, კომპანიები ცდილობენ გამოიყენონ რისკების რაოდენობრივი შეფასება.

კომპანიის რისკ-მენეჯმენტის ამოცანა უნდა იყოს, რომ განახორციელოს რისკების ანალიზი და მოახდინოს მათი ეკონომიკური შეფასება. კომპანიის რისკების მართვის ორგანომ უნდა შესთავაზოს ხელმძღვანელობას ღონისძიებები, რომლებიც საშუალებას მისცემს კომპანიას, მოახდინოს სარისკო მოვლენების შედეგების მინიმალიზაცია, შეიმუშაოს პოზიცია ამა თუ იმ რისკის მიმართ - ან მიიღოს ეს რისკი, ან თავი აარიდოს მას. მეთოდები, რომლებსაც ყველაზე უფრო ხშირად იყენებენ კომპანიის რისკ-მენეჯერები რისკების მართვის პროცესში, შემდეგია: რისკის თავიდან აცილება, რისკის შეკავება, რისკის გადაცემა, რისკის შემცირება, რისკების დაზღვევა.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს წამყვან კომპანიებში რისკ-მენეჯმენტის სისტემა მოიცავს მათი საქმიანობის ყველა დონეს. ვინაიდან ოპერაციულ რისკებთან შეხება აქვს კომპანიის პრაქტიკულად ყველა ქვეგანყოფილებას, ამიტომ მუშაობა მათი გამოვლენისათვის მიმდინარეობს ყოველ მათგანში. ქვეგანყოფილებები იძლევიან სარისკო მოვლენის დადგომის ალბათობის ექსპერტულ შეფასებას და ახორციელებენ მთლიანობაში კომპანიისათვის შესაძლო შედეგების სასცენარო ანალიზს. კომპანიის რისკების მართვის ორგანო აგროვებს, აანალიზებს და კონსოლიდაციას უკეთებს მიღებულ ინფორმაციას, ეხმარება ქვეგანყოფილებებს, შეიმუშაონ მოქმედების გეგმა, რომელიც მიმართული იქნება სარისკო სიტუაციის თავიდან არიდებაზე ან მათი წარმოშობის ალბათობის შემცირებასა და შესაძლო დანაკარგების მინიმიზაციაზე.

კომპანიის რისკების მართვის ორგანო თვალყურს უნდა ადევნებდეს რისკების განვითარებას და განუწყვეტლივ აახლებდეს იმ რისკების ჩამონათვალს, რომლებსაც აწყდება კომპანია და მისი ქვეგანყოფილებები. ანგარიში, რომელიც უნდა მომზადდეს რისკ-მენეჯერების მიერ, წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას, პირველ რიგში გენერალურ და ფინანსურ დირექტორს მინიმუმ წელიწადში ორჯერ. დამკვიდრებელთა საბჭოს წევრებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხელმძღვანელობამ, მინიმუმ წელიწადში ერთხელ, უნდა განსაზღვროს კომპანიის ყველაზე ალბათური და მნიშვნელოვანი რისკებისადმი მისი მიდრეკილება და დამოუკიდებლობა.

ბოლო წლების განმავლობაში რისკების მართვის სფეროში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ სხვადასხვა ქვეყანაში რისკის დონის შემცირებისა და მასზე კონტროლის განხორციელების მიზნით, მრავალმა კომპანიამ, ფინანსური ანგარიშების მომზადების სფერო საკონტროლო პროცედურების საფუძველზე, დააფინანსა თავისი პერსონალის პროფესიული გადამზადება. ასევე პროცესების, ტექნოლოგიებისა და რისკების მართვის დახვეწა. რისკ-მენეჯმენტში გაწეული ინვესტიციების შეფასებამ აჩვენა, რომ მდგრად შედეგებსა და წარმატებას მიაღწიეს მხოლოდ იმ კომპანიებმა, რომლებმაც შექმნეს რისკების მართვის სისტემა. აღნიშნული დასკვნა გააკეთა კვლევის საფუძველზე კომპანია Ernst & Young-მა. კვლევის პროცესში გამოიკითხა 576 კომპანია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. შესწავლილ იქნა 2750 ანგარიში, რომლებიც მომზადებული იყო კომპანიების ანალიტიკური სამსახურების მიერ.

კვლევის ჩარჩოებში რესპონდენტებმა, კომპანიების უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელებმა, უპასუხეს ექვს შეკითხვას. ესენია:

1. რას შეიცავს რისკების მართვის არსი? რისკების მართვა რამდენიმე ქვეგანყოფილების თუ მთელი კომპანიის ვალდებულებაა?
2. თქვენს კომპანიაში როგორ აღიქმება რისკი, როგორც შესაძლებლობა, თუ როგორც საფრთხე?
3. ორიენტირებულია თუ არა თქვენს კომპანიაში რისკების მართვა საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, თუ სარგებელი მოაქვს მას სტრატეგიული თვალთახედვით, აუმჯობესებს რა საქმიანობის შედეგებს?
4. რამდენად ხართ დარწმუნებული, რომ თქვენს კომპანიაში ხორციელდება მნიშვნელოვანი რისკების მართვა?
5. რომელი რისკების მართვას მივყავართ ფინანსური შედეგების ამაღლებასთან?

6. რომელი მაჩვენებლების საფუძველზე აფასებთ რისკების მართვის სტრატეგიის ეფექტიანობას?

კითხვები ისე იყო შედგენილი, რომ მათზე პასუხების შესწავლის დროს შესაძლებელი ყოფილიყო იმის გაგება, ახდენს თუ არა გავლენას რისკების მართვა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე და რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის რისკების მართვის სტრატეგია. ვინაიდან, როცა საქმე ეხება კომპანიის სტრატეგიის შემუშავებასა და რეალიზაციას, რისკების მართვის მნიშვნელობა იზრდება. მან არა მხოლოდ უნდა დაიცვას ბიზნესი, არამედ ხელი უნდა შეუწყოს მის ეფექტიანობას გრძელვადიან პერსპექტივაში. სწორედ ასეთი სისტემის აგებასა და რისკების მართვის სტრატეგიის შემუშავებაში მდგომარეობს კომპანიაში ცვლილებების არსი.

კითხვებზე გაცემული პასუხებისა და კომპანიების ფინანსური ანგარიშების საფუძველზე ექსპერტებმა რაოდენობრივად შეაფასეს რისკების მართვაში კომპანიების მიერ მიღწეული შედეგები. მათ რესპონდენტები დაყვეს სამ ჯგუფად: კომპანია-ლიდერები - გამოკითხულთა საერთო ოდენობის 20%, კრიტერიუმად დადგენილი იყო რისკების მართვის სისტემის განვითარების ხარისხი. მკვლევართა აზრით, რისკების მართვის სისტემის განვითარება მოიცავს შედეგებს, სტრატეგიულ პრინციპებს, პროფესიულ ცოდნას და ხელს უწყობს ფინანსური ეფექტიანობის ზრდას.

პირველ ჯგუფს, რომელსაც ჰქონდა რისკების მართვის განვითარებული სისტემა, ჰქონდა საუკეთესო ფინანსური შედეგები. სწორედ ასეთი კომპანიები გამოირჩევიან მაღალი კონკურენტუნარიანობით და შემოსავლების ზრდის მაღალი ტემპით. მესამე ჯგუფს, რომელსაც არ გააჩნდა რისკების მართვის სისტემა, ფინანსური შედეგების ზრდის ტემპი აღმოაჩნდა ყველაზე დაბალი. ხოლო კომპანიების მეორე ძირითადმა ჯგუფმა, რომლებსაც შემუშავებული ჰქონდათ რისკების მართვის სისტემის ზოგიერთი მაჩვენებელი, აჩვენა საშუალო შედეგები.

ამრიგად, რისკების მართვის სტრატეგიის ჩამოყალიბება და განვითარება საშუალებას აძლევს კომპანიას, დიდი სიზუსტით მოახდინოს რისკების წარმოშობის პროგნოზირება. რისკების მართვის სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობის მიუხედავად, საჭიროა კომპანიაში შემუშავდეს რისკებზე რეაგირების სტრატეგია. მაშასადამე, რისკების მართვის სისტემის დანერგვა საშუალებას აძლევს კომპანიას, გააუმჯობესოს თავისი ფინანსური მდგომარეობა, აამაღლოს ოპერაციული საქმიანობის ეფექტიანობა, ასევე მიიღოს მაღალი საინვესტიციო რეიტინგი და უფრო სარფიანად განათავსოს კაპიტალი.

ლიტერატურა

1. Шаповалов В., Система управления рисками компании. http://fd.ru/ articles/4365-sistema-upravleniya-riskami-kompanii?rndlinkmn=f94f872ce7d8219b92865815771e40c3
2. Новоженов Д., Первый опыт риск-менеджмента. Личный опыт: Андрей Р.Ведуший риск-менеджер HoffmanLaRocheLtd. http://fd.ru/articles/30818-pervyy-opyt-risk-menedjmenta?rndlin=fa9838bb504980aa1f92686fc2aed4ef
3. Закис А., Как внедрить управления рисками.„Intelligent enterprise” №13-14, 2003.
4. Тонки Деккер, Корпоративное управление. Анализ рисков. http://www.ippnou.ru/article.php?idarticle=000539
5. Управление рисками для получения конкретных результатов. Ernst& Young. 2012. http://www.ey.com/Publication /vwLUAssets/Turning-risk-into-results-2002-Ru/$FILE/Turning-risk-into-results-2002-RU.pdf

რეზიუმე

ყოველი კომპანიის რისკები, რომლებიც გარკვეულ ქმედებებსა და გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვს, უნიკალურია. ეს განპირობებულია კომპანიის საქმიანობის სპეციფიკით და მისი მმართველობითი სტრუქტურით, მაგრამ, ყოველი ბიზნესის უნიკალურობის მიუხედავად, საზღვარგარეთის წამყვანი კომპანიების გამოცდილებაზე დაყრდნობით, შესაძლებელია საქართველოს კომპანიებშიც შემუშავდეს რისკების მართვის სისტემის საერთო სტრუქტურა.

INTRODUCTION OF RISK MANAGEMENT SYSTEM IN COMPANY BUSINESS

Lia Bibilashvili, Associate Professor

RESUME

Any risks management is of paramount importance for the companies, but they have a different approach to the evaluation of risks, some of them assess the risks when they have already led to significant losses, while others are engaged in this constantly and consistently. Only the other case may have a complete system of risk management. The paper, based on the studies shows the risk management system features and benefits, how important is it in the company's development and raising its competitiveness. It is also clear that all companies, regardless of their size can implement this system of separate elements, in particular, to allocate the risks and take steps to reduce them.

ეფექტიანობის აუდიტის ძირითადი მახასიათებლები და როლი საჯარო ფინანსების მართვის თანამედროვე სისტემაში

დავით ბიძინაშვილი, პროფესორი

ეფექტიანობის აუდიტი თანამედროვე საჯარო სექტორის აუდიტის ერთ-ერთი სახეა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია სახელმწიფო მმართველობის ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შესაფასებლად. ეფექტიანობის აუდიტი კონცენტრირებულია შეაფასოს, თუ რამდენად იქნა მიღწეული გადახდილი ფასის შესაბამისი ღირებულება.

ეფექტიანობის აუდიტის განხორციელება ხელს უწყობს საჯარო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვას, მათ მიზანმიმართულ და ეფექტიან გამოყენებას.

ეფექტიანობის აუდიტის დროს გამოიყენება სხვადასხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდები, როგორიცა:

- ფინანსური ანალიზი;
- დოკუმენტური შემოწმება;
- ფოკუს ჯგუფებთან ინტერვიუ;
- შესასწავლ თემასთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკების და ლიტერატურის მიმოხილვა;
- კვლევები და გამოკითხვები;
- მსგავსი ტიპის სხვა ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნებთან შედარება.

ეფექტიანობის აუდიტი მიზნად ისახავს, შეაფასოს:

რა შედეგი იქნა მიღწეული კონკრეტულ ორგანიზაციაზე/პროგრამაზე მიმართული სახსრებით და რამდენად იქნა მიღწეული პროგრამის დასახული მიზნები;

რამდენად გონივრული ქმედებებით იქნა მიღწეული აღნიშნული შედეგი და შესაძლებელი იყო თუ არა სახსრების უფრო ეკონომიურად/პროდუქტიულად გამოყენება.

ეფექტიანობის აუდიტი, ფინანსურ და შესაბამისობის აუდიტთან ერთად, უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) სტანდარტებით განსაზღვრული აუდიტის ერთ-ერთი ტიპია, რომელიც ამჟამად მსოფლიოს წამყვანი აუდიტორული ორგანოების საქმიანობის ძირითად ნაწილს შეადგენს. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაცია (INTOSAI) გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების საბჭოსთან (ECOSOC) არსებული არასამთავრობო, ავტონომიური დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც შეიმუშავებს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელ საერთაშორისო სტანდარტებს. INTOSAI უმთავრესი ინსტიტუციაა, რომელიც უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო შეხვედრებს, გამოცდილების გაზიარებას, ინფორმაციის გაცვლასა და ურთიერთობის განვითარებას უზრუნველყოფს. იგი მიზნად ისახავს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების პროფესიონალიზმის მუდმივი განვითარების ხელშეწყობას, რაც, თავის მხრივ, აუდიტორული საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება. ამჟამად ორგანიზაცია 190-მდე სრულუფლებიან და 4 ასოცირებულ წევრს ითვლის.

ნაშრომში განხილულია ეფექტიანობის აუდიტის როლი და აუცილებლობა საბიუჯეტო სახსრების გამოყენების პროცესში, რომელიც გულისხმობს მთავრობის საქმიანობის ობიექტურ, მიზანმიმართულ და ორგანიზებულ შემოწმებას. ეფექტიანობის აუდიტის საფუძველზე, დაინტერესებულ პირებს, მიეწოდებათ ინფორმაცია აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესრულების შეფასების შესახებ. აგრეთვე დაკვირვების შედეგად მიღებული მოსაზრებები და რეკომენდაციები, რომელთა მიზანია ეფექტიანი საჯარო მომსახურებისა და კარგი მმართველობის უზრუნველყოფა.

INTOSAI–ს სახელმძღვანელოს მიხედვით ეფექტიანობის აუდიტი გულისხმობს შემოწმების იმ ფორმას, რომელიც ძირითადად საჯარო სექტორში გამოიყენება. იგი ეფუძნება სამთავრობო პროგრამებისა და უწყებების ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და მიზნობრიობის დამოუკიდებელი და ყოვლისმომცველი შემოწმების მოთხოვნას, რაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებული სახით ვლინდება.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნების მიერ შემუშავებული ნორმებისა და წესების ზუსტმა შესრულებამ ეფექტიანობის შემოწმების დროს, შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული სიძნელეები და პრობლემები. აღნიშნული განპირობებულია ყველა ქვეყანაში საბიუჯეტო პროცესისა და არსებული კანონმდებლობის თავისებურებებით, თუმცა ძირითადად მაინც გამოიყოფა ორი ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული მიდგომა - შედეგზე ორიენტირებული მიდგომა და პრობლემაზე ორიენტირებული.

მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით ხდება ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება, მისი მიზანია მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ნათელი და მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება და სასარგებლო რეკომენდაციების ჩამოყალიბება. ეფექტიანობის აუდიტორი (შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აუდიტორი, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტიანობის აუდიტის ჩატარებას) აუდიტის ობიექტს აძლევს რეკომენდაციას, სამუშაო პროცესის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

რეალურად, პრაქტიკაში რთულია ეფექტიანობის გაზომვა, რადგან რაიმე სტანდარტული მიდგომა არ არსებობს. ეფექტიანობა გულისხმობს მომსახურების სათანადო დონისა და ხარისხის მიღწევას ყველაზე ეფექტური და ეკონომიური გზით, თუმცა აუცილებელია აუდიტის ობიექტმა (ორგანიზაციამ) აქცენტი გააკეთოს არა მხოლოდ ხარჯების შემცირებაზე, არამედ ხარისხზეც. საერთაშორისო პრაქტიკაში ეფექტიანობის სახეები 3E კონცეფციის სახელით არის ცნობილი: ეკონომიურობა - Economy, პროდუქტიულობა - Efficiency და მიზანშეწონილობა (ეფექტიანობა) – Effectiveness.

ეფექტიანობის აუდიტის საჯარო სექტორში გამოყენების აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ აღნიშნულ სფეროში შეზღუდულია ეფექტიანი ქცევის თანდაყოლილი სტიმული ცვლილებების განსახორციელებლად და შესაბამისად, მაღალი ეფექტის მიღწევის ალბათობა ნაკლებია. ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ საქმე ეხება არა საკუთარ, არამედ "სხვის" ანუ სახელმწიფოს ფულსა და სახსრებს. შესაბამისად, დემოკრატიული მმართველობის პირობებში არსებობს ეფექტიანობის აუდიტის საჭიროება, რადგან აუდიტის პროცესი და მის შედეგად გაცემული რეკომენდაციები დიდ როლს თამაშობენ საჯარო მმართველობის ეფექტური ფუნქციონირებისა და მიღწეული შედეგების გაუმჯობესების უზრუნველყოფაში.

სამართლიანობა და ნდობა განვითარებული ქვეყნების აუცილებელი და მნიშვნელოვანი აქტივია, ეფექტიანობის აუდიტი კი ხელს უწყობს გაამყაროს აღნიშნული დემოკრატიული ღირებულებები.

ეფექტიანობის აუდიტის საშუალებით შესაძლებელია განისაზღვროს: იყენებს თუ არა მხარჯავი ერთეული ოპტიმალური რაოდენობის რესურსებს საჭირო რაოდენობისა და ხარისხის მომსახურებისა თუ პროდუქტის შესაქმნელად; რამდენად იქნა მიღწეული მიზნები, ანუ კავშირი დაგეგმილსა და ფაქტობრივ შედეგებს შორის.

მიზნობრიობა ორი ნაწილისგან შედგება, პირველი გულისხმობს იმის დადგენას მიღწეული იქნა თუ არა წინასწარ განსაზღვრული მიზნები და მეორე, რამდენად უკავშირდება განმახორციელებელი უწყების ქმედებებით (ღონისძიებებით, გადაწყვეტილებებით) მიღწეული ფაქტობრივი შედეგები განსაზღვრულ მიზნებს. ამ თვალსაზრისით აუდიტი საშუალებას იძლევა შეფასდეს:

- რამდენად კარგად და გარკვევით არის დაგეგმილი და ორგანიზებული ესა თუ ის სახელმწიფო პროგრამა;
- რამდენად რეალიზებულია მათი მიზნები;
- როგორია პროგრამების მართვა, ორგანიზაციული სტრუქტურა, გადაწყვეტილების მიღების პროცედურები და რამდენად იძლევა ეს ყველაფერი მიზნის მიღწევის საშუალებას;

- რა გავლენას ახდენს გარემო ფაქტორები დასახული მიზნების მიღწევაზე;
- რა შეიძლება გაუმჯობესდეს არსებულ ქმედებებში.

ეფექტიანობის ცნების ძირითადი გამოხატულება არის მიმართება საბოლოო შედეგსა და გამოყენებულ რესურსებს შორის, რომლის მიზანია მაქსიმალური შედეგის მიღწევა ხარისხის გათვალისწინებით.

სახელმწიფო საფინანსო კონტროლის პრაქტიკაში ეფექტიანობის აუდიტის შემოღება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ქმედითუნარიანობის, შედეგიანობისა და ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობით;
- აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა ორგანოების საქმიანობის არსებითი გაუმჯობესების აუცილებლობით;
- სახელმწიფო სახსრების მიმღები ორგანიზაციების საქმიანობის გამჭირვალობის გაუმჯობესებით.

ეფექტიანობის აუდიტი, აუდიტის იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელმაც უნდა უპასუხოს შეკითხვაზე: ვიღებთ თუ არა გამოყენებული ფულადი სახსრებიდან სათანადო შედეგს, თუ შესაძლებელია აღნიშნული სახსრების უკეთესად გამოყენება?

ეფექტიანობის აუდიტი არ უკავშირდება კომერციულ ინტერესებს და არ არის ფინანსურად ან რაიმე სხვა სახით შემოწმებულ უწყებაზე დამოკიდებული. თავისი დამოუკიდებელი შეფასებებით იგი შეიძლება გახდეს მომავალ ინვესტიციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. სახელმწიფო სექტორში ეფექტიანობის დამოუკიდებელი ანალიზითა და შეფასებებით ეფექტიანი ქმედებების სტიმულირება და დადებითი გარდაქმნები არის შესაძლებელი. სწრაფად ცვალებად გარემოში, სადაც რესურსები მწირია და ბევრი რამ აღურიცხავია, ყოველთვის არსებობს ეფექტიანობის აუდიტის განხორციელების მოთხოვნილება.

ეფექტიანობის აუდიტი გულისხმობს სახელმწიფო პროექტების, ორგანიზაციების ან პროგრამების ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ქმედითობის დამოუკიდებელ კვლევას და მიზნად ისახავს მათ დახვეწას და გაუმჯობესებას.

სახელმწიფო სექტორის აუდიტი ძირითადად დამოკიდებული უნდა იყოს იმაზე, თუ რა სურთ გადასახადის გადამხდელებს, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში ბიუჯეტის ფორმირების ძირითად წყაროს წარმოადგენენ. როგორც წესი, საზოგადოების მოთხოვნაა ჰყავდეს „სუფთა მთავრობა“ და „ეფექტიანი მთავრობა“. ,,სუფთა მთავრობის“ შექმნაში მონაწილეობას იღებს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, ხოლო ,,ეფექტიანი მთავრობის“ შექმნაში - ეფექტიანობის აუდიტი.

არსებობს რიგი მსგავსებები და განსხვავებები ფინანსურ, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტს შორის. აუდიტის სტანდარტების მიხედვით, ეფექტიანობის აუდიტი ნაკლებად სტანდარტიზებულია და არჩევანის გასაკეთებლად უფრო მოქნილია (მაგალითად, აუდიტის ობიექტებისა და მეთოდების შერჩევისას), მაშინ, როდესაც ფინანსური თუ შესაბამისობის აუდიტები არსებულ სტანდარტებს ეყრდნობა.

ფინანსური და ეფექტიანობის აუდიტის ძირითადი განსხვავებები:

- ეფექტიანობის აუდიტი არის ინსტრუმენტი, რომელიც საჯარო და კერძო უწყებამ უნდა გამოიყენოს საქმიანობის პროდუქტიულობის, მიზანშეწონილობისა და ეკონომიურობის უზრუნველსაყოფად;
- ეფექტიანობის აუდიტს უფრო ფართო ფოკუსი გააჩნია ორგანიზაციის პროდუქტიულობასა და ეფექტიანობაზე, ვიდრე ტრადიციულ ფინანსურ აუდიტს;
- ფინანსური აუდიტის შემთხვევაში მასშტაბი უფრო შეზღუდულია. ეფექტიანობის აუდიტისგან განსხვავებით, გრძელვადიანი მიზნები მკაცრად უკავშირდება ფინანსურ ანგარიშვალდებულებას;
- ფინანსური აუდიტი მეტწილად იყენებს ფიქსირებულ სტანდარტებს, ხოლო ეფექტიანობის აუდიტი უფრო მოქნილია თემების, აუდიტის ობიექტების, მეთოდებისა და მოსაზრებების არჩევანში;
- ეფექტიანობის აუდიტი არ არის ჩვეულებრივი აუდიტი, ფორმალიზებული დასკვნებით;
- ეფექტიანობის აუდიტი არსით არის ფართო მასშტაბიანი და მოქნილია განსჯისა და ინტერპრეტაციის კუთხით.

საჯარო სექტორში, ფინანსური აუდიტის შემთხვევაში აუდიტის შესწავლის საგანი ხშირად უმაღლესი აუდიტორული ორგანოს ძირითადი კანონმდებლობითვე განისაზღვრება. ხოლო

ეფექტიანობის აუდიტის შესწავლის საგნისა და მიდგომების შერჩევაში აუდიტორი, როგორც წესი, უფრო თავისუფალია.

ეფექტიანობის აუდიტი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც პარლამენტი, საზოგადოება და მედია ახორციელებს კონტროლს და იღებს ინფორმაციას სამთავრობო უწყებების საქმიანობისა და შედეგების შესახებ. საზოგადოებრივ რესურსებზე ანგარიშვალდებულების ცნებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მართვის პროცესში და ის წარმოადგენს ჯანსაღი დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს ელემენტს. კანონმდებლებს, სახელმწიფო თანამდებობის პირებს და საზოგადოებას სურს იცოდეს ის, თუ რამდენად რაციონალურად, ეფექტურად, ეკონომიურად და კანონების და ნორმების შესაბამისად ხორციელდება სახელმწიფო სამსახურების საქმიანობა. მათ სურთ აგრეთვე იცოდნენ, აღწევენ თუ არა სახელმწიფო პროგრამები დასახულ მიზნებს, სასურველ შედეგებს და რა დანახარჯებით ხდება ეს შესაძლებელი.

ჩვენს ქვეყანაში პროგრამული ბიუჯეტის დანერგვა ეფექტიანობის აუდიტის განვითარების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს. პროგრამული ბიუჯეტი მთელი თავისი ინდიკატორებით უნდა იყოს ეფექტიანობის აუდიტის ამოსავალი დოკუმენტი. პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას ნათლად უნდა გამოჩნდეს მიღწეული შედეგები და არა მხოლოდ ათვისებული ასიგნებები. შესაბამისად, პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას აქცენტი გადატანილი უნდა იყოს დაგეგმილ და მიღებულ შედეგს შორის არსებულ განსხვავებაზე.

ეფექტიანობის აუდიტის ჩატარების დროს, ეფექტიანობის აუდიტორის მიზანი უნდა იყოს იმის შესწავლა, განხორციელდა თუ არა აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელების მიერ ეფექტიანობის კვლევა და დადებითი პასუხის შემთხვევაში არის თუ არა განხორციელებული ეფექტიანობის კვლევა საიმედო. ამ მიდგომაზე დაფუძნებული ეფექტიანობის აუდიტი იქნება იმის გარანტია, რომ აუდიტის შედეგად დაწერილი დასკვნა მაქსიმალური ობიექტურობით ასახავდეს რეალურ სურათს.

საქართველოში ეფექტიანობის კვლევის დანერგვისათვის სასურველია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. საბიუჯეტო გეგმის შედგენისა და განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ეფექტიანობისა და ეკონომიურობის პრინციპები;

2. ყველა ფინანსური ღონისძიებისათვის აუცილებელია ეფექტიანობისა და ეკონომიურობის კვლევის ჩატარება;

3. ეფექტიანობის კვლევის დაწყებამდე უნდა მოხდეს სხვადასხვა ხანგძლივობისა და მნიშვნელობის პროექტების გამიჯვნა და მათი შედარება ანალოგიური სახის ალტერნატივასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ეფექტიანობის აუდიტთან დაკავშირებით შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ კონკრეტული რეკომენდაციები და წინადადებები. კერძოდ:

1. წინასწარი კონსულტაციებისა და რეკომენდაციების მიცემა, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესახებ, იმ ორგანიზაციებისათვის რომლებიც შემდგომში აუდიტის ობიექტებად წარმოგვიდგებიან. იმ მასშტაბით, რაც შემდგომ პერიოდში ობიექტური და მიუკერძოებელი შემოწმების საშუალებას მოგვცემს. აღნიშნული პროცესით თავიდან იქნება აცილებული საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური, არამიზნობრივი და არაეფექტიანი ხარჯვა;

2. ეფექტიანობის აუდიტის პროცესში სასურველია შედარებითი აუდიტის გამოყენება. აღნიშნული გულისხმობს საუკეთესო პრაქტიკის შედარებას აუდიტის ობიექტის საქმიანობასთან, მოცემული თავისებურებებისა და სიტუაციის გათვალისწინებით;

3. საბიუჯეტო სახსრების ეფექტური ხარჯვისა და ასევე ეფექტიანობის აუდიტის ჩა-ტარებისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა მაღალი კვალიფიკაციის მქონე, კარგად მომზადებული აუდიტის ობიექტები, რომლებიც საქმიანობის პროცესში იხელმძღვანელებენ ეფექტიანობის პრინციპებით. ეფექტიანი ქმედებების მიღწევის უზრუნველსაყოფად საჭიროა ორგანიზაციის მმართველობითი რგოლის გადამზადება და იმ პრინციპების შესწავლა, რომელიც მათი საქმიანობის მაღალშედეგობრიობას უზრუნველყოფს;

4. ეფექტიანობის აუდიტი უნდა განხორციელდეს როგორც შემდგომი შემოწმების სახით, ასევე „საწყისი მდგომარეობისა“ და „მიმდინარე პროცესების შემოწმების“ ფორმატშიც. „საწყისი მდგომარეობის“ აუდიტის ფორმატი გულისხმობს ეფექტიანობის აუდიტის ჩატარებას სახელმწიფო პროგრამის/პროექტის დაგეგმვისა და მომზადების პროცესში, ხოლო თანმხლები, ანუ „მიმდინარე პროექტების აუდიტში“ იგულისხმება ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება უშუალოდ პროგრამის/პროექტის განხორციელების დროს. აუდიტის აღნიშნული ფორმების გამოყენება საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ საბიუჯეტო სახსრების არაეფექტური ხარჯვა;

5. ეფექტიანობის აუდიტის დროს სასურველია რეკომენდაციების გაცემა აუდიტის პროცესში გამოვლენილ შედეგებზე არა მხოლოდ ორგანიზაციის დონეზე, არამედ საკანონმდებლო დონეზეც, რადგან ხშირ შემთხვევაში სწორედ საკანონმდებლო ხარვეზები გვხვდება უმთავრეს წინაპირობად აუდიტის ობიექტებში არსებული პრობლემებისა;

6. ეფექტიანობის აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების სავალდებულო წესის დანერგვა და მასზე შემდგომი მონიტორინგის განხორციელების პროცესის შემუშავება როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანოს, ასევე საკანონმდებლო დონეზე. აღნიშნული პროცესი გულისხმობს აუდიტის ობიექტებთან მჭიდრო კომუნიკაციას, როგორც უშუალოდ რეკომენდაციების შემუშავების პროცესში, ასევე აუდიტის შემდგომ პერიოდშიც, რათა აუდიტორებს ჰქონდეთ მუდმივი ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესში მუდმივად უნდა იქნეს განხილული ის ქმედებები, რომლებიც განახორციელა აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობამ არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. სწორედ ამ მიზნით უნდა მოხდეს რეკომენდაციების ბაზის შექმნა, სადაც ეფექტიანობის აუდიტორების მიერ გაწეული ყველა რეკომენდაცია იქნება თავმოყრილი და იქვე იქნება ინფორმაცია მათი შესრულების ან შეუსრულებლობის შესახებ (შეუსრულებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს მიზეზების დასახელებაც). აღნიშნულ ბაზაში ასევე უნდა იქნეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოიტანა ეფექტიანობის აუდიტის შედეგად გაწეული რეკომენდაციების შესრულებამ.

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების გატარება და მათი პრაქტიკაში დანერგვა არის გარანტია იმისა, რომ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა მაქსიმალურად გამჭვირვალედ, ეკონომიურად და ეფექტიანად განხორციელდეს. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის პროცესში ეფექტიანი ქმედებები და მმართველობითი რგოლის მიერ მიღებული მიზნობრივი გადაწყვეტილებები გარკვეული თანხების დაზოგვის საშუალებას მოგვცემს, რომლის გამოყენებით კიდევ უფრო მეტი პროგრამისა თუ პროექტის განხორციელებას ჩაეყრება საფუძველი. აღნიშნული პროცესი საბოლოო ჯამში საზოგადოების ყოველდღიურად მზარდი ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. საქართველოს კანონი - ,,ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“, 29.06.2012, 6598-რს;
2. საქართველოს კანონი - ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“; 26.03.2010, 179-რს;
3. საქართველოს კანონი - ,,სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“; 26.12.2008, #880-რს;
4. ეფექტიანობის აუდიტის განხორციელების ძირითადი პრინციპები - INTOSAI-ის სახელმძღვანელო, 2012.
5. მარტინ რიხტერი, GTZ პოტსდამის უნივერსიტეტი ,,ეფექტიანობის აუდიტის მოკლე კურსი", ქართული თარგმანი, თბ., 2011.
6. საქართველოს კონტროლის პალატის "ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელო", 2011.
7. http://www.intosai.org/
8. http://www.eurosai.org/
9. http://www.asosai.org/
10. http://sao.ge/audit/methodology/performance-audit-methodology

რეზიუმე

ეფექტიანობის აუდიტი თანამედროვე საჯარო სექტორის აუდიტის ერთ-ერთი სახეა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია სახელმწიფო მმართველობის ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შესაფასებლად. ეფექტიანობის აუდიტი კონცენტრირებულია შეაფასოს, თუ რამდენად იქნა მიღწეული გადახდილი ფასის შესაბამისი ღირებულება.

ეფექტიანობის აუდიტის განხორციელება ხელს უწყობს საჯარო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვას, მათ მიზანმიმართულ და ეფექტიან გამოყენებას.

ნაშრომში განხილულია ეფექტიანობის აუდიტის როლი და აუცილებლობა საბიუჯეტო სახსრების გამოყენების პროცესში, რომელიც გულისხმობს მთავრობის საქმიანობის ობიექტურ, მიზანმიმართულ და ორგანიზებულ შემოწმებას. ეფექტიანობის აუდიტის საფუძველზე, დაინტერესებულ პირებს,

მიეწოდებათ ინფორმაცია აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესრულების შეფასების შესახებ. აგრეთვე დაკვირვების შედეგად მიღებული მოსაზრებები და რეკომენდაციები, რომელთა მიზანია ეფექტიანი საჯარო მომსახურებისა და კარგი მმართველობის უზრუნველყოფა.

THE MAIN FEATURES OF AUDIT EFFECTIVENESS AND THE ROLE OF THE PUBLIC FINANCE MANAGEMENT SYSTEM

Davit Bidzinashvili, Professor

RESUME

Performance audit of public sector audit is a type, which is the most important tool in the management of economy, efficiency and effectiveness assessment. Performance audit focused on assessing whether the value for money was achieved.

Performance audits contribute to improving the quality of public services, budget efficiency in a targeted and effective use.

The paper deals with the role of the audit and the necessity of the use of budget funds in the process, which involves the government's objective of activities, organized and targeted inspection. Performance audits on the basis of interested parties with information about the auditee's performance evaluation. As well as the observations received opinions and recommendations, which aim to ensure good governance and effective public services.

ENPARD-ევროპული სამეზობლოს პროგრამა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის

***მანია გოგიძე**, მოწვეული სპეციალისტი*

აგრო-სფეროში ევროპის სამეზობლო პროგრამის (ენპარდი) ძირითადი წევრები ბრიტანული ოქსფამი, ავსტრიული ქეა, შოტლანდიური ფიფლ ინ ნიდ და მერსი კორპი არიან, რომლებიც თავიანთ მხრივ 12 ადგილობრივ ორგანიზაციას აერთიანებენ, მათ შორის აგრო-ასოციაციებს და სასწავლო ინსტიტუტებს. თავისი მიზნებისა და სტრატეგიის განსახორციელებლად ენპარდი ასევე თანამშრომლობს იუ-ენ-დი-პი-სთან (გაეროს განვითარების პროგრამა) და ფაო-სთან (მსოფლიო სურსათისა და აგროწარმოების პროგრამა). მათი მთავარი მიზანია: ენპარდის შესახებ ფერმერების და მთლიანად საზოგადოების ინფორმირება, ბიზნესზე ორიენტირებულ ფერმერთა გამოვლენა და კოოპერირების გზით ახალი პროექტების წამოწყებაში მათი დახმარება, კონსულტაცია, ბიზნეს-დაგეგმვა და თანადაფინანსება. ასევე მნიშვნელოვანი ამოცანაა სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აგრო-კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა მათი მუშაობის დახვეწაში. ერთ-ერთი აქცენტი გენდერულ ბალანსზეც კეთდება, რათა უფრო მეტი ფერმერი-ქალი ჩაერთოს კოოპერაციაში და გაიზარდოს მათი როლი რეგიონულ განვითარებაში. საქართველოში ენპარდის შესახებ საინფორმაციო კამპანია განხორციელდა 16 მუნიციპალიტეტის 683 სოფელში, რომელთაც პროგრამა მოიცავდა; შეხვედრებს ჯამში 8191 ფერმერი დაესწრო, მათგან 1778 (22%) ქალი იყო, ხოლო 622 (8%) 25 წლამდე ასაკის;

პროექტის საშუალებით 2000 ფერმერმა უკვე მიიღო კონსულტაცია და სხვადასხვა სახის დახმარება, კერძოდ: 1206 ფერმერმა გაიარა კონსულტაცია აგრონომიის დარგში, მათ შორის 334 ქალმა (22%). განახორციელა სადემონსტრაციო პროექტები აჭარაში, კერძოდ:

- ჯამში 8500 კვადრატულ მეტრ ფართობზე კაკლის ხის დემო პროექტები ქედაში, შუახევსა და ხულოში;
- 7500 კვადრატულ მეტრ ფართობზე მოცვის დემო-პროექტები ქედაში, შუახევსა და ხულოში;
- ვაზის 10000 ნამყენი ნერგის გამოყვანა მათი გავრცელების მიზნით;
- რძის 6 ფერმა და რძის სეპარაციის 14 საწარმოს გახსნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფერმერებისთვის, ყველა ბენეფიციარი ქალია;
- 500 კვადრატულ მეტრ ფართობზე ბოსტნეულის სადემონსტრაციო სათბურის მოწყობა ქობულეთში;

ევროპის სამეზობლო პროგრამა „აგროწარმოებისა და სოფლის განვითარებისთვის" (ENPARD) ფარგლებში ევროკავშირმა ამ კვირაში ჯამში 15 მილიონი ევროს მოცულობის ოთხ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ამ ოთხ გრანტს ოთხი კონსორციუმი განახორციელებს (ბრიტანული ოქსფამი, ავსტრიული ქეა, შოტლანდიური პიპლ ინ ნიიდ და მერსი კორპსი, რომლებიც 16 ნაციონალურ ან საერთაშორისო ორგანიზაციას აერთიანებს, მათ შორის ფერმერთა ასოციაციებსა და საგანმანათლებლო ინსტიტუტებს. პროექტის ფარგლებში საქართველოს ყველა, 45 რაიონში, 160 მეტი კოოპერატივი შეიქმნება, სადაც მინიმუმ 3 ათასი წევრი გაერთიანდება; ისინი ტექნიკურ დახმარებასაც მიიღებენ, საჭირო სერვისებსაც და პირდაპირ ინვესტიციებსაც. იმ ფონზე, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევრისთვის უმთავრესი შემოსავლის წყარო აგრო-წარმოებაა, ამ სფეროს წილი მშპ-ში 10%-ს არ აღემატება. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი დაბალი პროდუქტიულობაა, რასაც მცირე მიწიანობა და აგროწარმოების თანამედროვე მეთოდების დეფიციტი განაპირობებს, - ფერმერთა 74% 1 ჰა-ს ან უფრო ნაკლებ მიწას ამუშავებს; ასეთ მცირე მეწარმეებს კი ბაზარზე მცირე გავლენა და პოტენციალი აქვთ რომ წარმატებულ მოთამაშეებად იქცნენ.

მცირე ფერმერთა ნებაყოფლობითი გაერთიანება კოოპერატივად, ზუსტად ის ორგანიზაციული სტრუქტურაა, რომელიც მათ პროდუქტიულობას გაზრდის და მცირე საოჯახო ფერმერული წარმოების კომერციალიზაციას უზრუნველყოფს. ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოს მთავრობა კოოპერაციის ხელშემწყობ გარემოს ქმნის. უკვე მიღებულია კანონი კოოპერატივების შესახებ და შეიქმნა აგრო-კოოპერატივების სააგენტოც. ევროპის სამეზობლო პროგრამა აგროწარმოებისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD), ევროკავშირის მიერ დაფინანსებული 40 მლნი ევროს მოცულობის პროგრამაა, რომელსაც საქართველოს მთავრობამ ხელი 2012 წლის დეკემბერში მოაწერა და მიმართულია, ქვეყანაში სურსათის წარმოების გაფართოვებისა და სოფლად სიღარიბის შემცირებისკენ. საგრანტო შემადგენელს გარდა, ენპარდი მთავრობის უშუალო ფინანსურ დახმარებასაც მოიცავს აგრარული სტრატეგიის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე ექსპერტების მოწვევას და სათანადო ნოუ-ჰაუს მიწოდებას სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის.

2015 წლის პირველმა კვარტალმა საქართველოს სტატისტიკური სურათი შეცვალა. ევროკავშირის ქვეყნებში გატანილი საქონლის სიაში პირველი ადგილი კაკალმა და თხილმა დაიკავა-39 მლნ 600 ათასი ევროს მაჩვენებლით. საერთო სურათში ეს პროდუქცია მესამე ადგილს იკავებს სპილენძის მადნების, კონცენტრატებისა და მსუბუქი ავტომობილების შემდეგ (54 მლნ, 51 მლნ და 45 მლნ ევრო შესაბამისად). კაკალი და თხილი ნამდვილად არ მიეკუთვნება ზამთრის სეზონის პროდუქტს, მაგრამ თანამედროვე საწარმოების გაჩენამ შესაძლებელი გახადა მრავალსეზონური ექსპორტი. 2015 წლის იანვარ-მარტში გაყიდული კაკალი და თხილი 2014 წლის ზაფხულის მოსავლისაა და მწარმოებელთა ნაწილმა პროდუქცია იქამდე შეინახა, სანამ ბაზარზე მისთვის სასურველი პირობები არ შეიქმნა.

გასულ წელს ქართული თხილის ბიზნესს ისედაც გაუმართლა, ეს მეზობელი თურქეთის მწარმოებლების ხარჯზე მოხდა. უჩვეულო ყინვებისა და ქარის გამო შარშანდელი მოსავალი თურქეთში მესამედით განადგურდა. რადგან ეს ქვეყანა ტრადიციულად თხილის მსოფლიოს წარმოების 70% ფარავს, კრიზისმა ფასებზეც იმოქმედა თითქმის ყველა კონტინენტზე. საერთაშორისო სტატისტიკური მონაცემებით შარშან შემოდგომაზე დიდ ბრიტანეთში თხილი 3-5 ევროს ექვივალენტიდან 8-10 ევრომდე გაძვირდა და უკანასკნელი 10 წლის საფასო პიკს მიაღწია. იმ ვითარებაში, როდესაც თურქეთში მოსავლის დიდი ნაწილი განადგურდა, ჩვენ ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წილი გლობალურ ბაზარზე საკმაოდ გაიზარდა. 2015 წლის ასეთი კარგი პოზიციის შემდეგ არ უნდა დაიკარგოს მიღწეული პოზიციები. ევრობაზრისთვის ხარისხი გადამწყვეტია. დღეს საქართველო თხილის წარმოებაში მეორე-მესამე ადგილებისათვის ებრძვის იტალიასა და აზერბაიჯანს. ქართული თხილის გულს მსოფლიო ექსპორტის 10, 896 უჭირავს, რაც მისთვის ისტორიული მაქსიმუმია. დღეისათვის საქართველოს თხილის ბიზნესში 50 000 ისეთი ოჯახია ჩართული, რომლისთვისაც იგი შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს, მაგრამ მაინც დაბალი რჩება მათი, როგორც კვალიფიციური ფერმერების მომზადების დონე. გარდა ამისა პირველადი ნედლეულის მწარმოებელი ფერმერების ხვედრითი წილი არ აღემატება 30-35%. სამწუხაროდ ფერმერები პირდაპირ ვერ გადიან საექსპორტო ბაზარზე და დამოკიდებულები არიან შუამავლებზე, ამიტომ უნდა მოხდეს დარგის უკეთესი ორგანიზება, გაიზარდოს პროდუქციის ხარისხი, ტექნოლოგიების ცოდნა და ამის საფუძველზე პირველადი ნედლეულის მწარმოებელს სეეძლება მაქსიმალურად მოიგოს ფასში. სწორედ ეს პრობლემები იყო მიზეზი, როდესაც 2012 წელს ერთ-ერთ ქართველ მწარმოებელს 22 000 კგ თხილი უხარისხობის საბაბით უკან მოუბრუნეს.

გაცილებით ცუდი ვითარებაა წვრილ მწარმოებლებში. მათი დიდი უმრავლესობა თხილს ვადამდე, ჯერ კიდევ ტენიანს კრეფს და სათანადოდ არ აშრობს. ასეთი პროდუქტი წონაში მეტია, მაგრამ

გაცილებით უფრო იოლად ობდება და დიდი შანსია, რომ ხანგრძლიც მგზავრობას ვერ გაუძლოს. როგორც წესი ქართველ მწარმოებლებს აკლიათ საჭირო სტანდარტის საწყობები და საშრობები. ამის გამო ისინი მოსავალს მოკრეფიდან საკმაოდ მოკლე ხანში 3-4 თვეში, ძირითადად შემოდგომაზე ყიდიან, როდესაც თხილის ფასი მსოფლიო ბაზარზე ყველაზე დაბალია.

თანხა, რომელსაც თხილის მწარმოებლები იღებენ, პირადი საჭიროების გარდა ისევ თხილის წარმოების განვითარებას ხმარდება, მაგრამ თითო მაგალითი საერთო ვითარებას ვერ შეცვლის. უმწვავესი პრობლემაა შხამქიმიკატები, მიწის ექსპერტიზა, სუბსიდიები, რომელიც აუცილებელი პირობაა დარგის განვითარებისათვის. მწარმოებელთა 80% თხილი 0,5 ჰექტარზე ნაკლებ ფართობებზე მოჰყავს, შესაბამისად მსხვილი ფერმერების წილი 20% არ აღემატება.

ევროკავშირი აქტიურადაა ჩართული საქართველოში თხილის სექტორის მოდერნიზებასა და განვითარებაში. პროდუქციის წარმოების გასაზრდელად თხილის მწარმოებელ მცირე ფერმერებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „ენპარდის“ პროგრამა სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით ეხმარება ჩამოაყალიბონ კოოპერატივები. თანამედროვე ეტაპზე დასავლეთ საქართველოში 20-ზე მეტი ასეთი კოოპერატივია რეგისტრირებული. „ენპარდი“ ტექნიკურ დახმარებას უწევს მცირე კაპიტალური ინვესტიციით, მათ შორის მანქანა-დანადგარების და თანამედროვე ტექნიკის აღჭურვილობით, აფინანსებს თანამედროვე სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობას, რათა გააუმჯობესოს მოსავლიანობა თხილის ბაღებში და ეხმარება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სექტორის უკეთესად განვითარებაში. ევროკავშირი ასევე ფინანსურ დახმარებას უწევს ფერმერებს თხილის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით და ამ მიზნით ინვესტიციებს დებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მოდერნიზებაში.

ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, იმიტომ რომ ძლიერი და სანდო მეზობელი გვეყოლება. ევროკავშირმა აიღო პასუხისმგებლობა საქართველოს დაცვის თვალსაზრისით და ასევე აგრძელებს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის დაცვას - ჟენევის მოლაპარაკებებში ძალიან აქტიურად ვართ ჩართული , საქართველოშია ევროკავშირის მონიტორინგის მისია. ჩვენს მხარეს არიან და ესაა საუკეთესო გარანტია საქართველოს უსაფრთხოებისთვის.

საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის წარმართვა მის ზედმიწევნით დაგეგმვას და საზოგადოების მხრიდან ამ გეგმის შესრულების მონიტორინგს მოითხოვს. ამ გეგმის წარმატებით შესრულების შედეგად საქართველოს ევროკავშირის წევრობის რეალური შესაძლებლობები ექმნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველებისთვის ევროპული ცხოვრებისა და ევროპაში მიმდინარე მოვლენების ცოდნა მიახლოებით ისევე მნიშვნელოვანი გახდება, როგორც მათი სამშობლოს ისტორიის და ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებისა .ამისათვის საჭიროა:

- საქართველოში მიმდინარე ევროინტეგრაციული პროცესების შესახებ ქვეყნის მოსახლეობის ინფორმირება, რათა მოქალაქეებმა უკეთ შეძლონ თავიანთი მომავლის განჭვრეტა. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ევროინტეგრაციის პროცესებში ჩართვის შესაძლებლობა;
- არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროკავშირის ბაზარი ღიაა მხოლოდ იმ პროდუქციისათვის, რომელიც აკმაყოფილებს ევროპის ბაზრისთვის განსაზღვრულ შიდა ბაზრის რეგულაციებს, დღესდღეობით კი საქართველოში ამ მოთხოვნებისა და ღირებულებით კონკურენტული პროდუქტი თითქმის არ მზადდება;
- მიუხედავად პრეფერენციული სისტემით რამდენიმეწლიანი სარგებლობისა, ეს ურთიერთობები წლიდან წლამდე თვისებრივად თითქმის არ შეცვლილა;
- ქართულმა კომპანიებმა უნდა დააფუძნონ ფილიალები ევროკავშირის ქვეყნებში და მათი საშუალებით მიაწოდონ მომსახურება ევროპელ მომხმარებელს;
- ქართულმა კომპანიებმა თავიანთ ევროპულ ფილიალებში აუცილებლად უნდა დაასაქმონ ქართველი მენეჯერები, სპეციალისტები და გაატარონ პრაქტიკა თავიანთ თანამშრომლებს;
- ქართულმა კომპანიებმა უნდა გაუშვან თავიანთი გაყიდვების წარმომადგენლები ევროკავშირში, მათი პროდუქციის გაყიდვის მიზნით მოლაპარაკებების საწარმოებლად;
- საქართველოში უნდა შეიქმნას ევროპული დონის სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სისტემა, რითაც გაუმჯობესდება სურსათის კონტროლის მექანიზმი ადგილობრივ ბაზარზე;
- არსებობს არაჩვეულებრივი ფორმულა: ხარისხი + ფასი. ეს ფორმულა ყველა მწარმოებელმა უნდა დაიცვას. მარტო რეგულაციები საკმარისი არ არის;

ლიტერატურა:
1. ი.გოგოლიშვილი. „ევროკავშირი და საქართველო: ასოცირების სეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებები დაზღვევის სფეროში“. ჟურნალი-საქართველოს ევროპული გზა. 2015. #4. გვ. 46-48.
2. ქ.კახნიაშვილი. „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება-რა სარგებელს მოუტანს საქართველოს სოფლის მეურნეობას.“ ჟურნალი-ახალი აგრარული საქართველო. 2015. #1. გვ. 12-14.
3. ფულე შტეფან. „ევროკავშირი და საქართველო: უფრო მჭირდო კავშირის დამყარებისაკენ სვლა.“ 2014. გვ. 8-11.
4. რ.კვარაცხელია. „საქართველო და ევროკავშირი-ახალი რეალობა. თბილისის ღია სასწავლო უნ. შრომების კრებული. 2014 . #5. გვ. 71-79.
5. გ.ბედიანაშვილი. „ევროკავშირი და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ბენჩმარკინგის საკითხები.“ ჟურნალი-ეკონომისტი. 2014. #5. ოქტომბერ-ნოემბერი.. გვ. 12-21.
6. დ.ლორთქიფანიძე. „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება სერიოზული პრობლემების წინაშე დაგვაყენებს.“ ჟურნალი-სარკე. 2014. #28. 16-22 ივლისი. გვ. 17-19.
7. ვიკმანი პიერ მანგუს. „საქართველო სწრაფი აღმშენებლობის გზაზე“. ჟურნალი საქართველოს ევროპული გზა. 2014. #1. გვ. 43-50.
8. მ.ჯიბუტი. „საქართველოს თანამედროვე სოციალური და ეკონომიკური გამოწვევები და მათი დაძლევის სანიმუშო პროგრამის მონახაზი.“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები. 2013. ტომი 11. გვ. 137-157.
9. „ევროკავშირი საქართველოსთან ასოცირების შეთანხმების დაჩქარებულ ხელმოწერაზე ფიქრობს“. ჟურნალი-24 საათი. - თბ, 2013. - 21 დეკემბერი. - N3434.

რეზიუმე

კვლევითი ნაშრომი - „ENPARD - ევროპული სამეზობლოს პროგრამა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის“ ეხება ეკონომიკური კავშირების განვითარების სტრატეგიებს ევროკავშირს და საქართველოს შორის. კვლევის მიზანია ახალი ეკონომიკური გამოწვევების შესწავლა, რომლებიც წარმოიშვა საქართველოს და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, კვლევის თემა აქტუალურია. კვლევის მიზანია ევროკავშირის, როგორც საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორის წარმოჩენა. კვლევის ობიექტია იმ ქვეყნების, მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნების, ეკონომიკური ინდიკატორების შესწავლა, რომლებიც შედიან ევროკავშირში. კვლევის წყაროა საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების და საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდებიდან მიღებული ინფორმაცია. კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველომ უნდა შეასრულოს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. კვლევის სიახლეს წარმოადგენს იმის ჩვენება, რომ აუცილებელია სწორი ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა, კარგი დამოკიდებულება სახელმწიფოს მთავრობას და ბიზეს სექტორს შორის.

ENPARD - EUROPEAN NEIGHBOURHOOD PROGRAMME FOR AGRICULTURE DEVELOPMENT

Mania Gogidze, Specialist by contract

RESUME

Our research work thesis ,,ENPARD-European Neighborhood Programme for Agriculture Development” refers to the development strategies of economic links between the European Union and Georgia. Our aim was to study the new economic challenges, which are formed within the framework of the EU/Georgia Association Agreement. Therefore I consider the research topic of great current interest. The goal of the research is to show that the EU is one of the most important economic partner for Georgia. The subject of the study is the economic indicators of those countries which enter into the European Union as post- Soviet countries. The source of the study is information from the official websites of International financial-credit organizations and Georgian Government. The result of the study conducted by us is that according to the Association Agreement, obligations taken by Georgia shall be executed. The novelty of our study is to show that it is necessary to have right economic and financial politics, there should be a good will from the Government and the business as well.

საქართველოს საბანკო სექტორის კონკურენტული გარემოს ანალიზი

მერაბ ვანიშვილი, ასოცირებული პროფესორი

შესავალი: საქართველოს კონკურენტული საბანკო სექტორის განვითარებას შესაძლებელია თვალი მივადევნოთ ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების განვითარებაში ბოლო პერიოდის განმავლობაში შეინიშნება ბანკების რაოდენობის შემცირება, არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების რაოდენობა კი, პირიქით, იზრდება.

საფინანსო სექტორის ინსტიტუტების ქსელის განვითარების დინამიკა გვიჩვენებს, რომ კომერციული ბანკების რაოდენობა 2000 წლის 32 ერთეულიდან 2015 წელს 19 ერთეულამდე შემცირდა. ამასთან, უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა მოსახლეობის საბანკო მომსახურების სერვისის მოცულობა, რაზეც ნათლად მიუთითებს კომერციული ბანკების სერვის-ცენტრების რაოდენობის ზრდა. 2015 წლისათვის ქვეყანაში ფუნქციონირებს 125 საბანკო ფილიალი და 827 სერვის-ცენტრი. კომერციული ბანკების სააქციო კაპიტალის მოცულობა 2000 წლის 203,1 მლნ ლარიდან 1070,2 მლნ ლარამდე გაიზარდა 2015 წელს. გარდა ამისა, 2015 წლისათვის საქართველოში უკვე ფუნქციონირებს 15 არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, 69 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, 1161 ვალუტის გადამცვლელი პუნქტი, 1 საფონდო ბირჟა, 14 სადაზღვევო კომპანია და 5 საპენსიო ფონდი [1].

განსაკუთრებით საყურადღებოა ბანკების დაკრედიტების მოცულობის თანაფარდობა მშპ-ის მიმართ. 2000-2014 წლების განმავლობაში საქართველოს ბანკების მიერ გაცემული კრედიტების მოცულობა 477,4 მლნ ლარიდან 12266,6 მლნ ლარამდე გაიზარდა, ანუ 25,7-ჯერ. ამასთან, 2000 წლისათვის დაკრედიტების მოცულობის თანაფარდობამ მშპ-ის მიმართ შეადგინა 7,7%, 2012 წლისთვის - 33,4%, 2014 წლისათვის კი - 42,1%. ეს ნათლად მიუთითებს ქვეყნის ეკონომიკაზე საბანკო კრედიტის ზემოქმედების მკვეთრად გაზრდაზე [2, 3, 4, 5].

აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა უფრო დეტალურად შევჩერდეთ ქვეყნის საფინანსო ბაზრის რეგულირების ინსტრუმენტების განხილვაზე.

კვლევის შედეგები: სათანადო კვლევით დგინდება, რომ 2000-2014 წლებში საქართველოში სახეზე გვქონდა სერიოზული ცვლილებები ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში, რომელიც მიმართული იყო საბანკო სექტორის განვითარებაზე, კერძოდ კი, ბანკების საკრედიტო საქმიანობის სტიმულირებაზე. საანალიზო პერიოდში ქვეყანაში ფართო ფულის მასა გაიზარდა მაღალი ტემპებით, კერძოდ, ერთ შემთხვევაში (M_2) 382,1 მლნ ლარიდან 5911,3 მლნ ლარამდე, ხოლო მეორე შემთხვევაში – (M_3) 618,2 მლნ ლარიდან 11189,8 მლნ ლარამდე, ანუ, შესაბამისად 15,5-ჯერ და 18,1-ჯერ გაიზარდა, მაშინ, როდესაც ამავე პერიოდში მშპ-ის მოცულობა გაიზარდა მხოლოდ 4,7-ჯერ **(ცხრილი 1).**

ცხრილი 1. საქართველოს ეკონომიკის მონეტიზაციის დონე 2000-2014 წლებში (მლნ ლარი)[1]

მაჩვენებლები	**2000**	**2005**	**2010**	**2012**	**2014**	**ზრდა 2000 წლის მიმართ**
1. მთლიანი შიდა პროდუქტი	6218,9	11620,8	20743,4	26167,3	29150,5	4,7-ჯერ
2. ფართო ფული M_3	618,2	1961,5	5775,6	7903,7	11189,8	18,1-ჯერ
3. ფართო ფული M_2	382,1	1104,1	2960,2	4069,1	5911,3	15,5-ჯერ
4. მონეტიზაციის მაჩვენებელი						
M_3/მშპ	9,9	16,9	27,8	30,2	38,4	-
M_2/მშპ	6,1	9,5	16,7	15,5	20,3	-

როგორც ცხრილის ანალიზიდან ჩანს, მონეტიზაციის მაჩვენებელი 2000 წლიდან 2014 წლამდე ერთ შემთხვევაში (M_2/მშპ) 6,1-დან 20,3-მდე, ხოლო მეორე შემთხვევაში (M_3/მშპ) 9,9-დან 38,4-მდე გადიდდა. ამ მდგომარეობამ პოზიტიურად იმოქმედა ქვეყნის საკრედიტო სისტემაზე. კერძოდ, გაიზარდა საწარმოთა ანგარიშებზე ბანკში ნარჩენი თანხების მოცულობა, მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, რასაც

[1]გაანგარიშებულია ლიტერატურული წყაროების [2, 3, 4, 5] მასალების მიხედვით.

მოჰყვა მოსახლეობის დანაზოგების ზრდა და ბანკებში მოზიდული ფულადი რესურსების მოცულობის გადიდება. ყოველივე ამის შედეგად იმატა ბანკების საკრედიტო რესურსების მოცულობებმაც. საანალიზო პერიოდში საქართველოს კომერციული საბანკო სექტორის მიერ გაცემული კრედიტების დინამიკაზე წარმოდგენას გვაძლევს **მე-2 ცხრილი.**

ცხრილი 2. საქართველოს კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტების დინამიკა და მოცულობა 2000-2014 წლებში (მლნ ლარი)[1]

მაჩვენებლები	2000	2005	2010	2012	2014	ზრდა 2000 წლის მიმართ
1. კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები	765,1	2548,2	10584,2	14354,7	20617,3	26,9
2. ბანკების მიერ გაცემული წმინდა სესხები	477,4	1730,3	6260,6	8732,9	12266,6	25,6
3. სესხები კერძო სექტორზე	471,2	1713,3	6256,2	8711,8	12162,7	25,8
4. ბანკთაშორისი სესხები	6,2	17,0	4,4	21,1	103,9	16,7
5. საბანკო აქტივებში წმინდა სესხების წილი %-ში	62,4	67,9	67,2	60,8	59,5	-
მ.შ. კერძო სექტორის	61,6	67,2	67,2	60,7	59,0	-
ბანკთაშორის სესხების	0,8	0,7	0,01	0,1	0,5	-

ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2000 წლიდან 2014 წლამდე პერიოდის განმავლობაში კომერციული საბანკო სექტორის აქტივები გაიზარდა თითქმის 26,9-ჯერ. ამასთან ერთად იზრდება გაცემული წმინდა სესხების მოცულობები, თუ მან 2000 წელს შეადგინა 477,4 მლნ ლარი, 2014 წლისათვის უკვე გაუტოლდა 12266.6 მლნ ლარს. საბანკო აქტივებში წმინდა სესხების ხვედრითი წილმა 2000 წელს შეადგინა 62,4%, ხოლო 2014 წლისათვის კი - 59,5%.

კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე 2015 წლის პირველი იანვრისათვის გაცემული სესხების მოცულობამ 6 353 890 ათასი ლარი შეადგინა. კომერციული ბანკების მიერ ამავე პერიოდში გაცემული სესხების სტრუქტურაში ეკონომიკის დარგების მიხედვით პირველ ადგილზეა წარმოდგენილი ვაჭრობა - 30, 8%-ით, მეორე ადგილზეა მრეწველობა - 21, 5%-ით, შემდეგ მოდის ფინანსური შუამავლობა - 8,4%-ით, მეოთხე ადგილზეა ოპერაციები უძრავი ქონებით - 7,0%, მეხუთე ადგილზეა მშენებლობა - 6,4%-ით, მეექვსე ადგილი უკავია სასტუმროებს და რესტორნებს - 6,0%, შემდეგ მოდის სხვა დარგები - 5,5%-ით. ამასთან, კომერციული ბანკების მიერ 2015 წლის 1 იანვრისათვის შინამეურნეობებზე გაცემული სესხების მოცულობამ შეადგინა 6 124 615 ათასი ლარი. შინამეურნეობებზე გაცემულ სესხებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილია უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები (50,7%), შემდეგ მოდის სამომხმარებლო სესხები - 33,9%.

საგულისხმოა, რომ კომერციული ბანკების მიერ 2003-2015 წლებში გაცემული სესხები გაიზარდა 21-ჯერ, მაშინ, როცა მშპ გაიზარდა 3,4 ჯერ. ამდენად, ბანკების მიერ ეკონომიკის დაფინანსების ზრდის ტენდენცია თითქმის 7-ჯერ აღემატებოდა ქვეყნის მშპ-ს ზრდას. ამასთან, კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობაში გრძელვადიანი სესხები 5,1 ჯერ აღემატება მოკლევადიანი სესხების მოცულობას. ვადაგადაცილებული სესხების წილი წლების განმავლობაში სულ უფრო მცირდებოდა (მხოლოდ კრიზისულ ვითარებაში, ეკონომიკის დაცემასთან ერთად, ეს მაჩვენებელი მცირედით უარესდებოდა) და, მთლიანობაში, მას საფრთხე არ შეუქმნია ბანკების გამართული საქმიანობისათვის. უმოქმედო („უმოქმედო სესხები“ - აქტივების კლასიფიკაციის მოქმედი რეგულაციის მიხედვით, ბოლო სამი კატეგორია: არასტანდარტული, საეჭვო და უმოქმედო) სესხების რაოდენობამ 2012 წელს 9,3 პროცენტი, ხოლო 2014 წელს - 7,6 პროცენტი შეადგინა. სასესხო პორტფელის ცალკეულ კატეგორიებზე წარმოდგენას გვაძლევს **მე-3 ცხრილი.**

[1]გაანგარიშებულია ლიტერატურული წყაროების [2, 3, 4, 5] მასალების მიხედვით.

ცხრილი 3. სასესხო პორტფელის კატეგორიები და ფორმირებული რეზერვი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით[1]

კატეგორია (ბანკთაშორისი სესხების გარდა)	თანხა (მლნ ლარი)	წილი %	რეზერვი %
სტანდარტული	11,339	87.5	2
ნეგატიური სესხები	1,627	12.5	33
საყურადღებო	639	4.9	11
უმოქმედო სესხები	988	7.6	48
არასტანდარტული	535	4.1	30
საეჭვო	252	1.9	51
უიმედო	201	1.6	93
სულ:	12,966	100	6

როგორც ცხრილის ანალიზიდან ჩანს, სტანდარტული სესხების წილმა შეადგინა 87,5%. უმოქმედო სესხებში არასტანდარტული სესხები წარმოდგენილი იყო 4,1 %-ით, საეჭვო - 1,9 პროცენტით, უიმედო - 1,6 %-ით.

მთლიანი საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა ცალკეული სეგმენტების მიხედვით ასახულია **მე-4 ცხრილში.**

ცხრილი 4. მთლიანი საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა სეგმენტების მიხედვით 2012 -2014 წლებში[2]

სეგმენტი (ბანკთაშორისი სესხების გარდა)	წ ე ლ ი						ცვლილება (2014 წელი 2012 წელთან შედარებით) %
	2012		2013		2014		
	მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%	
კორპორაციული	3606	41	4,028	38	4616	37	28
მცირე და საშუალო ბიზნესის სესხები	1738	20	2,051	20	2300	18	32,3
საცალო	3368	39	4,400	42	5541	44	64,5
სულ	8712	100	10,480	100	12457	100	43

საქართველოს საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელი რისკ-სექტორების კუთხით დივერსიფიცირებულად უნდა ჩაითვალოს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პროციკლური სექტორების წილი პორტფელში დაღმავალი ტენდენციით ხასიათდება, რაც, საბოლოო ჯამში, აუმჯობესებს პორტფელის მდგრადობას სისტემური რისკის მიმართ **(ცხრილი 5).**

ცხრილი 5. საკრედიტო პორტფელი რისკ-სექტორების მიხედვით 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით[3]

სექტორი (ბანკთაშორისი სესხების გარდა)	წილი მთლიან პორტფელში %	სესხის ნაშთი, მლნ ლარი	რეზერვი, მლნ ლარი	სესხის რეზერვი/ პორტფელთან %
სახელმწიფო ორგანიზაციები	0.6%	75	2	2.0%
საფინანსო ინსტიტუტები	1.3%	166	7	3.9%
ლომბარდული სესხები	3.4%	435	11	2.5%
უძრავი ქონების დეველოპმენტი	1.9%	249	43	17.0%
უძრავი ქონების მენეჯმენტი	4.1%	537	31	5.7%

[1]ცხრილი შედგენილია ლიტერატურული წყაროს [6, გვ. 78] მასალების მიხედვით.
[2]ცხრილი შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის 2012, 2013 და 2014 წლების წლიური ანგარიშების მონაცემების მიხედვით.
[3]ცხრილი შედგენილია ლიტერატურული წყაროს [6, გვ. 73-74] მასალების მიხედვით.

სამშენებლო კომპანიები (არა დეველოპერები)	1.9%	247	42	16.8%
სამშენებლო მასალების მოპოვება, წარმოება და ვაჭრობა	2.0%	254	16	6.5%
სამომხმარებლო საქონლის ვაჭრობა	4.7%	606	37	6.2%
სამომხმარებლო საქონლის წარმოება	4.0%	513	25	5.0%
ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო პროდუქციის წარმოება და ვაჭრობა	1.4%	183	12	6.7%
ფეხსაცმლის, ტანსაცმლის და ტექსტილის წარმოება და ვაჭრობა	1.1%	141	7	4.8%
ვაჭრობა (სხვა)	4.1%	528	23	4.3%
წარმოება (სხვა)	1.2%	158	10	6.1%
სასტუმროები და ტურიზმი	3.4%	446	16	3.6%
რესტორნები, ბარები, კაფეები და სწრაფი კვების ობიექტები	1.1%	142	10	7.1%
მძიმე მრეწველობა	3.3%	431	48	11.2%
ბენზინგასამართ სადგურებსა და ბანზინის იმპორტიორებზე გაცემული სესხები	1.4%	180	18	9.9%
ენერგეტიკა	3.2%	412	11	2.7%
ავტომობილების დილერები	1.2%	156	14	8.8%
ჯანდაცვა	2.7%	353	13	3.8%
ფარმაცევტიკა	0.7%	95	11	11.3%
ტელეკომუნიკაცია	1.8%	231	38	16.6%
სერვისი	4.9%	632	53	8.3%
სოფლის მეურნეობის სექტორი	4.6%	596	25	4.2%
სხვა (ჯართის ბიზნესის ჩართვით)	1.6%	202	8	3.8%
საცალო პროდუქტები	38.6%	4,999	259	5.2%
ავტო სესხები	0.4%	51	4	7.5%
სამომხმარებლო სესხები	16.5%	2,135	101	4.7%
მომენტალური განვადება	2.8%	369	22	6.1%
ოვერდრაფტები	0.5%	71	6	7.9%
საკრედიტო ბარათები	4.3%	564	60	10.7%
სესხები ბინის რემონტისათვის	1.8%	232	7	3.2%
იპოთეკური სესხები	12.2%	1,577	58	3.7%
სულ:	100.0%	12,966	787	6.1%

2014 წლის მანძილზე საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის ზრდის მთავარი მამოძრავებელი იყო სამომხმარებლო, იპოთეკური სესხები და მომენტალური განვადებები (**ცხრილი 6**). ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის შენელების ფონზე სესხების ხარისხის გაუმჯობესება ძირითადად განპირობებული იყო საბანკო სფეროში რისკების მართვისა და საბანკო მენეჯმენტის გაუმჯობესებით.

ცხრილი 6. საცალო საბანკო პროდუქტების ცვლილების განაწილება 2013-2014 წლებში (მლნ ლარი)[1]

პროდუქტების დასახელება	დეკემბერი 2013	წილი (%)	დეკემბერი 2014	წილი (%)	ცვლილება (%)	ცვლილება (თანხა)
საცალო პროდუქტები	3871	100	4862	100	26	991
ავტო-სესხები	57	1	48	1	-15	-9
სამომხმარებლო სესხები	1706	44	2106	43	23	400
მომენტალური განვადება	226	6	368	8	63	142
ოვერდრაფტები	67	2	70	1	5	3
საკრედიტო ბარათები	568	13	562	12	12	59
სესხები ბინის რემონტისათვის	172	4	219	5	28	47
იპოთეკური სესხები	1141	29	1489	31	30	348

2014 წლის ბოლოსთვის საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელის ხარისხი დამაიმედებლად გამოიყურება. უმოქმედო სესხების წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში პრაქტიკულად არ შეცვლილა, თუმცა შემცირდა ნეგატიური სესხების წილი. სეგმენტების მიხედვით პორტფელის ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავდება **(ცხრილი 7).**

საბანკო სექტორში საკრედიტო პორტფელის სტაბილური ხარისხის პარალელურად, სისტემაში სამივე სეგმენტის კუთხით შეინიშნება მსესხებელთა ფინანსური ტვირთის ზრდა. აღნიშნული განპირობებულია როგორც კომერციული ბანკების მიერ დაფინანსების მიღების სანაცვლოდ მოთხოვნების შედარებით შერბილებით, ასევე წლის ბოლოსკენ ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებით (აშშ დოლარში ვალდებულებების მქონე მსესხებლებისთვის).

ცხრილი 7. საკრედიტო პორტფელის ხარისხი ცალკეული სეგმენტების მიხედვით[2]

სეგმენტი	ნეგატიური სესხები	უმოქმედო სესხები	საშუალო რეზერვი
კორპორატიული	21,1%	13,9%	8,0%
მცირე და საშუალო ბიზნესის სესხები	8,1%	4,2%	4,6%
საცალო	7,2%	3,8%	4,9%

2014 წლის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების მოცულობა მცირე მერყეობით ხასიათდებოდა და მაღალ დონეს ინარჩუნებდა. ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების 22 პროცენტს აღწევს, რაც საკმარისია არასაბანკო დეპოზიტების 39 პროცენტის დასაფარად [6, გვ. 92]. საყურადღებოა, რომ მიუხედავად მთლიანი ლიკვიდობის კოეფიციენტის მნიშვნელობის სტაბილურობისა, ვალუტების მიხედვით ლიკვიდობა მნიშვნელოვანი მერყეობით ხასიათდებოდა. ზოგადად, ეროვნული ვალუტის ლიკვიდობის კოეფიციენტი უცხოური ვალუტის ანალოგიურ მაჩვენებელს აჭარბებს, რაც ძირითადად დაკავშირებულია ლარის ვალდებულებების მოკლევადიანობასთან და ასევე, ლარის ლიკვიდური აქტივების მაღალ შემოსავლიანობასთან.

2014 წლის განმავლობაში დეპოზიტები 1.92 მლრდ ლარით (20 პროცენტით) გაიზარდა და დეკემბრისათვის 11.6 მლრდ ლარი შეადგინა. დეპოზიტარების სტრუქტურის მიხედვით, ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდამ შესაბამისად 21.2 და 18.6 პროცენტი შეადგინა. არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი მთლიან არასაბანკო დეპოზიტებში 2014 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ გაზრდილა და დეკემბრისთვის 15.9 პროცენტს შეადგენს. წარმოშობის ქვეყნების მიხედვით ეს დეპოზიტები საკმაოდ დივერსიფიცირებულია, რაც დადებითი ფაქტორია რისკიანობის კუთხით. ამასთან, მაღალია ვადიანი დეპოზიტების წილი, რაც გადინების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს. 2014 წლის განმავლობაში გაგრძელდა და დღესაც გრძელდება არარეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების ნაწილის გადატანა გამოუთხოვად სადეპოზიტო სერტიფიკატებში, რაც სტაბილური დაფინანსების წყაროს წარმოადგენს.

[1]ცხრილი შედგენილია ლიტერატურული წყაროს [6, გვ. 76] მასალების მიხედვით.
[2]ცხრილი შედგენილია ლიტერატურული წყაროს [6, გვ. 77] მასალების მიხედვით.

საბითუმო დაფინანსების გარე წყაროებიდან მიღებული თანხები საკმაოდ დივერსიფიცირებულია როგორც კრედიტორების ტიპის, ისე დაფარვის ნარჩენი ვადიანობის მიხედვით. საბითუმო დაფინანსების 30 % საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე მოდის, 13 % - მშობელ/დაკავშირებულ კომპანიებზე, ხოლო 57 % - სხვა კერძო ინსტიტუტებზე. დაბალ რისკად შეიძლება შეფასდეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მაღალი წილი და დაფარვის გრძელვადიანი გრაფიკი [6, გვ. 97].

საქართველოს საბანკო სისტემამ 2014 წლის ბოლოსათვის შეინარჩუნა კაპიტალიზაციის მაღალი დონე. „ბაზელ I"-ით დათვლილი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 13.6 პროცენტს აჭარბებს, ხოლო საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი 17.4 პროცენტს აღწევს, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალურ მოთხოვნებზე შესაბამისად 5.6 და 5.4 პროცენტული პუნქტით მეტია. ამდენად, მაღალია მარტივი ლევერიჯის კოეფიციენტიც (კაპიტალი/აქტივებთან), რომლის მნიშვნელობა 17.4 პროცენტს აღწევს, ხოლო მაღალი ლიკვიდურობის გამო, წმინდა სესხების კაპიტალთან თანაფარდობა 3.41-ის ტოლია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბაზელ II/III-ის დანერგვის შედეგად მოცემული „ბაზელ I"-ზე დაფუძნებული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები ეტაპობრივად შემცირდება ყოველწლიურად, 2017 წელს მის სრულ გაუქმებამდე. 2015 წლიდან „ბაზელ I"-ზე დაფუძნებული მინიმალური მოთხოვნები უკვე 7.6 %-ს და 11.4 %-ს შეადგენს.

კომფორტულია კაპიტალის ადეკვატურობა განახლებული ბაზელ II/III-ის ჩარჩოს ფარგლებშიც. კერძოდ, პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი შეადგენს 13.1 %-ს, ხოლო საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი - 16.5 %-ს, რაც კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალურ მოთხოვნებზე შესაბამისად 4.6 და 6 პროცენტული პუნქტით მეტია. ასევე, პოზიტიურად არის შეფასებული კაპიტალის ზრდის რესურსები როგორც აქციონერთა სიძლიერის, ასევე მომგებიანობის კუთხით [6, გვ. 86].

დასკვნა: ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის თაობაზე, რომ რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის პრინციპების გათვალისწინებით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში კვლავ უფრო მეტი დრო ეთმობოდა ბანკების მომგებიანობის საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვას; ყურადღება მახვილდებოდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მასშტაბის ეფექტი, ბაზრის ნიშის ან/და სხვა კონკურენტული უპირატესობის არსებობა და საპროგნოზო საკრედიტო დანაკარგების შეძლებისდაგვარად შეფასება.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკი/ფინანსური სტაბილურობა/საფინანსო ინსტიტუტები: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=109, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი, №4(70) იანვარი-დეკემბერი, 2004: https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/bulletinstatistics/statbiul/2013/annualgeo/bulletin2004geo.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.

3. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი, №4(130) იანვარი-დეკემბერი, 2009: https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/bulletinstatistics/statbiul/2013/annualgeo/bulletin2009geo.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.

4. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი, №178 იანვარი-დეკემბერი, 2013: https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/bulletinstatistics/statbiul/2013/annualgeo/bulletin2013geo.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.

5. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი, №202 იანვარი-დეკემბერი, 2015: https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/bulletinstatistics/statbiul/2013/bullettin2015_geo_opt.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.

6. საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში: 2014. ყოველწლიური პუბლიკაცია: https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2015/annual2014.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016].

რეზიუმე

სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებსა და მდიდარ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით, თანმიმდევრულად არის გაანალიზებული საქართველოს საბანკო სექტორის კონკურენტული გარემო.

სათანადო კვლევებით დადგენილი და სამეურნეო ცხოვრებით დადასტურებულია, რომ საქართველოში სახეზე გვაქვს სერიოზული ცვლილებები ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში, რომელიც მიმართულია საბანკო სექტორის განვითარებაზე, კერძოდ კი, ბანკების საკრედიტო საქმიანობის სტიმულირებაზე.

გაკეთებულია დასკვნა იმის თაობაზე, რომ რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის პრინციპების გათვალისწინებით, კვლავ უფრო მეტი დრო ეთმობა ბანკების მომგებიანობის საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვას; ყურადღება მახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მასშტაბის ეფექტი, ბაზრის ნიშის და სხვა კონკურენტული უპირატესობის არსებობა და საპროგნოზო საკრედიტო დანაკარგების შეფასება.

THE COMPETITIVE ENVIRONMENT ANALYSIS OF THE GEORGIAN BANKING SECTOR

Merab Vanishvili, Associate Professor

RESUME

In the article, the latest literary sources and the actual rich, based on the analysis of the banking sector is consistently competitive environment.

The study established and economic life has been confirmed by the National Bank of Georgia, we have witnessed major changes in monetary policy, which is focused on the development of the banking sector, in particular, banks' credit activity stimulation.

It is concluded that the risk-based supervision principles, still more time is devoted to the discussion of estimates of banks' profitability; Focus on issues such as the effects of scale, niche market and other competitive advantage in credit losses and the forecast rate.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის კონკრეტული გამოხატულებები ქართულ ეკონომიკაში

ნინო ლიპარტელიანი, პროფესორი

მსოფლიო ეკონომიკის განახლების დაწყება მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებში საგადასახადო საბიუჯეტო სტიმულების სასწრაფოდ შემოღებით გახდება შესაძლებელი. თუკი ვითარება კიდევ უფრო გამწვავდება, მაშინ წამყვანმა ქვეყნებმა მაქსიმალურად უნდა გააძლიერონ თავიანთი ძალისხმევა, მათი ბიუჯეტის დეფიციტს კი სწორედ მომავალში ეკონომიკური ზრდის განახლება გამოასწორებს. რაც შეეხება საქართველოსნაირი მწირი შესაძებლობების ქვეყნებს, მათ ბიუჯეტის კორექტირება უნდა მოახდინონ გაუარესებული საგარეო პირობების შესაბამისად. საბიუჯეტო შეზღუდვების გამკაცრების საპასუხოდ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ გარედან დახმარების მიღებაზე, რათა ხელიდან არ გავუშვათ ამით განპირობებული ეკონომიკური სარგებელი.

საქართველოს მსოფლიო ეკონომიკასთან კავშირის მნიშვნელოვანი არხია უცხოეთში სამუშაოდ წასული საქართველოს მოქალაქეების ფინანსური გადმორიცხვები. მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო მათმა ნაწილმა სამუშაო დაკარგა, ან უფრო ცოტა თანხებს გამოიმუშავებს და, შესაბამისად, უფრო ნაკლებ თანხებს რიცხავს საქართველოში. საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2008 წელს ქვეყანაში შემოსული გზავნილების საერთო მოცულობამ 1 მილიარდ 002 მილიონ 100 ათას აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 15,7%-ით, ანუ 136 მლნ აშშ დოლარით აღემატება. ყველაზე მეტი გზავნილი თვეების მიხედვით საქართველოში ივლისში (97,4 მლნ აშშ დოლარი) და

ყველაზე ნაკლები იანვარში (58,5 მლნ აშშ დოლარი) იყო, ყველაზე ნაკლები კი იანვარში (58,4 მლნ აშშ დოლარი). რაც შეეხება გზავნილების გეოგრაფიას, მისი დიდი ნაწილი - 633,9 მლნ აშშ დოლარი რუსეთზე მოდის. მომდევნო ადგილზეა უკრაინა, საიდანაც 70,5 მლნ აშშ დოლარი გადმოირიცხა, მესამე ადგილზე კი აშშ - 63,9 მლნ დოლარით. 2007 წელთან შედარებით რუსეთის წილი გადმორიცხულ თანხებში გაიზარდა (2007 წელს რუსეთზე მოდიოდა გადმორიცხული თანხების 62,9%). მომდევნო ადგილებზე არიან: საბერძნეთი - 47, 2 მლნ დოლარი; იტალია - 36,6 მლნ დოლარი; სომხეთი - 21,9 მლნ დოლარი; თურქეთი - 20,9 მლნ დოლარი; ესპანეთი 20,4 და ყაზახეთი 10,4 მლნ აშშ დოლარი. როგორც ვხედავთ, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 92,4% ცხრა უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის. მათ შორის კი დომინირებს რუსეთი, რომელზეც საქართველოში გადმორიცხვების უდიდესი ნაწილი მოდის. ეკონომიკური კრიზისი რუსეთში მძიმედ აისახება იქ მომუშავე ქართველებზეც და, სავარაუდოდ, შეამცირებს საქართველოში გადმორიცხვების მოცულობას.

ევროზონაში განვითარებულმა კრიზისმა ასახვა ქართულ ეკონომიკაზეც ჰპოვა, რადგან საქართველოც ამ გლობალური სივრცის ნაწილია. მაგალითად საქართველოს საბერძნეთის ეკონომიკასთან ძალიან სპეციფიკური კავშირი აქვს. ძირითადი კავშირი ფულად გზავნილებშია გამოხატული. არაოფიციალური მონაცემებით, საბერძნეთში 200 ათასამდე ქართველი ცხოვრობს და მუშაობს. ამ მაჩვენებლით საბერძნეთი მეორე ადგილზეა რუსეთის შემდეგ. საბერძნეთი ასევე მეორე ადგილზეა საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობით. 2015 წლამდე საბერძნეთიდან გადმოგზავნილ თანხებს ზრდის ტენდენცია ჰქონდა და 2014 წელს ჯამში 205 მლნ დოლარი გადმოირიცხა (გრაფიკი 5), 2015 წლის პირველ ექვს თვეში კი — 83 მლნ დოლარი, რაც 2014 წლის პირველი ექვსი თვის მაჩვენებელზე 20 მლნ დოლარით (19%- ით) ნაკლებია. ფულადი გზავნილების შემცირების მხრივ პირველ ადგილზე რუსეთია. იანვარ-მაისში რუსეთიდან გზავნილები 143 მლნ დოლარით (41%-ით) შემცირდა.

ბოლო წლებში საბერძნეთიდან საქართველოში მნიშვნელოვანი მოცულობის ინვესტიციები არ შემოდიოდა. ასევე, საბერძნეთში საექსპორტოდ ქართული პროდუქციის მცირე ნაწილი გადის. შედეგად ინვესტიციებსა და ექსპორტზე საბერძნეთის კრიზისს მნიშვნელოვანი პირდაპირი გავლენა არ ექნება. თუმცა თავად ევროკავშირი არის საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი და სავაჭრო პარტნიორი (გრაფიკი 6). მაგალითად, 2014 წელს ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე მოდის საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და საქართველოდან გასული ექსპორტის 27%. აქედან გამომდინარე, საბერძნეთის კრიზისის გამო ევროკავშირის ეკონომიკის გაზრდილი რისკები აზარალებს საქართველოს ეკონომიკასაც.

საბერძნეთის კრიზისი საქართველოს ეკონომიკაში არსებულ პრობლემებს დაემთხვა. ბოლო შვიდ თვეში ლარი 29 %-ით გაუფასურდა, ეკონომიკური ზრდის ტემპი 2.5%-მდე შემცირდა. ინფლაციას მზარდი ტენდენცია აქვს და ივნისის ბოლოს წლიურმა ინფლაციამ 4.5% შეადგინა. იანვარ-ივნისში საქართველოს პროდუქციის ექსპორტი 24%-ით შემცირდა. პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 39%-ით იკლო. გაუარესებულ ეკონომიკურ სიტუაციას გავლენა აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებზე, საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი 3%-ით (200 მლნ ლარით) შემცირდა და მთავრობას ბიუჯეტის კანონის შეცვლა მოუწია. თუ საბერძნეთში მყოფ ქართველ ემიგრანტებს საქართველოში დაბრუნება მოუწევთ, ეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ახალი სოციალური ტვირთი იქნება. ქართველებისთვის საბერძნეთში სამუშაო ადგილების დაკარგვა ათასობით ქართული ოჯახის უშემოსავლოდ დარჩენას ნიშნავს. (სქემა-ფულადი გზავნილები საბერძნეთიდან).

წამყვანი ეკონომიკის მქონე ქვეყნები სულ უფრო აცნობიერებენ ერთ რამეს: კრიზისულ მოვლენებზე მათი რეაგირების სტრატეგია ადეკვატური ვერ იქნება განვითარებადი ქვეყნებისთვის დახმარების გაწევის გარეშე. განვითარებად ქვეყნებს რეალურად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ფინანსურ რესურსებზე, მათი მხარდამჭერი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა კი ამ ქვეყნების ეროვნულ პირობებს უნდა იყოს მორგებული. საქართველოსთვის გამოყოფილი თითქმის მლრდ დოლარი ნამდვილად არ არის მცირე დახმარება, თუკი იგი „...ნამდვილ პროექტებში“ დაიხარჯა, მაგრამ აქვე იბადება კითხვა: იქნება ეს პროექტები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამის ნაწილი? ჩვენდა სავალალოდ, ქართველ მეცნიერ-ეკონომისტებისა და ექსპერტების ანგარიშგასაწევი ნაწილის აზრით, ჩვენს ქვეყანას დღეს საერთოდ არ გააჩნია ეკონომიკური განვითარების რაიმე სტრატეგიული გეგმა თუ პროგრამა, ან არსებული პოლიტიკა და კონცეფციები არ შეესაბამება ქვეყნის სტრატეგიული განვითარების ინტერესებს.

საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა საქართველოს ერთ-ერთი სტრატეგიული დარგის - სოფლის მეურნეობის აღორძინების მხარდაჭერაში უნდა ვრცელდებოდეს, რომელიც ყოველთვის იყო

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საყრდენი. გაუაზრებელი, ან იქნებ სულაც კარგად გააზრებული პოლიტიკის წყალობით, პურ-ღვინოსთან ქართველ კაცს ვენახსა და ხორბალზე შეიძლება ათქმევინონ უარი, ამით კი საკუთარი ხელით მოასპობინონ ქვეყნის არა მარტო ეკონომიკური, არამედ ზნეობრივი და სარწმუნოებრივი საფუძველი. პური და ღვინო რისი სიმბოლოცაა, ყველას კარგად მოეხსენება, მათგან ჩვენი ჩამოშორებაა კი უსათუოდ „გაიძვერა მოყვრის“ მოფიქრებულია.

უცხოური ინვესტიციები მკვეთრად შემცირება საქართველოში კრიზისის უშუალო გამოვლინებამდე, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაიწყო. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2008 წელს საქართველოში შემოსულმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1,1 მილიარდი შეადგინა, რაც 2007 წელთან შედარებით, 600 მილიონი დოლარით ნაკლებია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლის ვარდნა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო 2008 წლის მესამე კვარტალში და მხოლოდ 150 მლნ დოლარი შეადგინა. ეს 70%-ით ნაკლები იყო 2007 წლის მესამე კვარტალთან შედარებით და 68%-ით ნაკლები 2008 წლის მეორე კვარტალთან შედარებით. კონკრეტულად 2008 წლის მესამე კვარტალში სულ 150 მლნ დოლარის უცხოური ინვესტიციები შემოვიდა, 2007 წელს კი ეს მაჩვენებელი 489 მლნ დოლარს შეადგენდა. ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, 2009 წელს საქართველოში პირდაპირ უცხოური ინვესტიციების სახით დაახლოებით 815 მილიონი დოლარი შემოვა. ეს ციფრები ემყარება ეროვნული ბანკის მიერ 2008 წლის დეკემბერში ჩატარებულ კვლევის შედეგებს, რომელშიც 119 ქართულო და უცხოური კომპანია მონაწილეობდა. კვლევის მიზანი იყო ქვეყანაში 2009 წლის განმავლობაში კერძო უცხოური კაპიტალის შემოსავალთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება. კვლევის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 2009 წელს უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2008 წელთან შედარებით 60%-ით შემცირდება.

2009 წელს საქართველოში კაპიტალის შემოდინების მიხედვით, ლიდერები იქმნებიან არაბეთის გაერთიანებული საამიროები, აშშ, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩეხეთი და აზერბაიჯანი. გასათვალისწინებელია, რომ კვლევის შედეგები მოლოდინებს ასახავს და რეალური შემოდინება განსხვავდებოდეს პროგნოზირებულისგან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მაღალია პროექტების შემოდინების მთლიანი მოცულობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ცალკეული მასშტაბური პროექტების წარმატებაზე.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა დიდადაა დამოკიდებული წამყვანი ქვეყნების ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობაზე. ამ ქვეყნებში ეკონომიკური სტაბილიზაციის გარეშე ქართულ ეკონომიკაში განსაკუთრებული მზარდი შედეგის მიღებაზე საუბარი არასერიოზულია.

ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის არსებული დონის და სტადიის განმსაზღვრელი ძირითადი მაჩვენებლებია:

- მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ტემპი;
- ინფლაციისა და უმუშევრობის დონე;
- საფინანსო - საბანკო სისტემის ნდობა;
- ქვეყანაში ინვესტიციების მოცულობა და მისგან მიღებული მოგების პროცენტი;
- მოსახლეობის სოციალური დაცულობა;
- განათლების დონე;
- სახელმწიფო ვალდებულებების შესრულების ხარისხი და სხვა.

მსოფლიო ფინანსური კრიზისების ფონზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ იმ აუცილებელი ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება ეროვნული ეკონომიკის გადასარჩენად:

- საჭიროა გარკვეული სექტორების მუდმივი დემონოპოლიზაციაა, რათა ფასები დარეგულირდეს და არ ვიყოთ "შეთქმულების" მსხვერპლი;
- დღესდღეობით ქვეყანა თითქმის მთლიანად დამოკიდებულია იმპორტზე საუბარია სასურსათო პროდუქციაზე, ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხარდაჭერა, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. მდგომარეობის გაუმჯობესება დამოკიდებულია მთელ რიგ სტრუქტურულ რეფორმებზე: კრედიტების გაცემა, თესლის და წარმოების საშუალებების შესაძენად. წარმოების, მიწოდებისა და გასაღების ორგანიზაციების შექმნა, შენახვის პირობების გაუმჯობესება, პროდუქციის რეალიზაციისათვის (მარკეტინგი) ხელშეწყობა;
- მაგალითად ისეთი ქვეყნები, როგორიც არის ბელგია, ნორვეგია, ავსტრია, კანადა, აშშ ხშირ შემთხვევაში ბიუჯეტიდან პირდაპირ აფინანსებენ სოფლის მეურნეობას თან საკმაოდ დიდი დოზით. ევროკავშირმა მარტო 2008 წელს 60 მილიარდი დოლარი გამოყო სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად;

➢ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეკონომიკური კრიზისის პოზიტიური ბუნებაც, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ინსტიტუტების აუცილებელ და სრულ დემოკრატიზაციას, პროგრესისაკენ სვლას, ეკონომიკის მართვის ახალი ტექნოლოგიების ძიებას, ეკონომიკური სუბიექტებისათვის შესაფერისი ადგილის მიჩენას, რასაც თავისუფალი ფასწარმოქმნა და თავისუფალი კონკურენცია განსაზღვრავს. ხელს შეუწყობს ზოგიერთ დარგში არსებულ მონოპოლიზირებული მდგომარეობის დემონოპოლიზაციას;

➢ საქართველოს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ანტიკრიზისული პროგრამა, როგორც პრევენცია, მოსალოდნელი კრიზისებისა და, აქედან გამომდინარე, მისი ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად. ანტიკრიზისულ პროგრამაში მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს ეროვნული წარმოების განვითარებას და იმპორტული პროდუქციის ჩანაცვლებას ადგილობრივი საქონლით.





ლიტერატურა:
1. ი. ლაითაძე, „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და მისი სავარაუდო მიზეზები“, ჟურნალი „Forbes Georgia“, თბ., 2013, მაისი. N18. გვ. 28-29.
2. თ. იობაშვილი, „რომელ ქვეყნებს შეეხო ახალი ფინანსური კრიზისი: რა გავლენას იქონიებს ფინანსური კრიზისი საქართველოზე“, ჟურნალი „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“, თბ., 2011, N9(141), გვ. 32-34.
3. ნ. თაგოშვილი, „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო“, ჟურნალი „ეკონომისტი“, თბ., 2011, #4, გვ. 71-75.
4. ვ. სამსონიძე, "ფინანსური ქსენოფობია" ევროპაში“, ჟურნალი „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“, თბ., 2011, N1(133), გვ. 27-29.
5. ლ. პაპავა, „გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები)“, მეცნიერებათა აკადემიის შრომები, თბ., 2010, ტ. 8, გვ. 33-58.
6. ლ. არევაძე, თ. წიკლაური, „მსოფლიო ფინანსური კრიზისი, მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და კრიზისის დაძლევის პერსპექტივები“, ჟურნალი „ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში“, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბ., 2010, ტ I, გვ. 7-11.
7. გ. ბერიტაშვილი, „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო“, ჟურნალი „ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში“, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბ., 2010. ტ. I, გვ. 15-18.
8. რ. ასათიანი, „გლობალური ფინანსური კრიზისი და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი საქართველოში“, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, 2009, #6, გვ. 10-15.
9. დ. იაკობიძე, „საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი“, თბ., 2009, გვ. 241-246.
10. ლ. პაპავა, „ფინანსური კრიზისი და ეკონომიკის ზომბირების პრობლემა“, პ. გუგუშვილის ინსტიტუტის შრომები, თბ., 2009, ტ. II, გვ. 15-25.

რეზიუმე

ჩვენს მიერ საკვლევი თემა „მსოფლიო ფინანსური კრიზისის კონკრეტული გამოხატულებები ქართულ ეკონომიკაში“, შეეხება ციკლურ კრიზისებს, დარგობრივ დისბალანსს, ინფლაციის მომატებას და ა.შ. ჩვენ შევისწავლეთ ფინანსური კრიზისის არსი, მისი მრავალფეროვნება, ფინანსური კრიზისების კლასიკური მაგალითები. რეცესია და საბიუჯეტო პრობლემების ზრდა იწვევს მთელი რიგი ეკონომიკური, სოციალური და სხვა პრობლემების დარეგულირების შენელებას, ჩვენ დავეყრდენით საერთაშორისო და ეროვნული ფინანსური ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებს. კვლევის ობიექტია სტატისტიკის დეპარტამენტის, საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების და საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია. პრობლემათა მთელ კასკადს ერთი ძლიერი და ზომაზე მეტად დამანგრეველი წყარო ასაზრდოებს, რომელიც ცნობილია ეკონომიკური კრიზისების კატეგორიით. ფინანსური კრიზისის შედეგების შემცირება და რეცესიიდან გამოსვლის გზების ძიება, ქვეყნების ძირითადი ჯგუფებისთვის დიდი დანაკარგების გარეშე - სტაბილურობის შენარჩუნებისა და კრიზისის შემცირების პრინციპული გზაა.

SPECIFIC EXPRESSION OF THE WORLD FINANCIAL CRISIS IN GEORGIAN ECONOMY

Nino Liparteliani, Professor

RESUME

The thesis – „Specific expression of the world financial crisis in Georgian economy“ deals with cyclical crises, sectorial disbalance, rise in inflation, etc. The aim of the thesis was to study the nature of financial crisis, its diversity and its classic examples. Attempting to show that the recession and the frequency of budgetary obstacles hinder the regulation of economic, social and other types of issues, we deem the research to be of vital importance. The subject of the research is the researches carried out by international and national institutions and non-governmental organisations. The objects of the research is the data placed on the webpages of the National Statistics Office of Georgia, international credit and finance organisations and the information from the official webpages of the Government of Georgia. In the framework of the thesis I prove that the series of issues are mainly the result of devastating phenomenon – economic

crisis. The conclusion of the research shows that minimizing the outcomes of financial crisis and searching for the opportunities to escape recession are the principles in order to sustain the stability of the State's major groups, without incurring substantial loss and reduce crisis.

„გულუბრყვილო მომხმარებლიდან" მსოფლიო სამომხმარებლო კულტურამდე

ნანა ნადირაძე, *სტუდენტთა საქმის მწარმოებელი*

საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვა აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით. გარდა ამისა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ დებულებები მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, მომხმარებელთა უფლებებს საქართველოში ასევე იცავდა კანონი ''მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ'', ''პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ'', ''სურსათის უვნებლობის და ხარისხის შესახებ'' და სხვა საკანონმდებლო აქტები. 2015 წლის 1 იანვრამდე გაუქმებულ იქნა პროდუქციის უსაფრთხოების მაკონტროლებელი ორგანოები, რის გამო საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი და მომხმარებელი დარჩა სახელმწიფოს მხრიდან დაუცველი. ჩვენ ვცდილობთ დავინახოთ პრობლემა და მისი გადაჭრის შესაძლო ვარიანტები.

საქართველო იმ იშვიათი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც უბრალოდ არ არსებობს კანონი მომხმარებელთა უფლებების შესახებ. 2011 წლის მაისში საქართველოში ზემოხსენებული კანონი გაუქმდა და ის ჩაანაცვლა ორმა კოდექსმა: **სურსათის უვნებლობისა** და **თავისუფალი მიმოქცევის** შესახებ. თუმცა სურსათის უვნებლობის კოდექსი მხოლოდ ნაწილობრივ იცავს მომხმარებელთა უფლებებს. ამ მიზეზით, ერთ წელზე მეტია, მიმდინარეობს მუშაობა კანონის ახალი ვერსიის შექმნაზე, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივ საფუძვლებსა და ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკას. 2013 წლის დასაწყისიდან, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით, დაიწყო საქართველოში მომხმარებელთა დაცვის ახალი კანონის შემუშავება, თუმცა, კანონპროექტი ჯერ კიდევ 2015 წლის ზაფხულში დარეგისტრირდა და პარლამენტი განიხილავს. ახალმა კანონმა მომხმარებელი არა მხოლოდ უვარგისი პროდუქციისგან უნდა დაიცვას, არამედ გამყიდველის მიერ შეუსაბამო პროდუქციის მიწოდებისგანაც. ახალ კანონპროექტში გაწერილია როგორც მომხმარებლის უფლებები, ისე მისი ვალდებულებები და არაკეთილსინდისიერი გამყიდველებისგან თუ მომსახურების გამცემებისგან დაცვის მექანიზმები.

საქართველოს კანონმდებლობაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში განსაკუთრებით საყურადღებოა 2006-2007 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები. საქართველოს კანონებში ''მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ'', ''პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ'', ''სურასთის უვნებლობის და ხარისხის შესახებ''. საქართველოს სანიტარული კოდექსი, მავნე ორგანიზმებისგან მცენარეთა დაცვის შესახებ'', ''ვეტერინარიის შესახებ'', განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ეწინააღმდეგება მომხმარებელთა მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ნაკისრ არაერთ საერთაშორისო ვალდებულებებს, კერძოდ:

- მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვეციას (IPPC);
- ცხოველთა დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (OIE);
- სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ღონისძიებების შესახებ (SPS შეთანხმება) ნაკისრ ვალდებულებებს;
- ევროკავშირისა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას;
- ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების (TBT);
- ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ნაკისრი ვალდებულება.

შესაბამისად ჩვენი საკანონმდებლო სივრცე ევროკავშირის საკანონმდებლო სივრცესთან ჰარმონიზაციის ნაცვლად კიდევ უფრო დაშორდა.

საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს წარმოადგენდნენ საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახური და საქსტანდარტი. ასევე ცალკეული სახეობების მიხედვით მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფუნქციები ხორციელდებოდა სხვა სახელმწიფო სტრუქტურებშიც. **საქსტანდარტის** სტრუქტურა და უფლებამოსილება ვერ უზრუნველყოფდა სამომხმარებლო ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს. იგი არ შეესაბამებოდა აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიური სამსახურების უფლება-მოვალეობებს, არც სტრუქტურულად და არც დაქვემდებარების მიხედვით. სახელმწიფოს მიერ გატარებული საქსტანდარტის რეორგანიზაცია არაეფექტური იყო. 2003 წლამდე საქსტანდარტში გაერთიანებული იყო სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანო, აკრედიტაციის სამმართველო, მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის ინსტიტუტი და კონტროლისა და ზედამხედველობის სამმართველო. 2003 წელს პრეზიდენტის N374 და N376 ბრძანებულებებით შეიქმნა შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

- სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანო - საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
- აკრედიტაციის ეროვნული ორგანო - საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
- მეტროლოგიისა და სტანდარიზაციის ინსტიტუტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
- კონტროლი და ზედამხედველობა - საქვეუწყებო ინსპექცია.

მსოფლიო ბანკისა და ევროგაერთიანების წინაშე აღებული ვალდებულებების თანახმად, საქსტანდარტი უნდა განთავისუფლებულიყო ყველა სხვა ფუნქციისაგან და დაკავებული უნდა ყოფილიყო სტანდარტების განახლებით, მათი გამოცემებით, მომხმარებლებამდე მათი დაყვანითა და რეესტრის წარმოებით.

მონოპოლიური სამსახური. საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელსაც კანონმდებლობით ევალებოდა ბაზრის ზედამხედველობის განხორციელება და მომხმარებელთათვის კონსულტაციების გაწევა. თუმცა ეს ფუნქციები ეწინააღმდეგებოდა მსოფლიო განვითარებული ქვეყნების ინსტიტუციონალურ მოწყობას, სადაც როგორც წესი ამ სამსახურს მხოლოდ მონოპოლურ საქმიანობაზე კონტროლის ფუნქცია აქვს მინიჭებული. 2005 წელს განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად ანტიმონოპოლიური სამსახურის ნაცვლად შეიქმნა სახელმწიფოში მონოპოლიურ საქმიანობაზე ზადამხედველობის გამწევი ორგანო და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფუნქციები მას ჩამოშორდა. დღეს საქართველოში მომხმარებელთა პრობლემა და პროდუქტისა თუ მომსახურების უსაფრთხოების პრობლემატიკა მიბმულია სხვა სახის საკითხებთან და იგი პრიორიტეტულად არ არის მიჩნეული, განხორციელებული ცვლილებების შედეგად შემცირდა ადგილობრივი პროდუქციის ხარისხი და საქართველოს ბაზარი გახდა მეორეხარისხოვანი და ხშირ შემთხვევაში სხვა ქვეყანაში დაწუნებული პროდუქციის რეალიზაციის ადგილი. ყოველივე ამან სერიოზულად შეუშალა ხელი ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას.

მომხმარებელზე ზრუნვა განვითარებულმა მსოფლიომ დიდი ხნის წინ დაიწყო. ამ პრაქტიკამ მათთვის პრობლემა სულ სხვა განზომილებაში გადაიტანა, რაც შემოთავაზებული კლასიფიკაციიდანაც კარგად ჩანს:

- 1960 იანი წლების დასასრულს განვითარებულ მსოფლიოს ჰყავდა „გულუბრყვილო მომხმარებელი“;
- 1970–იანი წლების დასასრულს – გათვითცნობიერებული მომხმარებელი;
- 1980–იანი წლებიდან დაიწყო სოციალური და „მწვანე“ მომხმარებლის საფეხური;
- დღესდღეობით კი სამომხმარებლო განათლება იქ უკვე სოციალური ტენდენციაა და პოლიტიკურ და მორალურ განათლებასაც გულისხმობს.

თუ ქართველ მომხმარებელს ამ კლასიფიკაციაში მოვძებნით, აღმოვაჩენთ, რომ შორეულ 60-იან წლებში ვართ გაჩერებული, რადგან მომხმარებლის უფლების უმთავრესი დამცავი თავად მომხმარებელია. კანონის და საკუთარი უფლებების არცოდნა კი მას საშუალებას არ აძლევს აღასრულოს საკუთარი მოქალაქეობრივი ვალდებულება. თითოეულ ჩვენთაგანს მრავალჯერ დაგვზარებია, მოგვრიდებია, გადაგვიდია ან ყურადღება არ მიგვიქცევია დარღვევისთვის და არასათანადო მომსახურებისთვის?! ამის შედეგია ის, რომ იგივე განმეორდება ხვალაც, ზეგაც და მანამ, სანამ თვითონ არ შევცვლით ჩვენსავე სამომხმარებლო კულტურას.

კანონის ახალო ვერსიის ჩონჩხად გამოყენებული იქნა ევროდირექტივები და გაეროს რეზოლუცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. საფუძვლად ჩაიდო მომხმარებელთა უფლებების გაეროს რვა ძირითადი პრინციპი, რომლებშიც გათვალისწინებულია, რომ მომხმარებელს აქვს ჯანსაღ გარემოში არსებობის, პრეტენზიის გამოთქმის, ეკონომიკური ზარალის ანაზღაურების, ჯანმრთელობის,

თავისუფალი არჩევანის გაკეთების, საარსებო მინიმუმის ქონის უფლებები, პროდუქციასა და მომსახურებაზე სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიღების უფლება. კანონპროექტი არ ითვალისწინებს მხოლოდ მომხმარებლის უვარგისი პროდუქციისგან დაცვას, გარდა ამისა აუცილებელია მომხმარებელი დაცული იყოს გამყიდველის მიერ შეუსაბამო პროდუქციის მიწოდებისგანაც. ასე, რომ წარწერა – "გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება", მაღაზიებში უახლოეს მომავალში, სავარაუდოდ, საერთოდ აღარ უნდა შეგვხვდეს.

ჩვენ ყველანი, როგორც მომხმარებლები, ათეულობით წვრილმან და ზოგიერთ მნიშვნელოვან გარიგებას ვდებთ ყოველდღიურად, ანუ ვიძენთ პროდუქტს ან მომსახურებას. შეგვიძლია ყოფითი ფაქტი დავასახელოთ, რომელთანაც თითოეულ მათგანს გვიხდება შეხება. მაგალითად უხარისხო ნათურის ყიდვის შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს: მიიღოს ინფორმაცია ნათურის შესახებ. შემდეგ თუ ნათურამ არ დააკმაყოფილა ინფორმაციაში გათვალისწინებული მოთხოვნები, მომხმარებელი უფლებამოსილია შეაცვლევინოს ან მოითხოვოს ანაზღაურება. კანონში კიდევ უფრო გაშლილია ეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვიყენებთ ამ უფლებებს, რადგან ხშირად არ გვაქვს საკმარისი ინფორმაცია. გამყიდველთან ურთიერთობა ამ კონკრეტულ მაგალითში მაინც და მაინც აზრიანი არ უნდა იყოს. საქონლის შესახებ ინფორმაცია საკმარისზე მეტი გვაქვს, აწერია PHILIPS და 1 year, იწვება 2-3 დღეში, ვთქვათ დაუმტკიცეთ გამყიდველს რომ ეს გადამწვარი ნათურა მასთანაა ორი დღის წინ ნაყიდი და დაგთანხმდა გამოცვლაზე ან ფულის დაბრუნებაზე - წესიერ ნათურას მაინც ვერ ვშოულობთ, ყველგან იგივე პროდუქციაა, რომელიც, ვითომდა, დამზადებულია ჰოლანდიაში, ანუ ფილიპსს უნდა ვუჩივლოთ? ცხადია ეს სინამდვილეში არანაირი ფილიპსი არაა, ვისი ნაწარმია კაცმა არ იცის.

საქართველოს მთავრობამ მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებში დაუყონებლივ უნდა განახორციელოს მომხმარებელთა მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დეკლარირებული „მომხმარებელთა ინტერესთა დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები" და საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნები რისთვისაც:

1. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განსაზღვროს თუ რა მოდელს ირჩევს მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში;
2. განისაზღვროს მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის ყველა სფეროში სახელმწიფო პასუხისმგებელი სტრუქტურა;
3. დაინერგოს საქართველოში სამომხმარებლო განათლება სკოლამდელ, სასკოლო და უმაღლეს სასწავლებლებში;
4. განხორციელდეს სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელების და სპეციალისტების, ბიზნესწრეების წარმომადგენლების, განათლების სფეროს სპეციალისტების და მასწავლებლების სამომხმარებლო განათლების სფეროში მომზადება და გადამზადება;
5. წამყვანი მსოფლიო ქვეყნების გამოცდილების გაანალიზების შემდგომ და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში შერჩეული მოდელის მიხედვით დამტკიცდეს ახალი კანონპროქტი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ";
6. შემუშავდეს კანონპროექტი „უვარგისი პროდუქციის ამოღებისა და განადგურების შესახებ", რომელიც იქნება ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო პროდუქციისაგან ბაზრის გაწმენდის ლეგალური მექანიზმი;
7. შემუშავდეს კანონპროექტი გენურად მოდიფიცირებული პროდუქციის შემოტანის, წარმოებისა და რეალიზაციის საკითხების შესახებ.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა გულისხმობს როგორც ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას, ასევე ცალკეული წესდებების, რეგლამენტების შემუშავებას, გამყიდველის და მომსახურების მიმწოდებლების ურთიერთობის საკანონმდებლო რეგულირებას. ქართველი მომხმარებლის ერთადერთი იმედი მხოლოდ მედია საშუალებებით მიმართვაა და იმის იმედად ყოფნა, რომ კომპანიები გამოიჩენენ კეთილ ნებას და თვითონვე აღმოფხვრიან თავიანთ ხარვეზებს.

გთავაზობთ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამონათვალსაც, ვინც მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით მოღვაწეობს საქართველოში:

- მომხმარებელთა ფედერაცია (ქ. თბილისი მოსაშვილის ქ. N9. mdageorgia-mail@yahoo.com);
- სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი (თბილისი; დელისის 1 შესახვევი №5ა; ტელ: 399019/8; ელ-ფოსტა: office@csrdg.ge);
- კავშირი 21-ე საუკუნე (თბილისი. ახვლედიანის ქ. 17; ტელ./ფაქსი: +99532 931242)

ლიტერატურა:
1. ს. ფეტელავა, „მომხმარებელთა უფლებების დაცვა“, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2015, #2. გვ. 12-18.
2. ნ. ხურცილავა, „მომხმარებელთა უფლებები კანონმა უნდა დაიცვას“, გაზ. ახალი თაობა, 2014, 14 ოქტომბერი. გვ. 6
3. თ. ბოგვერაძე, „მომხმარებელთა უფლებები და საქართველო“, გაზ. „პრაიმტაიმი“, 2014. 17 თებერვალი, #6.
4. ვ. სულხანიშვილი, „მომხმარებელი ორიენტირებულია ხარისხზე“, ჟურნალი „მსოფლიო“, 2014, თბ., 2014, გვ.165.
5. ლ. თოდუა, „რა უნდა ვიცოდეთ ტექნიკის შეძენისას და რატომ ვკარგავთ, როგორც მომხმარებელი, ყველა უფლებას, საგარანტიო წერილზე ხელის მოწერისას“, ჟურნალი „თბილისელები“, თბ., 2014, 12-18 მაისი, N19(698). გვ. 8-9.
6. ნ. ბრეგვაძე, „არასაკმარისი მუშახელი და მომხმარებელი“, ჟურნალი „გზავნილი“, თბ., 2014, მაისი, გვ. 68-69.
7. ა. ლალიაშვილი, „განუხორციელებელი რეფორმა და დაკარგული საექსპორტო პოტენციალი“, ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, 2013, #5, გვ. 30-34.
8. ე. სარჯველაძე, „სურსათის უვნებლობა და მომხმარებელთა უფლებები“, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2013, #4, გვ. 23-27.
9. შ. კოწოწაშვილი, „დაცულია თუ არა საქართველოში მომხმარებელთა უფლებები“, გაზ. „ახალი თაობა“, 2012, 8 თებერვალი, 332, გვ. 5.
10. თ. დუნდუა, მ. გიგაური, „რატომ ირჩევს მომხმარებელი ბიოპროდუქციას?“, ჟურნალი „Forbes Georgia“, თბ., 2012, ივნისი, N7, გვ. 78-81.

რეზიუმე

ნაშრომი „გულუბრყვილო მომხმარებლიდან“ მსოფლიო სამომხმარებლო კულტურამდე მოიცავს მომხმარებელთა უფლებების რეგულაციას როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში. ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა საკანონმდებლო ნორმები მომხმარებელთა უფლებებთან დაკავშირებით, ქვეყნებში განვითრებადი ეკონომიკით. მაშასადამე, ჩვენ გვჯერავს, ჩვენი საკვლევი თემა არის საკმაოდ აქტუალური, მისი მიზანია ვაჩვენოთ, რომ მომხმარებლელთა უფლებების უგულებელყოფა, ანდა მათი დარღვევა ზიანს მოუტანს მთელს საზოგადოებას. კვლევის საგანი არის საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმები, რომელიც არეგულირებს მომხმარებლის უფლებებს მთელს მსოფლიოში. კვლევის ობიექტი არის რეფერირებადი ინფორმაცია ოფიციალური ვებგვერდებიდან, სტატისტიკის დეპარტამენტის საერთაშორისო ორგანიზაციები და საქართველოს მთავრობა. კვლევის ძირითადი შედეგი ამტკიცებს, რომ საქართველო უნდა შეუერთდეს განვითარებული ქვეყნების ტენდენციას მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და გარანტიების განვითარების მუდმივი ზრდის მიმართ. კვლევის მიზანია ვაჩვენოთ, მომხმარებელთა უფლებების მასიური უგულებელყოფა საქართველოში, ბიზნესსექტორში სამოქალაქო პასუხისმგებლობის არარსებობა და მოქალაქეთა ინტერესის დაბალი დონე.

FROM “NAIVE CUSTOMER” TO THE WORLD CONSUMER CULTURE

Nana Nadiradze, Students secretary

RESUME

The thesis from the "Naive users" to the world of consuming culture concerns regulations of consumer rights in Georgia as well as worldwide. Our goal was to conduct a study regarding legislative norms of consumer rights within the countries with the developing economy. Therefore, we believe our research theme to be a hot topic. The task of the research is to show that neglect of consumer rights or their infringement victimizes the whole society. The subject of the conducted study is the international legislative norms that regulate consumer rights all over the world. The object of the research is information abstracted from the official websites of the Department of Statistics, international organizations and the Government of Georgia. The main result of the carried out study proves that Georgia must join the trend of the developed countries in respect of constant growth and improvement of protection guarantees of the consumer rights. The novelty of the research is to demonstrate that the reason behind massive disregard of consumer rights in Georgia is low level of social responsibility within the business sector, absence of consumer-respect-based behavioral culture and tradition, along with low level of public awareness and interest.

ფინანსური ბაზრები და ინვესტიციების აღრიცხვა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით

ხალიანა ჩიტაძე, *ასოცირებული პროფესორი*

ფულის დაზოგვა და მოხმარებაზე უარის თქმა საინვესტიციო თანხის სახით საქმიან წრეებს ხმარდება. ბევრი საწარმო დანაზოგს საბანკო ანგარიშებზე ინახავს, ან სარგებლის, ან დივიდენდების სახით ამონაგების მიღების მიზნით მის ინვესტირებას ახდენს. ამით ისინი ფინანსურ ბაზრებში მონაწილეობენ. ფინანსური ბაზრის განმარტებიდან ჩანს, რომ ეს არის ბაზარი, რომელიც ხშირ შემთხვევაში გულისხმობს ბირჟას, სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობას, ვაჭრობას ფინანსური აქტივებით, ფინანსური რისკების მართვას და ინვესტიციების ხელშეწყობას. ფინანსური ბაზრები თავისუფალი მეწარმეობის ეკონომიკის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილია. ფინანსურ ბაზრებს ორი მხარე აქვთ. ერთ მხარეს არიან ინვესტორები, რომლებიც მაქსიმალურ ამონაგებს ელიან დაზოგილი და ინვესტირებული ფულიდან, მეორე მხარეს კი - საწარმოები, რომლებსაც კაპიტალური რესურსების შეძენა სურთ. ისმის კითხვა, თუ როგორ იყენებენ საწარმოები ფინანსურ ბაზრებს ფულის საშოვნელად? ისინი ძირითადად ყიდიან მფლობელების წილებს, რომლებსაც აქციები ეწოდება. დღეს საქართველოში არსებობს შემდეგი ფასიანი ქაღალდები: კორპორაციათა (სააქციო საზოგადოებათა) აქციები, კორპორაციათა ობლიგაციები, ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდები (სადეპოზიტო სერტიფიკატები), სახელმწიფო ობლიგაციები.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულია დაახლოებით 2000 სააქციო საზოგადოებიდან მხოლოდ 242 საწარმო. არცერთში ხდება ვაჭრობა. საქართველოს საფონდო ბირჟა დაფუძნებულია საფონდო ბირჟის საერო კრების მიერ 1999 წლის 5 იანვარს, ხოლო 1999 წლის 12 იანვარს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ, ის დაარეგისტრირა, როგორც სააქციო საზოგადოება.

საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული ფასიანი ქაღალდის სიას ლისტინგი ჰქვია. ფასიანი ქაღალდის ლისტინგში მოსახვედრად საჭიროა ემიტენტის საკუთარი კაპიტალის ოდენობა იყოს არანაკლებ 100 000 $, ემიტენტის საქმიანობის ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ სამი წელი, ზარალის გარეშე მუშაობის ხანგრძლივობა ბოლო სამი წლიდან უნდა იყოს არანაკლებ ორი წელი, გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა 50 ათასზე ნაკლები არ უნდა იყოს, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება უნდა ხდებოდეს ბასს-ის შესაბამისად.

ბუღალტრულ აღრიცხვაში ინვესტიციების აღრიცხვას არეგულირებს ბასს 25.

ინვესტიცია განიხილება, როგორც აქტივი, რომელსაც საწარმო ფლობს საკუთარი სიმდიდრის გასაზრდელად ფულადი, მატერიალური, ოქროსა და ძვირფასი ლითონების სახით. ინვესტიციები არის ის შემოსავლები, რომელსაც იღებს საწარმო პროცენტების, როიალტების, დივიდენდების და საიჯარო ქირის სახით და შემდგომ აღნიშნულ შემოსავლებს ანაწილებს კაპიტალის ან სხვა სარგებლის გასაზრდელად.

ინვესტიცია ლათინური სიტყვაა „Investize“ - შემოსავალს ნიშნავს. ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით ინვესტორის მიერ სხვა საწარმოში განხორციელებული კაპიტალდაბანდება.

ინვესტიცია ფინანსური ინსტრუმენტის სახით გვევლინება, ფინანსური ინსტრუმენტი კი ნებისმიერი სახით ხელშეკრულებაა, რომელიც ერთდროულად წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს და მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას. როგორც აღვნიშნეთ, მათ სხვადასხვა კონკრეტული ფორმა და შინაარსი გააჩნიათ. ინვესტიციები შეიძლება იყოს:

- ფულადი ინვესტიციების სახით
- მატერიალური ინვესტიციები უძრავი ქონების სახით;
- ოქროს და ძვირფასი ლითონების დაგროვება-შენახვა განძის სახით.

ინვესტიცია წარმოადგენს კაპიტალს, რომელიც სარგებლის მიღების მიზნით დაბანდებულია სხვა საწარმოს საწესდებო კაპიტალში, ფასიან ქაღალდებში ან გაცემულია სესხად. ინვესტიციების მცნების გაგება და გათვითცნობიერება ხელს უწყობს ინვესტიციების, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის დაჯგუფების, აღრიცხვა-ანგარიშგების მიზნების გათვალისწინებით.

ინვესტორს და ინვესტირებულს შორის ჩამოყალიბებული საინვესტიციო ურთიერთობიდან გამომდინარე, შესაძლებელია ინვესტორი არსებით გავლენას ახდენდეს ინვესტირებულ საწარმოში ან აკონტროლებდეს მას.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თვალსაზრისით აუცილებელი ხდება ინვესტირების კლასიფიცირება კატეგორიების მიხედვით:

- ინვესტორი, რომელიც აკონტროლებს სხვა საწარმოს;
- ინვესტორი, რომელიც სარგებლობს მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით;
- ინვესტორი, რომელიც ვერ სარგებლობს მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით;
- როდესაც ადგილი აქვს ერთობლივი მიზნით ინვესტირებას.

ინვესტიციები ბასს-ის პრინციპების დაცვით შინაარსიდან გამომდინარე კლასიფიცირდება მიმდინარე (მოკლევადიანი) და გრძელვადიან ინვესტიციებად.

მიმდინარე ინვესტიციებს მიეკუთვნება ისეთი ტიპის ინვესტიციები, რომლებიც გაყიდვადია ერთი წლის მანძილზე.

ანგარიშთა გეგმაში მოკლევადიანი ინვესტიციები აღირიცხება ანგარიშთა ჯგუფში

1300 - „მოკლევადიანი ინვესტიციები“. ამ ჯგუფში შედის:

1310 - „მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში“

1320 - „მოკლევადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში“

1330 - „გრძელვადიანი ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი“

1390 - „სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები“

მიმდინარე, ანუ მოკლევადიანი ინვესტიციების შეფასება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს: შეძენის ფასს, ბროკერის ანაზღაურებას, ბაჟი, საკომისიო გადასახადებს, საბანკო მომსახურების ხარჯებს და სხვა. თუ საწარმო ინვესტიციას ახორციელებს ფასიანი ქაღალდების მეშვეობით, მაშინ მისი შეძენის თვითღირებულება უტოლდება აღნიშნული ფასიანი ქაღალდების რეალურ ღირებულებას და არა ამ ფასიანი ქაღალდების ნომინალურ ღირებულებას.

მიმდინარე ანუ მოკლევადიანი ინვესტიციები ბალანსში უნდა აისახოს საბაზრო ღირებულებით ან თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მოკლევადიანი ინვესტიციები ბუნებით აქტიური ანგარიშებია, ამიტომ ამ ანგარიშების დებეტში აისახება ინვესტიციების შეძენა, ხოლო კრედიტში მათი რეალიზაცია, გაყიდვა. მოკლევადიანი ინვესტიციის შეძენა შეიძლება განხორციელდეს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით, სხვა აქტივებზე გაცვლით ან ბროკერის საშუალებით

მოკლევადიანი ინვესტიციის შეძენის ოპერაცია ბუღალტრულად გატარდება:

დებეტი – 1300 „მოკლევადიანი ინვესტიციები“

კრედიტი – 1100 „ნაღდი ფული სალაროში“

ან კრედიტი – 1200 „ფული საბანკო ანგარიშებზე“

ან კრედიტი – 3150 ,,საკომისიო გადასახდელები''

მოკლევადიანი ინვესტიციებიდან ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა აქციები, აქცია წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების მფლობელის უფლებას ამ საზოგადოების კაპიტალზე და აძლევს მას საშუალებას მიიღოს შემოსავალი დივიდენდის სახით.

განიხილოთ ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთი სახე – ობლიგაციები. ობლიგაცია ფასიანი ქაღალდია, რომელიც ადასტურებს ინვესტორის უფლებას მიიღოს ობლიგაციის ნომინალური ღირებულება წინასწარ დადგენილ დროში, ხოლო ეკონომიკური სარგებელი – პროცენტის სახით, ინვესტიციის პერიოდში დადგენილი პერიოდულობით.

აქციების მსგავსად ხორციელდება ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა. მაგრამ უფრო ნაკლებად, რადგან უმეტესი გარიგება ხორციელდება არასაბირჟო ბაზარზე.

ობლიგაციებს გააჩნიათ, როგორც ნომინალური (ფიქსირებული) ღირებულება, ასევე საბაზრო ღირებულება. ობლიგაციების საბაზრო ღირებულება დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე. ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ობლიგაციების ნომინალური ღირებულების მიმართ წინასწარ გამოცხადებულ და ბაზარზე რეალურად არსებულ საპროცენტო განაკვეთების თანაფარდობას. თუ ობლიგაციებზე საპროცენტო განაკვეთი მაღალია, ვიდრე გამოცხადებული, ობლიგაციის კურსი დაბალია, ხოლო თუ საპროცენტო განაკვეთი დაბალია ობლიგაციების კურსი მაღალია, მაშინ ობლიგაციები იყიდება ფასნამატით ანუ პრემიით.

ობლიგაციების შეძენა ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ობლიგაციის შეძენის ღირებულებას, ბროკერის საკომისიო თანხას და შეძენასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს.

ობლიგაციებით განხორციელებული მოკლევადიანი (მიმდინარე) ინვესტიციების აღრიცხვისას ბუღალტრულ ანგარიშებზე უნდა აისახოს ისეთი სამეურნეო ოპერაციები, როგორიცაა:

ობლიგაციების შეძენა, პროცენტის გამოთვლა და საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა, ინვესტიციების რეალიზაცია და რეალიზაციიდან შედეგის დადგენა.

გრძელვადიანი ინვესტიციებია, ყველა ინვესტიცია, რომელიც არ არის მოკლევადიანი. ეს ანგარიშთა გეგმაში გრძელვადიანი ინვესტიციები აღირიცხება ანგარიშთა ჯგუფში 2400 - „გრძელვადიანი ინვესტიციები“.ამ ჯგუფში შედის:

2410 - „გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში“

2420 - „გრძელვადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში“

2430 – „მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში“

2490 - „სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები“

ინვესტიციები, რომლებიც კლასიფიცირდება გრძელვადიან აქტივებად, ბალანსში უნდა აღიარდეს თვითღირებულებით.

გრძელვადიანი ინვესტიციის შეძენის ოპერაცია ბუღალტრულად გატარდება:

დებეტი – 2400 „ გრძელვადიანი ინვესტიციები“

კრედიტი – 1100 „ნაღდი ფული სალაროში“

ან კრედიტი – 1200 „ფული საბანკო ანგარიშებზე“

გრძელვადიანი ინვესტიცია, რომელიც ბალანსში ასახულია თვითღირებულებით რეკლასიფიკაციით აისახება

დებეტი –1300 „მოკლევადიანი ინვესტიციები“

კრედიტი –2400 „ გრძელვადიანი ინვესტიციები“

მიმდინარე ინვესტიციის რეკლასიფიცირება გრძელვადიან ინვესტიციად აისახება

დებეტი –2400 „ გრძელვადიანი ინვესტიციები“

კრედიტი –1300 „მოკლევადიანი ინვესტიციები“

საქართველოში დღეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის უმოქმედობას ვხვდებით. ამის მიზეზებია: კაპიტალის ბაზრის განვითარების დაბალი დონე, ამ სფეროში მოსახლეობის გაუთვითცნობიერებულობა, ქართული საბანკო სისტემა და მისი მონოპოლია, სახელმწიფოს განსაკუთრებული კონცენტრაცია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირში მყოფი კომპანიები. ამ მიმართულებით, საჭიროა სახელმწიფომ შეიმუშაოს სტრატეგიული გეგმა და ისეთი კანონები, რომლებიც გათვლილი იქნება ფინანსური ინსტრუმენტების გრძელვადიან პერსპექტივებზე. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუშალოს ინვესტიციების დაბანდებას კორპორაციულ ფასიან ქაღალდებში, რაც შემდგომში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველი იქნება.

აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, რომელიც მოიცავს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და პროფესიონალთა ფართო წრის მონაწილეობით თანამედროვე სტანდარტების სამართლებრივი ბაზის შექმნას.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. ლ. ქოქიაური, საბანკო საქმის საფუძვლები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2010.
2. ნ. გონგლიაშვილი, ფინანსური ბაზრები, გამომც. „საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი“, თბ., 2009.
3. რ. კაკულია, გ. ხელაია, ფულის მიმოქცევა და კრედიტის ზოგადი თეორია, თბ., 2003.
4. სს ,,საქართველოს საფონდო ბირჟის წესდება''
5. ,,საქართველოს საფონდო ბირჟის'' დებულება
6. დებულება ,,საქართველოს საფონდო ბირჟაზე'' ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ
7. www.wikipedia.org.ge
8. www.gse.ge
9. www.mof.ge
10. www.nbg.gov.ge
11. www.mmeconomics.com.ge

რეზიუმე

ნაშრომში ,,ფინანსური ბაზრები და ინვესტიციების აღრიცხვა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით'' განხილულია საქართველოში დღეს არსებული ფინანსური ბაზრების მდგომარეობა და განვითარება, ასევე ინვესტიციების აღრიცხვა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით. ავტორი ასაბუთებს, რომ ფინანსური ბაზრები თავისუფალი მეწარმეობის ეკონომიკის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილია. ფინანსურ ბაზრებს ორი მხარე აქვთ. ერთ მხარეს არიან ინვესტორები, რომლებიც მაქსიმალურ ამონაგებს ელიან დაზოგილი და ინვესტირებული ფულიდან, მეორე მხარეს კი - საწარმოები, რომლებსაც კაპიტალური რესურსების შეძენა სურთ.

ნაშრომში განხილულია საქართველოში დღეს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების წესი, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ბასს-ის შესაბამისად. ბუღალტრულ აღრიცხვაში ინვესტიციების აღრიცხვას არეგულირებს ბასს 25.

ინვესტორს და ინვესტირებულს შორის ჩამოყალიბებული საინვესტიციო ურთიერთობიდან გამომდინარე, შესაძლებელია ინვესტორი არსებით გავლენას ახდენდეს ინვესტირებულ საწარმოში ან აკონტროლებდეს მას.

ნაშრომში ჩამოთვლილია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ფინანსური ბაზრის განუვითარებლობას უწყობს ხელს.

FINANCIAL MARKETS AND INVESTMENT ACCOUNTING USING INTERNATIONAL ACCOUNTING STANDARDS

Khaliana Chitadze, Associate Professor

RESUME

In the paper ,,financial markets and accounting of investments with using the International Accounting Standards" is discussed the current state of the financial markets and development in Georgia, as well as accounting of investments with using the international accounting standards. The author argues that the financial markets are vital parts of the free enterprise economy. Financial markets have two sides. On one side there are investors who expect a maximum return on your savings and investments of the money, on the other side there are the companies which want to invest capital resources.

In the paper is discussed the accounting procedure in Georgia, how it should be done according to IFRS. In Accounting records investments are regulated by IAS 25.

According to the investment relationship between Investor and venture, investor can significantly affect on the factory or control it.

In the paper is listed those main factors that contribute to the underdevelopment of financial market.

საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის თავისებურებები

თეა ხორგუაშვილი, პროფესორი
ლია ნადირაძე, უფროსი მასწავლებელი

განვითარების ადრეულ ეტაპზე ქვეყანაში მობილიზებული ფულადი რესურსები სამხედრო დანიშნულებით გამოიყენებოდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ პირველ ეტაპზე ქვეყნის ფინანსური სისტემა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტისგან შედგებოდა, რომელიც გავლენას ვერ ახდენდა ქვეყნის ეკონომიკაზე.

სასაქონლო-ფულად ურთიერთობების განვითარების შემდგომ ეტაპზე ფულადი საშუალებების სხვადასხვა საერთო სახელმწიფოებრივი ფონდების შექმნასთან ერთად შეიქმნა საფინანსო სისტემა მისი მრავალი რგოლით, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ეროვნული შემოსავლის, განაწილება-გადანაწილების პროცესში და ეკონომიკის სტაბილური ზრდის განმსაზღვრელია.

საფინანსო ურთიერთობების განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე სახელმწიფო ფინანსებთან ერთად შეიქმნა და ვითარდება ადგილობრივი ფინანსები. კორპორაციების (ფირმების) ფინანსები და ოჯახური მეურნეობების თანამედროვე ფინანსების სფერო უზრუნველყოფს საოჯახო მეურნეობათა ფულადი რესურსების ფორმირებას საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებულთა განაცემების (ხელფასი, პენსია, სტიპენდია) სახით, საბიუჯეტო უწყებების და დაწესებულებების დაფინანსებას, აგრეთვე ცალკეული საერთო-სახელმწიფოებრივი ღონისძიებების დაფინანსებას.

საფინანსო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი რგოლი სახელმწიფო (საჯარო, pablic) ფინანსებია, რომელიც თავად სისტემაა და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

საფინანსო სისტემა ქართულ პრაქტიკაში განვითარებადი ცნებებია, ბოლო 30 წლის განმავლობაში პრინციპულად იცვლებოდა საქართველოს საფინანსო სისტემის სტრუქტურა, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული ქვეყანაში მიმდინარე საბაზრო გარდასახვებთან. ეკონომიკაში შედარებითმა სტაბილიზაციამ, მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს ინტეგრაციამ, მოქმედ საფინანსო კანონმდებლობაში შეტანილმა შესწორებებმა უზრუნველყო საქართველოს საფინანსო სისტემის ტრანსფორმაცია და მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან.

ჯანსაღი საჯარო ფინანსების მართვის სისტემა საჯარო ფინანსების ეფექტურად განაწილების შესაძლებლობას იძლევა, რაც ეხმარება ეკონომიკურ განვითარებას და სიღარიბის აღმოფხვრას.

საჯარო ფინანსების სფერო მოიცავს ცენტრალურ და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს. საჯარო ფინანსების ძირითადი მიზანია ცენტრალიზებული ფინანსური რესურსების ფორმირება და მისი განაწილება საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დასაფინანსებლად.

საქართველოში ბოლო პერიოდში განხორციელებულ რეფორმებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საჯარო მმართველობის რეფორმა, რომელიც წარმოადგენს ჰორიზონტალურ და მულტისექტორულ პოლიტიკას და მისი განხორციელება დამოკიდებულია აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებების მიმღები და მაღალი რანგის სახელმწიფო პირების ჩართულობაზე. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის მიზანს წარმოადგენს ფინანსური სტაბილურობისა და საჯარო ფინანსების ეფექტური განაწილების უზრუნველყოფა მთავრობის პრიორიტეტების შესაბამისად. საქართველოში საჯარო ფინანსების მართვის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, რომელიც არეგულირებს როგორც სახელმწიფო, ასევე ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების საბიუჯეტო პროცესებს, სახელმწიფო და ფულადი სახსრების მართვას, შემოსავლების მობილიზება რეგულირდება „საქართველოს საგადასახადო კოდექსით“, სახელმწიფო შესყიდვები „შესყიდვების განხორციელების წესით“.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა მჭიდროდ ინტეგრირებულია თანამედროვე ელექტრონული სერვისებთან და IT ტექნოლოგიებთან. ელექტრონული სისტემები და ელექტრონული მმართველობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სწრაფი ტემპით ვითარდება. საქართველო ცდილობს გლობალურ ტენდენციას არ ჩამორჩეს და ელექტრონული მმართველობის მიმართულებებით რეგიონის ქვეყნებში ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია უკავია.

საჯარო ფინანსების მართვის IT მხარდაჭერას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ „საფინანსო ანალიტიკური სამსახური“. აღნიშნული სამსახური უზრუნველყოფს ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებების საინფორმაციო რესურსების განვითარებას, ბიზნესპროცესების მართვასა და ინფორმაციულ უსაფრთხოებას. ის ორიენტირებულია როგორც შიდა, ისე გარე მოხმარების ელექტრონული პროდუქტებისა და სერვისების შექმნასა და მიწოდებაზე. წარმატებით ფუნქციონირებს ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული ელექტრონული სისტემა - PFMS. აღნიშნული რეფორმის ფარგლებში დაინერგა ბიუჯეტის მართვის (eBudget), სახელმწიფო ხაზინის (eTreasury), სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის (eDMS), ადამიანური რესურსების მართვის (eHRMS) ელექტრონული სისტემები.

საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემა ემსახურება 4400 შიდა და ნახევარ მილიონამდე გარე მომხმარებელს. სისტემის საშუალებით ხორციელდება გადასახადებისა და მოსაკრებლების ელექტრონულად შეგროვება, ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის ხელფასების, პენსიების და სხვა ფულადი სახსრების ელექტრონული გადარიცხვა.



საჯარო ფინანსების აღრიცხვას მაქსიმალურად შეუწყო ხელი ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემების (eBudget) დანერგვამ. აღნიშნული სისტემის მეშვეობით ხორციელდება საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციონირების და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების მონაცემების მართვა. აღნიშნული სისტემის მეშვეობით განხორციელდა საბიუჯეტო პროცესების ავტომატიზაცია, რამაც უზრუნველყო ნაერთი ბიუჯეტების მართვის მექანიზმის შემუშავება, პროგრამული ბიუჯეტის მართვის შესაძლებლობა, დინამიური ანგარიშების სისტემა, სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესრულების კონტროლის მექანიზმი, სხვა სისტემებთან საინტეგრაციო ფუნქციონალი.

eBudget-ის დანერგვით მოქნილი გახდა სახელმწიფო ბიუჯეტის კონტროლის მექანიზმი, მინიმუმამდე შეამცირა სისტემის მომხმარებლის მხრიდან მექანიკური შეცდომის დაშვების ალბათობა.

სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემის ფარგლებში გატარებული რეფორმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის დანერგვა. სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის მეშვეობით ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების, სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების აღრიცხვა, ანგარიშგება და ანგარიშსწორება. 2015 წლამდე სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე იყო მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის დაქვემდებარებაში მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციები და მათ მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები. 2015 წელს განხორციელებული რეფორმის ფარგლებში სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე გადავიდა უკვე ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტები, ხოლო 2016 წლიდან სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში ჩაერთო უკვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული ყველა სსიპ და ა(ა)იპ, გარდა 3000-მდე საჯარო სკოლისა, რომელთა ჩართვა 2018 წლიდან არის დაგეგმილი ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში.

სახელმწიფო ხაზინაში არაერთი ძირეული რეფორმა გატარდა ბოლო 10 წლის განმავლობაში. 2006 წლიდან შეიქმნა ხაზინის ერთიანი ანგარიში (TSA), რომელმაც მოიცვა ყველა ბიუჯეტის შემოსულობა და სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები. 2012 წლიდან მოხდა საჯარო ფინანსების მართვის სისტემასთან ინტეგრაცია და დაინერგა თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ვებ - სისტემა, რომელიც მუდამ ხელმისაწვდომია. ეს არის ონლაინ სერვისი. ინტერფეისები მომხმარებლებისათვის არის მოქნილი, მარტივი მოსახმარებელი და ამავდროულად შეესაბამება კანონით დადგენილ ფორმებს. სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის დანერგვა გულისხმობს არა მარტო ტექნიკურ დავალებებს, არამედ მომხმარებლების დატრენინგების, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების გაფორმების, მომხმარებელთა უფლებების იდენტიფიცირებას და აუტენტიფიკაციის

ერთჯერადი კოდის გენერირების მოწყობილობების არსებობას. დამუშავდა და გამოიცა ინსტრუქციები. 2012 წლისთვის დატრენინგდა და სისტემაში ჩაერთო დაახლოებით 670 საბიუჯეტო ორგანიზაცია და 1300-მდე მომხმარებელი, ხოლო 2015 წელს გატარებული რეფორმის შედეგად დამატებით ჩაერთო ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების დაახლოებით 700 ორგანიზაცია, 2000 ახალი მომხმარებელი. აღნიშნულ სისტემაში 2016 წლიდან კვლავ დაემატა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფუძნებული სსიპ-ები და ააიპები, დაახლოებით 2000 ორგანიზაცია.

სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული სისტემა მჭიდროდ ინტეგრირებულია სხვადასხვა სისტემებთან: სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის და მართვის სისტემასთან (eBudget), სახელმწიფო ვალის და საინვესტიციო პროექტის მართვის (eDMS) სისტემასთან, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემასთან, შემოსავლების სამსახურის (rs) ელექტრონულ სისტემებთან, ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებულ სისტემებთან (eHRMS), საბანკო ანგარიშსწორების დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) და ფინანსური ტელეკომუნიკაციების მსოფლიო ბანკთაშორისი SWIFT-ის სისტემასთან (society for worldwide interbank financial telecommunication). აღნიშნულ სისტემებთან სერვისების მეშვეობით მუდმივად მიმდინარეობს მონაცემების გაცვლა. IT პროცესების მართვის საუკეთესო პრაქტიკის და მეთოდოლოგიის გამოყენებით შესაძლებელი გახდა ბიზნესუწყვეტობის მიღწევა. სახელმწიფო ხაზინის მომსახურების ელექტრონული სისტემა სამი დონისაგან შედგება: მხარჯავის მხარე (Frontoffice), რომელიც ბიუჯეტის დაფინანსების ქვეშ მყოფ ორგანიზაციას აძლევს საკუთარი სახსრების მართვის საშუალებას. შუალედური შრე (Middleoffice), რომლის მეშვეობით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ შესაძლებლობა მართონ რაიონის კუთვნილი შემოსავლები და გადასახდელები და ხაზინის მხარე (backoffice), რაც ნიშნავს ხაზინისათვის სახელმწიფო სახსრებისა და ხარჯების კონტროლს, მონიტორინგის და ანალიზის განსახორციელებლად საჭირო ინსტრუმენტების კრებულს.



სახელმწიფო ხაზინის მომსახურების ელექტრონული სისტემა გახდა ცენტრალიზებული და ხელმისაწვდომი როგორც ყველა ხაზინის მომსახურეობაზე მყოფი ორგანიზაციისათვის, ასევე შესაძლებელია მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან წვდომა.

საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონულ სისტემებს შორის ინფორმაციის გაცვლის პროცესის ავტომატიზაციამ გამოიწვია დოკუმენტის დამუშავებისათვის საჭირო დროის, ხარჯის, პერსონალის ორივე მხრიდან მნიშვნელოვანი შემცირება. სახელმწიფო ხაზინამ ორგანიზაციებს შესთავაზა

ურთიერთობის მოხერხებული და გამჭვირვალე ფორმა. ამ სისტემის მეშვეობით მიმოქცევიდან გაქრა ქაღალდის დოკუმენტები, ინფორმაციის მიღება შესაძლებელი გახდა დროის რეალურ რეჟიმში, მინიმუმამდე დავიდა საოპერაციო რისკები.

საჯარო ფინანსების ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში გაერთიანებას და თავმოყრას ელექტრონული სისტემების მეშვეობით ძლიერი მხარდაჭერა ჰქონდა სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან. ცვლილებები შევიდა და დაიხვეწა არაერთი საკანონმდებლო აქტი, შემუშავდა და გამოიცა სახელმძღვანელოები. სახელმწიფომ შეიმუშავა „საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020“.

გატარებულმა რეფორმებმა და დანერგილმა სისტემებმა უზრუნველყო სახელმწიფო სისტემების კომპლექსური, ეფექტური და გამჭვირვალე მართვა, მომსახურების გაუმჯობესება, ხარჯების შემცირება, დროისა და რესურსების ეფექტური მართვა. მაქსიმალურად მოკლე დროში უზრუნველყოფილია საიმედო, ზუსტი, სრული და თანმიმდევრული ინფორმაციის შეგროვება ფინანსური მოვლენის შესახებ. ინტეგრირებულია საკასო ოპერაციების და დარიცხვის მეთოდით წარმოებული ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები ერთიან სისტემაში. დანერგილია და მიმდინარეობს ოპტიმიზაცია ხაზინის მთავარ წიგნზე, რომელიც საბოლოოდ მოგვცემს სრულ სურათს საჯარო ფინანსების მდგომარეობის შესახებ.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. კაკულია რ., ფინანსების თეორია, სახელმძღვანელო, გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2007,
2. ჯიბუტი ა., კაკულია რ., ბახტაძე ლ., საჯარო ფინანსები, თბილისი, 2009, გვ. 55-69.
3. როუზენიჰ. ს., საჯარო ფინანსები, ტომი I, ნაწ. I . თავი 3, თბ., 2006, გვ. 38-56.
4. http://gov.ge/files/423_49307_626772_PAR_Geo_Draft(1).pdf
5. http://fas.ge/4289
6. http://treasury.ge/4970
7. https://www.pempal.org/events/pempal-tcop-thematic-group-meeting-use-information-technologies-treasury-operations
8. http://www.mof.ge/

რეზიუმე

საფინანსო ურთიერთობების განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე სახელმწიფო ფინანსებთან ერთად შეიქმნა და ვითარდება ადგილობრივი ფინანსები. კორპორაციების (ფირმების) ფინანსები და ოჯახური მეურნეობების თანამედროვე ფინანსების სფერო უზრუნველყოფს საოჯახო მეურნეობათა ფულადი რესურსების ფორმირებას საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებულთა განაცემების (ხელფასი, პენსია, სტიპენდია) სახით, საბიუჯეტო უწყებების და დაწესებულებების დაფინანსებას, აგრეთვე ცალკეული საერთო-სახელმწიფოებრივი ღონისძიებების დაფინანსებას. ჯანსაღი საჯარო ფინანსების მართვის სისტემა საჯარო ფინანსების ეფექტურად განაწილების შესაძლებლობას იძლევა, რაც ეხმარება ეკონომიკურ განვითარებას და სიღარიბის აღმოფხვრას. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა მჭიდროდ ინტეგრირებულია თანამედროვე ელექტრონულ სერვისებთან და IT ტექნოლოგიებთან. ელექტრონული სისტემები და ელექტრონული მმართველობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სწრაფი ტემპით ვითარდება. საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონულ სისტემებს შორის ინფორმაციის გაცვლის პროცესის ავტომატიზაციამ გამოიწვია დოკუმენტის დამუშავებისათვის საჭირო დროის, ხარჯის, პერსონალის ორივე მხრიდან მნიშვნელოვანი შემცირება. სახელმწიფო ხაზინამ ორგანიზაციებს შესთავაზა ურთიერთობის მოხერხებული და გამჭვირვალე ფორმა. ამ სისტემის მეშვეობით მიმოქცევიდან გაქრა ქაღალდის დოკუმენტები, ინფორმაციის მიღება შესაძლებელი გახდა დროის რეალურ რეჟიმში, მინიმუმამდე დავიდა საოპერაციო რისკები.

PECULIARITIES OF ELECTRONIC SYSTEM OF PUBLIC FINANCE MANAGEMENT

Tea Khorguashvili, Professor
Lia Nadiradze, Senior Teacher

RESUME

On the various stages of financial relations development with the state finances established and develop the local finances, corporations (firms) finances and modern household finances sphere provides financing of budgetary agencies and institutions in the form of disbursements of the employees (salaries, pensions, scholarships) in the budgetary institutions of household formation of financial resources, also financing of certain general state activities. System management of sound public finances enables the distribution of public finance effectively, which helps economic development and the eradication of poverty. Public finance management reform is closely integrated with the modern electronic services and IT technologies. Electronic systems and electrical management in many countries are growing very rapidly. Automation of exchange process of information between electronic systems of management public finance for the document processing caused a significant reduction of the time, costs, from both sides of personnel. State treasury offered convenient and transparent form of communication to the organizations. Through this system, disappeared paper documents from the circulation , it became possible to get information in real time mode, reduced operational risks minimize.

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი
Social Sciences and Law

ჭეშმარიტება, რომელიც გვათავისუფლებს

ნუგზარ აბრამიშვილი, პროფესორი

როცა მაცხოვარი განსასჯელად მიიყვანეს პილატესთან, პროკურატორი ეუბნება: “შენმა ერმა და მღვდელმთავრებმა გადმომცეს შენი თავი, რა ჩაიდინე“. იესო პასუხობს: “მე იმიტომ დავიბადე და მოვედი წუთისოფელში, რომ ჭეშმარიტება დამემოწმებინა. ყველა ვინც ჭეშმარიტებიდან ისმენს, ისმენს ჩემს ხმას“ და პილატე ეკითხება: “რა არის ჭეშმარიტება?“ (იოანე, 18: 35:40).

მაცხოვარმა ამ შეკითხვას ღვთაებრივი დუმილი შეაგება, დუმილი, რომელშიც რეკდა იდუმალი ხმა: “მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე, 14:6). პილატეს წინაშეა ხორცშესხმული ჭეშმარიტება იესო ქრისტე, რომელსაც თუ შეიცნობ, „შეიცნობ ჭეშმარიტებას“ და ეს ჭეშმარიტება გაგათავისუფლებს“ (იოანე, 8:32), მაგრამ პილატეს არ შეუძლია ამ ჭეშმარიტების შეცნობა, რადგან ამას სჭირდება სათანადო მზადყოფნა გულისა და განცდის სათანადო უნარი.

იოანეს სახარების მეჩვიდმეტე თავის მეჩვიდმეტე ლექსში ვკითხულობთ: “შენი ჭეშმარიტებით გაანათე ისინი; სიტყვა შენი არის ჭეშმარიტება“, ხოლო იოანეს გამოცხადებაში იესოზე ნათქვამია: “ის იყო შემოსილი სისხლიანი ტანსაცმლით და სახელია მისი ღვთის სიტყვა. ტანსაცმელსა და ბარძაყზე აწერია სახელი: მეფე მეფეთა და ბატონი ბატონთა“ (გამოცხადება, 10:13:16).

წმინდა წერილში ნათლადაა ნათქვამი, თუ რა არის და ვინ არის ჭეშმარიტება. იოანეს პირველი ეპისტოლეს მეხუთე თავის მეექვსე ლექსში ნათქვამია: “ეს არის იესო ქრისტე მოსული წყლით, სისხლით და სულით, არა მხოლოდ წყლით, არა წყლით და სისხლით და სული ამოწმებს მის შესახებ, იმიტომ, რომ სული არის ჭეშმარიტება“ (1 იოანე 5:6).

იესომ პირველად ნაზარეთის სინაგოგაში ქადაგებისას განუცხადა ხალხს, რომ ის არის მესია და მოვიდა მათ გასანთავისუფლებლად. ეს ის დროა, როცა ებრაელი ხალხი არის მესიის მოლოდინში, იმ მესიისა, რომელიც მოვა, როგორც მეფე, ებრაელ ხალხს გაანთავისუფლებს დამპყრობელთა მონობისაგან და აღადგენს ისრაელის სამეფოს. მაგრამ იესო ამბობს, მე მინდა თქვენი განთავისუფლება, არა ბაბილონელების, ირანელების ან რომაელების მონობისაგან, არამედ ყველაზე სასტიკი, ულმობელი და საშიში ბატონის-მონობისგან, რომელიც თქვენს სულშია. თქვენს სულში ავად მძვინვარე ვნებების: ანგარების, ბოროტების, შურის... ბატონობისგან. მე აღგიდგენთ სამეფოს, მაგრამ ეს სამეფო იქნება

უხილავი, შინაგანი, რომელიც მყარდება გულში და აღსდგება არა პოლიტიკური ბრძოლით, არამედ შინაგანი ბრძოლით. მაგრამ ასეთი სასტიკი ბატონი იმონებს არა მარტო ებრაელს, არამედ ყველა ადამიანს და მისგან განთავისუფლება სჭირდება ყველა ადამიანს: ებრაელს, სირიელს, რომაელს. ებრაელებს იმდენად ვიწრო პოლიტიკური და ეთნიკური მნიშვნელობით ესმოდათ მესია, რომ ისინი ქრისტეს ამ სიტყვებზე განრისხდნენ და მას კლდიდან გადაგდებაც კი დაუპირეს. აქ საქმე გვაქვს მესიის სრულიად ახლებურ, უნივერსალურ გაგებასთან. ასეთი მესია ვეღარ იქნება ვიწრო ეროვნული, ის აუცილებლად იქნება უნივერსალური.

მოსეს კანონები მხოლოდ აფერხებენ, აჩერებენ ცოდვას და ცოდვის მიმართ მიდრეკილებას. სჯულის მცნებები ერთგვარ არტახებში აქცევენ ადამიანის ვნებებს. "არა კაც კლა", „არ იმრუშო", „არ იქურდო" და ა.შ. მაგრამ სჯულის კანონი ვერ აღმოფხვრის ცოდვის წყაროს ჩვენს სულში. „ნუ გგონიათ მოვედი რჯულის გასაუქმებლად. გასაუქმებლად კი არ მოვედი არამედ აღსასრულებლად. ყველაფერი, რაც რჯულის კანონშია უნდა აღსრულდეს, მაგრამ უნდა აღსრულდეს არა შიშით, არამედ მადლით და სიყვარულით" (მათე 5-17).

რჯულის კანონს, რომელიც მოიტანა მოსემ, როგორც მკაცრ აღმზრდელს, ისე მივყევართ ქრისტესთან. კანონი არსებითად ვერ ცვლის ადამიანს. არსებით ცვლილებას ჩვენში ახდენს იესო თავისი მადლით და ნათლობით.

დაცემულმა ადამიანმა გონებით იცის რა არის სიკეთე და ბოროტება, მაგრამ მისი არსება ბოროტისკენაა მიმართული. ადამიანი გაორებულია. მან იცის, რომ რჯული კარგია, კეთილია, მაგრამ ვერ მისდევს რჯულს, უნდა კარგი გააკეთოს, მაგრამ ცუდს აკეთებს: „რას ვაკეთებ, არ ვიცი იმიტომ, რომ იმას არ ვაკეთებ, რაც მსურს, არამედ იმას, რაც მძულს, ხოლო თუ იმას ვაკეთებ, რაც არ მსურს, ვეთანხმები რჯულს, რომ ის კეთილია. მაშასადამე მე კი აღარ ვაკეთებ ამას, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემშია ... ჩემს ასოებში მე ვხედავ სხვა რჯულს, რომელიც წინააღმდეგობას უწევს გონების რჯულს და მხდის ჩემს ასოებში მყოფი ცოდვის რჯულის ტყვედ" (რომ. 7: 14-23).

ეს ხდება ცოდვის ძალის გამო, რომლითაც განმსჭვალულია ადამიანის არსება პირველი ცოდვით დაცემის შემდეგ და ქრისტეს განკაცების უმთავრესი მიზანი სწორედ ისაა, რომ ადამიანი განკურნოს დაცემის მანკიერებისგან. ადამმა შემოიტანა ცოდვა და სიკვდილი, როგორც დაცემის შედეგი. ქრისტე ახალი ადამია, რომელიც ანადგურებს ცოდვას და ამით ანადგურებს სიკვდილსაც. ქრისტე მოდის, როგორც ცოდვისა და სიკვდილის სამეფოს დამანგრეველი. ქრისტე ხდება ადამიანის არსებაში ცოდვის განადგურების პრინციპი, რაც იწვევს ადამიანში არსებით ცვლილებას, რასაც ვერ აღწევდა მოსეს რჯულის კანონი.

როცა ადამიანი ხდება ქრისტიანი ის დგება უსასრულო განვითარების პერსპექტივაში, როცა შეგიძლია ღმერთამდე ამაღლდე. ქრისტე იქცევა ადამიანის შინაგანი მოქმედების პრინციპად. ქრისტეს რწმენის მიღებით ჩვენში მოქმედებას იწყებს ღვთიური მადლი, რომელიც მთლიანად გარდაგვქმნის. ჩვენ ვკვდებით და ჩვენში სიცოცხლეს იწყებს ქრისტე, რომელიც გვამარცხებინებს ჩვენში ცოდვის ძალას და ჩვენ ვემსგავსებით ქრისტეს. აქ უკვე ქრება განსხვავება ადამიანებს შორის ეროვნული, რასობრივი, ასაკობრივი და სქესობრივი ნიშნით და იბადება ახალი რჯული, თავისუფლების რჯული. თუ მოსეს რჯული იყო აკრძალვის რჯული. ქრისტეს რჯული უკვე თავისუფლების რჯულია, როცა იესო შენში შენი მოქმედების პრინციპი ხდება, შენ იქცევი ახალ ადამიანად.

მადლი ეს არის ღვთიური წყალობა, ღვთიური ძალა, ღვთიური ენერგია. ღვთიური მადლის, ღვთიური ენერგიის გარეშე ადამიანს და ღმერთს შორის გადაულახავი უფსკრულია. მადლი, ესაა ღმერთი შემოსული ჩვენში.

„რჯულის კანონი მოითხოვს არ იმრუშო, ხოლო მე გეუბნებით ყველამ ვინც შეხედა ნდომით ქალს, უკვე იმრუშა მასთან საკუთარ გულში. რჯულის კანონი მოითხოვს „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილის წილ, ხოლო მე გეუბნებით, თქვენ ნუ აღუდგებით წინ ბოროტს, არამედ ვინც შემოგკრას მარჯვენა ყვიმრალში, მიუშვირე მას მეორეც". რჯულის კანონი ითხოვს "გიყვარდეს მოყვასი შენი და გძულდეს მტერი შენი. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: "გიყვარდეთ მტერნი თქვენი, დალოცეთ მაწყევარნი თქვენი „კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავე მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის" (მათე, 43-44).

ქრისტე აღმოფხვრის, კურნავს შინაგან, ცოდვისკენ მიდრეკილებებს, რადგან როცა ცოდვის საფუძვლები აღმოიფხვრება, ცოდვისგან ვთავისუფლდებით, როცა მოისპობა ცოდვისკენ მიდრეკილება, ამით ჩვენ ცოდვის მონობისგან ვთავისუფლდებით. იესო შედის ადამიანის გულში და იქ კურნავს ცოდვას, იქ სპობს ცოდვას და როცა საფუძვლებში ისპობა ცოდვის პრინციპი მოდის მათი ტირანისგან განთავისუფლებაც.

ქრისტე განუყოფელ კავშირშია ჩვენს სინდისთან. ქრისტე დაინახება ჩვენი სინდისის შუქზე. ის ყოვლისშემოქმედი, კოსმიური ძალაა. ისაა ღმერთის სიბრძნე, ჭეშმარიტება, ვისთვისაც და ვისი მეშვეობითაც შეიქმნა მთელი სამყარო. ქრისტე არის ღმერთის სიტყვა, ლოგოსი.

ღმერთის სიბრძნე, სისავსე ხორციელადაა ქრისტეში. მისი მეშვეობით არსობრივად იცვლება ადამიანი, გაბრწყინდება მისი სული, განიწმინდება დამაბინძურებელი ცოდვებისგან და ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როცა მაცხოვარს რწმენით და სიყვარულით დავამკვიდრებთ ჩვენს გულში, რწმენით და სიყვარულით შევასრულებთ მის მცნებებს, არა იძულებით, როგორც ეს ხდებოდა რჯულის კანონთა დაცვა-შესრულების დროს. რწმენით და სიყვარულით შესრულება ღვთის მცნებებისა გვაკავშირებს სწორედ ღვთიურ ენერგიასთან-მადლთან და ჭეშმარიტ თავისუფლებასთან.

ლიტერატურა:

1. იოანე, სახარება
2. გამოცხადება
3. მათე, სახარება
4. პავლე, ეპისტოლე რომაელთა მიმართ

რეზიუმე

ჩვენ ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ რელიგიურ-ფილოსოფიური და მეცნიერული ჭეშმარიტება.

რელიგიური და ფილოსოფიური ჭეშმარიტება არ შეიძლება შეფასდეს ჭეშმარიტება-მცდარობის მეცნიერული კრიტერიუმებით.

რელიგიური და ფილოსოფიური ჭეშმარიტება იმით განიზომება და ფასდება, თუ მათი იდეების საფუძველზე აგებული მსოფლმხედველობა და იდეალი რამდენადაა ეპოქის შემქმნელი, ხოლო ამ იდეალის ნათელქვეშ მდგარი ადამიანი რამდენად მაღალ დონეზე ახდენს თავისი ყოფიერების საზრისის რეალიზებას.

TRUTH THAT LIBERATES US

Nugzar Abramishvili, Professor

RESUME

We should separate religious, philosophic and scientific truth from each other.

Religious and philosophic truth cannot be evaluated with the scientific true/false criteria.

Religious and philosophic truth should be measured and evaluated according to the level of impact of ideology and ideals on epochs, and how well people influenced by that ideals manage realization of the essence of their being.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითადი ფაქტორები

ალექსანდრე მღებრიშვილი, პროფესორი

უხსოვარი დროიდან ყოველი ადამიანი ცდილობს მასზე დაქვემდებარებულ პირთა შორის მისადმი რიდის და პატივისცემის გრძნობა არსებობდეს. სხვადასხვაგვარ ეფექტურ სტრატეგიებზე დაფუძნებული ამგვარი ქმედებანი ხელქვეითთა ქცევისა და შეხედულებების მართვის სურვილით საზრდოობს.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს არსებობის საკმაოდ დიდი ხნის ისტორია გააჩნია, მკვლევართა შორის, ჯერ კიდევ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, გადასახადისუნარიან კლიენტურაზე ძირითადი აქცენტის გადატანა ნიშნავს თუ არა საზოგადოების სამსახურს. ასწლეულების განმავლობაში ადამიანები ცდილობდნენ განსხვავებული, ორიგინალური ფორმების მოძიებას, რათა სასურველი ინფორმაცია მიეწოდებინათ შესაბამისი აუდიტორიისათვის.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტოთა ერთ-ერთ ხანდაზმულ წინაპრად 1900 წელს გახსნილი ბოსტონის საჯარო ბიურო ითვლება. ბიუროს მიერ შემუშავებული სამოქმედო სქემა საკმაოდ მარტივი გახლდათ. ისინი „კლიენტებს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხაზით მომსახურებას უწევდნენ. ანაზღაურების სანაცვლოდ კომპანიის ბიზნესინტერესების მხარდამჭერ ღონისძიებებს აწყობდნენ, გაზეთებში სარეკლამო სტატიებს აქვეყნებდნენ და ორგანიზებული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, საზოგადოებას მათზე დადებით აზრს უქმნიდნენ“ [1]. საგულისხმოა, რომ მათი ერთ-ერთი პირველი კლიენტი ჰარვარდის უნივერსიტეტი გახლდათ.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით საქმიანობის საგულისხმო განმარტება ეკუთვნის სემ ბლეკს. მისი თქმით: „საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში საქმიანობა, ეს არის ურთიერთგაგების საშუალებით ჰარმონიის მიღწევის ხელოვნება და მეცნიერება, რომელიც ემყარება სანდო და სრულყოფილ ინფორმირებას“ [2].

განვითარებულ ქვეყანაში მაღალი ინფორმირებულობის დონე ძალაუფლების წყაროდ მიიჩნევა. დემოკრატიულობის ხარისხის ზრდა ინფორმაციის თავისუფლებაზე დიდადაა დამოკიდებული. მედიასაშუალებების თავისუფლება და ობიექტურობა მაქსიმალურ საჯაროობას განაპირობებს, რაც, თავის მხრივ, მაღალი დემოკრატიის ქვეყნისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი კატეგორიაა.

საზოგადოებასთან ურთიერთობა კარგად მოწესრიგებულ საკომუნიკაციო პროცესს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც მაღალკვალიფიციური პერსონალი პირველ ეტაპზე ქმნის, ხოლო შემდეგ სხვადასხვა მედიასაშუალებებით აუდიტორიას გადასცემს ამ ინფორმაციას. ამ ორგანიზებული საქმიანობის მიზანს წარმოადგენს მნიშვნელოვანი ფაქტების/მოვლენების ან პიროვნებების მიმართ აუდიტორიაში ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებებზე, შეხედულებებზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- ორგანიზაციების კონსულტირება (პოლიტიკის მიმართულებათა დაგეგმვის კუთხით);
- ორგანიზაციასა და საზოგადოებას შორის კავშირის უზრუნველყოფა:

ა) კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნა;

ბ) უკვე არსებულ ურთიერთდამოკიდებულებაზე ზეგავლენის მოხდენა;

- უწყვეტი, მიზანდასახული საქმიანობა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის ჯაჭვის საგულისხმო განმარტებას გვთავაზობენ დეფლორი და დენისი. ამ სისტემაში მოცემულ ყოველ რგოლს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

სპეციალისტები - საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები ის ადამიანები არიან, რომელთა განათლება და, შესაძლებელია, ადრინდელი სამუშაოც დაკავშირებული იყო ისეთ სფეროსთან, სადაც გზავნილთა დაწერა და გამოცემა მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა. ასეთი სპეციალისტები ბევრ სხვადასხვა სახის კლიენტს ემსახურებიან. ზოგიერთი მათგანი სააგენტოში მუშაობს, ზოგი კი კორპორაციის, სამთავრობო სააგენტოს ან არამომგებიანი ჯგუფის (უნივერსიტეტი, მუზეუმი ან რომელიმე საქველმოქმედო დაწესებულება) შტატში ირიცხება. მათ თანამდებობებს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ, მაგალითად, „ინფორმაციის სპეციალისტი“, „საზოგადოებრივ საქმეთა ოფიცერი“, „პრესმდივანი“. თანამდებობის ან დაწესებულების დასახელებას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მათი საქმიანობის შინაარსი ერთი და იგივეა.

გზავნილი - საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები უამრავი სახის გზავნილს და საინფორმაციო გამოშვებას ამზადებენ. გარდა ამისა, ისინი თავიანთი დაწესებულებების საინფორმაციო კამპანიებსა და საკომუნიკაციო პოლიტიკას აწარმოებენ. მაგალითისათვის ავიღოთ ბროშურები, რომლებიც ინფორმაციას გვაწვდიან კორპორაციის, სამთავრობო სააგენტოს ან არამომგებიანი ჯგუფის შესახებ, საინფორმაციო ბიულეტენები, რომლებსაც სხვადასხვა სახის „დაინტერესებულ პირებს“ ურიგებენ, მაგალითად, ყოფილ კურსდამთავრებულებს, მოსამსახურეებს, აქციონერებს და ა.შ. გარდა ამისა, ისინი ამზადებენ ყოველწლიურ ანგარიშებს ორგანიზაციის სტატუსისა და საქმიანობის შესახებ, პრესას აწვდიან სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას თავიანთი დაწესებულების შესახებ.

კლიენტები - საზოგადოებრივ ურთიერთობათა სპეციალისტების კლიენტურა ფაქტობრივად მთელ საზოგადოებას მოიცავს.

მედია - საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის საქმიანობაში გარკვეულ როლს ასრულებს პრაქტიკულად ყველა არსებული მედიასაშუალება. ინფორმაცია ჟურნალ-გაზეთების, რადიოს და ტელევიზიის საშუალებით და ამ ბოლო დროს, სულ უფრო და უფრო ხშირად ინტერნეტის საშუალებით ან CD/ROM-ის ფორმით ვრცელდება. საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები სხვადასხვა ღონისძიებას, მაგალითად ბრიფინგებს, გასაუბრებებს, ინტერვიუებს, სავაჭრო გამოფენებსა

და ახალი პროდუქციის ფორმალურ პრეზენტაციებს აწყობენ, წერენ მოხსენებებსა და სტატიებს. ისინი კლიენტებს, ან უფროსებს ეხმარებიან ოფიციალური გამოსვლებისათვის სიტყვის მომზადებაში, უზრუნველყოფენ მათ საზოგადოებაში გამოჩენას, ინტერვიუს პრესასთან. გარდა ამისა, კლიენტებს ან დამქირავებელს ურჩევენ სპონსორობა გაუწიონ რაიმე მოვლენას - ეს ღონისძიებებიც საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნით ტარდება.

აუდიტორიები - გზავნილები, რომლებსაც საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები ქმნიან და გადასცემენ, სხვადასხვა კატეგორიის უამრავ ადამიანს მიეწოდება. ზოგიერთი გზავნილი, მაგალითად, ახალი ამბების გამოშვება, რომელსაც ადგილობრივ გაზეთში ათავსებენ, ან ინტერვიუ, რომელიც სატელევიზიო ახალ ამბებში უნდა გავიდეს, გათვლილია დიდ აუდიტორიაზე. შედარებით მცირე აუდიტორიაა, მაგალითად, დიდი კომპანიის თანამშრომელთა შემადგენლობა და ა.შ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტმა უნდა გაითვალისწინოს აუდიტორიის ბუნება და ის მოსალოდნელი შთაბეჭდილება, რომელიც შეიძლება მის მიერ მომზადებულმა ინფორმაციამ მოახდინოს.

გავლენა - საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი ამოცანაა გზავნილმა დასახულ მიზანს მიაღწიოს. რაიმე საკითხთან მიმართებაში შეცვალოს საზოგადოების ქცევა, ან დადებითად განაწყოს საზოგადოებრივი აზრი იმ ადამიანის, საკითხის ან მოვლენის მიმართ, რომელზეც უარყოფითი განწყობა არსებობს [3].

ბოლო დროს საკმაოდ გახშირდა ფუნქციათა აღრევა საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტოებსა და სარეკლამო კომპანიებს შორის. თვალის ერთი შევლებით შესაძლოა დაგვრჩეს შთაბეჭდილება, რომ ისინი კიდეც ჩამოჰგვანან ერთმანეთს, თუმცა მათ შორის სხვაობა თვალსაჩინოა. კერძოდ, სარეკლამო საეთერო დრო ნაყიდია დამკვეთის მიერ და მყიდველი მას თავისი შეხედულების მიხედვით იყენებს. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტის მიერ მომზადებული ინფორმაცია ახალი ამბების მედიისთვის და სხვა საინფორმაციო სააგენტოებისთვის მხოლოდ შეთავაზების ფორმატს ითვალისწინებს და მედიის წარმომადგენლები თავად იღებენ გადაწყვეტილებას გამოიყენებენ თუ არა მიწოდებულ მასალას.

ვინაიდან, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, ჟურნალისტური მოღვაწეობის ქვაკუთხედს, გონივრული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, ადამიანების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა წარმოადგენს, მენჩერის აზრით, ჟურნალისტიკას შეიძლება ეწოდოს საზოგადოებრივი სამსახურის სახე. ამ მიმართულების ჟურნალისტურ საქმიანობაზე იგი წერს: ამ საქმიანობამ „თავის დროზე ჩარლზ დიკენსის მსგავსი მწერლების ყურადღება მიიპყრო. მისი მებრძოლი გაზეთი „ჰაუზჰოლდ უორდს“ შეიცავდა სტატიებს, რომლებშიც იგი გამოხატავდა თავის აღშფოთებას ახალგაზრდების, ღარიბებისა და სუსტების მიმართ ჩადენილი უსამართლობის გამო, რაც დღესაც აქტუალურია.

დიკენსი დადიოდა ობოლთა სახლებში და საკუთარი თვალით ხედავდა, რა პირობებში ცხოვრობდნენ უსახლკარო ქალები, დადიოდა ქუჩებში და ესაუბრებოდა გაუნათლებელ ახალგაზრდებს და აღწერდა ყველაფერს, რაც ნახა“[4].

ზოგადად, საზოგადოებასთან ურთიერთობების სპეციალისტებსა და მედიას შორის მჭიდრო ურთიერთობის არსებობას, რეპორტიორთათვის ახალი ამბების სისტემატიური საჭიროება განაპირობებს. საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები და ჟურნალისტები ერთგვარად ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი. ხშირად, დროის უქონლობის გამო, ახალი ამბების ჟურნალისტები მხოლოდ მცირეოდენი შესწორებებით იყენებენ საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტთა მიერ მომზადებულ ინფორმაციას. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთი ტიპის სპეციალისტების არც თუ მცირე ნაწილი ყოფილი ან სპეციალობით ჟურნალისტთა კადრებით გახლავთ დაკომპლექტებული.

საზოგადოებასთან ურთიერთობის და მედიის წარმომადგენლები პროფესიული საქმიანობისას ხშირად იყენებენ ისეთ მსგავს მეთოდებს, როგორებიცაა აუდიტორიასთან მუშაობა, ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და წერა.

„მიუხედავად მსგავსებისა, პიარსა და ჟურნალისტიკას სპეციალისტები არსებითად რამდენიმე ასპექტით განასხვავებენ: ხედვის, ამოცანების, აუდიტორიისა და არხების მიხედვით.

- **ხედვა** - საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკა მოიცავს ფართო სპექტრს: რჩევებს, რეკომენდაციებს, მენეჯმენტს, სპეციალურ ღონისძიებებსა და სხვ. წერა და მასმედიასთან ურთიერთობა პიარის მხოლოდ ელემენტებია.
- **ამოცანები** - ჟურნალისტი და პიარსპეციალისტი აგროვებენ ინფორმაციას და ფაქტებს. მაგრამ მათი ამოცანა სხვადასხვაა: ჟურნალისტის უმთავრესი მიზანია საზოგადოების ინფორმირება, ხოლო

პიარის სპეციალისტისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლა ორგანიზაციის ინტერესების შესაბამისად.

➢ **აუდიტორია** - ჟურნალისტის აუდიტორია შედარებით ფართოა. იგი წერს მთელი საზოგადოებისათვის, ხოლო პიარის სპეციალისტი საზოგადოებას სეგმენტებად ყოფს და შეტყობინებას აყალიბებს სამიზნე აუდიტორიისთვის მისივე საჭიროების, მოტივაციისა და ინტერესების თანახმად.

➢ **არხები** - ჟურნალისტი აუდიტორიას თავისი საქმიანობის შედეგს (პუბლიკაციებს, გადაცემას) სხვადასხვა არხის (პრესის, ელექტრონული მედიის) საშუალებით აწვდის, პიარის სპეციალისტი კი საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის უფრო მრავალფეროვან ფორმებს მიმართავს. მან დასახული მიზნის მისაღწევად ერთდროულად შეიძლება გამოიყენოს ჟურნალ-გაზეთები, რადიო-ტელევიზია, ინტერნეტი, ბროშურები, საფოსტო მიმოწერა, პლაკატები და ა.შ[5].

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა აუდიტორიის შესახებ ჩვენ მოგვიანებით გვექნება საუბარი, ხოლო, რაც შეეხება არხს, მის სპეციფიკაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ არხები ერთმანეთისგან განსხვავებულია კომუნიკაციური პროცესის ხასიათით. უმთავრეს განმასხვავებლად უნდა განვიხილოთ გამოსახვითი სისტემა. კერძოდ:

○ **ნაბეჭდი პროდუქცია** - გრაფიკული ნიშნების და უძრავი გამოსახულებების (ილუსტრაცია, ნახატი) სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ვიზუალური, მხედველობითი აღქმა;

○ **რადიომაუწყებლობა** - ვერბალური, ბგერითი ხასიათის სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია აუდიო, სმენითი აღქმა;

○ **ტელემაუწყებლობა** - აუდიოვიზუალური სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია, როგორც მხედველობითი, ასევე სმენითი აღქმის ეფექტი;

○ **კინო** - აუდიოვიზუალური სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია, როგორც მხედველობითი, ასევე სმენითი აღქმის ეფექტი;

○ **ინტერნეტი** - აუდიოვიზუალური სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია, როგორც მხედველობითი, ასევე სმენითი აღქმის ეფექტი;

მოცემული თავისებურებების გარდა არხის მახასიათებლებზე მსჯელობისას თვალსაჩინოა მისი ორი განსხვავებული ბუნება: ტირაჟული და ტრანსლაციური.

ტირაჟული - არხის ტირაჟული ბუნება ფიზიკურ სხეულს უკავშირდება. ასეთ დროს, ინფორმაციას ნივთიერი სახე აქვს. იბეჭდება ქაღალდზე, იწერება ვიდეოფირზე და სხვ. (ვგულისხმობთ გაზეთს, ჟურნალს, კინოფილმს, აუდიო და ვიდეოჩანაწერებს და მისთ.). მსგავსი ტიპის პროდუქცია მზადდება მრავლობითი ეგზემპლარების სახით (ანუ ტირაჟირდება) და ისე მიეწოდება აუდიტორიას.

ტრანსლაციური - არხის ტრანსლაციური ბუნება უკავშირდება სიგნალს. ინფორმაციის გავრცელების ამ მეთოდით სარგებლობისას გამოიყენება რადიოსიგნალი, რომელსაც ნივთიერი სახე არ გააჩნია (რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი). ინფორმაცია ტირაჟირების ნაცვლად ტრანსლირდება და ნებისმიერ მანძილზე მომენტალურად მიეწოდება მასობრივ აუდიტორიას.

კომპიუტერული ტექნოლოგიების არნახული პროგრესის თანამედროვე ეპოქაში, საზოგადოებისა და მედიის ურთიერთკავშირი უკიდურესად გამარტივებულია. ძნელია დაემალო თუნდაც ელექტრონულ ფოსტაზე გამოგზავნილ, საზოგადოების მხრიდან გამოთქმულ, მოსაზრებებს და ხშირად კრიტიკულ შენიშვნებსაც. მეორეს მხრივ, ეს ინფორმაცია ზოგჯერ ახალი ამბების მნიშვნელოვანი არტერიაა.

ვ. შუბითიძის და მ. ბოჭორიძის საგულისხმო დასკვნების მიხედვით, დღეისთვის კომუნიკაციის უახლეს საშუალებებს გააჩნიათ არა მარტო უპირატესობა, არამედ უარყოფითი მხარეებიც. ისინი ხანდახან სპონტანურად, პირდაპირ გვაცნობენ როგორც კარგ, ასევე ცუდ ამბებს ყოველგვარი მომზადების გარეშე, როცა დრო აღარ რჩება კეთილგანწყობილი და სათანადო იმიჯის შესაქმნელად. ასე მაგალითად, 2001 წლის 11 სექტემბრის ნიუ-იორკის ტერორისტული აქტები - ტყუპი ცათამბჯენების დანგრევა ამერიკულმა ტელეკომპანიამ სი-ენ-ენმა ოპერატიულად, პირდაპირ ეთერში აჩვენა მთელ მსოფლიოს. მსოფლიო საზოგადოება გაოგნებული დარჩა როგორც სი-ენ-ენის ოპერატულობით, ასევე პირდაპირ ეთერში ნანახით (ადამიანები საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ), როცა ხედავდნენ, როგორ ცვიოდნენ სასოწარკვეთილი ადამიანები 300 მეტრის სიმაღლიდან.

ამრიგად, ფაბლიკ რილეიშენზი (საზოგადოებასთან ურთიერთობა - ა.მ.) ეს არის სამართლებრივ საფუძველზე და ყოველმხრივ ინფორმირებაზე დამყარებული ურთიერთობის ხელოვნება ადამიანებსა და ორგანიზაციებს შორის ურთიერთგაგებისა და ჰარმონიულობის, კონკრეტული შედეგების მისაღწევად[6].

როგორც ვახსენეთ, ჟურნალისტურ შემოქმედებით პროდუქტში პოზიტიურთან ერთად ხშირია ნეგატიური ხასიათის პუბლიცისტური თხზულებებიც. „კონსტიტუცია, ისევე, როგორც მასზე

დამყარებული კანონების მთელი სისტემა, აგრესიულ რეპორტაჟებს არ კრძალავს. ჟურნალისტებს სრული უფლება აქვთ წერონ კანონდარღვევების შესახებ და სასაცილოდაც კი აიგდონ ნებისმიერი ადამიანი, განსაკუთრებით, თუ ის ოფიციალური პირია. იმისთვის, რომ ჟურნალისტს ინფორმაციის მოპოვებისას აქტიურად მოქმედება შეეძლოს, კანონი მათ უზუსტობის ნებასაც აძლევს.

თუმცა ყველაფერი როდია ნებადართული. სამართალი მკაცრად სჯის ცილისმწამებლებს. ჟურნალისტებმა კარგად იციან, თუ თავიანთ სტატიებში საკმარის სიფრთხილეს არ გამოიჩენენ, ხარჯიან და ხანგრძლივ სასამართლო პროცესებში მოუწევთ მონაწილეობა“ [7].

ბუნებრივია, საინფორმაციო საშუალებები უპირატესობას განსაკუთრებული ხასიათის ინფორმაციული მუხტის მქონე და უჩვეულო, სკანდალური ხასიათის ან უეცარ მოვლენებს ანიჭებენ და ასეთი მასალების სასარგებლოდ აკეთებენ არჩევანს. ხშირ შემთხვევაში მსგავსი ტიპის სიახლეები საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს ფორმატისთვის მიუღებელია. შესაბამისად, ახალი ამბების „კეთება“ დარგის ოსტატთაგან მოითხოვს ისეთი ხელოვნების ფლობის აუცილებლობას, როდესაც ახალი ამბავი ჟურნალისტთათვის ინტერესის საგანს, ხოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებისთვის აუცილებლობას და საჭიროებას წარმოადგენს.

როგორც ჟურნალისტს, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს თანამშრომელს საკუთარი საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის უნდა გააჩნდეს დახვეწილი წერის ტექნიკა, ინფორმაციის გადამოწმება - ჩასწორება, სპეციალური კითხვარების შედგენით მიზნობრივი კვლევების ჩატარება, კონკრეტული ღონისძიებების გაშუქების ანალიზი სამომავლო გეგმებში ცვლილებების განსახორციელებლად, ნაბეჭდი და ვიზუალური პროდუქციის მომზადება, სპეციალური ღონისძიებების დაგეგმვა, საკუთარი ორგანიზაციის პოპულარიზაციის მიზნით, აუდიტორიის მასობრივი და სისტემატური ინფორმირება და ა. შ.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის პროფესიულ თვისებათა შორის, მკვლევართა მოსაზრებით, აუცილებელია ისეთი უნარების გამომუშავება, როგორებიცაა: კომუნიკაბელურობა, კონკრეტული პრობლემების გადაჭრის მიზნით გადაწყვეტილების მიღების უნარი, მოსალოდნელი შედეგების გათვლა და სხვ.

ასეთი უნარებით აღჭურვილი ჟურნალისტიც და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტიც მზადაა მედიაში აქტიური ჩართულობისა და საინტერესო, შინაარსიანი საქმიანობისთვის, თუმცა, ამგვარი აქტიურობების კვალდაკვალ უნდა მივუთითოთ ახალი ამბების მომხმარებლის უფლებათა შესახებაც, რომლებიც აქტუალურია, მაგრამ ძირითადად რაიმე სახის ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრული არ არის. ამ მიმართულებით საინტერესოდ მსჯელობენ ჰამილტონი და კრიმსკი. მკითხველის უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება:

- მისწეროს საჩივრის წერილი რედაქტორს;
- მისწეროს წერილი უშუალოდ გამომცემელს;
- მოითხოვოს დაშვებული უზუსტობის გასწორება ან სტატიაში მოცემულ ინფორმაციაზე უარის თქმა;
- უარი თქვას ინტერვიუზე, თუ ასეთი რამ სთხოვეს. არ არსებობს კანონი, რომლის თანახმად, მოქალაქე ვალდებულია მედიას ესაუბროს;
- უარი თქვას კონკრეტული ჟურნალისტისთვის ინტერვიუს მიცემაზე. ვიდრე თანამშრომლობაზე დათანხმდება, მკითხველს შეუძლია იკითხოს ჟურნალისტის ვინაობა. თუ ეს ჟურნალისტი არ მოსწონს, შეუძლია უარი თქვას მასთან ლაპარაკზე;
- თავად ჩაიწეროს ინტერვიუს მსვლელობა;
- მოითხოვოს სტატიის გადახედვა მის გამოქვეყნებამდე;
- გააძევოს რეპორტიორი საკუთარი სახლიდან და ეზოდან;
- უარი თქვას გაზეთის გამოწერაზე;
- მოაწყოს დემონსტრაცია გაზეთის ოფისის წინ. თუმცა ამისთვის ჯერ პოლიციის ნებართვის მიღებაა საჭირო;
- განახორციელოს სამართლებრივი ქმედებები[8].

საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით მსჯელობისას ზოგადად შევეხებით ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორიცაა კრიზისის მართვა.

კრიზისული სიტუაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ ფლანგზე შეიძლება დაიბადოს. მისი სირთულის მაღალ ხარისხს, პირველყოვლისა, მისივე ინდივიდუალური ბუნება განაპირობებს. კრიზისული მდგომარეობისთვის დამახასიათებელი თავისებურება გახლავთ ლოგიკურის ნაცვლად

რეფლექსური ინსტინქტების გაძლიერება, რაც არც თუ იშვიათად გამხდარა საზოგადოებაში პანიკის საფუძველი.

კრიზისი შეიძლება წარმოიშვას:

- გაფიცვის,
- საპროტესტო გამოსვლების,
- დაწესებულების გაჩერების,
- ტერორისტული აქტის,
- კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვის ან სხვა მსგავსი შემთხვევების გამო.

ასეთ დროს, განსაკუთრებულად მოთხოვნადი ხდება ინფორმაციის მაქსიმალური ოპერატიულობის უზრუნველყოფა.

კრიზისული ვითარებიდან თავის დასაღწევად ეფექტური სტრატეგიების შემუშავების ერთ-ერთ წინაპირობას მისი მართვის სადავეების ხელში აღება წარმოადგენს.

კრიზისის მართვაში საგულისხმო როლის შესრულება შეუძლია მედიის აქტიურ ჩართულობას. ოპერატიული ინფორმაციის მიღება, კონტროლი და მისი მართვა მოსალოდნელი საფრთხეებისგან თავდაცვის სტრატეგიების შესამუშავებლად უპირველესი საჭიროებათაგანია. შექმნილი კრიზისული ვითარებიდან თავის დასაღწევად ერთგვარი აუცილებლობაა შესაბამისი მიზნით შედგენილი ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც ინდივიდუალურია ყოველი ცალკეული შემთხვევისთვის, კონკრეტული რეალობიდან გამომდინარე.

ბუნებრივია, კრიზისი ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურ სიბრტყეზე განიხილება და იწვევს, როგორც დაწესებულების სხვადასხვა მიმართულებით დაზიანებას, ასევე წარმოადგენს ბიძგს მისი ტოპმენეჯმენტის რგოლისათვის, ახალ გარემოს მორგებული, ეფექტური და ინოვაციური გადაწყვეტილებების მისაღებად. „კრიზისი რეალური პრობლემაა, რომელიც ორგანიზაციის იმიჯს აზიანებს. კრიზისის პირველ ეტაპზე, მისი სწორად მართვის პირობებში, მოსალოდნელია რეპუტაციის გარკვეულწილად შენარჩუნება. მიზანმიმართული ქმედებით შესაძლებელია მედიის უხეში ჩარევისა და სკანდალის თავიდან აცილებაც. მედიას შეუძლია ინციდენტი კრიზისად აქციოს, ხოლო არსებული კრიზისი გამანადგურებელი გახადოს.

კრიზისულ სიტუაციაში პიარის სამსახურის სტრატეგიის განხორციელების ძირითადი მიმართულებებია:

○ მყისიერი კომუნიკაციური რეაქცია, ჟურნალისტთა ინტერესების დაკმაყოფილება (ყველა არსებით კითხვაზე პასუხის გაცემა), მწუხარების, სინანულის გამოხატვა;

○ ინფორმაციის სათანადოდ დამუშავება და გავრცელება; სარწმუნო ინფორმაციის დეზინფორმაციისგან გამიჯვნა; მედიისათვის უტყუარი, ობიექტური ცნობების შეუფერხებლად მიწოდება;

○ დამოუკიდებელი ექსპერტებისა და სპეციალისტთა მოზიდვა, რადგან მათი გამოსვლებისადმი საზოგადოებისა და მედიის ნდობა გაცილებით მაღალია, ვიდრე კომპანიის პერსონალისადმი.

ამ პრინციპების გატარებისას დაუშვებელია:

- ✓ არასარწმუნო ვარაუდების საზოგადოებისთვის გაცნობა, ფაქტების მიჩქმალვა;
- ✓ პრობლემის მნიშვნელობის დამცრობა ან სიტუაციის შელამაზება;
- ✓ რომელიმე საინფორმაციო საშუალებისთვის უპირატესობის მინიჭება;
- ✓ კრიზისული ვითარების გამოყენება თვითრეკლამისათვის;
- ✓ ყოყმანი, რომელიც საზოგადოებაში იწვევს გაურკვევლობისა და არაკომპეტენტურობის განცდას;
- ✓ დოგმატური ჭარბსიტყვაობა, რაც ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან თანამდებობის პირის ქედმაღლობას ააშკარავებს;
- ✓ კონფრონტაცია, რომელიც პრობლემისადმი საზოგადოების რეაქციას ნიღბავს“[9].

ამრიგად, მედიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროები საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი სეგმენტია. ამ სფეროებში არსებული პრობლემების ეფექტური გადაჭრა, გარკვეული ცვლილებების განხორციელება საზოგადოებასთან, მათ შორის მედიასთან, თანამედროვე სტრატეგიების განვითარებასა და უახლეს მიდგომებშია საძიებელი.

ლიტერატურა:

1. მელვინ დეფლორი, ევერეტ დენისი, მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის, თბილისი, 2009, გვ. 273;
2. С. Блек, Введение в паблик рилейшенз, Ростов-на Дону 1998;

3. მელვინ დეფლორი, ევერეტ დენისი, მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის, თბილისი, 2009, გვ. 275;
4. მელვინ მენჩერი, ახალი ამბების გაშუქება და წერა, თბილისი, 2013, გვ. XII;
5. მარინე ვეკუა, ჟილ რუე (იდეის ავტორები), ჟურნალისტიკა, თბილისი, 2013, გვ. 258;
6. ვაჟა შუბითიძე, მიხეილ ბოჭორიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობა, თბილისი, 2005-2006, გვ. 8;
7. ჯონ მაქსველ ჰამილტონი, ჯორჯ კრიმსკი, ჩაეჭიდეთ პრესას (ამბავი საგაზეთო ცხოვრებაზე), თბილისი, 2004, გვ. 234;
8. ჯონ მაქსველ ჰამილტონი, ჯორჯ კრიმსკი, ჩაეჭიდეთ პრესას (ამბავი საგაზეთო ცხოვრებაზე), თბილისი, 2004, გვ. 250;
9. მარინე ვეკუა, ჟილ რუე (იდეის ავტორები), ჟურნალისტიკა, თბილისი, 2013, გვ. 275;
10. ბ. მღებრიშვილი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, თბილისი, 2001;
11. ლ. კაპანაძე, ე. ხახუტაშვილი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, თბილისი, 2007;
12. გ. ბრუმი, ს. კატლიპი, ასენტერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის შესავალი, თბილისი, 2011;
13. დ. უილკოქსი, გ. კამერონი, საზოგადოებასთან ურთიერთობა - სტრატეგია და ტაქტიკა, თბილისი, 2011;
14. В. Королько, Основы Паблик Рилеишенз, Москва, 2002;
15. Г. Почепцов, професия Имиджмеикер, Киев, 1999;
16. Г. Почепцов, Паблик Рилеишенз для професионалов, Москва, 2001;
17. Г. Почепцов, Имиджологиа, Москва, 2001;
18. Ф. Джефкинс, Д. Ядин, Паблик Рилеишенз, Москва, 2003;
19. Д. Маркони, PR-полное руководство, Москва, 2007;
20. J. Johnston, C. Zawawi, Public Relations. Theory and practice. S. 2004;
21. P. Bird, Sell yourself. Persuasive tactics to boost your image, London, 1994;

რეზიუმე

საზოგადოებასთან ურთიერთობა კარგად მოწესრიგებულ საკომუნიკაციო პროცესს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც მაღალკვალიფიციური პერსონალი პირველ ეტაპზე ქმნის, ხოლო შემდეგ სხვადასხვა მედიასაშუალებებით აუდიტორიას გადასცემს ამ ინფორმაციას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის პროფესიულ თვისებათა შორის, მკვლევართა მოსაზრებით, აუცილებელია ისეთი უნარების გამომუშავება, როგორებიცაა: კომუნიკაბელურობა, კონკრეტული პრობლემების გადაჭრის მიზნით გადაწყვეტილების მიღების უნარი, მოსალოდნელი შედეგების გათვლა და სხვ.

მედიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროები საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი სეგმენტია. ამ სფეროებში არსებული პრობლემების ეფექტური გადაჭრა, გარკვეული ცვლილებების განხორციელება, საზოგადოებასთან, მათ შორის მედიასთან, თანამედროვე სტრატეგიების განვითარებასა და უახლეს მიდგომებშია საძიებელი.

MAIN FACTORS OF PUBLIC RELATIONS

Aleksandre Mghebrishvili, Professor

RESUME

Public Relations is a well-organized communication process, where, at first stage, a highly-qualified staff creates information, and then, gives it to the audience by means of different mass media.

According to researchers, among the professional features of a specialist, working at public relations, there are the following skills: sociability, skill of making a decision with the aim of solving a certain problem, prediction of possible consequences etc.

The mass media and public relations spheres are important segments of public life. The effective solution of existing problems in these spheres, the implementation of certain changes in the society and media as well, is to be found in the development of modern strategies and contemporary approaches.

სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებული მედიაპროდუქტის შექმნა

მარიკა შერაზადიშვილი, პროფესორი

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება მოქალაქეთა დაცვა უხარისხო, ჯანმრთელობისა და ზოგიერთ შემთხვევაში სიცოცხლისათვის საშიში სასურსათო პროდუქციისაგან. რადგან გვაქვს ამბიცია, ვიყოთ ევროპული ოჯახის წევრი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სურსათის უვნებლობას. დიდი მნიშვნელობა აქვს ჟურნალისტის მიერ ცხოველური და მცენარეული პროდუქტის შენახვა-გადამუშავების საკითხების სწორად გაშუქებას.

რა უნდა იცოდეს ჟურნალისტმა სასურსათო უსაფრთხოების შესახებ?

ტერმინი ,,სურსათის უვნებლობა“ პროდუქტის ხარისხსა და უსაფრთხოებასთანაა გაიგივებული, სურსათის უვნებლობა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების - ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა და, შესაბამისად, სურსათის მოხმარებით გამოწვეული რისკებისაგან დაცვას გულისხმობს, ხოლო სასურსათო უსაფრთხოება - ეს არის ნებისმიერი ქვეყნის ყველა ფენის მოსახლეობის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრების შენარჩუნებისათვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე უვნებელ სურსათზე.

მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების რომის დეკლარაციიდან (Rome Declaration on sworld Food Security) გამომდინარე, ევროკავშირი, უპირველეს ყოვლისა, იცავს თავისი მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, რისთვისაც ევროკავშირის სამომხმარებლო ბაზარზე შემოსულ პროდუქციას ისეთივე მკაცრ მოთხოვნებს უყენებს, როგორც ევროკავშირში წარმოებულს. ევროკავშირი დიდ ყურადღებას უთმობს სურსათის უვნებლობის სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციონალურ მოწყობას. ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზა სავალდებულოა ევროკავშირის ქვეყნებისათვის, მაგრამ ის ასევე ეხება იმ ქვეყნებსაც, რომლებიც მიისწრაფვიან ევროკავშირისკენ და აღიარებენ მათ საკანონმდებლო რეგულირებას.

რა უნდა იცოდეს ჟურნალისტმა სურსათის უვნებლობის საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შესახებ?

სურსათის სფეროში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ძირითად საკანონმდებლო აქტს, რომელიც უზრუნველყოფს სასურსათო პროდუქტების მაქსიმალურ უვნებლობას, 2002 წელს მიღებული EC 178/2002 რეგულაცია – ,,სურსათის შესახებ კანონის ზოგადი საფუძვლები და მოთხოვნები” წარმოადგენს. ამ რეგულაციის 49-ე მუხლის მიხედვით, ყველა ქვეყანა, რომელიც აღიარებს ევროპულ კანონმდებლობას და მონაწილეობს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებაში, თანაბარ მდგომარეობაში უნდა იყოს.

დღეს საქართველოში სურსათის უვნებლობა რეგულირდება კანონით ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“ (იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge).

კოდექსის მიზანია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა, სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

2015 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი "სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირების შესახებ", რომლის მიზანია მომხმარებლის ინფორმირება სურსათში გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების არსებობის შესახებ. ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ მომხმარებელს ექნება არჩევანის თავისუფლება, ვინაიდან ის იქნება ინფორმირებული, სურსათი გენმოდიფიცირებულია თუ არა. აღნიშნული კანონი არეგულირებს ეტიკეტზე განსათავსებელ ინფორმაციას. კერძოდ, თუკი სურსათის შემადგენლობაში არსებული გენეტიკურად მოდიფიცირებული კომპონენტები საერთო მასის 0,9%-ზე მეტია, მაშინ ეტიკეტის მარცხენა ზედა კუთხეში უნდა იყოს მითითებული წარწერა „გმ". თუკი სურსათის ეტიკეტირება შეუძლებელია, თანმხლებ დოკუმენტაციაში უნდა იყოს მითითებული ინფორმაცია გენმოდიფიცირებულობის შესახებ. ეტიკეტირების წესის დარღვევა საქართველოს კანონმდებლობით

ჯარიმდება 5 000 ლარის ოდენობით. განმეორების შემთხვევაში ჯარიმა ორმაგდება და ბიზნესოპერატორს 10 000 ლარის გადახდა მოუწევს.

2015 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა "თაფლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც ადგენს თაფლთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. ბიზნესოპერატორი ვალდებულია, ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული თაფლი აწარმოოს და ბაზარზეც რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად განათავსოს. „თაფლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რეგულირების ობიექტი ბაზარზე განთავსებული ყვავილის ანუ ნექტრის თაფლი, ცვარტკბილის თაფლი და შერეული თაფლია.

დოკუმენტი მიზნად ისახავს თაფლის წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას. ახალ რეგულაციაში მკაცრად არის გაწერილი მოხმარებისთვის განკუთვნილი თაფლის ხარისხობრივი და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები. (იხ. საქართველოს მთავრობის N 714 დადგენილება, www.nfa.gov.ge)

2015 წლის 1 აგვისტოდან ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის #152 დადგენილება „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე", რომელიც მიზნად ისახავს რძისა და რძის ნაწარმის, რძის შემცველი პროდუქტის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

მთავრობის ამ რეგულაციის მიხედვით, სურსათის ეტიკეტზე დასახელება - რძე, მშრალი რძე (რძის ფხვნილი), არაჟანი, მაწონი, კარაქი და სხვ. გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ რძის ნაწარმზე. თუკი რძისა და რძის ნაწარმის შემადგენლობაში დამატებული იქნება მცენარეული ცხიმები, ასეთი სურსათის შეფუთვაზე უნდა დაეწეროს - რძის შემცველი პროდუქტი. მაგალითად, კარაქისებრი ან კარაქის მსგავსი. ამ მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ბიზნესოპერატორი დაჯარიმდება და სურსათის რეალიზაცია აიკრძალება.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ივლისის N342 დადგენილებით რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში შესული ცვლილებებით განისაზღვრა ტერმინი „მაწონი". ეს არის ქართული ტრადიციული რძემჟავა პროდუქტი, რომელიც მიიღება ძროხის, კამეჩის, თხის, იშვიათად ცხვრის აღდგენილი, ნორმალიზებული და პასტერიზებული რძის ან მათი ნარევის შედეგებით. დასახელებას „მაწონი" შეიძლება დაემატოს საწყისი რძის მინიშნება - ძროხის, თხის, კამეჩის და/ან ცხვრის - იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული რძის წილი ნარევში 85%-ს აღემატება; 2016 წლის პირველ აგვისტომდე დასაშვებია რძის შემცველი პროდუქტების ეტიკეტზე რძისა და რძის ნაწარმის დასახელების გამოყენება სიტყვა „მსგავს"-თან ან/და ბოლოსართ „ებრ"-თან ერთად, მაგალითად, რძისებრი ან რძის მსგავსი, არაჟნისებრი ან არაჟნის მსგავსი. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი რძის შემცვლელ პროდუქტზე რძის ნაწარმის აღმნიშვნელი ტერმინების (არაჟანი, კარაქი, რძე...) გამოყენება აიკრძალება.

რა უნდა იცოდეს ჟურნალისტმა სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის შესახებ?

სურსათის უვნებლობის მართვის სისტემა ნედლეულთან, პროდუქტთან, მომსახურე პერსონალთან და საწარმოო პროცესებთან დაკავშირებული იმ ფაქტორების კონტროლს გულისხმობს, რომლებმაც შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს საბოლოო პროდუქტის უვნებლობა. სურსათთან დაკავშირებული საფრთხეები სასურსათო ჯაჭვის ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება წარმოიშვას და, შესაბამისად, გავლენა იქონიოს საბოლოო პროდუქტის უვნებლობაზე. ამიტომ სურსათის უვნებლობისადმი ინტეგრირებული მიდგომა მნიშვნელოვანია და მას "ფერმიდან სუფრამდე" მიდგომას უწოდებენ.

სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის ეტაპები:

სურსათის უვნებლობის მართვის სისტემა რამდენიმე საფეხურისგან შედგება:

1. პირველადი წარმოების სანიმუშო პრაქტიკა;
2. წარმოების სანიმუშო პრაქტიკა-ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებული მოთხოვნები;
3. წინასწარი აუცილებელი პროგრამები-სტანდარტული სამუშაო ინსტრუქციები;
4. HACCP – საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა.

სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება მხოლოდ ყველა ეტაპის თანმიმდევრული ეფექტური და საფუძვლიანი განხორციელების შედეგად მიიღწევა.

რა უნდა იცოდეს ჟურნალისტმა ცხოველური და მცენარეული პროდუქტის შენახვა-გადამუშავების საქმეში ბიზნესოპერატორის როლის შესახებ?

ვინაიდან სურსათის უვნებლობას პირდაპირი გავლენა აქვს ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე, ბიზნესოპერატორი, პირველ რიგში, ვალდებულია უზრუნველყოს სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის ეფექტური განხორციელება. სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ვალდებულია განახორციელოს ბიზნესოპერატორების ინსპექტირება, ზედამხედველობა და ბაზრის მონიტორინგი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად.

სურსათის უვნებლობის მართვის ეფექტური სისტემის არსებობა ბიზნესოპერატორის თავდაცვის მძლავრ მექანიზმს წარმოადგენს. ნებისმიერ ქვეყანაში სასურსათო ჯაჭვის ბიზნესოპერატორი არის პასუხისმგებელი სურსათის უვნებლობის კუთხით დაწესებული საკანონმდებლო მოთხოვნებისა და მომხმარებლისთვის დეკლარირებული ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებაზე. სასურსათო ჯაჭვის თითოეული მონაწილე თავის წილ პასუხისმგებლობას უნდა იღებდეს, რათა მომხმარებელს მიაწოდოს უვნებელი პროდუქტი. ამისათვის თითოეულ ეტაპზე პროცესების კონტროლი უნდა მიმდინარეობდეს რისკის შეფასებაზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის ფარგლებში

საკვებთან ერთად ადამიანებს გვჭირდება ინფორმაცია, რომელიც ამ შემთხვევაში დაგვეხმარება გავიგოთ, თუ რამდენად ვართ დაცული სურსათის შემთხვევითი თუ განზრახ დაბინძურებისგან, რაც ჩვენი სიცოცხლის, ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს.

მედიის ვალდებულებაა მოიძიოს, მიიღოს, შეისწავლოს, გააანალიზოს, გადაამოწმოს და შემდეგ მიაწოდოს ინფორმაცია აუდიტორიას. იმავე პროცესის გავლის ვალდებულება აქვთ ცხოველური და მცენარეული პროდუქციის მწარმოებელ, გადამამუშავებელ, შემნახველ და რეალიზატორ კომპანიებსა და ინდივიდუალურ მეწარმეებს. სურსათთან დაკავშირებული საფრთხეები სასურსათო ჯაჭვის ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება წარმოიშვას და, შესაბამისად, გავლენა იქონიოს საბოლოო პროდუქტის უვნებლობაზე. შესაბამისად, მედიასაშუალებებისა და ჟურნალისტებისთვისაც ნაცნობი თემაა, რომ ინფორმაციის დამუშავების ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება არსებობდეს ინფორმაციის არასწორად გავრცელების საფრთხე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს როგორც აუდიტორიის შეცდომაში შეყვანა, აგრეთვე საწარმოო ჯაჭვში ჩართული რომელიმე ბიზნესოპერატორის სახელისა და რეპუტაციის შეურაცხყოფა.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებული მედიაპროდუქტის შექმნისას ჟურნალისტს მოეთხოვება სათანადო განათლება პოტენციური აუდიტორიის სწორად ინფორმირებისათვის, რამაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირების მოტივაციის გაზრდას უნდა შეუწყოს ხელი.

ინტენეტ-რესურსები:

1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge;
2. საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მეცენარეთა დაცვის კოდექსი“, www.matsne.gov.ge, www.codex.ge
3. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის #198 დადგენილება ბიოწარმოების შესახებ, http://nfa.gov.ge/files/198.pdf
4. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის #714 დადგენილება
თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, http://nfa.gov.ge/files/714.pdf
5. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის #152 დადგენილება „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, http://nfa.gov.ge/files/_3.pdf
6. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ივლისის #342 დადგენილება
„რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის №152 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, http://nfa.gov.ge/files/cvlileba_rzis_teq._reglamentshi.pdf
7. სურსათის უვნებლობის სახელმძღვანელო რძის სექტორისათვის, 2011, http://www.agro.ge/uploads/sursatis_uvneblobis_saxelmZRvanelo.pdf
8. სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო თხილის სექტორისათვის, 2013, www.nfa.gov.ge
9. სურსათის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული გაზეთი - http://nfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=189.

რეზიუმე

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება მოქალაქეთა დაცვა უხარისხო, ჯანმრთელობისა და ზოგიერთ შემთხვევაში სიცოცხლისათვის საშიში სასურსათო პროდუქციისაგან. რადგან გვაქვს ამბიცია, ვიყოთ ევროპული ოჯახის წევრი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სურსათის უვნებლობას. დიდი მნიშვნელობა აქვს ჟურნალისტის მიერ ცხოველური და მცენარეული პროდუქტის შენახვა-გადამუშავების საკითხების სწორად გაშუქებას.

საკვებთან ერთად ადამიანებს გვჭირდება ინფორმაცია, რომელიც ამ შემთხვევაში დაგვეხმარება გავიგოთ, თუ რამდენად ვართ დაცული სურსათის შემთხვევითი თუ განზრახ დაბინძურებისგან, რაც ჩვენი სიცოცხლის, ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს.

მედიის ვალდებულებაა მოიძიოს, მიიღოს, შეისწავლოს, გააანალიზოს, გადაამოწმოს და შემდეგ მიაწოდოს ინფორმაცია აუდიტორიას. სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებული მედიაპროდუქტის შექმნისას ჟურნალისტს მოეთხოვება სათანადო განათლება პოტენციური აუდიტორიის სწორად ინფორმირებისათვის, რამაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირების მოტივაციის გაზრდას უნდა შეუწყოს ხელი.

DEVELOPMENT OF AGRICULTURE-RELATED MEDIA PRODUCTS

Marika Sherazadishvili, Professor

RESUME

Along with establishment of market economy, protection of citizens from poor quality food products, as well as from food products threatening health and in some cases, a human life, is becoming increasingly important. As we are ambitious enough to be the member of an European family, particular attention shall be paid to food safety. Proper coverage of issues of storage and processing of animal and plant products by journalists is very important.

Along with food, people need information which in such case will help us to find out how much protected we are from accidental or intentional contamination, what might contain threat for our lives and health.

Media is obliged to search for, receive, explore, analyse, verify and then provide the audience with the information. When developing the agriculture-related media products, a journalist shall have relevant knowledge in order to inform the potential audience properly, what should contribute to the motivation of persons employed in agriculture.